

დაგონუკიდუბლოგიდან თავისუფლებიქენ:

როგორ იცვლება სხელბნიფო და
საგობადოება ახალ სეჩართველოუი

ბია ნოღია
ტოგან შკაჩელი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებიდან:

როგორ იცვლება სახელმწიფო და
საზოგადოება ახალ საქართველოში

თბილისი
2021

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ:
როგორ იცვლება სახელმწიფო და საზოგადოება
ახალ საქართველოში



წიგნი მომზადდა კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით. კრებულში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს და მათზე პასუხისმგებელი მხოლოდ სტატიათა ავტორები არიან.

სამეცნიერო რედაქტორი: **გია ნოდია, თომას შრაპელი**

პროექტის და იდეის ავტორი: **გიორგი ბუტიკაშვილი**

ტექსტის რედაქტორი: **ნინო გოგალაძე**

დამკაბადონებელი: **მაკა ცომაია**



© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-2933-8

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

სახელმწიფო, უსაფრთხოება და ეკონომიკა

გია ნოდია
სახელმწიფოს ნგრევა და მშენებლობა საქართველოში:
რას მივაღწიეთ და რა ვერ შევძელით 11

შოთა ღვინდარია
რუსეთის ჰიბრიდული ომი და საქართველოს საგარეო
პოლიტიკის განმსაზღვრელი ასპექტები 53

გიორგი ქადაგიძე
დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა:
ჩამორჩენილობა და მისი დაძლევის გზები 75

ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება და ეკლესია

გიორგი მელაძე
ადამიანის უფლებები საქართველოს
სახელმწიფოს სასწორზე 101

ლაშა გულაძე
პროტესტის ინსტიქტი 135

ზაალ ანდრონიკაშვილი

საბჭოთა ქართული ინტელიგენციის
გენეალოგია და ტრანსფორმაცია 151

ბექა მინდიაშვილი

ეკლესია და დემოკრატია:
მიქცევ-მოქცევის 30 წელი 193

საზოგადოების ტრანსფორმაცია

გიგა ზედანია

ღირებულებების ტრანსფორმაცია
პოსტსაბჭოთა საქართველოში 247

ლევან ბერძენიშვილი

პოლიტიკური კულტურა საქართველოს
დამოუკიდებლობის შემდეგ. 269

ნათია ფანჯიკიძე

ქართული საზოგადოება და საბჭოთა მემკვიდრეობა . . . 297

ლაშა ბაძრაძე

საბჭოთა წარსულის გააზრების აუცილებლობა 341

წინასიტყვაობა

ქართველთა იდენტობის დისკურსი 1991 წელს, სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენის დღიდან არ ჩამოყალიბებულა. ქართველები ჯერ რუსეთის ცარისტული, შემდეგ საბჭოთა მრავალეროვანი იმპერიის შემადგენლობაში იმ ერთა შორის იყვნენ, რომლებიც ყველაზე თანმიმდევრულად და უწყევად ებრძოდნენ იმპერიულ ჰეგემონიას საკუთარი კულტურის შესანარჩუნებლად. XIX საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მულტიეთნიკურმა, იმპერიულმა სტრუქტურებმა მთლიანად შთანთქეს ქართველთა სამეფო, მის ისტორიაში პერიოდულად ვითარდებოდა მოვლენები, რომელთა შინაარსიც, ჯამში, „ქართველობის“ შენარჩუნება იყო. იმპერიული სტრუქტურების მოშლიდან და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენიდან თითქმის 30 წლის შემდეგ უპრიანია, საქართველო იმპერიის სხვა ნაწილებს შევადაროთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თავად ქართველები როგორ აცნობიერებენ თავის მდგომარეობას. სუვერენული საქართველოს დაფუძნების შემდეგ ქვეყანა თითქმის ათი წლის განმავლობაში ებრძოდა სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა ჩამოშლის შედეგებს. იმ დროსაც კი, საქართველოს, როგორც სუვერენული ერი-სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა ქვეყნის პოლიტიკოსთა და ინტელექტუალთათვის საკამათო არ ყოფილა. საქართველოს იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა არასოდეს განხილულა რეალისტურ სამომავლო ალტერნატივად და არ გამხდარა თუნდაც განსჯის საგანი. ყველაზე გვიან, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქართველ-

თა უმრავლესობა თავს მიიჩნევდა ევროპის ხალხთა ერთიანი ოჯახის, ე. ი. „დასავლეთის“ დამოუკიდებელ წევრად არა მარტო გეოგრაფიული, არამედ ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუციური სტრუქტურების თვალსაზრისით. ეს ხედვა დღემდე უცვლელი რჩება.

კავკასიის არცერთი ერი ასე თანმიმდევრულად არ მიისწრაფვის ევროკავშირში განწევრიანებისაკენ, როგორც საქართველო. ევროკავშირსა და საქართველოს ერთმანეთთან უკვე ექვსი წელია აკავშირებთ შეთანხმება ასოცირების შესახებ. ეს შეთანხმება თავისთავად გულისხმობს, რომ მხოლოდ საპარლამენტო ფორმის სამართლებრივი სახელმწიფო შეიძლება იყოს სახელმწიფოებრიობის მისაღები ჩარჩო. ამ საკითხის თაობაზე საქართველოს პოლიტიკაში უმეტესწილად, პარტიული პოლიტიკის კონიუნქტურისაგან დამოუკიდებლად, კონსენსუსია. მიუხედავად ამისა, თვითონ ქართველები სულ უფრო ხშირად სვამენ კითხვას: რა გავლენას ახდენს დღევანდებლობაზე იმპერიულ სტრუქტურებში თითქმის ორასწლიანი ყოფნა? ამ კითხვაზე პასუხი თავისთავად ცხადი არ არის, რადგანაც ამ პერიოდთან მიზანმიმართული მენტალური გამიჯვნა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნის თვითიდენტიფიკაციისათვის მისი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე.

ერი-სახელმწიფოს დაფუძნების შემდგომ ორი ათწლეულის განმავლობაში აბსოლუტური პრიორიტეტი იყო ძირძველ „ქართულთან“ დაბრუნება. მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების მსგავსად, ქართველებისთვისაც მნიშვნელოვანია იმპერიამდელი პერიოდის მოვლენებისა და გარდამტეხი მომენტების გახსენება. ამიტომაც, პოსტსაბჭოთა ხანის ეროვნულ ნარატივებს შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ისტორიის მიმართ დამოკიდებულება აერთიანებდა. მაგრამ სულ უფრო მეტად ჩანს, რომ იმდენადვე მნიშვნელოვანია უახლესი ანუ საბჭოთა ისტორიის შესწავლა.

კონრად ადენაუერის ფონდისათვის საქართველო წლების განმავლობაში მიეკუთვნება ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის

იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც კარგი წინაპირობები არსებობს პოლიტიკური დიალოგის მხარდასაჭერად დემოკრატიის განვითარების მიზნით. ამით აიხსნება, რომ აღნიშნული ფონდი საქართველოში, პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებში პოულობს პარტნიორებს ამ დიალოგის გასაგრძელებლად.

წინამდებარე გამოცემა, „საქართველოში დემოკრატიის კვალდაკვალ“, ფონდის ამ ძალისხმევის – პოლიტიკური დიალოგის მხარდაჭერის – ნაწილია. კრებულში შესულია სტატიებად გადამუშავებულ ლექციები, რომლებიც ქართველებმა ქართული საზოგადოებისათვის 2019 წლის განმავლობაში წაიკითხეს. ონლაინფორმატში განთავსებული ლექციების წასაკითხად მოწვეულები იყვნენ ქართული ინტელექტუალური და პოლიტიკური ცხოვრების განსხვავებული წარმომადგენლები: მათ შორის ყოფილი მაღალი რანგის პოლიტიკოსები, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, პოლიტიკის ანალიტიკოსები და მწერლები. მომხსენებელთა მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა, საქართველოს განვითარების ცენტრალური პრობლემები სხვადასხვა კუთხით წარმოგვედგინა. მწერლის თვალთ დასახული პოლიტიკური პროცესები, როგორც წესი, განსხვავდება ანალიტიკოსის ხედვისაგან. კონრად ადენაუერის ფონდის თვალსაზრისით, სწორედ ასეთი ნაზავია განსაკუთრებით მომნიშვნელო.

იმედი გვაქვს, ამ პატარა კრებულში შეეძელით, შეგვეკრიბა საინტერესო სტატიები საქართველოში დემოკრატიის განვითარების შესახებ. ჩვენი ჩანაფიქრით, ლექციების მიზანი იყო არა ამათუიმ საკითხზე საბოლოო აზრის ჩამოყალიბება, არამედ შემდგომი ღია დისკუსიების წახალისება.

ტომას შრაპელი,
კონრად ადენაუერის ფონდის დირექტორი
სამხრეთ კავკასიაში

სახელმწიფო,
უსაფრთხოება და
ეკონომიკა

მია ნოდია
შოთა ღვინაძე
გიორგი ქადაგიძე

სახელმწიფოს ნმრჩევა და მშენებლობა საქართველოში: რას მივალნიეთ და რა ვერ შევძელით

სახელმწიფოს მშენებლობა პოპულარული თემა არ არის, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია. ქართველი თუ უცხოელი მკვლევრები ქართული პოლიტიკის კვლევისას უფრო ხშირად სხვა პრობლემებით ინტერესდებიან: ეთნო-ნაციონალისტური კონფლიქტებით, რუსეთთან თუ დასავლეთთან ურთიერთობით, დემოკრატიის მშენებლობით და ადამიანის უფლებების დაცვით, ეკონომიკური განვითარებით, ეკლესიითა და მისი როლით, უმცირესობების მდგომარეობით.

ამ თემისადმი ნაკლები ინტერესი პარადოქსულია, რადგან: 1) სახელმწიფოს მშენებლობის უუნარობა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რაც საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდხანს ედგა და 2) ქმედუნარიანი სახელმწიფოს შექმნა ყველაზე მნიშვნელოვანი ნარმატებაა, რის მიღწევაც საქართველომ ჯერჯერობით შეძლო. თუმცა, შესაძლოა, ის სწორედ ამიტომ იმსახურებს ნაკლებ ყურადღებას.

პირველ აბზაცში ჩამოთვლილი სხვა პრობლემების სიას რომ ჩამოვყვეთ, თითოეულ ამ სფეროში შეგვიძლია რაღაც მიღწევებზე ვისაუბროთ, მაგრამ თვისობრივად ახალ საფეხურზე ვერც ერთ მათგანში ვერ ავედით. ტერიტორიული კონფლიქტების გადანყვეტას დღესაც პირი არ უჩანს; რუსეთთან

ურთიერთობის დალაგება მოსალოდნელი არაა; თუმცა ჩვენი დასავლური ორიენტაცია მეტ-ნაკლებად მყარია, თავად დასავლეთი ვერაფრით ჩამოყალიბდა, კონკრეტულად რა როლის თამაში შეუძლია და უნდა საქართველოში და, ზოგადად, პოსტსაბჭოთა აღმოსავლეთ ევროპაში; მიუხედავად პერიოდული რეალური ან ილუზორული „გარღვევებისა“, ქართული დემოკრატია ვერა და ვერ შედგა; სიღარიბე უპირველეს პრობლემად რჩება; ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ვერ მოგვარდა ისე, რომ მოდერნული სეკულარიზმის მინიმალური სტანდარტები იყოს დაცული; ეთნიკური უმცირესობები გარიყული რჩება და ერთიანი სამოქალაქო ერის ნაწილად ვერ იქცა. რაც შეეხება სახელმწიფოს მშენებლობას, პრინციპულად სხვა დონეზე ავედით: არშემდგარი სახელმწიფოს მდგომარეობით დავინწყეთ და მეტ-ნაკლებად ქმედუნარიანი სახელმწიფო შევქმენით, თუმცა ამ სფეროშიც სერიოზული პრობლემები გვრჩება.

სტატიას დავინწყებ ძირითადი ცნებების განმარტებით: რას ვგულისხმობ „არშემდგარ“ და, მეორე მხრივ, ეფექტიან ან ქმედუნარიან სახელმწიფოში; აგრეთვე შევხედავ ქმედუნარიან სახელმწიფოს და ლიბერალური დემოკრატიის პრობლემათა გადაკვეთის საკითხს. შემდეგ განვიხილავ სახელმწიფოობის ჩამოშლისა და მისი ხელახლა შექმნის ეტაპებს საქართველოში; ბოლოს დავუბრუნდები მტკივნეულ და წინააღმდეგობებით აღსავსე თემას: ეფექტიანი სახელმწიფოსა და ლიბერალური დემოკრატიის ამოცანებს შორის კავშირს თუ წინააღმდეგობას კონკრეტულად საქართველოს შემთხვევაში.

ქმედუნარიანი და არშემდგარი სახელმწიფოები

სახელმწიფოობის თემა არც ზოგადად პოლიტიკურ მეცნიერებაში იმსახურებს ჯეროვან ყურადღებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ადამიანები, რომლებიც ამ დარგში ინტელექტუალურ მოდას გასაზღვრავენ, ძირითადად დასავლეთში, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ. ისინი ეფექტიანი სახელმწიფოს არსებობას თავისთავად ცხად მოცემულობად მიიჩნევენ და, შესაბამისად, იშვიათად აქცევენ მას კვლევის საგნად. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემატიკით უფრო სოციოლოგიური მიდგომებისკენ მიდრეკილი ისტორიკოსები ინტერესდებიან, როგორცაა, მაგალითად, ჩარლზ ტილი.¹ პოლიტიკის მეცნიერთაგან სახელმწიფოობის პრობლემის ცენტრალურობაზე ყურადღების მიქცევა სცადეს 1960-იან წლებში სემუელ ჰანტინგტონმა,² ხოლო 1990-იანებში და შემდგომ – ფრენსის ფუკუიამამ.³ მათ მცდელობას დიდი წარმატება არ მოჰყოლია იმ აზრით, რომ ეს თემა პოლიტიკის მეცნიერებაში შედარებით მეორეხარისხოვანი დარჩა.

ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოობის პრობლემაზე ძირითადად ე.წ. „მესამე სამყაროთი“ დაინტერესებული ავტორები წერდნენ. კერძოდ, ამ თემის წინ წამოწევა 1960-იანი წლებიდან აფრიკის კონტინენტის დეკოლონიზაციის პროცესს დაუკავშირდა. მაშინ ბევრი ახალი სახელმწიფო შეიქმნა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოობა უფრო მეტად სიმბოლური ატ-

-
1. Charles Tilly, "Reflections on the History of European State-Making," in Charles Tilly, ed., *The Formation of National States in Western Europe* (Princeton University Press, 1975), გვ. 3-83.
 2. Huntington S. P. (1968), *Political Order in Changing Societies* (New Haven: Yale University Press).
 3. Fukuyama, F. (2004), *State-Building: Governance and World Order in the 21st Century* (Ithaca: Cornell University Press);

რიბუტების მიღებასა და საერთაშორისო აღიარების მოპოვებაში გამოიხატა: ახლად შექმნილ ქვეყნებს ჰქონდათ დროშები, ჰიმნები და ეროვნული ვალუტები, იღებდნენ კონსტიტუციებს, ჰყავდათ საერთაშორისო დონეზე აღიარებული მთავრობები, წარმომადგენლები გაეროში და საელჩოები წამყვან ქვეყნებში, იღებდნენ ოფიციალურ საერთაშორისო დელეგაციებს და ა. შ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ ისინი ქვეყნის შიგნითაც ისევე იქცეოდნენ, როგორც სახელმწიფოები იმ აზრით, როგორც ეს მსოფლიოს განვითარებულ ნაწილში ესმით. ბევრი მათგანი რეალურად ვერ აკონტროლებდა საკუთარ ტერიტორიას, სახელმწიფო მოხელეებს ვერ უზდიდა ადეკვატურ გასამრჯელოს და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდა მათ მინიმალურ კომპეტენციას და ერთგულებას, ვერ ახორციელებდა სამართალდაცვის ფუნქციებს, ვერ ინახავდა და ვერ ავითარებდა საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას და ა. შ. ამგვარი ვითარების აღსაწერად – როდესაც არსებობს მხოლოდ სახელმწიფოობის გარეგნული ჩარჩო, მაგრამ არა რეალური შინაარსი – სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტერმინს იყენებდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მეტად დამკვიდრდა ტერმინი „არშემდგარი სახელმწიფო“ (failed state). ვითარებას, როდესაც სახელმწიფო რალაც ზომით ასრულებს თავის საბაზისო ფუნქციებს, მაგრამ სერიოზული ხარვეზებით, უფრო „რბილ“ ტერმინს, „სუსტ სახელმწიფოს“ იყენებენ.⁴ მეც ამ ტერმინებს გამოვიყენებ, „არშემდგარი სახელმწიფოს“ საპირისპირო ტერმინად კი – „ქმედუნარიან“ ან „ეფექტიან“ სახელმწიფოს: ამ უკანასკნელს რეალურად ძალუძს იმ ფუნქციების შესრულება, რისთვისაც მოწოდებულია.

4. Robert H. Jackson, *Quasi-States: Sovereignty, International Relations, and the Third World* (Cambridge, New York: Cambridge University Press, 1990); I. William Zartman, *Collapsed States: The Disintegration and Restoration of Legitimate Authority* (Boulder: Lynne Rienner, 1995); Migdal, J. S. (1988), *Strong societies and weak states: State-Society Relations and State Capabilities in the Third World* (Princeton: Princeton University Press); David Carment, "Assessing state failure: implications for theory and policy", და მრავალი სხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ „არშემდგარი“ თუ „სუსტი“ სახელმწიფოების მიმართ ინტერესის ახალი ტალღა მოიტანა. 1990-იან წლებში კომუნისტური სისტემის ნანგრევებზე შექმნილი ახალი ქვეყნები, მათგან ყველაზე ძლიერის – რუსეთის ჩათვლით, სხვადასხვა ხარისხით ავლენდნენ სახელმწიფოობის დეფიციტს. საქართველოსა და ტაჯიკეთში „არშემდგარი სახელმწიფოობის“ სინდრომი ყველაზე დრამატული ფორმით წარმოჩნდა. მკვლევართა ერთი ჯგუფი დაინტერესდა პოსტსაბჭოთა და აფრიკული ქვეყნების შედარებითი ანალიზითაც. ამ სტრიქონების ავტორმა მაშინ ერთ-ერთ ასეთ პროექტშიც მიიღო მონაწილეობა; პროექტის ლიდერებმა მიიჩნიეს, რომ საქართველოს პრობლემების ჩემუელი ანალიზი ყველაზე მეტად უგანდის შემთხვევასთან იყო ახლოს.⁵

2000-იანი წლებიდან პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ სივრცეში სახელმწიფოების თანდათანობითი კონსოლიდაცია მოხდა, რასაც ხშირად ავტორიტარიზმის ზრდა ახლდა თან. ამის შემდეგ ამ რეგიონს „არშემდგარი სახელმწიფოს“ ჭრილში ნაკლებად განიხილავენ: ყურადღების ცენტრში ავტორიტარიზმის ზრდამ და დემოკრატიისთვის ბრძოლამ გადმოინაცვლა (მაგალითად, ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ სახით). საქართველო ამ მხრივაც დარჩა ყურადღების ცენტრში: 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ „ფერადი რევოლუციის“ ქრესტომათიულ მაგალითად იქცა, მაგრამ მის შემდგომ პერიოდს სახელმწიფოს გაძლიერების ფონზე მზარდი ავტორიტარიზმის ნიმუშადაც განიხილავდნენ.⁶

არშემდგარი სახელმწიფოების თემატიკისადმი ინტერესის კიდევ ერთი ტალღა რადიკალური ისლამისტური მოძრაობე-

5. *Putting the State Back Together in the Post-Soviet Georgia*, in: Mark R. Beissinger and Crawford Young (Eds.), „Beyond State Crisis: Postcolonial Africa and Post-Soviet Eurasia in Comparative Perspective“, Woodrow Wilson Center Press: Washington, D. C., 2002, pp. 413-443.

6. Donnacha Ó Beacháin, 2010, „The Colour Revolutions in the Former Soviet Republics: Successes and Failures“ (New York: Routledge), და მრავალი სხვა.

ბის გავრცელებამ მოიტანა: მსოფლიოს გარკვეულ წერტილებში შექმნილი სახელმწიფოების ვაკუუმი საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს.⁷ საქართველო, კერძოდ პანკისის ხეობა, ამ ბოლო მოსაზრების ილუსტრაციადაც გამოდგა (ამაზე ქვემოთ).

ეფექტიანი სახელმწიფო და ლიბერალური დემოკრატია: დილემა თუ აუცილებელი ნანამძვარი?

ზემოთ აღვნიშნე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფოს გაძლიერება ავტორიტარიზმის ზრდას დაემთხვა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ძლიერი, ქმედუნარიანი სახელმწიფოსა და ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები აპრიორი ერთმანეთს უპირისპირდება?

არა, ზოგადად ეს ასე არ არის; მაგრამ გარკვეულ კონტექსტში ამ ორი ტიპის მოთხოვნა შეიძლება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს.

ნორმატიული თვალსაზრისით, თანამედროვე მსოფლიოს დიდ ნაწილში ლიბერალური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრინციპებს უპირობო პრიორიტეტი ენიჭება, ხოლო მათი დაცვა სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვას მოითხოვს. ამ კონტექსტში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეფექტიანი სახელმწიფოს არსებობა თავისთავად პრობლემურია. ასეთ განწყობას ხანდახან ავლენენ ლიბერტარიანელები, რომლებიც სახელმწიფო რეგულაციების ნებისმიერ გაფართოებას ადამიანის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევენ, ან მემარცხენეები, რომლებიც სახელმწიფოს იძულების, რეპრესიის სანყისად წარმოისახავენ და მის „დესპოტურ“ ძალაუფლებას ეჭვის

7. Robert I. Rotberg (ed.), *State Failure and State Weakness in a Time of Terror* (Cambridge, Mass: World Peace Foundation, (2003).

თვალთ უყურებენ.⁸ ამ წარმოდგენას ისიც აძლიერებს, რომ ავტორიტარული ლიდერები და მათი მომხრეები დემოკრატიული პრინციპების შეზღუდვებსა და ადამიანის უფლებების დარღვევებს ხშირად სახელმწიფოს გაძლიერების საჭიროებით ამართლებენ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ავტორს, ვინც ძლიერი და ეფექტიანი სახელმწიფოს საჭიროებაზე საუბრობს, ხანდახან ავტორიტარული მთავრობების შეფარულ ადვოკატებად აღიქვამენ: მაგალითად, ზოგი მემარცხენე კრიტიკოსი სემუელ ჰანტინგტონის დასახელებულ კლასიკურ ნაშრომს დესპოტური ძალაუფლების გამართლებად წარმოაჩენს.⁹ ეს შეიძლება კიდევ ერთი მიზეზი იყოს იმისა, რომ სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემატიკა პოლიტიკურ მეცნიერებაშიც და საზოგადოებრივ დისკუსიებშიც უკანა პლანზეა გადაწეული: მკვლევრებს არ უნდათ, ავტორიტარი მმართველების თუნდაც უნებლიე მოკავშირეობა დაბრალდეთ.

ეჭვს არ იწვევს, რომ ავტორიტარი მმართველები ხშირად მანიპულირებენ ეფექტიანი სახელმწიფოს საჭიროებით. მაგრამ ეს სულაც არ გამოორიცხავს, რომ ძლიერი, ქმედუნარიანი სახელმწიფო ნამდვილად საჭიროა მისი მოქალაქეებისთვის. იქ, სადაც სახელმწიფო „არშემდგარი“ თუ „სუსტია“, მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას მისი გაძლიერება მიაჩნია პრიორიტეტად. ხანდახან – თუმცა არა ყოველთვის – ეს „ძლიერი ხელის“ (ანუ ავტორიტარული მმართველობის) წყურვილშიც გადაიზრდება. მაგრამ, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ქმედუნარიანი სახელმწიფოს არსებობის ლეგიტიმური მოთხოვნა დემოკრატიათადაც შეუძლია დააკმაყოფილოს.

8. Mann, Michael (1984), 'The autonomous power of the state: its origins, mechanisms and results', *European Journal of Sociology / Archives Européennes de Sociologie / Europäisches Archiv für Soziologie*, 1984, Vol. 25, No. 2, pp. 185-213.

9. Leys, Colin (1996) *The Rise and Fall of Development Theory*, Indiana University Press, Bloomington, IA.

რას ვგულისხმობთ, როცა „ქმედუნარიან სახელმწიფოზე“ ვლაპარაკობთ?

დროა, განვსაზღვროთ, კონკრეტულად რა გვესმის „ქმედუნარიანი სახელმწიფოს“ ცნებაში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინსტიტუტი ან ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომელსაც მოცემული ტერიტორიის ფარგლებში მონოპოლია აქვს ყველასთვის სავალდებულო წესების შემოღებაზე და მათ ცხოვრებაში გატარებაზე, მათ შორის, იძულების მექანიზმების გამოყენებით. უფრო მოკლედ ეს დახასიათება შეგვიძლია დავიყვანოთ კლასიკურ მაქს ვებერისეულ ფორმულაზე – „მონოპოლია ლეგიტიმური ძალის გამოყენებაზე“.¹⁰

ცხადია, რეალური სახელმწიფოების ფუნქციები მხოლოდ წესების შემოღებით, მათ დამრღვევთა დასჯითა და გარე მტრის მოგერიებით არ ამოიწურება. ისინი ბევრ სხვა საქმეს აკეთებენ, რაც უშუალოდ ძალის გამოყენებასთან არაა ასოცირებული: ზრუნავენ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე (გზებზე, არხებზე, მილსადენებზე და ა. შ.), ცდილობენ ეკონომიკის დარეგულირებას (მაგალითად, ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფით), ახორციელებენ სოციალურ პროგრამებს (განათლების, ჯანდაცვის, მონყვლადი ჯგუფების დახმარების სფეროში და ა. შ.). განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მეტად ამ უკანასკნელ ფუნქციებთან ასოცირდებოდნენ და შედარებით იშვიათად უწევთ იძულების მექანიზმების გამოყენება. მაგრამ, თუ სახელმწიფოს არ ექნა იმის რესურსი, რომ საჭიროების შემთხვევაში ძალას მიმართოს, ის ვერც თავის მშვიდობიან ფუნქციებს შეასრულებს.

იმის შესაფასებლად, რამდენად „შედეგა“ სახელმწიფო, მას, სულ მცირე, ორ განზომილებაში უნდა დავაკვირდეთ: ესაა, სახელდობრ, ქმედუნარიანობა და ლეგიტიმურობა. პირველი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ნამდვილად აქვს საკმარისი

10. Mann, Michael, The autonomous power of the state...

რესურსები თავისი ფუნქციების რეალურად შესასრულებლად. ეს გულისხმობს როგორც ფიზიკური იძულების განმარტაცი-
ლებელ უწყებებს (პოლიცია, ჯარი, ციხის ბადრაგი და ა. შ.),
ისე სამოქალაქო მოხელეების ანუ ბიუროკრატიის არმიას.
ასეთი სააგენტოები „არშემდგარ სახელმწიფოშიც“ არსებობს,
მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მათი ეფექტიანობა უკიდუ-
რესად დაბალია და შესაძლოა ხელისუფლება მათ სათანადოდ
ვერც აკონტროლებდეს. ქმედუნარიან სახელმწიფოებში ეს ინ-
სტიტუტები მართვადაა, საკმარისად კომპეტენტური პირები-
თაა დაკომპლექტებული და საჭირო რესურსებით აღჭურვი-
ლი. სახელმწიფოს შეუძლია, თავისი მოსამსახურეები ადეკვა-
ტურად განვრთნას, სათანადო გასამრჯელო გადაუხადოს მათ
და აუცილებელი ინფრასტრუქტურითა თუ მონყობილობით
(ოფისებით, ყაზარმებით, იარაღით, კომპიუტერებით და ა. შ.)
აღჭურვოს. ამის შედეგად მათ მოტივაცია ექნებათ და შეეძ-
ლებათ, პროფესიულად და ხარისხიანად შეასრულონ მათზე
დაკისრებული მოვალეობები.

ლეგიტიმურობის განზომილება, თავის მხრივ, შეგვიძლია
დავყოთ ტერიტორიული მართვის და პოლიტიკური რეჟიმის
ლეგიტიმურობებად. უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეები თა-
ნახმანი უნდა იყვნენ, იცხოვრონ მოცემული სახელმწიფოს
საზღვრებში, ანუ მოცემული პოლიტიკური ერის ნაწილს
შეადგენდნენ. საპირისპირო შემთხვევაში, მოსახლეობის რა-
ღაც ნაწილი ცდილობს, არსებულ სახელმწიფოს გამოეყოს
და ახალი პოლიტიკური ერთეული შექმნას ან სხვას შეუერ-
თდეს (ამას, შესაბამისად, „სეცესიონიზმი“ და „ირედენტიზ-
მი“ ჰქვია). მრავალ „არშემდგარ სახელმწიფოს“ ეს პრობლე-
მა უდგას: გარკვეულ რეგიონებში თავმოყრილი მოსახლეობის
ნაწილი არ ეთანხმება მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში
ყოფნას და თავს ვალდებულად არ მიიჩნევს, ქვეყნის კონსტი-
ტუციურ წესრიგს დაემორჩილოს.

მეორეს მხრივ, მოქალაქეების კრიტიკული მასა რაღაც
ფორმით შეთანხმებული უნდა იყოს, რა ტიპის პოლიტიკურ

სისტემაში უნდა ცხოვრება: თანახმაა დინასტიურ მონარქიაზე, ერთპარტიულ დიქტატურაზე, ლიბერალური დემოკრატიის წესების შესრულებაზე და ა.შ. ამ თემაზე უთანხმოებას არეულობა და სამოქალაქო ომი შეიძლება მოჰყვეს. ძალადობრივი მეთოდების გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ნაწილობრივ და დროებით წყვეტს ამ პრობლემას.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ იქ, სადაც სახელმწიფოს არა აქვს უნარი, საკუთარი ფუნქციები შეასრულოს და მისივე მიღებული კანონები დაიცვას, ადამიანთა ცხოვრება გაცილებით უარესია, ვიდრე იქ, სადაც სახელმწიფოს ეს შეუძლია. ისინი დაცულნი არ არიან ფიზიკური ძალადობისგან და ვერ იღებენ მრავალ სარგებელს, რაც ქმედუნარიანი ქვეყნების მოქალაქეებს თუ ქვეშევრდომებს აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ახალი დროის პოლიტიკური აზროვნება სწორედ ამ გარემოების გააზრებით დაიწყო: როგორც მისმა მამამთავარმა, მე-17 საუკუნის ინგლისელმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა თქვა, „ბუნებით მდგომარეობაში“, ანუ სახელმწიფოს გარეშე „კაცის ცხოვრება ეულია, ღარიბი, მწარე, ცხოველური და მოკლე“.¹¹ თანამედროვე „არშემდგარი სახელმწიფოები“, მათ შორის 1990-იანი წლების საქართველო, ჰობსისეული ბუნებითი მდგომარეობის ერთგვარი მიახლოებებია. ანარქისტების გარდა, ქმედუნარიანი სახელმწიფოს აუცილებლობას ყველა იდეოლოგიის მიმდევარი აღიარებს.

ქმედუნარიანი სახელმწიფოს დასახელებული ნიშნები მიუდგება როგორც დემოკრატიულ, ისე ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმებს. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივ ძალებს გაცილებით მეტი საშუალება აქვთ, გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ქმედებებზე. საზოგადოება, როგორც მისი წარმომადგენლობითი ორგანოს, პარლამენტის, ისე სამოქალაქო საზოგადოე-

11. ჰობსი, „ლევიათანი“ – იხ. „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, | წიგნი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 176.

ბის ორგანიზაციების მეშვეობით, მუდმივად აკონტროლებს ხელისუფლების საქმიანობის სხვადასხვა მხარეს. მაგრამ ეს არ გამოორიცხავს იმას, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა შესწევდეს ადეკვატური ძალა თავისი ფუნქციების შესასრულებლად; მანაც უნდა დაიცვას საკუთარი მონოპოლია ყველასათვის სავალდებულო წესების შემუშავებაზე და მათ დასაცავად იძულების გამოყენებაზე.

სახელმწიფოოების ნგრევა საქართველოში: საბჭოთა ინსტიტუტების კვლევა¹²

ახალმა (პოსტსაბჭოთა) საქართველომ არსებობა დაიწყო, როგორც არასახელმწიფომ, ანუ არშემდგარმა სახელმწიფომ. ეს ნიშნავდა არსებით, მკვეთრ სხვაობას დეკლარირებულსა და რეალურს შორის. დამოუკიდებლობა ფორმალურად 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა,¹³ მაგრამ ეს უფრო სიმბოლური პოლიტიკური ჟესტი იყო, რომელიც იმდროინდელი შიდაპოლიტიკური კონიუნქტურით აიხსნებოდა. საქართველოს გარეთ ეს ფაქტობრივად არავის შეუმჩნევია: დანარჩენი მსოფლიოსთვის საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილად რჩებოდა. დღევანდელი გადმოსახედიდან ვიცით, რომ ამ დროისთვის საბჭოთა რეჟიმს უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი, მაგრამ 1991 წლის აპრილში გადანყვევით ჯერ ვერავინ ამბობდა, რომ პროცესი მისი დაშლით დასრულდებოდა. საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა დაიწყო იმ მომენტიდან, როცა, 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა არსებობა შენ-

12. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე მეცნიერული კვლევები, ფაქტობრივად, არ არსებობს; ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ავტორი ძირითადად საკუთარ, როგორც პროცესების უშუალო დამკვირვებლის და ხანდახან მონაწილის ინფორმაციას ეყრდნობა.

13. „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0>.

ყვიტა.¹⁴ რეალურად აღარ არსებობდა „ზემდგომი ინსტანცია“, რომელსაც საქართველო ექვემდებარებოდა. ოლონდ ამ მომენტში საქართველოს მთავრობა ფაქტობრივად არ ჰყავდა: მიმდინარეობდა ძალაუფლებისთვის შეიარაღებული ბრძოლა, რომლისთვისაც სახელის დარქმევაც კი ძნელია („რევოლუცია“? „სახალხო აჯანყება“? „სამოქალაქო ომი“? „სამხედრო პუტჩი?“ – გააჩნია, ვინ რა თვალით უყურებს).¹⁵ საქართველო ერთადერთი იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელიც დამოუკიდებლობას ასეთ ვითარებაში შეხვდა.

1992 წლის 6 იანვარს ეს ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების ქვეყნიდან გაძევებით დამთავრდა. მაგრამ ის ახალ ქმედუნარიან ხელისუფლებას არ შეუცვლია. ქვეყანაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ე.წ. „სამხედრო საბჭომ“, რომელსაც ორი კვაზი სამხედრო დაჯგუფების ხელმძღვანელი – ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი ხელმძღვანელობდა.¹⁶ ბუნდოვანი რჩებოდა, ერთმანეთში როგორ უნდა გაერკვია ურთიერთობა ამ ორ ლიდერს და მათ შეიარაღებულ შენაერთებს; მეორე მხრივ, არც ერთ მათგანს და არც ორივეს ერთად ქვეყნის რეალური კონტროლი არ შეეძლო. ახალ ხელისუფლებას ლეგიტიმურობაც აკლდა და ქმედუნარიანობაც.

ამის გამო, გართულდა სახელმწიფოობის ისეთი ელემენტარული ნიშნულის მიღწევა, რასაც საერთაშორისო აღიარება ჰქვია. თუ ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა გაეროში 2 მარტს მიიღეს, საქართველოზე ეს აღიარება მხოლოდ 31 ივლისს გავრცელდა. ამის მიზეზი ის არ იყო, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა საქართველოს გაეროში განწევრიანებას

14. Serhii Plokyh, *The Last Empire: The Final Days of the Soviet Union* (New York: Basic Books, 2014).

15. სტივენ ჯონსი, „საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013. გვ. 97-104.

16. Elizabeth Fuller, „Georgian President Flees after Opposition Seizes Power“, RFE/RL Research Report, Vol. 1, Nu. 3, 17 January 1992, 4-7.

ენინაალმდეგებოდა; ქვეყნის შიგნით არ არსებობდა ცენტრი, რომელიც „მთავრობის“ მინიმალურ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდა და ქვეყნის სახელით ლაპარაკს შეძლებდა. საამისოდ მოსკოვიდან ვეტერანი კომუნისტის, ედუარდ შევარდნაძის მოხმობა გახდა საჭირო.

მან სახელმწიფოობის გარეგნული, ფორმალური ნიშნების შექმნით დაიწყო, რაც საერთაშორისო აღიარების მოპოვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.¹⁷ მაგრამ ამ ფორმალური ჩარჩოს შიგნით სახელმწიფოობის მინიმალური სტანდარტების შესაბამისი ინსტიტუტების შექმნას წლები დასჭირდა. 1990-იანი წლები, განსაკუთრებით მათი პირველი ნახევარი, საქართველოს ისტორიაში განუკითხაობის ანუ უსახელმწიფოობის შავ ლაქად შევიდა. ამ ათწლეულშივე გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე, მაგრამ სახელმწიფოობის რეალურ კონსოლიდაციაზე მხოლოდ 2000-იან წლებში შეგვიძლია ვისაუბროთ.

პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა (კერძოდ, კომუნისტური დიქტატურისა დემოკრატიით) თავისთავად სახელმწიფოობის ნგრევას არ გულისხმობს. ამის მაგალითია კომუნისტური სისტემების კოლაფსი 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: ახალმა, ანტიკომუნისტურმა ხელისუფლებებმა ჩაიბარეს კონტროლი სახელმწიფო ძალაუფლების არსებულ ბერკეტებზე (ჯარზე, სამართალდაცვის სისტემაზე, სახელმწიფო ბიუროკრატიაზე) და სისტემის რადიკალურ, მაგრამ მოწესრიგებულ რეფორმირებაზე გადავიდნენ. საქართველოში სხვანაირად მოხდა: პოლიტიკური რეჟიმისა და სახელმწიფოობის ნგრევა პარალელურად მიმდინარეობდა. ეს პერიოდი შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ.

საწყის თარიღად 1989 წლის 9 აპრილი შეგვიძლია დავასახელოთ. ნაციონალისტური ლოზუნგებით გამართული საპროტესტო დემონსტრაციის ძალადობრივ ჩახშობას საბჭოთა

17. ჯონსი, „საქართველო - პოლიტიკური ისტორია“, გვ. 105-121.

არმიის მიერ, რასაც 20 მომიტიინგის, ძირითადად ახალგაზრდა ქალების, სიცოცხლე შეენირა, საგანგებო მდგომარეობის ხანმოკლე პერიოდი მოყვა; მაგრამ ამ უკანასკნელის მოხსნის შემდეგ ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში არ დაბრუნებულა. ის, რასაც ადამიანები „ჩვეულებრივ ცხოვრებას“ უწოდებენ, საქართველოს კიდევ მრავალი წელი არ უნახავს.

როგორც ხშირად ხდება, სახელმწიფოების ნგრევა ლეგიტიმურობის კრიზისით დაიწყო: 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოში ლეგიტიმურობა დაკარგა. შეიძლება შეგვედავონ, რომ ის არც მანამდე იყო ლეგიტიმური, მაგრამ, ფაქტობრივად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იღებდა მის მიერ შემოთავაზებულ თამაშის წესებს. 9 აპრილის შემდეგ ეს შეიცვალა. თუმცა ხელისუფლება ინარჩუნებდა მმართველობის ტრადიციულ ბერკეტებს, ის სრულად ვეღარ ახორციელებდა რეალური მმართველობის ფუნქციებს. მეორე მხარეს იდგა ე.წ. „ეროვნული მოძრაობა“, ანუ ლიდერების, ორგანიზაციებისა და მათი აქტიური მომხრეების ერთობლიობა, რომელსაც გააჩნდა ლეგიტიმურობა, მაგრამ არა – ძალაუფლების ბერკეტები. შეიქმნა ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის ნიშნები, რაც 1990 წლის ნოემბრამდე, არჩევნების შედეგად ხელისუფლების გადაბარებამდე გაგრძელდა.

რა მადლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას? კომუნისტური სახელმწიფოს ლეგიტიმურობა საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიისა და შესაბამისი პოლიტიკური სისტემის ურყევობის აღიარებას ემყარებოდა. 1980-იანი წლების საქართველოში ამ იდეოლოგიას ბევრი ადამიანი ნიჰილისტურად უყურებდა, მაგრამ რეჟიმის საჯარო კრიტიკას ვერავინ ბედავდა: იშვიათი გამონაკლისები მყისვე მკაცრად ისჯებოდა. არსებობდა ერთგვარი ფარული შეთანხმება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის: რეჟიმის მიმართ გარეგნული ლოიალობის სანაცვლოდ, რეჟიმი იტანდა კერძო სივრცეში სახელმწიფო იდეოლოგიის კრიტიკას და დაცინვას, ისევე როგორც კორუფციისა და „საერთო-სახალხო ქონების“ დატაცების მა-

ღალ დონეს. ზოგი მკვლევარი ამგვარ ფარულ შეთანხმებას „ბრეჟნევის სოციალურ კონტრაქტს“ უწოდებდა.¹⁸ ეს „კონტრაქტი“ დიდწილად შიშს და ჩვევის ძალას ემყარებოდა: მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შეჩვეული და შეგუებული იყო თამაშის ამ წესებს და ძნელად წარმოედგინა, რომ რაიმე შეიძლებოდა შეცვლილიყო.

დაახლოებით 1987 წლიდან, ახალი საბჭოთა ლიდერის, მიხეილ გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული ე.წ. „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“, ანუ რეჟიმის ნაწილობრივი ლიბერალიზაციის ტალღაზე ცვლილებები დაიწყო: პატიმრობიდან დაბრუნდნენ და საზოგადოებრივ აქტივობაში ჩაერთვნენ რეჟიმის კრიტიკოსთვით დასჯილი დისიდენტები; შეიქმნა ე.წ. „არაფორმალური“ (ფაქტობრივად, ოპოზიციური) გაერთიანებები და მოძრაობები, რომლებიც პერიოდულად საპროტესტო აქციებს მართავდნენ (ხანდახან – შედარებით დიდს) და ამისთვის არ ისჯებოდნენ; მედიაში შესაძლებელი გახდა გაბატონებული რეჟიმისა და იდეოლოგიის მიმართ მეტ-ნაკლებად კრიტიკული მასალების გამოქვეყნება; 1988 წელს, სსრკ სახალხო დემოკრატიის ყრილობის არჩევნებისას, თბილისის ორ საარჩევნო ოლქში მეტ-ნაკლებად კონკურენტული არჩევნები გაიმართა, რომელზეც საზოგადოების მხარდაჭერილმა კანდიდატებმა (აკაკი ბაქრაძემ და პარმენ მარგველაშვილმა) ხელისუფლების წარმომადგენლები დაამარცხეს. მაგრამ ეს ცვლილებები საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილს (ძირითადად, სტუდენტობის და ინტელიგენციის ერთ სეგმენტს) მოიცავდა; პოლიტიკური სისტემის ძირფესვიან შეცვლას ამ ეტაპზე დარწმუნებით ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.¹⁹

მასობრივ ცნობიერებაში გარდატეხა სწორედ 9 აპრილის

18. Linda J. Cook, “Brezhnev’s ‘Social Contract’ and Gorbachev’s Reforms”, *Soviet Studies*, Vol. 44, No. 1 (1992), pp. 37-56.

19. Aves, J. (1991) *Paths to National Independence in Georgia, 1987-1990* (London: The School of Slavonic and East European Studies).

მოვლენებმა მოიტანა. საბჭოთა ხელისუფლებას მოუვიდა ის, რაც ხშირად მოსდით დეგენერაციის გზაზე მდგარ რეპრესიულ რეჟიმებს: ძალის გამოყენების ეპიზოდი, საბოლოოდ, რეჟიმის სისუსტის დემონსტრაციად იქცა. 9 აპრილის შემდეგ კომუნისტური რეჟიმის „ნორმალური“ ფუნქციონირების აღდგენის ერთადერთი შანსი მასობრივი და სისხლიანი რეპრესიები იქნებოდა: მაგრამ გორბაჩოვის რეჟიმს ამის პოლიტიკური ნება არ ჰქონდა.²⁰

„ალტერნატიული ისტორიის“ არამეცნიერული ხერხი რომ გამოვიყენოთ და საქართველო ამ პერიოდში ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოვიდგინოთ, როგორც იყო, ვთქვათ, კომუნისტური უნგრეთი ან პოლონეთი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამის შემდეგ საქართველოში კომუნისტური რეჟიმი მალევე დასრულდებოდა – ისევე, როგორც ამ ნელს აღმოსავლეთ ევროპის დასახელებულ და სხვა ქვეყნებში მოხდა. ამ შემთხვევაში რეჟიმის ცვლილებას სახელმწიფოობის ზოგადი ნგრევა შეიძლება არც მოჰყოლოდა: ახალი, არაკომუნისტური ხელისუფლება სახელმწიფო მმართველობის არსებულ ბერკეტებს გადაიბარებდა.

მაგრამ საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილად რჩებოდა. 9 აპრილის შემდეგ მივიღეთ პარადოქსული ვითარება, როდესაც კომუნისტური რეჟიმის ფასადი შენარჩუნდა მისი შინაარსის გარეშე. ხელისუფლება ველარ ბედავდა, დაეცვა მისი ლეგიტიმურობის ტრადიციული საფუძველი: საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია. პრაქტიკულად, ოფიციალური იდეოლოგია ნაციონალიზმმა ჩაანაცვლა; ნომინალურად ჯერ კიდევ კომუნისტური პრესა მთლიანად ნაციონალისტურ ტალღაზე გადაერთო. მოსკოვი ძალაუფლების ფაქტობრივ ცენტრად რჩებოდა, მაგრამ თბილისში მოქმედი მისი ადგილობრივი შტო სრულიად ეგუებოდა მის საყოველთაო დემონიზაციას.

20. Slider, Darrell (1991) “The Politics of Georgia’s Independence”, *Problems of Communism* 40:6, 63-79.

კერძოდ, ხელისუფლება ველარ ბედავდა შეკამათებას აზრთან, რომ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება 1921 წელს განხორციელებულ უკანონო ოკუპაციას და ანექსიას ემყარებოდა და, შესაბამისად, არალეგიტიმური იყო.

ცვლილებები მხოლოდ იდეოლოგიას არ შეხებია. შეირყა სახელმწიფოობის მთავარი ნიშანი – მონოპოლია ძალადობის ლეგიტიმურ გამოყენებაზე. თუ 9 აპრილამდე ეროვნული მოძრაობა ექსკლუზიურად მშვიდობიან მეთოდებს იყენებდა, ამის შემდეგ დაუფარავად დაიწყო მოხალისეობრივი შეიარაღებული ჯგუფების შექმნა, რაზეც ხელისუფლება თვალს ხუჭავდა. ამასთანავე, წაიშალა ზღვარი პატრიოტული მოტივით ნაკარნახევ თავგანწირვასა და ჩვეულებრივ კრიმინალს შორის. პოპულარული გახდა საუბარი იმაზე, რომ რაკი კომუნისტური რეჟიმი ზოგადად არალეგიტიმურია, მის მიერ მიღებული კანონების დაცვაც სავალდებულო არ არის.

ამას ეთნონაციონალისტური დაპირისპირების ფაქტორი დაერთო. პარალელურად, ანალოგიური სამხედრო ფორმირებები იქმნებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (ცხინვალის რეგიონში). ვრცელდებოდა ხმები, რომ იგივე ხდება საქართველოს სხვა მხარეებშიც, სადაც ეთნიკური უმცირესობები უმრავლესობას შეადგენენ: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ე.წ. „უსაფრთხოების დილემის“ ლოგიკიდან გამომდინარე, ეთნონაციონალისტური ჯგუფები ამგვარ ქმედებებს „მეორე მხარის“ ქცევით ამართლებდნენ:²¹ ქართველები იარაღდებოდნენ, რადგან ამას აფხაზები და ოსები (შეიძლება, სხვებიც) აკეთებდნენ; ასევე იქცეოდნენ აფხაზები და ოსები. ხელისუფლებას არც ამ პროცესების შეჩერების პოლიტიკური ნება და უნარი გამოუჩენია – თუ, რა თქმა უნდა, არ დაგუშვებთ, რომ ის შეგნებულად აქეზებდა „ეთნიკურ კონფლიქტებს“.

21. Michael E. Brown, ed., *Ethnic Conflict and International Security* (Princeton University Press: Princeton, 1993).

ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის ეს ეტაპი დამთავრდა მას შემდეგ, რაც 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ კოალიციამ ზვიად გამსახურდიას ლიდერობით დამაჯერებლად გაიმარჯვა და ხელისუფლება დემორალიზებული კომუნისტი ფუნქციონერებისგან ჩაიბარა. ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფოობის აღდგენისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია. საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილად რჩებოდა და ახალ მთავრობას კრემლთან არცთუ მარტივი ურთიერთობის პირობებში უნდა ემოქმედა. ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ არ ცნო ახალი ხელისუფლების კანონიერება საბაბით, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ჩატარებული არჩევნები ლეგიტიმური ვერ იქნებოდა; ამ ჯგუფებს დიდი მხარდაჭერა არ ჰქონია, მაგრამ მათ მხარში ედგა ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის პერიოდში შექმნილი ყველაზე ძლიერი პარამილიტარული ფორმირება, „მხედრონი“. 1991 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ შეძლო „მხედრონის“ ნეიტრალიზება და მისი ლიდერების დაპატიმრება, მაგრამ 1991 წლის შემოდგომიდან, ახალ ხელისუფლებაში მომხდარი განხეთქილების შედეგად, ოპოზიციის მხარეზე გადავიდა გვარდიის დიდი ნაწილი მისი სარდლის, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით. პარალელურად მიმდინარეობდა ძალადობრივი დაპირისპირება საქართველოს შენაერთებსა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) სეპარატისტულ ძალებს შორის. საბოლოოდ ყოველივე პირველი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობით დამთავრდა. ამის შემდეგ ქვეყანა სახელმწიფოობის კოლაფსის ბოლო, მესამე ეტაპზე გადავიდა, რომელიც ამ ქვეთავის დასაწყისში მოკლედ უკვე დავახსსიათე.

რატომ ჩამოიშალა საქართველოში სახელმწიფო გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სხვა პოსტკომუნისტურ ან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში? ყველაზე პოპულარული ახსნა ეთნიკური მრავალფეროვნებაა, რაც ტერიტორიული დანაწევრების

საფრთხეს ქმნის.²² მაგრამ ეს საკმარისი არ არის; საქართველოში სახელმწიფოობის ჩამოშლა მხოლოდ ტერიტორიული კონტროლის პრობლემების სახით არ გამოვლენილა. მეორე ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც სახელმწიფო დაახლოებით ამავე ხარისხით ჩამოიშალა, ტაჯიკეთი იყო: აქ გადამწყვეტი როლი საერთო-ტაჯიკური იდენტობის სისუსტემ და რეგიონულ იდენტობებს შორის ბრძოლამ ითამაშა.²³ საქართველოზე იმავეს ვერ ვიტყვით. მაშინ ხანდახან საუბრობდნენ, მაგალითად, სამეგრელოს განსაკუთრებულობაზე; მართალია, სამეგრელომ გამორჩეული პოზიცია დაიკავა ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერის თვალსაზრისით, ეს განსხვავება მხოლოდ მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ გამოიკვეთა; სხვა კონტექსტში სამეგრელოს რამით განსხვავებული მორჩეული პოზიცია არ გამოუვლენია.

ნიშანი, რითაც საქართველო პრაქტიკულად ყველა სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისგან გამოირჩევა, ისაა, რომ აქ, 1989 წლიდან პოლიტიკურ პროცესს ძირითადად რადიკალურად განწყობილი ჯგუფები წარმართავდნენ. მეორე მხრივ, საზოგადოების უმრავლესობა პასიური იყო და ვერ შეძლო თვითორგანიზება დიდი, ფართო ორგანიზაციის სახით, როგორც იყო ბალტიის ქვეყნების „სახალხო ფრონტები“ ან პოლონეთის „სოლიდარობა“. ბალტიის ქვეყნების წარმატება დიდწილად განაპირობა იმან, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი გაერთიანებული იყო „სახალხო ფრონტების“ გარშემო, რომლებიც უკიდურესად პრაგმატულად მოქმედებდნენ და თავის მოთხოვნებს სიტუაციის ცვლილების კვალდაკვალ, თანდათან ავითარებდნენ.²⁴ რადიკალიზმზე ორიენტირებული პოლიტიკური

22. Jackson, P. (2004) Ethnicity, decentralisation and the fissile state in Georgia. *Public Administration and Development* 24 (1), 75–86.

23. Shahram Akbarzadeh (1996), „Why did nationalism fail in Tajikistan?“ _ *Europe-Asia Studies*, 48:7, 1105-1129, DOI: 10.1080/09668139608412402.

24. Anatol Lieven, “The Baltic Revolution: Estonia, Latvia, Lithuania and the Path to Independence” (Yale: Yale University Press, 1994).

კულტურისთვის უცხოა კომპრომისი და პრაგმატიზმი – ამ უკანასკნელს ხშირად უზნეობასთან აიგივებენ. აქედან გამომდინარე, ჯგუფები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებაში, მუდმივად გმობდნენ „ბალტიისპირეთის გზას“, როგორც მორალურად და სამართლებრივად მიუღებელს.

ამ რადიკალურ ჯგუფებს დემონსტრაციული შეურიგებლობა ახასიათებდა არა მხოლოდ გაცხადებული მტრის (ამ შემთხვევაში – საბჭოთა რეჟიმის, „კრემლის“) წინააღმდეგ, არამედ დამოუკიდებლობის მოძრაობის შიგნით განსხვავებული აზრის მიმართაც. საქართველოს ეროვნული მოძრაობა თავიდანვე ურთიერთდაპირისპირებული ორგანიზაციების სახით არსებობდა, რომლებიც ერთმანეთს, როგორც წესი, „მტერთან“ ფარულ თანამშრომლობას აბრალებდნენ, რაც მოწინააღმდეგის მიმართ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას ამართლებდა. თითოეული მათგანი სხვებთან მხოლოდ ტაქტიკურ, მცირევადიან კავშირებზე იყო თანახმა და პერსპექტივაში სრული, გაუზიარებელი ძალაუფლებისკენ ისწრაფოდა. ასეთი პოლიტიკური გარემოდან ხშირად ერთ-ერთი ლიდერის მიერ ძალადობაზე დამყარებული დიქტატურა ამოიზრდება – როგორც, მაგალითად, საფრანგეთის რევოლუცია დასრულდა ნაპოლეონის დიქტატურით. მაგრამ საქართველოში ნაპოლეონი ვერ გამოჩნდა (შესაძლოა, იმიტომაც, რომ ქვეყანამ ყველა ომი წააგო). ახალი სახელმწიფოობის საფუძვლის ჩამყრელად სრულიად სხვა ტიპის პოლიტიკური ფიგურა, საქართველოს ყოფილი კომუნისტი ხელმძღვანელი, ედუარდ შევარდნაძე მოგვევლინა.

არქიმდგარიდან სუსტ სახელმწიფომდე

ედუარდ შევარდნაძის როლის შეფასება ახალი საქართველოს ისტორიაში არც ისე იოლია და ამის სერიოზული მცდელობა, ფაქტობრივად, არც ყოფილა. საქართველოს კოლექტიურ მესხიერებაში „90-იანი წლები“ ერთგვარ შავ ლაქად

დარჩა და სწორედ შევარდნაძის მმართველობას დაუკავშირდა. მის სახელთან ასოცირდება მასობრივი კორუფცია, კრიმინალის თარეში, უშუქობა, უგაზობა და ა.შ. მისი მმართველობის პერიოდს ამგვარად მხოლოდ მისი მემკვიდრე, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება როდი წარმოადგენდა: შევარდნაძის ფიგურის და მისი პოლიტიკის რეაბილიტაცია ამ უკანასკნელის უკიდურეს კრიტიკოსებსაც არ უცდიათ.

უფრო სამართლიანი შეფასებისთვის შევარდნაძის მმართველობის საწყისი წერტილიდან უნდა ამოვიდეთ. შევარდნაძე ეცადა, საქართველო თანამედროვე ტიპის სახელმწიფოდ ექცია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებას მიაღწია.

მისი მმართველობა შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ. 1992-დან 95 წლამდე გადაიდგა საბაზისო ნაბიჯები სახელმწიფოს საფუძვლების შესაქმნელად. 1995-98 წლები სახელმწიფოობის შეფარდებითი კონსოლიდაციის პერიოდად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ხოლო 1998-2003 წწ. – მისი ხელახალი დაკნინების ხანად.²⁵

როდესაც შევარდნაძე 1992 წლის მარტში საქართველოში ჩამოვიდა, ან თუნდაც მას შემდეგ, რაც ამავე წლის არჩევნების შედეგად ის სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს და ახალი პოლიტიკური რეჟიმის ფორმალური ლეგიტიმაცია მოხდა, მას რეალური ძალაუფლება არ ჰქონია. შედარებით უფრო რეალურ ძალას წარმოადგენდნენ შეიარაღებული ფორმირებები თენგიზ კიტოვანის და ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით, ხოლო შევარდნაძეს მოსახლეობის და გარე სამყაროს თვალში რეჟიმის ლეგიტიმურობა უნდა უზრუნველყო. ამ ფორმულის ორივე ნაწილი მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობდა. „ძალის“ კომ-

25.. საქართველოში სახელმწიფოობის დაკნინების და აღორძინების ეს ეტაპები უფრო დანვრილებით აღწერილი მაქვს ზემოხსენებულ სტატიაში *Putting the State Back Together in the Post-Soviet Georgia*. იხ. აგრეთვე ჩემივე „The Story of Georgia's State-Building: Dramatic but Closer to Completion“, in Ghia Nodia (ed.), *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects* (Ilia State University Press: Tbilisi, 2016), pp. 56-90.

პონენტი დაქსაქსული იყო: იოსელიანისა და კიტოვანის პარალიმიტარულ შენაერთებს მეტად შეზღუდული რესურსები ჰქონდათ და ისინი ერთმანეთის კონკურენტებიც იყვნენ. დედაქალაქი თბილისიც კი ფაქტობრივად დანაწილებული იყო კრიმინალური ჯგუფების, ე.წ. „საძმოების“, გავლენის სფეროებად. რაც შეეხება ლეგიტიმურობის მხარეს, შევარდნაძის დაბრუნებამ უფრო მეტად რეჟიმის საგარეო ლეგიტიმაციას შეუწყო ხელი; ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადატრიალების შემდგომ მოსულ რეჟიმს ლეგიტიმურად არ ცნობდა და კანონიერ პრეზიდენტად კვლავ ზვიად გამსახურდია მიაჩნდა. ამ პოზიციაზე მდგომი შეიარაღებული შენაერთები სამეგრელოს ნაწილს აკონტროლებდნენ.

ამას ემატებოდა სეპარატისტული რეგიონების (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის თუ სამხრეთ ოსეთის) სამხედრო შენაერთები. გაურკვეველი იყო საქართველოს სუვერენიტეტი აჭარაში, სადაც ადგილობრივი ლიდერი ასლან აბაშიძე ფორმალურად სეპარატისტულ მოთხოვნებს არ აყენებდა, მაგრამ დაპირისპირებულ მხარეთა შორის წინააღმდეგობებზე თამაშობდა და თბილისს, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდა. სათუო იყო თბილისის კონტროლი სამცხე-ჯავახეთში, სადაც ორგანიზაცია „ჯავახკის“ გარშემო სომხური ნაციონალისტური შენაერთები იქმნებოდა.

ამ პერიოდის საქართველოში სახელმწიფოობა თითქმის მთლიანად იყო ჩამოშლილი. მახსოვს ამდროინდელი საუბარი ამერიკელ ჟურნალისტთან, რომელიც, ზოგადად, მეგობრულად იყო განწყობილი იყო საქართველოს მიმართ. როდესაც ქვეყანაში სიტუაცია აღუწერე, მან, მართალია, ბოდიშის მოხდით, ერთობ არასასიამოვნო შეკითხვა დამისვა: არიან ქართველები, როგორც ერი, საკმარისად მომნიჭებულნი საიმი-სოდ, რომ საკუთარი სახელმწიფო ჰქონდეთ? დღეს შეგვიძლია ამ კითხვას დადებითად ვუპასუხოთ; მაგრამ მაშინ ასეთი კითხვა მხოლოდ ამ ჟურნალისტს არ გასჩენია.

თუ ათვლის ნერტილად ამ მდგომარეობას მივიჩნევთ, 1995

წლის ბოლომდე საქართველომ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველოში სახელმწიფოობის აღდგენისა თუ შექმნის მიმართულებით. ოღონდ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძემ ააგო ქართული სახელმწიფოს „შავი კარკასი“, მაგრამ, როგორც ეს ზოგ ქართველ მშენებელს მოსდის, „თეთრი კარკასის“ ეტაპზე გადასვლა ვეღარ შეძლო.

მის საწყის კაპიტალს გამოცდილი და მსოფლიო მასშტაბით აღიარებული პოლიტიკოსის იმიჯი შეადგენდა. ის განასახიერებდა „ნორმალურ“ ცხოვრებასთან დაბრუნების, ჰობსისეული ბუნებითი მდგომარეობიდან გამოსვლის იმედს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდის შევარდნაძის რიტორიკაში საკვანძო სიტყვა „სტაბილიზაცია“ იყო. მეორე მხრივ, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სჯეროდა, რომ შევარდნაძის გარდა არავის შეეძლო, ქვეყნისთვის გარე ლეგიტიმაცია, ანუ საერთაშორისო აღიარება მოეტანა. სწორედ ამის გამო იყო, რომ სამხედრო ძალის მატარებელი ლიდერები, იოსელიანი და კიტოვანი, დათანხმდნენ, ის ახალი რეჟიმის სახე ყოფილიყო, ოღონდ ისე, რომ რეალური ძალაუფლების ბერკეტები ნაკლებად ჰქონოდა.

შევარდნაძემ შეძლო, 2-3 წლის მანძილზე, თავისი ნომინალური ძალაუფლება რეალურად ექცია და ეს გამოკვეთილად ავტორიტარული მეთოდების გამოყენების გარეშე მოეხერხებინა. მან საკუთარი პოლიტიკური პერსონის გარშემო შეექმნა მხარდამჭერთა მეტად ჭრელი კოალიცია, რომლის ნაწილი 1993 წლის ნოემბერში პარტია „მოქალაქეთა კავშირად“ გაფორმდა.²⁶ ამით მან პოლიტიკური დასაყრდენი შეიქმნა, რომელიც პარლამენტში მის პოლიტიკას ლეგიტიმურობას სძენდა. მეორე მხრივ, მან დასაყრდენი შეიქმნა ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში, უპირველეს ყოვლისა, პოლიციისა და უშიშროების ორგანიზაციების სახით (თუმცა ამ უკანასკნელის

26. *The Georgian Chronicle*, November 1993.

მის მიმართ ლოიალურობა საბოლოოდ სათუო აღმოჩნდა). ყოველივე ამაზე დაყრდნობით და მაკიაველისეული ნაბიჯების ერთობლიობით მან თანდათანობით შეასუსტა უკონტროლო შეირაღებული ფორმირებების საქმიანობა. ჯავახეთში დაიდო გარიგებები ადგილობრივ გავლენიან კლანებთან, რამაც განეიტრალა ამ რეგიონში სეპარატისტული განწყობების განვითარების შიში.

შეგვიძლია მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამოვყოთ სახელმწიფოობის „შავი კარკასის“ დასრულების პერიოდი: 1995 წლის აგვისტო-ნოემბერი. 24 აგვისტოს პარლამენტმა ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძირითადად ამერიკულ მოდელზე იყო აგებული. 5 დღის შემდეგ შევარდნაძე გადაურჩა მასზე განხორციელებულ თავდასხმას, რომლის ორგანიზება რუსეთთან დაკავშირებულ უშიშროების მინისტრს, იგორ გიორგაძეს და ორგანიზაცია „მხედრიონის“ წევრებს დაბრალდა. მან ეს ეპიზოდი გამოიყენა იმისთვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინა „მხედრიონი“ და მათი რამდენიმე ასეული ლიდერი, მათ შორის, ჯაბა იოსელიანი, დაეპატიმრებინა (თენგიზ კიტოვანი ციხეში უფრო ადრე აღმოჩნდა).²⁷ ამავე წლის ნოემბერში გაიმართა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელთა შედეგად შევარდნაძე პრეზიდენტი გახდა, ხოლო პარლამენტს მისი მხარდამჭერი „მოქალაქეთა კავშირი“ აკონტროლებდა.

ამის შემდეგ აღარ არსებობდა შეიარაღებული ფორმირება, რომელიც შევარდნაძის და „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობას პირდაპირ საფრთხეს შეუქმნიდა. სახელმწიფო ბიუროკრატია, არმია და პოლიცია უკვე პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან იმართებოდა. გამსახურდიას ხელისუფლების

27. *The Georgian Chronicle*, November 1993. ეკა წამალაშვილი, „29 აგვისტო დღეს და 8 წლის წინ. ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის დეტალები დღემდე ბუნდოვანია“, რადიო თავისუფლება 29 აგვისტო 2003, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1530515.html>.

დარჩენილი მომხრეები, რომლებიც ახალი რეჟიმის ლეგიტიმურობას არ ცნობდნენ, მარგინალურ ჯგუფად იქცნენ. კრიმინალურმა სამყარომ საკმაოდ მაღალი გავლენა შეინარჩუნა, მაგრამ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე აშკარა პრეტენზიას არ აცხადებდა. საქართველოს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლურ საერთაშორისო თანამეგობრობასთან, ისე რუსეთთან.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა შედარებით წარმატებული განვითარება 1995-97 წლებში, რაც სწრაფი ეკონომიკური ზრდით, პოლიტიკური სტაბილურობით, მეტ-ნაკლებად დემოკრატიული კანონმდებლობის მიღებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის განვითარებით აღინიშნა. 1995 წლის სექტემბერში შემოღებული ეროვნული ვალუტა, ლარი, საკმაოდ მყარი აღმოჩნდა და ადვილად დამკვიდრდა ბაზარზე. მნიშვნელოვანი პრობლემების მიუხედავად (ამაზე – შემდეგ ქვეთავში), ეს შევარდნაძის მმართველობის ერთგვარ „ოქროს ხანად“ დარჩა.

1992 წელთან შედარებით ეს დიდი პროგრესი იყო. მაგრამ ეს პროგრესი ქვეყანას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ძალადობრივ ეთნო-ნაციონალისტურ კონფლიქტებში დაიკარგა ტერიტორიის, იმ დროისთვის, დაახლოებით 15% – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) უდიდესი ნაწილი. ამ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, დაახლოებით 300 ათასი ადამიანი, საკუთარი სახლებიდან განდევნილი აღმოჩნდა და ლტოლვლად ან იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერთან ფაქტობრივი გარიგება დაიდო: აჭარა ნომინალურად რჩებოდა საქართველოს ნაწილად, თუმცა თბილისი პრაქტიკულად არ ერეოდა მის შიდა საქმეებში. ჯავახეთში, რუსული სამხედრო ბაზის არსებობის პირობებში, ფაქტობრივ ადგილობრივ ვალუტად რუსული რუბლი რჩებოდა.

სახელმწიფოების ხელახალი დაკნინება

მაგრამ თუნდაც სეპარატისტული ან ბუნდოვანი იურის-დიქციის ტერიტორიები გამოვრიცხოთ, ქართულ სახელმწიფოს „შემდგარი“ მაინც არ ერქვა. ამ დროს მის ძირითად პრობლემად ხშირად „კორუფციას“ ასახელებდნენ. ამ შეფასებას ძნელია შეედავო – საქართველო მსოფლიოში ყველაზე უფრო კორუმპირებულ ქვეყნებს შორის იყო.²⁸ მაგრამ კორუფციის ძირითად პრობლემად მიჩნევა შეცდომაში შეგვიყვანს: ეს უფრო ძირეული პრობლემის გამოვლენა იყო, ვიდრე მისი ძირი. კორუფცია მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში არსებობს; საქართველო „ნორმალური“, „შემდგარი“ სახელმწიფოებისგან მხოლოდ კორუფციის გავრცელების დონით არ განსხვავდებოდა. ის, რასაც საქართველოში მაშინ „კორუფციას“ ეძახდნენ, სახელმწიფოს აგების ერთგვარი ხერხი იყო, რაც მისი ძირეული სისუსტიდან გამომდინარეობდა. შევარდნაძის ამოცანას რაც შეიძლება მეტი მოთამაშის (პოლიციის, სახელმწიფო ბიუროკრატიის, ბიზნესის და ა.შ.) თავის მხარეზე გადმოყვანა წარმოადგენდა. ამ დროს ძირითადი რესურსი, რის შეთავაზებაც მის მეთაურს შეეძლო, სტატუსი იყო, რისი „მონეტიზაციაც“ თვით ამ სტატუსის მქონეს უნდა განეხორციელებინა, რაც კორუფციის მრავალგვარ ნაირსახეობას გულისხმობდა: ქრთამის აღებას, საბიუჯეტო თანხების მითვისებას, სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად ხელში ჩაგდებას პრივატიზაციის გზით, ბიზნესის „მფარველობას“ („დაკრიშვას“), ანუ მის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას მისგან წილის სანაცვლოდ, უფრო დაბალი თანამდებობების გაყიდვას და ა.შ. ყოველივე ეს იყო არა ნორმიდან

28. კორუფციის დონის ყველაზე პოპულარული განმსაზღვრელია ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI). 2003 წლის ასეთ ინდექსში საქართველო 124-ე ადგილს იყოფდა 133 შეფასებული ქვეყნიდან; მასზე უარესი შედეგი მხოლოდ 5 ქვეყანას ჰქონდა. - იხ. <https://www.transparency.org/en/cpi/2003>.

გადახვევა, არამედ ფაქტობრივი ნორმა, რასაც სახელმწიფოობის ეს მოდელი ემყარებოდა.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სახელმწიფოობის ამ მოდელს ხშირად „ნეოპატრიმონიალურს“ უწოდებენ,²⁹ რაც ნიშნავს, რომ ის გარკვეული ნიშნებით შუასაუკუნეობრივ მონარქიას გავდა, თუმცა ფორმალურად თანამედროვე სახელმწიფოს ატრიბუტებს ატარებდა. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეებს დანიშნული ჰქონდათ სიმბოლური, სასიცოცხლო მინიმუმზე გაცილებით უფრო მცირე ხელფასები, თუმცა ყველას ესმოდა, რომ რეალურ გასამრჯელოს პრესტიჟი ან უკანონო შემოსავლის მოპოვების შესაძლებლობა შეადგენდა; არსებობდა ოფიციალური სახელმწიფო გადასახადები, თუმცა ყველას ესმოდა, რომ ხაზინაში ამ გადასახადების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ხვდებოდა, სამაგიეროდ საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები საკუთარი თავისთვის არაფორმალურ გადასახადებს კრებდნენ. ასეთ სახელმწიფოში საჯარო მოხელის მუშაობა ფასდება არა მერიტოკრატიული პრინციპით (რამდენად კარგად ასრულებს ის საზოგადოებისთვის სასარგებლო ფუნქციებს), არამედ თავისი მფარველის მიმართ ერთგულების ნიშნით: ამას პატრონ-კლიენტელისტურ ურთიერთობებს უწოდებენ.

ასეთი სახელმწიფო ვერც ლეგიტიმური იქნებოდა და ვერც ეფექტიანი. ის ლეგიტიმური იყო მხოლოდ მათ თვალში, ვინც ამ კორუფციული სქემებიდან რაღაც სარგებელს იღებდა, რაც, ბუნებრივია, მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდა. ასეთი სახელმწიფოს უნარი, რეალურად შეასრულოს ის ფუნქციები, რასაც მისგან მოელოდნენ, უკიდურესად შეზღუდულია. სახელმწიფოს მოსამსახურე პერსონალი ნაკლებადაა მოტივირებული საზოგადო სიკეთის შექმნაზე, მეორეს მხრივ პატრონ-კლიენტ-

29. Daniel C. Bach (2011): „Patrimonialism and neopatrimonialism: comparative trajectories and readings“, *Commonwealth & Comparative Politics*, 49:3, 275-294; Fukuyama, F. (2014), *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy* (New York: Farrar, Straus and Giroux), გვ. 26.

ტელისტური ურთიერთობების ჩახლართული ქსელი, რომლის ყველა ძაფი საბოლოოდ ერთ ადამიანთან – ამ შემთხვევაში, ედუარდ შევარდნაძესთან – მიდიოდა, მეტად რთული სამართავი იყო და გარდაუვლად წარმოშობდა მწვავე კონფლიქტებს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის. ნორმატულ დონეზე, სახელმწიფოების ეს მოდელი ეჯახებოდა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის პრეტენზიას, ქვეყნის განვითარების მოდელი დასავლური დემოკრატიები ყოფილიყო.

ძნელია, ცალსახად გამოვყოთ მომენტი, როდესაც საქართველოში შეფარდებითი წინსვლის ტენდენცია დაკნინების ტენდენციამ შეცვალა; ჩემი აზრით, მოვლენათა ერთობლიობიდან გამომდინარე, ასეთად 1998 წლის დასაწყისი შეიძლება ჩავთვალოთ. ფსიქოლოგიური წყალგამყოფი შეიძლებოდა ყოფილიყო შევარდნაძის მოკვლის კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა 1998 წლის 9 თებერვალს;³⁰ თუ ანალოგიური ეპიზოდი 1995 წლის აგვისტოში შევარდნაძის ძალაუფლების კონსოლიდაციის ნიშანსვეტად იქცა, ახალმა თავდასხმამ, რომელშიც პრეზიდენტი სასწაულებრივად გადარჩა, საზოგადოებას შეახსენა, რამდენად მყიფე იყო 1992-95 წლების პერიოდთან შედარებით მიღწეული პროგრესი, თუკი ის ერთი ადამიანის სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული.

ამის შემდეგ, საქართველოზე, როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე, საუბარი სულ უფრო პოპულარული გახდა;³¹ ამგვარ

30. „1998 წლის 9 თებერვალს...“, „კვირის პალიტრა“ 1 თებერვალი 2010, <https://www.kvirispalitra.ge/versia/2364-1998-tslis-9-thebervals.html>; Liz Fuller, “Georgia: Why Kill President Shevardnadze?” RFE/RL February 16, 1998, <https://www.rferl.org/a/1087974.html>.

31. Anatol Lieven, “Georgia: A Failing State?” – Eurasianet, January 30, 2001, <https://eurasianet.org/georgia-a-failing-state>; Jackson, P. (2004) “Ethnicity, decentralisation and the fissile state in Georgia.” *Public Administration and Development* 24 (1), 75–86; Mitat Çelikpala (2005), “From a Failed State to a Weak One? Georgia and Turkish-Georgian Relations”, *The Turkish Yearbook* Vol. XXXVI, 159-199; Thomas Golz, *Georgia Diary: A Chronicle of War and Political Chaos in the Post-Soviet Caucasus* (Armonk and London: M.E.Sharpe, 2006).

ვითარებას სულ უფრო მეტი ახალი გარემოება ადასტურებდა. უპირველესად, სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფდა ნახსენები მინიმალური კრიტერიუმის – ლეგიტიმურ ძალადობაზე მონოპოლიის – უზრუნველყოფას. ეს არ ეხებოდა მხოლოდ სეპარატისტულ რეგიონებს ან აჭარის ლიდერს დაქვემდებარებულ შეიარაღებულ შენაერთებს. 1998 წლის მაისში აფხაზეთში, გალის რაიონში განხორციელდა სრულიად გაუაზრებელი შეჭრა, რომელშიც წამყვან როლს ამ რეგიონში (გალსა და ზუგდიდში) მოქმედი ე.წ. ქართველი „პარტიზანები“ თამაშობდნენ. სახელმწიფო იწყნარებდა ამ უკანონო შეიარაღებული შენაერთის ქმედებებს, თუმცა მათ მოქმედებაში პატრიოტული და კრიმინალური მდგენელების გამიჯვნა ჭირდა. გალის ეპიზოდს იძულებით გადაადგილებული პირების ახალი ნაკადი მოყვა და მან 1990-იანების პირველი ნახევრის ასოციაცია გამოიწვია.³² 1999 წლიდან სახელმწიფომ თანდათან დაკარგა კონტროლი პანკისის ხეობაზე, სადაც, რუსეთ-ჩეჩენეთის მეორე ომის პერიოდში, ჩეჩენ ლტოლვილებს ისლამისტი მებრძოლეებიც შემოჰყვნენ და ხეობაზე ფაქტობრივი კონტროლი დაამყარეს. რუსეთი საქართველოს ჩეჩენი მებრძოლების მფარველობაში ადანაშაულებდა და სამხედრო ინტერვენციით იმუქრებოდა; მეორეს მხრივ, პანკისის ხეობა ადამიანის გატაცების კრიმინალური ბიზნესის ცენტრად იქცა.³³ 2001 წლის სექტემბერში ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფმა საქართველოს მთელი ტერიტორია გადაჭრა და პანკისიდან აფხაზეთში შეიჭრა, საიდანაც ის ადგილობრივმა ძალებმა გამოდევნეს: ქართული სახელმწიფოს როლი ამ ავანტიურაში ძალიან ბუნდოვანი

32. ნინო ბურჭულაძე, „1998 წლის 26 მაისი - „2:0, საქართველო მეორედ დამარცხდა“ – „კვირის პალიტრა“, 26 მაისი 2014 წ., <https://www.kvirispalitra.ge/versia/21779-1998-tslis-26-maisi-q20-saqarthvelo-meored-damarckhdaq.html>.

33. Devdariani, Jaba, and Hancilova Blanka (2002): *Georgia's Pankisi Gorge: Russian, Us and European connections*, CEPS (Center for European Policy Studies), Policy Brief NO. 23. <https://www.ceps.eu/ceps-publications/russian-us-and-european-connections/>.

იყო.³⁴ საქართველოს, გარკვეული აზრით, „ბედმა გაუღიმა“ როდესაც ამერიკელებმა 2002 წელს პანკისის ხეობაში იმხანად ყველაზე უფრო სახიფათო საერთაშორისო ორგანიზაციის, „ალ ქაიდას“ კვალი აღმოაჩინეს და საქართველოს საპოლიციო ძალების „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა დაიწყო, რის შემდეგაც პანკისში მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა.³⁵

დაახლოებით 1999 წლიდან დაიწყო გარეგნული ჰარმონია თბილისისა და აჭარის ხელმძღვანელობებს შორის: ამ ფონზე აჭარა კიდევ უფრო ღიად და აშკარად ხაზს უსვამდა თბილისისგან ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, რასაც შევარდნაძის ხელისუფლება ვერაფერს უპირისპირებდა.³⁶

ამას ემატებოდა სახელმწიფოს ზემოთ აღწერილი თვალსაჩინო უუნარობა, განეხორციელებინა სახელმწიფოს ელემენტარული ფუნქციები: ამოელო გადასახადები და მიღებული სახსრებით შეენახა სახელმწიფო აპარატი, უზრუნველყო სოციალური პროგრამები და ეზრუნა საზოგადო ინფრასტრუქტურაზე. ის ფაქტი, რომ ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი ან წყალი მომხმარებლებს უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ხანმოკლე დროით მიეწოდებოდა, ზოგიერთს კი – საერთოდ არა, რიგითი ადამიანების თვალში სახელმწიფოს არშემდეგარობის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი იყო. რაც მთავარია, არავითარი პოზიტიური დინამიკა არ შეიმჩნეოდა. 1995-1997 წლების შეფარდებითი მილნეები ერთგვარი „ჭერი“ აღმოჩნდა; შევარ-

34. ნიკოლოზ ხუციშვილი, „ჩეჩენ-ქისტ-ქართველთა რეიდი აფხაზეთში“, ინტერმედია 24.11.2019, <http://intermedia.ge/statia/121620-CeCen-qist-qarTvelTa-reidi-afxazeTSi/19/>.

35. Jeffrey Silverman, „Islamic Radicals from Afghanistan Active in Georgia _ US Diplomat“, *Eurasianet* 15.02.2002, <https://eurasianet.org/islamic-radicals-from-afghanistan-active-in-georgia-us-diploma>; Eric A. Miller, „Morale of US-Trained Troops in Georgia is High, But US Advisors Concerned About Sustainability“, *Eurasianet* 15.02.2002, <https://eurasianet.org/morale-of-us-trained-troops-in-georgia-is-high-but-us-advisors-concerned-about-sustainability>.

36. ია ანთაძე, „ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ურთიერთობის დრამატურგია“, რადიო თავისუფლება, 20.10.2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1524082.html>.

დნაძის ნეოპატრიმონიალური მმართველობის პირობებში ამ ქერის გარღვევის პერსპექტივა აღარ ჩანდა.

ქმედუნარიანი სახელმწიფოს შექმნა: ტერიტორიული კონტროლი

ამ განწყობამ „ვარდების რევოლუციის“ ფონი შექმნა. რევოლუციის უშუალო მიზეზი მასობრივად და აშკარად გაყალბებული არჩევნები იყო, მაგრამ უფრო ძირეულ მიზეზს შეადგენდა იმის განცდა, რომ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ ბოლომდე ამონურა თავი. ქვეყნის წინსვლა მხოლოდ რადიკალური ცვლილებების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი.³⁷

„ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ სწორედ ასე გაიგო საზოგადოების დაკვეთა: საქართველოს სჭირდებოდა სახელმწიფო, რომელიც მასზე დაკისრებული აუცილებელი ფუნქციების შესრულებას შეძლებდა და განვითარებაზე იქნებოდა ორიენტირებული და არა მხოლოდ სტაბილურობის შენარჩუნებაზე.

რა კონკრეტულ ამოცანებს გულისხმობდა ეს ზოგადი მიზანი? პირველ ადგილზე იდგა ტერიტორიული კონტროლის საკითხი, რომელიც გადაჯაჭვულია ლეგიტიმური ძალადობის მექანიზმებზე მონოპოლიური კონტროლის პრობლემასთან. ამას უკავშირდება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების როგორც ყველაზე დიდი წარმატებები, ისე ყველაზე აშკარა მარცხი. განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევა აჭარას შეეხო: 2004 მაისში „ვარდების რევოლუციის“ ანალოგიური

37. Fairbanks, Ch. H., Jr. (2004), 'Georgia's Rose Revolution', *Journal of Democracy* 15 (2): 110-124; Cory Welt, "Georgia's Rose Revolution: From Regime Weakness to Regime Collapse", In: Bunce; McFaul; Stoner-Weiss, eds. *Democracy and Authoritarianism in the Postcommunist World* (Cambridge, Etc: Cambridge University Press, 2010), pp. 155-188.

მოვლენების შედეგად, ასლან აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმი დაემხო.³⁸ როგორც გამოჩნდა, აჭარის გამოუცხადებელი სეპარატიზმის უკან ბევრი არაფერი იდგა მმართველი კლანის ამბიციების გარდა: პირიქით, აჭარამ სრულად გაიზიარა „ვარდების რევოლუციით“ გამონვეული სამოქალაქო ერთუზიანობა. ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა აჭარის ავტონომიის განსაკუთრებული უფლებამოსილებები, რაც ასლან აბაშიძის გამოუცხადებელი სეპარატიზმის პერიოდში შეიქმნა და ამას რაიმე უკმაყოფილება არ გამოუწვევია.³⁹ რელიგიური ნიშნის გამო აჭარა გამორჩეულ საზოგადოებად რჩება, მაგრამ ისლამური ფაქტორის პოლიტიზაცია თვით ასლან აბაშიძის ხელისუფლების პერიოდშიც არ მომხდარა. თუ 2004 წლის შემდეგ განვლილი პერიოდით ვიმსჯელებთ, „აჭარის საკითხი“, როგორც პოტენციური ტერიტორიული გამონვევა, აღარ არსებობს, ან მხოლოდ თურქული იმპერიალიზმის აჩრდილით შეშინებული უკიდურესი რელიგიური ნაციონალისტების წარმოსახვაშია შემორჩენილი.

განეიტრალდა უფრო მცირე გამონვევები ამ მიმართულებით. გაუქმდა ზუგდიდსა და გალში არსებული ქართული „პარტიზანების“ ჯგუფები⁴⁰. დარეგულირდა ვითარება პანკისის ხეობაში (როგორც აღინიშნა, ეს პროცესი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პირობებში დაიწყო). 2006-2007 წლებში საკმაოდ უმტიკვენულოდ მოხდა ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის დემონტაჟი;⁴¹ ამან ვერ გადაწყვიტა ჯავახეთის ეთ-

38. „აბაშიძე გაიქცა – „ვარდების რევოლუცია“ დასრულდა“, Civil.ge, 06.05.2004, <https://civil.ge/ka/archives/132230>.

39. „პარლამენტმა „აჭარის სტატუსის“ შესახებ კონსტიტუციური კანონი დაამტკიცა“, Civil.ge, 01.07.2004, <https://civil.ge/ka/archives/132594>.

40. კობა ლიკლიკაძე, „ქართული პარტიზანული მოძრაობის აღზევება და დაკემა“, რადიო თავისუფლება 13 მაისი 2007, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1552503.html>.

41. კობა ლიკლიკაძე, „ახალქალაქი რუსეთის სამხედრო ტექნიკისგან საბოლოოდ გათავისუფლდა!“ რადიო თავისუფლება 24 მაისი 2007, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1552684.html>.

ნიკურად სომხური მოსახლეობის კულტურული გაუცხოების პრობლემა, მაგრამ ქართული სახელმწიფოს ინსტიტუტები ამ რეგიონშიც შედარებით განმტკიცდა. 2006 წელსვე სახელმწიფოს რეალური იურისდიქცია გავრცელდა კოდორის ხეობაზე, სადაც მანამდე ფაქტობრივ კონტროლს ადგილობრივი არაკანონიერი შენაერთები ახორციელებდნენ (თუმცა ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა).⁴²

სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ყველაზე დიდი და მტკივნეული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) პრობლემების გადაჭრა. ობიექტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მას ამის შანსი არც ჰქონია: ამ რეგიონების მცხოვრებლები შეეჩვივნენ საქართველოსგან განცალკევებით ცხოვრებას და მათი დაყოლიება საქართველოში „დასაბრუნებლად“ უკიდურესად რთული იყო; რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათ მფარველობდა რუსეთი, რომელიც ამ ტერიტორიებს, ფაქტობრივად, თავისად მიიჩნევდა და მათ დათმობას არ აპირებდა, ხოლო დასავლეთი მათ გამო რუსეთთან ღია კონფლიქტში შესასვლელად მზად არ იყო. ამ ფონზე, სააკაშვილის „მარცხი“ იყო არა ის, რომ მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ შეძლო, არამედ ის, რომ საქართველოს მოსახლეობის ფუჭი, არარეალისტური იმედი მისცა, რომ შედარებით მოკლე ხანში პრობლემის გადაწყვეტას შეძლებდა.⁴³ ობიექტურად, მისი ხელისუფლების პასივობა 2008 წლის რუსეთთან ომი (რაც არ ნიშნავს, რომ ამ ომზე პასუხისმგებლობა მას უნდა დავაკისროთ) და მისი შედეგი – სეპარატისტული რეგიონების შიგნით იმ ანკლავების დაკარგვა, რომლებზეც საქართველო კონტროლს ჯერ კიდევ ინარჩუნებ-

42. „სააკაშვილი კოდორის შესახებ საუბრობს“, Civil.ge, 28.07.2006, <https://civil.ge/ka/archives/138677>; Vladimir Socor, “Georgia Demonstrates Political, Military Skill in Kodori Gorge”, Eurasia Daily Monitor, 1.08.2006, <https://jamestown.org/program/georgia-demonstrates-political-military-skill-in-kodori-gorge/>.

43. „სააკაშვილი: ჩვენ ვემზადებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის“, Civil.ge, 24.11.2004, <https://civil.ge/ka/archives/133687>.

და: კოდორის ხეობაზე აფხაზეთში, ცხინვალსა და ჯავას შორის ხეობებსა და ახალგორის რაიონზე ცხინვალის რეგიონში.

ამ სფეროში სააკაშვილის ხელისუფლების აქტივები და პასივები რომ შევაჯამოთ, ჩემი აზრით, დადებით ბალანსს მივიღებთ. პირველად ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოს რეალური და არა სიმბოლური იურისდიქციის მკაფიო საზღვრები. გაურკვეველი იურისდიქციის ზონები (როგორც იყო აჭარა 1992-2004 წლებში ან პანკისის ხეობა 1999 წლიდან) აღარ არსებობს. ვითარება, როდესაც ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია და ეს მეზობელ სუპერსახელმწიფოსთან მუდმივი დაძაბულობის წყაროა, უაღრესად მწვავე გამონვევად რჩება. მაგრამ თუნდაც ფაქტობრივი იურისდიქციის შედარებით მკაფიო საზღვრების გამოკვეთა ნიშნავს, რომ ტერიტორიული ფაქტორი პირდაპირ აღარ აფერხებს ქმედუნარიანი სახელმწიფოს მშენებლობას.

ქმედუნარიანი სახელმწიფო აპარატის შექმნა

საკაშვილის ხელისუფლების მეორე თვალსაჩინო მიღწევა მართვადი და შედარებით კომპეტენტური სახელმწიფო აპარატის შექმნაა, რომელსაც „საზოგადო სიკეთეების“ შექმნის რეალური უნარი შესწევს. ეს, ლეგიტიმური ძალადობის საშუალებებზე მონოპოლიურ კონტროლთან ერთად, თანამედროვე ტიპის სახელმწიფოობის ელემენტარული ნიშანია.

ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმების ერთობლიობას ხშირად „კორუფციასთან ბრძოლის“ რუბრიკით მოიხსენიებენ, რასაც „ნაციონალური“ ხელისუფლების წარმატების ყველაზე პოპულარულ ინდიკატორად მიიჩნევენ. როგორც ზევით ვახსენეთ, 2003 წელს საქართველო, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ CPI ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოებს

შორის იყო, რეფორმების შედეგად კი მან ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანასაც გაასწრო (პროგრესის ტენდენცია ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც გაგრძელდა).⁴⁴

მაგრამ რეფორმებს, რომლებსაც „კორუფციასთან ბრძოლის“ ზოგადი სახელით იხსენიებენ, უფრო ფართო მნიშვნელობაც ჰქონდა: ისინი, ზოგადად, თანამედროვე ტიპის სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას ნიშნავდა. თანამედროვე („ვებერიანული“ ტიპის) სახელმწიფო აპარატის (რამიც უიარალო ბიუროკრატია იგულისხმება და მშვიდობისა და კანონიერების იარაღიანი მცველებიც) არსებობის აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფოს უნარი, თავის მოსამსახურეებს გადაუხადოს გასამრჯელო, რომელიც შრომის ძირითად მოტივად გამოდგება (პრესტიჟთან, კარიერული წინსვლის პერსპექტივასთან თუ პატრიოტიზმთან ერთად). როგორც ვთქვით, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ასეთი რამ არ არსებობდა: სახელმწიფო მოხელის ხელფასის სიდიდე სიმბოლური იყო. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ შეძლო, საჯარო სამსახურში დასაქმებულთა ხელფასების დონე მკვეთრად აემაღლებინა. ამისთვის, თავის მხრივ, სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა უნარი, თავისი მოსახლეობიდან გადასახადები აეკრიფა: საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის წლებში (თუ ერთმანეთს 2012 და 2003 წლის მონაცემებს შევადარებთ), 5.5-ჯერ გაიზარდა.⁴⁵ „კორუფციასთან ბრძოლის“ ასპექტი აქ ისაა, რომ თანამედ-

44. 2012 წელს საქართველო 51-ე ადგილზე იყო მსოფლიოს 174 ქვეყანას შორის და, სხვებთან ერთად, უსწრებდა ჩეხეთს, ხორვატიას, სლოვაკეთს, რუმინეთს, იტალიას და სხვ. – Corruption Perceptions Index 2012, <https://www.transparency.org/en/cpi/2012>. საუკეთესო შედეგს საქართველომ 2018 წელს მიაღწია, როდესაც მან 41-ე ადგილი დაიკავა 180 ქვეყანას შორის – Corruption Perceptions Index 2018, <https://www.transparency.org/en/cpi/2018>.

45. ეს მონაცემი არ ითვალისწინებს ინფლაციას. <https://factcheck.ge/ka/story/17046-natsionaluri-modzraobis-dros-biujeti-6-jer-sagareo-valis-kharjze-gaizarda>.

როვე სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია იქ, სადაც არ განადგურებულა მანამდე არსებული „ჩრდილოვანი სახელმწიფო“, ანუ სისტემა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო სამსახურში შესვლის ძირითადი ეკონომიკური მოტივაცია არა კანონიერი გასამრჯელოს (ხელფასის) მიღება, არამედ უკანონო შემოსავლის ბერკეტების წვდომაა.

ის, თუ კონკრეტულად როგორ შეძლო ხელისუფლებამ ამ ამოცანის შესრულება, მრავალგზისაა აღწერილი, ამიტომ ამას აქ აღარ გავიმეორებ.⁴⁶ მთავარია შედეგის შეჯამება: ერთი მხრივ, თანამედროვე ტიპის სახელმწიფო აპარატი მართლაც შეიქმნა. მეორე მხრივ, თვალსაჩინო გახდა ამგვარი აპარატის არსებობის უპირატესობა: სახელმწიფომ დაიწყო საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა, რამდენიმე წელიწადში მოქალაქეებისთვის მისაწვდომი გახდა ელექტროენერგია, გაზი და წყალი, ამოქმედდა სოციალური დაცვის ღონისძიებები – მაგალითად, მრავალჯერ გაიზარდა სახელმწიფო პენსიები ასაკოვანი მოქალაქეებისთვის⁴⁷ (ცხადია, მათი აბსოლუტური ოდენობა მაინც მცირეა, მაგრამ აქ დინამიკას აქვს მნიშვნელობა).

შეიძლება ითქვას, რომ ამ ცვლილებათა ერთობლიობის შემდეგ საქართველო აკმაყოფილებს თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს საბაზისო მოთხოვნებს. ეს არ გამორიცხავს, რომ მის ფუნქციონირებაში კვლავ ბევრი ხარვეზია. ყველაზე თვალსაჩინო და მტკივნეული გამოწვევა ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციაა. მაგრამ, როგორც ითქვა, ფაქტობრივი იურისდიქციის საზღვრები

46. ამ რეფორმების ყველაზე სისტემური ანალიზი მოცემულია მსოფლიო ბანკის კვლევაში – თუმცა მასშიც ისინი კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტშია აღწერილი. The World Bank (2012). *Fighting Corruption in Public Services: Chronicaling Georgia's Reforms* (Washington, DC: The World Bank).

47. 2004 წელს სახელმწიფო პენსიის რაოდენობა იყო 14 ლარი, 2012 წელს მან 125 ლარს მიაღწია – შოთა ტყეშელაშვილი, „როგორ იზრდებოდა პენსიები“, BM Georgia 18.10.2018, <https://bm.ge/ka/article/rogor-izrdeboda-pensiebi/25728>.

შედარებით უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი.

2012 წელს მოსულ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ამ მიმართულებით პრინციპულად ახალი ნაბიჯები გადასადგმელი არ ჰქონია. მას ეს ამოცანა არც დაუსახავს: მისი დაპირებები ძირითადად ეკონომიკური განვითარების, სოციალური პროგრამების ზრდის და უფრო დემოკრატიული გარემოს შექმნის სფეროებს შეეხებოდა. ამ კონტექსტში ეს პერიოდი უფრო იმ ნიშნითაა საინტერესო, რამდენად მდგრადი აღმოჩნდებოდა 2004-12 წლების მიღწევები ახალი ხელისუფლების ხელში.

ახალი ხელისუფლების ზოგი ოპონენტი ელოდა, რომ „ქართული ოცნების“ ხელში დაბრუნდებოდა შევარდნაძის ხანა ანუ ისევ ვიხილავდით მასობრივ კორუფციას, კრიმინალის თარემს და ა.შ. რამდენად მოხდა ეს? ამ კითხვაზე დეტალური პასუხის გაცემის მცდელობა ჩაგვრთავდა უკიდურესად პოლიტიზებულ დისკუსიაში „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ მმართველობათა შედარებით ავ-კარგს შორის. აქ ამას არ გავაკეთებ. ზოგადად ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები: შეგვიძლია ვილაპარაკოთ მეტ ან ნაკლებ კორუფციაზე, მეტ ან ნაკლებ ნეპოტიზმზე საჯარო სამსახურში, კრიმინალის გაზრდილ ან შემცირებულ დონეზე და ა.შ.; მაგრამ ჯერჯერობით, ახალი ხელისუფლების ხელში ქვეყანას არ შექმნია ახალი თვისობრივი ხასიათის გამონწვევა სახელმწიფოობის ძირითადი პარამეტრების თვალსაზრისით.

სახელმწიფოობის ნარჩენი დეფექტი: პოლიტიკური სისტემის გაურკვევლობა

რამდენად მყარია ზემოთ აღწერილი მიღწევები? ხომ არ არსებობს სხვა შიდა სისტემური პრობლემები, რომლებიც ჯერ არ განგვიხილავს, რამაც შეიძლება ხელახლა ეჭვის ქვეშ დააყენოს ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა?

ჩემი აზრით, ასეთი არსებობს და ის სახელმწიფოს და პო-

ლიტიკური სისტემის მიმართებას ეხება. საქართველოში არსებითად ჩამოყალიბდა სახელმწიფო, მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბებულა პოლიტიკური სისტემა. ამ სფეროში მკვეთრი და მტკივნეულად აღქმული წინააღმდეგობაა ნორმატულ ნარმოდგენებსა და რეალურ პრაქტიკებს შორის.

საქართველოს პოლიტიკურ კლასშიც და ფართო საზოგადოებაშიც საკმაოდ მყარია კონსენსუსი, რომ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა დემოკრატია უნდა იყოს: ალტერნატიული აზრი ჯერ სერიოზულად არავის გაუფიქრებია. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში ქართული პოლიტიკური სისტემა „ბუქსაობს“ ე.წ. „ნაცრისფერ ზონაში“⁴⁸ ავტორიტარიზმსა და დემოკრატიას შორის.⁴⁹ ამასობაში მოხდა რამდენიმე „გარღვევა“, რომელმაც საქართველოში სრულფასოვანი დემოკრატიის ჩამოყალიბების (მკვლევართა ენაზე – „დემოკრატიის კონსოლიდაციის“) იმედი ჩასახა: ასეთი იყო, კერძოდ, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ ან 2012 წელს ხელისუფლების არჩევნებით შეცვლა.⁵⁰ მაგრამ იმედები ორივე ამ შემთხვევაში ფუჭი აღმოჩნდა: საქართველომ მაინც ვერ მიაღწია დემოკრატიის თუნდაც მინიმალურ სტანდარტებს.

ამ ორი თემის, სახელმწიფოობისა და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის, ერთმანეთისგან გამიჯვნის მცდელობა ხანდახან კრიტიკას იწვევს: „სახელმწიფოს მშენებლობა“ ხომ

48. Carothers, T. (2002), 'The End of Transition Paradigm', *Journal of Democracy* 13 (1): 5-21.

49. ამის საზომად, ჩვეულებრივ, იყენებენ ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციების შეფასებებს, როგორებიცაა Freedom House (www.freedomhouse.org), ჟურნალ „ეკონომისტის“ კვლევითი სამსახურის დემოკრატიის ინდექსი (<https://www.eiu.com/topic/democracy-index>) და სხვა. პირველი ორგანიზაციის ტერმინოლოგიით, საქართველო ათწლეულების მანძილზე „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნად რჩება, ხოლო „ეკონომისტის“ გამოყენებული ტერმინით ის „ჰიბრიდული რეჟიმია“.

50. 22012 წლის ხელისუფლების ცვლით გამოწვეულ იმედებზე იხ. Jones, S.F. (2013) *Democracy in Georgia: Da Capo?* _ Cicero Foundation Great Debate Paper No. 13/02; Fairbanks, Ch. H., Jr. and Alexi Gugushvili (2013), 'A New Chance for Georgian Democracy', *Journal of Democracy* 24 (1): 116–27.

იმთავითვე ან დემოკრატიული ან ავტორიტარული სახელმწიფოს შექმნას გულისხმობს. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ძირეულ ცოდვას ბევრი კრიტიკოსი იმაში ხედავდა, რომ მან სახელმწიფოს მშენებლობის გამოცხადებული დღის წესრიგი ავტორიტარული მეთოდების გამოყენების გასამართლებლად გამოიყენა.⁵¹

მაგრამ იმ ნორმატიული პათოსის გაზიარებამ, რომ ქართული სახელმწიფო აუცილებლად დემოკრატიული უნდა იყოს, ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმის დანახვაში, რომ სახელმწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნის ამოცანები კონცეპტუალურად განსხვავებულია, თუმცა ურთიერთდაკავშირებული. *სახელმწიფო* იმ ინსტიტუტების, მექანიზმების ერთობლიობაა, რითაც მოცემული პოლიტიკური ერთეული, თავისი ხელისუფლების სახით, საზოგადო სიკეთეების შექმნის ფუნქციას ახორციელებს; რაც შეეხება *პოლიტიკურ სისტემას*, ის ადგენს, როგორ ხდება ხელისუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენება.

სახელმწიფო და დემოკრატია ინსტიტუციურადაც შეგვიძლია გამოვყოთ ერთმანეთისგან. ვინრო აზრით, სახელმწიფოს, უპირველესად, წარმოადგენს ის, რასაც დღეს აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროს ვუწოდებთ: პოლიტიკური ხელისუფლების ნება რეალურად მისი მეშვეობით ხორციელდება. დემოკრატია კი სხვა ინსტიტუტები – პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლო, საარჩევნო სისტემა, პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია, ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს. ამ უკანასკნელთა ერთობლიობა აკონტროლებს, გარკვეულ ფარგლებში აქცევს სახელმწიფო ძალაუფლებას და საზოგადოების მიმართ მის ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. დემოკრატია შესაძლებელია იქ, სადაც ძლიერ, ქმედუნარიან სახელმწიფოს

51. Mitchell, L. A. (2009), „Compromising democracy: state building in Saakashvili’s Georgia“, *Central Asian Survey*, 28:2, 171-183.

ასევე ძლიერი და ქმედუნარიანი დემოკრატიული ინსტიტუტები აწონასწორებს.⁵²

რამდენად ძლიერი და ქმედუნარიანია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტები? შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი ინსტიტუტები არსებობს, მაგრამ ისინი არასაკმარისად ძლიერია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის და განწინასწორების ფუნქცია ადეკვატურად შეასრულონ. არსებობს აშკარა განსვლა კონსტიტუციით განსაზღვრულ წესებსა და რეალურად დამკვიდრებულ პოლიტიკურ პრაქტიკებს შორის. ამ უკანასკნელს „ჩრდილოვანი“ ან დაუნერელი კონსტიტუცია შეიძლება ვუწოდოთ.⁵³

თუმცა ფორმალური კონსტიტუცია მკაფიოდ ადგენს, როგორ იქმნება ხელისუფლება არჩევნების გზით, პოლიტიკური პრაქტიკა საშუალებას არ გვაძლევს, ვთქვათ, თუ რა წესით ხდება საქართველოში ძალაუფლების გადაცემა. 2012 წელს შექმნილი ხელისუფლების კონსტიტუციური გზით გადაცემის პრეცედენტი ჯერჯერობით ერთადერთია და მას რეალურად დამკვიდრებულ წესს ვერ ვუწოდებთ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის კოლექტიურად მიღებული გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საპარლამენტო მანდატებზე, ლოგიკურად გულისხმობს იმის აღიარებას, რომ საქართველოში საარჩევნო დემოკრატია ჯერ არ ჩამოყალიბებულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოპოზიციის უდიდესმა ნაწილმა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საარჩევნო დემოკრატიის მიმართ სკეპტიციზმი ქართული დემოკრატიის სისტემური ნიშანია და არა რომელიმე პოლიტიკური

52. ფრანსის ფუკუიამა, „პოლიტიკური წესრიგის წარმოშობა: პრეისტორიული ხანიდან საფრანგეთის რევოლუციამდე“ (თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019).

53. გაი ნოღია, „კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში, წიგნში: „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, თბილისი, „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“, 2016, გვ. 84-107.

პარტიის ან ლიდერის სპეციფიკური შეხედულება.

ეს სკეპტიციზმი საფუძვლიანია და ემყარება მეორე, არანაკლებ აშკარა წინააღმდეგობას დაწერილ და რეალურ კონსტიტუციებს შორის. თუ პირველი ხელისუფლების დანაწილების გარკვეულ მექანიზმებს ადგენს, პოლიტიკური პრაქტიკა სრულიად სხვა წესს გვთავაზობს: მმართველი ძალა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ყველა ბერკეტის კონცენტრაციას ახდენს. ამ პირობებში ეჭვის ქვეშ დგება საარჩევნო დემოკრატიაც: ძალაუფლების კონცენტრაციის უაღრესად მაღალი დონე პოლიტიკური კონკურენციის უაღრესად არათანაბარ პირობებს ქმნის. ოპოზიციას მაინც რჩება გამარჯვების შანსი, მაგრამ ხელისუფლებას ძალიან დიდი ფორა აქვს, რის გამოც ზოგი პოლიტიკური მოთამაშე და საზოგადოების ნაწილი მიდის დასკვნამდე, რომ საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა არარეალისტურია.

აქედან გამომდინარე, პროცედურულ დემოკრატიას სერიოზული კონკურენტი ჰყავს ქუჩის, სახალხო მობილიზაციის „პირდაპირი“ დემოკრატიის სახით. არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომელი მათგანია „ხალხის ნების“ უფრო აუთენტური გამოხატულება, ან რომელია ძალაუფლების შეცვლის უფრო რეალისტური და, ამავე დროს, უფრო ლეგიტიმური მეთოდი: დემოკრატიული არჩევნები თუ დემოკრატიული სახალხო რევოლუცია.

ჩვენი პოლიტიკური ტრადიციის თუ „ჩრდილოვანი კონსტიტუციის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია ის, რასაც ბოლო წლებში „პოლიტიკური პოლარიზაცია“ დაერქვა. საქართველოს შემთხვევაში ის ნიშნავს, რომ პოლიტიკური მხარეები ერთმანეთს განიხილავენ არა როგორც კონკურენტებს, არამედ მტრებს; წაგებული უბრალოდ ოპოზიციის კი არ უნდა გადავიდეს, არამედ განადგურდეს, რაც შეიძლება ნიშნავდეს პატიმრობას, ემიგრაციას, ხანდახან – ქონების დაკარგვას ან, საუკეთესო შემთხვევაში, პოლიტიკური ველიდან განდევნას. ეს მეტად ზრდის ფსონს პოლიტიკურ ბრძოლაში, რის გამოც

ძნელია, ის კონსტიტუციური წესების ფარგლებში დარჩეს. ძალაუფლებისთვის ბრძოლის პროცესს ყოველთვის „დესტაბილიზაციის“ აჩრდილი ახლავს თან. როცა არ არსებობს ყველას მიერ გაზიარებული თამაშის წესები, ძალაუფლებისთვის ბრძოლის პროცესი რეალურად ეწინააღმდეგება პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ჰიბრიდული, ანუ გაურკვეველი პოლიტიკური სისტემა არა მარტო ეწინააღმდეგება დემოკრატიის ნორმატულ იდეალს, არამედ სახელმწიფოობის სისტემურ გამოწვევასაც ქმნის. სახელმწიფოობის ჩამოშლა 1989-92 წლებში სწორედ წესებზე შეუთანხმებლობამ გამოიწვია: კომუნისტური პოლიტიკური სისტემის უარყოფას არ მოჰყოლია ახალი, რეალური პრაქტიკით გამაგრებული კონსენსუსი თამაშის ახალ წესებზე. სანამ ამ კითხვაზე ცხადი პასუხი არ გვექნება, გადამწყვეტით ვერ ვიტყვით, რომ ქართული სახელმწიფოობის კონსოლიდაცია მოხდა.

რუსეთის ჰიბრიდული ომი და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ბანმსახურელი ასპექტები

შესავალი

შეუძლებელია ისეთი პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის განყენებულად შესწავლა, როგორც საქართველოა. კონკრეტულ პერიოდებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის სრულფასოვნად შესაფასებლად მნიშვნელოვანია საგარეო და საშინაო ფაქტორების, ისევე როგორც მათი ურთიერთქმედებისა და გეოპოლიტიკური კონტექსტის გაანალიზება. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში სწორედ რუსეთი წარმოადგენდა მთავარ გეოპოლიტიკურ ფაქტორს. საქართველოსთან მიმართებით რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული მიზნებიდან და ამ მიზნების მისაღწევად მის ხელთ არსებული მრავალფეროვანი რბილი თუ ხისტი ძალის რესურსიდან გამომდინარე, თანდათანობით ყალიბდება საქართველოს წინააღმდეგ რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში უსაფრთხოების ექსპერტთა წრეებში ჰიბრიდული ომი ფართოდ განიხილება, მაინც არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული განმარტება ან უნივერსალური წარმოდგენა მისი არსის თაობაზე. არსებული ტერმინოლოგიისა და განმარტებების ანალიზის ნაცვლად, ჰიბრიდული ომის ასახსნელად შესაძლებელია, ძველი ბერძნული მითოლოგიური

ქმნილება კენტავრი მოვიშველიოთ. კენტავრი, ერთი მხრივ, ცხენია, მეორე მხრივ კაცი, თუმცა სინამდვილეში ის არც კაცია და არც ცხენი. კენტავრი კაცისა და ცხენის ჰიბრიდია. ჰიბრიდული ომიც არც ომია და არც მშვიდობა. ჰიბრიდული ომი წარმოადგენს ძალის როგორც ხისტი, ასევე რბილი ინსტრუმენტების კომბინაციის საჭიროებისამებრ გამოყენების ხანგრძლივ სტრატეგიას. სტრატეგია გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული ფართო ამოცანების მისაღწევად დროის სხვადასხვა მონაკვეთში ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებების შერჩევას კონტექსტის მიხედვით¹.

სხვადასხვა ეტაპზე საქართველოსთან მიმართებით დასახული მიზნების მისაღწევად რუსეთი ყოველთვის ზუსტად აანალიზებდა ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების სისუსტეებს და შესაბამისად იყენებდა მის ხელთ არსებული ზემოქმედების ყველა ბერკეტს – ჰიბრიდული ომის ელემენტებს. უმეტეს შემთხვევაში, კრემლი სწორად არჩევდა და არჩევს ჰიბრიდული ომის რომელი ელემენტი თუ ელემენტთა კომბინაცია იქნება უფრო ეფექტიანი კონკრეტული ამოცანების მისაღწევად. წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ჰიბრიდული ომის განსაზღვრა ან რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ამგვარი ომის სიღრმისეული ანალიზი. ნაშრომში გაანალიზებულია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დღემდე საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარების ეტაპები რუსეთის ჰიბრიდული ომის კონტექსტში, რომელიც დიდწილად განაპირობებდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ესეის ფორმატიდან გამომდინარე, ნაშრომში მოყვანილია მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესთან პირდაპირ დაკავშირებული ძირითადი საშინაო და საგარეო ფაქტორები და არ მომხდარა მათი სრული ან სიღრმისეული კვლევა.

ნაშრომში საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან დღემდე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევოლუციის ოთხი ძირითადი ეტაპი და მათი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზია მოცემული. ეტაპები პირობითად არის გამიჯნული ქვეყნის წინაშე

1. Shota Gvineria. *Euro-Atlantic security before and after COVID-19*. Journal on Baltic Security. Volume 6 (1). September 2020. <https://www.baltdefcol.org/?id=691>.

მდგარი უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანების მიხედვით. პირველ ქვეთავში წარმოდგენილია დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსის მოპოვებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების დინამიკა. მეორე ნაწილში გაანალიზებულია პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველოს საერთაშორისო აღიარებისა და ქვეყნისთვის გეოპოლიტიკური როლის განსაზღვრის პროცესი. მესამე ეტაპი მიმოიხილავს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ქვეყნის მკაფიო პროდასავლური ვექტორის განსაზღვრისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. მეოთხე ეტაპის ფარგლებში განხილულია 2012 წლის შემდგომ „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკა, რომელიც ნაშრომში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების პოლიტიკად არის მოხსენიებული.

ეტაპი 1:

დამოუკიდებლობის ლეგიტიმაცია

1991-92 წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ამოცანას საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოჩენა წარმოადგენდა. არსებობს დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესის ორი ათვლის წერტილი. პირველი 1991 წლის 9 აპრილია, როცა საქართველომ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მეორე იმავე წლის დეკემბრის ბოლოა, როცა საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. შესაბამისად, 1991 წელს საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გამოცხადების ანუ დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციის საფუძველი ჯერ კიდევ არ არსებობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც კი, როცა დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას წინ აღარაფერი ედგა, სამოქალაქო დაპირისპირებასა და შიდა არეულობაში ჩაფლული ქვეყნის მთავარ ამოცანად რჩებოდა მსოფლიოს დარწმუნება, რომ საქართველო შედგა, როგორც ქმედუნარიანი სახელმწიფო.

პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად რეგიონში,

უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება იყო. საქართველო აღმოჩნდა დიდი იმპერიის პატარა ნამსხვრევი, რომელსაც დამოუკიდებლად უნდა გაეგრძელებინა არსებობა. ქვეყანაში იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მმართველი ინსტიტუტები, თუმცა სიღრმისეული რეფორმების გარეშე დამოუკიდებელი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ინსტრუმენტებად მათი გამოყენება შეუძლებელი იყო. ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენდა გამოცდილი ადამიანური რესურსი, რადგან ხალხს დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა. შესაბამისად, არ არსებობდა სტრატეგიული ხედვა თუ კონცეპტუალური ჩარჩოები, რომელთა ფარგლებშიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკის თუ სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხედვების ინსტიტუციონალიზაცია² მოხდებოდა.

რუსეთის ამოცანა არა მხოლოდ ამ ეტაპზე, არამედ ამ ეტაპიდან მოყოლებული დღემდე, იყო და არის საქართველოსა და თავის სხვა მეზობელ ქვეყნებზე კონტროლის დაბრუნება, შენარჩუნება და გაძლიერება³. ახლად დაშლილი საბჭოთა კავშირის ნიაღში გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ეკონომიკურად ძალზე მჭიდროდ იყვნენ გადაჯაჭვული, ერთი მხრივ, რუსეთთან და, მეორე მხრივ, ერთმანეთთან. შესაბამისად, რუსული ჰიბრიდული სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანად იქცა ახალ სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების, როგორც ერთ-ერთი სისუსტის გამოყენება. ფართო პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში დომინირებს მოსაზრება, რომ რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია პუტინის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილია და მის ავტორად რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მეთაური გენერალი გერასიმოვი მიიჩნევა. თუმცა რეგიონის ქვეყნებზე

2. ციხისთავი-ხუციშვილი, ნ. (რედ.). (2014). საქართველოს საისტორიო არქივი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN). http://iccn.ge/index.php?article_id=287&clang=0.

3. Putin: Collapse of the Soviet Union was 'catastrophe of the century' _ <https://www.independent.co.uk/news/world/europe/putin-collapse-of-the-soviet-union-was-catastrophe-of-the-century-521064.html>

კონტროლი საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანა გახდა, რაც რუსი სახელმწიფო მოღვაწისა და პოლიტიკოსის ევგენი პრიმაკოვის დოქტრინას ეფუძნება⁴. პრიმაკოვის დოქტრინის მიხედვით, რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად აუცილებელია მსოფლიოში აშშ-ის დომინირების დასრულება, ნატოს გაფართოების შეჩერება და რუსეთის ლიდერობით პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრირება. შესაბამისად, რუსეთის დიპლომატია და, ზოგადად, რუსეთის ფედერაცია ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მეზობლების გაძლიერებისა და განვითარების პროცესი შეეფერხებინა. კრემლი საკუთარი ეროვნული ძალის ყველა შესაძლო ინსტრუმენტს იყენებდა, რომ საქართველოს ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ასპარეზზეც რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეჰქმნოდა.

ქართული სახელმწიფოს ჩანასახი ძალზე სუსტი და მონყვლადი იყო რუსეთის ზემოქმედების ფონზე ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების დამოუკიდებლად დასაძლევად. შედეგად მივიღეთ სამოქალაქო ომსა და ეთნიკურ კონფლიქტებში ჩაფლული, უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი სახელმწიფო. პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის ბოლო პერიოდში მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საქართველოს გაურკვეველი საგარეო ორიენტაციის შედეგად გამონვეული საერთაშორისო იზოლაცია. ერთი მხრივ, ეროვნული უმცირესობებისა და ადამიანის უფლებების მიმართ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ზედმეტად ხისტმა მიდგომებმა დასავლეთის ქვეყნების საქართველოსგან დისტანცირება გამოიწვია. მეორე მხრივ, რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა საქართველოს დახმარება, პირიქით, რუსული ჰიბრიდული სტრატეგია მონყვლადი ქვეყნის სისუსტეების საკუთარი გავლენების გასამყარებლად გამოყენებას ითვალისწინებდა. შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ ვერცერთ დიდ სახელმწიფოსთან ვერ მოახერხა ურთიერთობების დალაგება.

დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციის პროცესი ძალიან რთულად მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, 1991 წელს, სა-

4. Rumer, Eugene. 2019. *The Primakov (Not Gerasimov) Doctrine in Action*. Carnegie Endowment for international peace. <https://carnegieendowment.org/2019/06/05/primakov-not-gerasimov-doctrine-in-action-pub-79254>

ქართველოს დამოუკიდებლობა ცნო რუმინეთმა, თურქეთმა, კანა-
დამ და ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანამ. ეს, რა
თქმა უნდა, არ კმაროდა, რომ საქართველოს საერთაშორისო არენა-
ზე დამოუკიდებელ და სუვერენულ საერთაშორისო სამართლის სუ-
ბიექტად დაემკვიდრებინა თავი. 1992 წელს ამერიკის შეერთებულ-
მა შტატებმა, გერმანიამ და სხვა დიდმა ქვეყნებმა ერთი-მეორის
მიყოლებით აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართულ-
მა საზოგადოებამ თავისუფლებას შეუპოვარი ბრძოლის შედეგად
მიაღწია, თუმცა დამოუკიდებლობის აღიარება უფრო ბუნებრივი
გეოპოლიტიკური პროცესების ნაწილი იყო, ვიდრე მაშინდელი და-
სუსტებული საქართველოს მიღწევა. დამოუკიდებლობის ლეგიტი-
მაცია დე-იურე შედგა, თუმცა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ
აუცილებელი იყო მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან მჭიდრო ურ-
თიერთობების ჩამოყალიბება.

ეტაპი 2:

გეოპოლიტიკური როლისა და ფუნქციის გამოკვეთა

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პირველ წლებში საგა-
რეო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების კონტურები
გამოიკვეთა. ისტორიულად, საქართველოს გეოპოლიტიკური მდე-
ბარეობა ყოველთვის იყო ქვეყნის განვითარების მთავარი მამოძ-
რავებელი ძალა. 1992 წელს, პოლიტიკური პროცესების სათავე-
ში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის პირველ პერიოდში ჯერ კიდევ
არ არსებობდა კონცეპტუალური დოკუმენტები, თუმცა შეიძლება
ითქვას, რომ ამ პერიოდში ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მიზანს
მსოფლიო რუკაზე საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებე-
ლი სახელმწიფოსთვის, საკუთარი როლისა და ფუნქციის შეძენა
წარმოადგენდა. ამ ეტაპზე დამოუკიდებლობის ლეგიტიმაცია უკვე
შემდგარი იყო. საქართველომ დაიწყო დიპლომატიური ურთიერ-
თობების ჩამოყალიბება მსოფლიოში ყველა დიდ აქტორთან და
განწევრიანდა გაეროში. ექსპერტთა ნაწილი ამას მაშინდელი პრე-
ზიდენტის მიღწევად მიიჩნევს, თუმცა არც ერთი პოსტსაბჭოთა სა-
ხელმწიფო, დროის მცირე განსხვავებით, არ დარჩენილა მსგავსი

პროცესების მიღმა⁵. ფაქტია, რომ უკვე შესაძლებელი იყო ფიქრი, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა საქართველოს თავისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ქვეყნის განვითარების პროცესში. შესაბამისად, ქვეყნის უპირველეს ამოცანად იქცა რეგიონული ურთიერთობების კონტექსტსა და გლობალურ ასპარეზზე საკუთარი როლის განსაზღვრა.

რუსეთის ფაქტორის გარდა, რეგიონის სხვა ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების დინამიკაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონული კონტექსტის ჩამოყალიბებაზე. საგულისხმოა, რომ რუსული ჰიბრიდული ომის სამიზნეს არა მხოლოდ საქართველო, არამედ რეგიონის ყველა ქვეყანა წარმოადგენს. რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია, რეგიონში თავისი გავლენების გასაძლიერებლად, ითვალისწინებს ზემოქმედებას როგორც საქართველოზე, ასევე სხვა ქვეყნებსა და მათ შორის ურთიერთობებზე. შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას მნიშვნელოვანია რეგიონული საჭადრაკო დაფისა და რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობების ჯეროვნად გაანალიზება. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში რეგიონის ქვეყნებად განსაზღვრულია საქართველოს უშუალო მეზობლები, რომლებთანაც ქვეყანას სახმელეთო საზღვრები აკავშირებს – რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

რუსეთი რეგიონის ყველაზე დიდი ძალაა, რომელიც ნებისმიერი გზებით ცდილობს განიმტკიცოს თავისი „გავლენის ექსკლუზიური სფერო“⁶ რეგიონის მეორე დიდი სახელმწიფო, თურქეთი, ერთადერთი აქტორია, რომელსაც რეგიონის შიგნით შეუძლია ნაწილობრივ დააბალანსოს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა. რეგიონის ორი პატარა ქვეყანა – აზერბაიჯანი და სომხეთი – საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული საომარ მდგომარეობაში არიან. მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად სომხეთმა რუსეთის მხარდაჭერით მოახდინა აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია. სომხეთში, ქალაქ გიუმრიში, დღემდე ფუნქციონ-

5. გაჩეჩილაძე, რ. (2012). „ჩემი მეოცე საუკუნე“. (ტომი 1) ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა: თბილისი.

6. Paul Hansbury. *A Return to Spheres of Influence?* Minsk Dialogue, January 17, 2017. <https://minskdialogue.by/en/research/opinions/a-return-to-spheres-of-influence>.

ნირებს საბჭოთა დროიდან შემორჩენილი №102 სამხედრო ბაზა, რომელიც სომხეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს და არსებითად ცვლის უსაფრთხოების ბალანსს მთელ რეგიონში. სომხეთისა და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა პრაქტიკულად ხორციელდება საქართველოს სახმელეთო და საჰაერო გზების გავლით, იმიტომ რომ ზემოხსენებულ ორ ქვეყანას არ გააჩნია პირდაპირი საზღვარი, რომლის მეშვეობითაც ისინი სხვადასხვა მიმართულებით დაამყარებდნენ ურთიერთკავშირს. საქართველო ამ ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის დამაკავშირებელი ხიდია. ამ სტრატეგიული თანამშრომლობის ღერძიდან საქართველოსთვის გარკვეული საფრთხეები მომდინარეობს, რადგანაც რუსეთისა და სომხეთის ინტერესები საქართველოს ინტერესებს არ ემთხვევა. ის, რომ სომხეთი არის რუსეთის ინტერესების საყრდენი რეგიონში, პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებს.

რუსეთისა და სომხეთის მჭიდრო პარტნიორობის დასაბალანსებლად, აზერბაიჯანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ურთიერთობა თურქეთთან, როგორც მოძმე ერთან და სტრატეგიულ მოკავშირესთან. თურქეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობა ასევე ხორციელდება საქართველოს გავლით, რადგანაც არც ამ ორ სახელმწიფოს აქვს საერთო საზღვარი. ხშირ შემთხვევაში აზერბაიჯან-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობის ამოცანები საქართველოს ინტერესებს ემთხვევა. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანზიტი საქართველოში სოლიდურ შემოსავალს ტოვებს. რუსეთის ინტერესების დაბალანსება ეროვნული უსაფრთხოების კუთხითაც ემთხვევა საქართველოს ინტერესებს. საქართველო ურთიერთობების ამ ღერძიდან მნიშვნელოვან სარგებელს იღებს. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სტრატეგიული ურთიერთობების სამკუთხედი, რომელიც სამივე ქვეყნის ინტერესებს მოიცავს.

საქართველოში სტრატეგიული თანამშრომლობის ორი მნიშვნელოვანი ღერძის გადაკვეთა გადამწყვეტ როლს თამაშობდა იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ქართული დიპლომატია გეოპოლიტიკური ფუნქციის ძებნას შეუდგა. ასევე გადამწყვეტია რუსეთის როლი, რომელსაც ზოგადად, საქართველოს მაშინდელ ხე-

ლისუფლებასა და, კონკრეტულად, საგარეო პოლიტიკურ კურსზე უდიდესი გავლენა ჰქონდა. საქართველო იყო სახელმწიფო, რომელშიც ფუნქციონირებდა რუსული სამხედრო ბაზები და რომლის საზღვრებსაც დიდწილად რუსეთის ფედერაცია აკონტროლებდა. ნამყვან ძალოვან სამინისტროებს ხელმძღვანელობდნენ რუსული სპეცსამსახურების ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა, მაგალითად, იგორ გიორგაძე, რომელიც დაუფარავად ატარებდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, რუსეთი ხშირ შემთხვევაში მარტივად აღწევდა თავის ამოცანას, რაც პროგრესის შეფერხებასა და საკუთარი გავლენების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, ქართველი ხალხის, ხელისუფლებისა და ქვეყნის ინტერესების სანინაალმდეგოდ, საქართველოს 1993 წლის ბოლოსთვის, რუსეთის წნეხიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) განევრიანების თაობაზე გადწყვეტილების მიღება მოუწია.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი ბალანსის შენარჩუნება იყო. ბალანსი გულისხმობდა, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, დასავლეთისაგან მაქსიმალურად მეტი დახმარების მიღებას. 1992-93 წლებში აქტიურად დაიწყო საუბარი რუსეთის გვერდის ავლით კასპიის ზღვისა და ევროპის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაკავშირებაზე. 1993 წლის მარტში აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ბაქო-ჯეიჰანის პროექტის მშენებლობის ხელშეკრულებას. გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, რომ საქართველო იპოვიდა თავის გეოპოლიტიკურ ნიშას და სატრანზიტო ფუნქციას შეასრულებდა. აღნიშნული პროექტი იმის შესაძლებლობაც იყო, რომ საქართველო დსთ-ში განევრიანებას დასავლეთისგან მხარდაჭერილ უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ პროექტში ჩართვით დააბალანსებდა. საბოლოოდ, საქართველო ჩაერთო პროექტში, რაც, თავის მხრივ, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობიდან საქართველოს სარგებელის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. შეიძლება ითქვას, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაცია შთამბეჭდავი ნაბიჯი იყო, რომელმაც საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო

ფუნქციის მქონე ქვეყნის, გეოპოლიტიკური როლი გამოკვეთა. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო და დღემდე ბევრია გასაკეთებელი საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის სრულად ასათვისებლად როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ კონტექსტებში.

რუსეთის ნების სანინააღმდეგოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში ჩართვა შევარდნაძისთვის რთული გადაწყვეტილება იყო. რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციას ესმოდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განთავსება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მისი შიბრიდული სტრატეგიის მიზანს, შესაბამისად, კრემლი ძალიან დიდ ზენოლას ახორციელებდა მაშინდელ ხელისუფლებაზე, რათა დასავლეთთან დაახლოების პროცესი მაქსიმალურად შეეზღუდა და საქართველო რუსეთის ორბიტაზე დარჩენილიყო.⁷ რუსეთი ზენოლისთვის იყენებდა ქართული ეკონომიკის დამოკიდებულებას რუსეთზე, რაც მის ხელში მძლავრ ეკონომიკურ და ფინანსურ ბერკეტს წარმოადგენდა. გარდა ამისა, რუსეთს უძლიერესი ბერკეტები გააჩნდა რუსეთის მიერ მართული კონფლიქტური კერებისა და ინფილტრაციის, ანუ ხელისუფლების მაღალ ემელონებში და სახელმწიფო სტრუქტურებში ჩანერგილი აგენტების სახით. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზები, რაც პირდაპირ დაუკავშირდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს. პროექტის თაობაზე საბოლოო მოლაპარაკებები 1999 წლის სტამბოლის ეუთოს სამიჯის პარალელურად იმართებოდა. სამიჯის მთავარი საკითხი კი „ევროპის ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების“ ადაპტაციის შესახებ შეთანხმება იყო. შეთანხმების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად საქართველოს პარტნიორობმა რუსეთს საქართველოს (და მოლდოვის) ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანა წაუყენეს⁸.

7. მეურმიშვილი, ი. „იალოვიცი: შევარდნაძემ მითხრა რუსები ამას დიდხანს არ დაივწყებენ“, ამერიკის ხმა, 05 მარტი 2018, <https://www.amerikishma.com/a/interview-with-kenneth-yalowitz/4281192.html>

8. მაჩაიძე, რ. (2018). „რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანის ისტორია – პროცესის, რომლის ავტორობასაც სალომე ზურაბიშვილი იბრალეებს, ორ მთავარ დოკუმენტზე ხელი ედუარდ შევარდნაძეს და მამუკა კუდავას აქვთ მოწერილი“. ივერია. <http://iveria.biz/1694--.html>.

მოხდა ისე, რომ საქართველოზე რუსეთის მიერ განხორციელებული ზენოლა საქართველოს პარტნიორობის მიერ რუსეთზე განხორციელებულმა ზენოლამ გაანეიტრალა. შედეგად, 1999 წლის 17 ნოემბერს ხელი მოეწერა ადაპტირებულ ხელშეკრულებას და თანამდევ „სტამბოლის შეთანხმებას“, რომლის ფარგლებშიც რუსეთმა აიღო საქართველოდან ბაზების გაყვანის ვალდებულება. ერთი დღის შემდგომ, 18 ნოემბერს, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ბაქო-თბილის-ჯეიჰანის პროექტის მშენებლობის შეთანხმებას.

პრეზიდენტობის ბოლო წლებში შევარდნაძისთვის ნათელი გახდა, რომ ბალანსის პოლიტიკა მუდმივ რეჟიმში ვერ იმუშავებდა და მას გადაწყვეტილების მიღება მოუწევდა საგარეო პოლიტიკურ ვექტორთან დაკავშირებით. მას რთული არჩევანი უნდა გაეკეთებინა პროდასავლურ და პრორუსულ პოლიტიკას შორის. არსებობს მოსაზრება, რომ პრეზიდენტი შევარდნაძისთვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება 1998 წლის თებერვალში მის წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა განაპირობა. მისი გარემოცვიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტი ამ თავდასხმას წყალგამყოფად აღიქვამდა. ეჭვს არ იწვევდა, რომ საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმა რუსული სპეცსამსახურებისა და საქართველოში მათი გავლენის აგენტების ორგანიზებული იყო. მეტიც, არსებობს წყაროები, რომლებიც ადასტურებენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ელცინი მას ღიად ემუქრებოდა გაზსადენის პროექტში საქართველოს ჩართულობის გამო.⁹ ბალანსის პოლიტიკის მიუხედავად, შევარდნაძე მოსკოვის ყველა მოთხოვნის შესრულებას ცდილობდა, ბაქო-ჯეიჰანის პროექტის შეფერხების გარდა, თუმცა ის მაინც გახდა სამიზნე და მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. 2002 წელს გამართულ პრალის სამიტზე შევარ-

9. მამრადი, პ. „როგორ ემუქრებოდა ელცინი შევარდნაძეს – ნავთობსადენები, საიდუმლო წერილი და შეუძლებელის შესაძლებლად გარდაქმნის ხელოვნება“, „კვირის პალიტრა“ 20 მაისი 2016, <https://www.kvirispalitra.ge/petre-mamradzis-blogi/29843-rogor-emuqreboda-elcini-shevardnadzes-navthobsadenebi-saidumlo-tserili-da-sheudzlebelis-shesadzleblad-gardaqmnis-khelovneba.html>.

დნაძემ პირდაპირ განაცხადა¹⁰, რომ საქართველოს სურდა, ნატოს წევრი გამხდარიყო. ეს მოულოდნელი და მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იყო ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის მიმართულებით.

კაპი 3:

ევროატლანტიკური ინტეგრაცია

ვარდების რევოლუციის შედეგად მიხილ სააკაშვილის ხელი-სუფლებლაში მოსვლის შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს პროდასავლური საგარეო კურსი და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტურები. იმ მომენტისთვის საქართველოს დეკლარაციის დონეზე უკვე დადასტურებული ჰქონდა პროდასავლური კურსი. თუმცა ინტეგრაციის დასაწყებად, რომელიც ძალზე დინამიკური და კომპლექსური პროცესია, საჭირო იყო განვითარების ძალიან სწრაფი ტემპი და რადიკალური რეფორმების გატარება. 2003 წლიდან აქტიურად დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და დემოკრატიული განვითარების პროცესები. სახელმწიფოს გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა რუსული გავლენისა და გავლენის აგენტებისგან სახელმწიფო სტრუქტურების განმედა. 2006 წლის მარტში ხელი მოეწერა ბათუმსა და ახალქალაქში არსებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შეთანხმებას. იმავე წლის ოქტომბერში საქართველოს სპეცსამსახურების მიერ რუსეთის აგენტურული ქსელის გამოაშკარავებას და დაკავებას, რამაც საკმაოდ შეასუსტა რუსეთის პოზიციები, რუსეთის უკიდურესი გალიზიანება და მწვავე რეაგირება მოჰყვა¹¹. რეფორმების განხორციელებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში აქტიურად იყვნენ ჩართული

10. Statement by President of Georgia Eduard Shevardnadze at the EAPC Summit. (2002). North Atlantic Treaty Organization. <https://www.nato.int/docu/speech/2002/s021122h.htm>.

11. Russia Recalls Georgian Ambassador Over Spy Scandal. Radio Free Europe. September 2006. <https://www.rferl.org/a/1071681.html>

საქართველოს დასავლელი პარტნიორები, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციების ფონზე შავი ზღვის რეგიონში სანდო და საიმედო დასაყრდენის ყოლა აშშ-ის ინტერესს შეადგენდა. ევროკავშირი დაინტერესებული იყო თავის უშუალო სამეზობლოში ქვეყნების სტაბილური განვითარებით. შესაბამისად, დასავლეთისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრამ საქართველოს დემოკრატიული ქვეყნების ოჯახში ინტეგრაციის რეალური შანსი წარმოშვა. ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მთავარი მიმართულება გახდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულფასოვანი განწევრიანება.

საქართველოსთან მიმართებით რადიკალურად განსხვავებულ გეგმები ჰქონდა რუსეთს. საქართველოს ყველა ხელისუფლებას კარგად ესმოდა რუსეთთან ურთიერთობების მნიშვნელობა. შესაბამისად, ყველა ხელისუფლება ცდილობდა რუსეთთან სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნებას. თუმცა ურთიერთობების დალაგებას ყველა ეტაპზე ართულებდა რუსული ჰიბრიდული ომის ამოცანა, რომელიც საქართველოზე და რეგიონის სხვა ქვეყნებზე კონტროლის შენარჩუნებასა და გაძლიერებას ითვალისწინებს. რუსეთმა დასავლეთთან საქართველოს სწრაფად დაახლოების პროცესში მკაფიოდ იგრძნო საკუთარი გავლენის შემცირებისა და დაკარგვის საფრთხე. ამასთანავე, აშშ-ისა და მთელი რიგი დასავლეთის ქვეყნების მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივმა აღიარებამ უკიდურესად დაძაბა ურთიერთობები რუსეთთან. ამ ფონზე, 2008 წლის აპრილში, ნატოს ბუქარესტის სამიტზე გახშირდა უპრეცედენტო გზავნილი, რომლის მიხედვითაც ალიანსმა საქართველოს (და უკრაინას) მისცა ნატოში განწევრიანების დაპირება¹². სამიტისთვის მზადების პროცესში და მისი მიმდინარეობის დროს აშკარად გამოჩნდა, რომ ალიანსში აზრთა სხვადასხვაობა იყო განწევრიანების კონკრეტულ ვადებთან და ფორმატებთან მიმართებაში. რუსეთმა იცოდა, რომ კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში ნატოში აშშ-ის ძლიერი გავლენის შედეგად საქართველოსა და უკრაინის

12. Bucharest Summit Declaration. North Atlantic Treaty Organization. April 2008. https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

ალიანსში ინტეგრაცია შესაძლოა ძალზე მალე შეუქცევადი გამ-
ხდარიყო. შესაბამისად, კრემლმა დაინახა შესაძლებლობა, რადი-
კალური ქმედებებით ხელი შეეშალა ალიანსის გაფართოებისთვის.¹³
2008 წელი ურთიერთობების გაუარესების პიკი იყო, რაც აგვისტო-
ში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიით დაგ-
ვირგვინდა. ცხადია, რომ რაც უფრო ძლიერი სახელმწიფო იქნება
საქართველო, რაც უფრო მეტად ინტეგრირდება ევროპულ და ევ-
როატლანტიკურ სტრუქტურებში, რუსეთს ქვეყანაზე კონტროლის
შენარჩუნებისა და გაძლიერების მით უფრო ნაკლები შესაძლებლო-
ბა ექნება. აქედან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული
ომის მექანიზმები სწორედ საქართველოს მიღწევებისა და პროგრე-
სის პროპორციულად იცვლებოდა.

ომის შედეგად რუსეთმა თავის მიზანს გარკვეულწილად მიაღ-
წია და შეძლო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური
ინტეგრაციის პროგრესის შეფერხება. ერთი მხრივ, ომის შემდგომ,
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, შეფერხდა განვითარე-
ბისა და რეფორმების მიმდინარეობა, რაც, თავის მხრივ, ინტეგრაც-
იის პროცესში პროგრესის აუცილებელი პირობაა. მეორე მხრივ,
რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეგრეთ წოდე-
ბული დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ საქართველო ახალი,
ძალზე რთული ამოცანის – არაღიარების პოლიტიკის გატარების წი-
ნაშე დადგა. საქართველოს შეზღუდული დიპლომატიური რესურ-
სის პირობებში არაღიარებისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ
სტრუქტურებში განვერიანების მიღწევა უმძიმესი ტვირთი იყო. რუ-
სეთის მძლავრი დიპლომატიური რესურსის პირისპირ აღმოჩენილი
ქართული დიპლომატიისთვის ეს ერთ-ერთ უდიდეს და მძიმე გამოწ-
ვევას წარმოადგენდა. რუსეთი სოლიდურ ინვესტიციას დებდა, რათა
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიო-
ნის დამოუკიდებლობა ელიარებინა. შეიძლება ითქვას, ქართულმა
დიპლომატიამ წარმოუდგენელ შედეგს მიაღწია, რა თქმა უნდა, და-
სავლელი პარტნიორების დიდი და ძლიერი დახმარების წყალობით.

13. Cornell S.E., Johanna Popjanevski, Niklas Nilsson, Russia's War in Georgia: Causes and Implications for Georgia and the World, Central Asia-Caucasus Institute, August 2008. https://www.silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2008_08_PP_CornellPopjanevskiNilsson_Russia-Georgia.pdf.

შთამბეჭდავი შედეგია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა დღეისათვის აღიარებული აქვს 5 სახელმწიფოს, დანარჩენები კი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში ცნობენ¹⁴.

ამ ეტაპის საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას ცალკე აღნიშვნის ღირსია ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ პერიოდში საქართველომ ვაშინგტონში მოიპოვა ორპარტიული მძლავრი მხარდაჭერა და გახდა აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, რაც დოკუმენტურადაც გაფორმდა 2009 წელს¹⁵. ვაშინგტონი საქართველოს განიხილავს, როგორც რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვან დასაყრდენს, ამიტომაც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოსთან მიმართებით სხვადასხვა ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური ხედვების მიხედვით არ იცვლება. შესაბამისად, სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოიცავს საქართველოს დახმარებას ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან და ძირითად ასპექტში. ეჭვგარეშეა, რომ აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობა გადამწყვეტ როლს თამაშობს როგორც ზოგადად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიმართულებით, ასევე კონკრეტულად, სტაბილური განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში პროგრესის კუთხით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ 2003-2012 წლებში, ამერიკის მძლავრი მხარდაჭერის მიუხედავად, საქართველომ ვერ შეძლო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განეწინიება, თუმცა ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების პროცესმა ქვეყანას უფრო სწრაფი განვითარების შესაძლებლობა მისცა. საქართველომ ინტეგრაციის პროცესიდანაც დიდი სარგებელი მიიღო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერების თვალსაზრისით.

14. „ოკუპირებულთა „აღიარების“ 11 წელი: რუსეთი + 4“. რადიო თავისუფლება. აგვისტო 2019. <https://www.radiotavisupleba.ge/a/okupirebulTa-aRiarebis-11-weli-ruseTi-4/30130027.html>

15. ინფორმაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. იანვარი 2009. [https://mfa.gov.ge/News/informacia-saqarTvelosa-da-aSS-s-Soris-strateg-\(1\).aspx](https://mfa.gov.ge/News/informacia-saqarTvelosa-da-aSS-s-Soris-strateg-(1).aspx)

ეტაპი 4: რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პოლიტიკა

2012 წელს საქართველოში არჩევნების შედეგად მთავრობა მშვიდობიანად შეიცვალა. ამგვარი მოვლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში იშვიათობას წარმოადგენდა, კავკასიაში კი საერთოდ პირველად მოხდა, რის გამოც საერთაშორისო საზოგადოებამ ეს რეგიონული მნიშვნელობის ფაქტად შეაფასა. ამ კუთხით ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური დივიდენდების მიღების საშუალებას იძლეოდა. საქართველოს პარტნიორების მხრიდან ხელისუფლების გადაბარება ქართული დემოკრატიის განმტკიცებისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად აღიქმებოდა. სამწუხაროდ, იმ დროისთვის პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებაში არსებული უპრეცედენტო პოლარიზაციის და მხარეებს შორის არსებული მწვავე დაპირისპირების გამო ქვეყანამ გაუშვა დემოკრატიული სტანდარტის მაღალ დონეზე წარმოჩენის შანსი. პოლიტიკური დისკურსის მთავარი ასპექტი სიძულვილის ენა, პიროვნული თავდასხმები და შეთქმულების თეორიები გახდა. რაც მთავარია, საეჭვო სამართლებრივი პროცესების ფარგლებში დაიწყო ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების საქმეების განხილვა, რამაც ქვეყანაში მართლმსაჯულების პოლიტიკური ნიშნით გამოყენების განცდა წარმოშვა. ოპონენტების პოლიტიკური თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთის მიზნით, მიზანმიმართულად ხდებოდა გასულ წლებში სახელმწიფოს მიერ მიღწეული შედეგების დაკნინება და დაშვებული შეცდომების ხაზგასმა. შედეგად, საქართველომ ვერ შეძლო დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის განმტკიცება, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

მოცემულ ეტაპზე, საგარეო პოლიტიკური ამოცანების კუთხით, მნიშვნელოვნად შეიცვალა სტრატეგიული ხედვა. „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გამოთქვა საკუთარი შეხედულება, დამყარებული ვარაუდზე, რომ ევროპული და

ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში შედეგების მიღწევის პარალელურად რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაციაც შესაძლებელია. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად შეიქმნა რუსეთთან ურთიერთობის ახალი, ნაკლებად ფორმალური ფორმატი. ქართული მხრიდან დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირადი წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში – ზურაბ აბაშიძე¹⁶. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ამ ფორმატში ჩაერთო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი. ფორმატის შექმნისთანავე მხარეებმა აღნიშნეს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული სიღრმისეული განსხვავებები ვერ აღმოიფხვრებოდა ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებში, როგორებიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ახალი ფორმატის გაცხადებული მიზანი თავიდანვე იყო დიალოგი კულტურის, სპორტის, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, რომლებშიც სწრაფი გადანაცვლებების მიღება და სწრაფი პროგრესის ჩვენებაა შესაძლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ მიუხედავად გაცხადებული პოლიტიკისა, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობების რეალურად ნორმალიზაციის ილუზია არ ჰქონია.

საგულისხმოა, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატში მეორეხარისხოვან საკითხებზე მიღწეული პროგრესის ფონზე გაიზარდა ქართული ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე, რაც რუსული გავლენების გაძლიერებას უწყობს ხელს. რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვისა და რუსი ტურისტების ნაკადების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო დამძიმდა მთავარი საკითხების ირგვლივ რუსეთის ფედერაციისგან მომავალი წნეხი. დღითი დღე უფრო აგრესიულ და სახიფათო ფორმებს იღებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით რუსეთის ფედერაციის მიერ გადადგმული ნაბიჯები. გრძელდება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ფიზიკური ბარიერების გავლება და ახალი ტერიტორიების მიტაცება. საოკუპაციო

16. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალურ წარმომადგენლად ზურაბ აბაშიძე დაინიშნა. Livepress.ge. ნოემბერი 2012. <https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/3935-2012-11-01%2011-32-50.html>.

ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის უფლებები ფაქტობრივად ყოველდღიურად ირღვევა. იტაცებენ საქართველოს მოქალაქეებს და გახმაურებული მკვლელობის არაერთი ფაქტიც ყოფილა. ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია საკმარისი რესურსი, რომ ადეკვატურად უპასუხოს ან აღკვეთოს ქვეყნის სუვერენიტეტის მძიმე დარღვევის ფაქტები. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოს დაახლოებასთან მიმართებით კვლავ მიუღებელია და როგორც უახლესი ისტორია გვაჩვენებს, კრემლი ამის აღსაკვეთად ყველა რესურსს გამოიყენებს. ნათელია, რომ ქართული მხარის კეთილი ნება ურთიერთობების დასალაგებლად საკმარისი არ არის; რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგი ვერ ხერხდება და, შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის ამ მიზნის მიღწევა მოცემულ ეტაპზე არარეალისტურია.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით, რომელიც მოცემული ეტაპის ასევე მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად არის დასახელებული¹⁷, უფრო ხელშესახები შედეგების მიღწევა მოხერხდა. 2014 წელს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რაც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. შეთანხმების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის თაობაზე შეთანხმება. ასევე დიდი გარღვევაა შეთანხმება შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესახებ. აღნიშნული ნორმატება ევროპული ინტეგრაციის გზაზე საქართველოს განვითარების ფართო შესაძლებლობებს უხსნის ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოებლად, რაც აუცილებელი პირობაა ევროკავშირსა და ნატოში სრული ინტეგრაციისთვის. ნატოში ინტეგრაციის მიმართ „ქართული ოცნების“ ფრთხილი მიდგომა ფაქტობრივად რუსეთთან ნორმალიზაციის პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც პირობითად რუსეთის არგალიზიანების პოლიტიკა შეიძლება დაერქვას. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ნატო-საქართველოს ურთიერთობების

17. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია (2019-2020). საგარეო საქმეთა სამინისტრო. <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>.

მიმართ განსაკუთრებულად აგრესიული განცხადებებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკული შედეგების მისაღწევად განსაკუთრებით არ უაქტიურია. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ლიდერები დასავლეთის ლიდერებთან მაღალი დონის შეხვედრებისა და საჯარო გამოსვლების დროს ხაზს უსვამდნენ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს, მაშინ როცა ხშირ შემთხვევაში ნატოს საერთოდ არ ახსენებდნენ. შესაბამისად, ნატოში ინტეგრაციის პროცესი ხშირად ბიუროკრატიის დონეზე, სტანდარტული პროცესის ფარგლებში მიმდინარეობდა და ფორმალური შეხვედრებითა და განცხადებებით შემოიფარგლებოდა.

აღნიშნულ კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის მიმდინარეობის დინამიკა. იყო ვარაუდი, რომ 2016 წელს ტრამპის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლისა და რუსეთთან მისი შესაძლო მჭიდრო კავშირების პირობებში საქართველო ამერიკის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი აღარ იქნებოდა. თუმცა, ახალი ადმინისტრაციის ნაბიჯებმა მოლოდინს გადააჭარბა და საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო. ვაშინგტონმა მკაფიოდ გამოხატა საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიმართ თანადგომა. ორმხრივი ურთიერთობების კუთხით საქართველოს, მხარდაჭერის ნიშნად, ანტისატანკო სისტემა „ჯაველინი“ გადაეცა. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავდაცვის შესაძლებლობების ზრდის კუთხით, არამედ ასევე წარმოადგენს სერიოზულ პოლიტიკურ გზავნილს, რომ სტრატეგიული პარტნიორობა უპირობოდ გრძელდება. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წლიდან ვაშინგტონის როგორც ოფიციალურ, ასევე არასამთავრობო წრეებში ლიად გაისმა კრიტიკა საქართველოში დემოკრატიის უკუსვლისა და რუსული გავლენების ზრდის გამო. 2019 წლის ივნისში, რუსული რბილი ძალის ცნობილი ინსტრუმენტის – მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ჯგუფის შეხვედრის საქართველოს პარლამენტში მასპინძლობა ამის დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითი გახდა. აღნიშნულ მოვლენას მასობრივი პროტესტი მოჰყვა, რომელსაც ხელისუფლებამ ძალის გადაჭარბებული გამოყენებით უპასუხა, რის შედეგადაც მრავალი მოქალაქე დაზიანდა. დააკავეს პოლიტიკოსები და

აქტივისტებიც, რაც აშშ-ის სენატისა და კონგრესის გავლენიანი წარმომადგენლების მხრიდან პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებად შეფასდა. დამატებით, ხელისუფლების მიერ საპროტესტო ტალღის ჩასახშობად მიცემული დაპირებების შეუსრულებლობამ საერთაშორისო საზოგადოებასა და „ქართულ ოცნებას“ შორის სერიოზული კრიზისი წარმოშვა. ჯამში, სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან განხორციელებული უპრეცედენტო ზეწოლის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებას მოუწია დაპირებების დიდი ნაწილის შესრულება, თუმცა საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯი კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად დაზიანდა. ამას დაემატა ხელისუფლების მხრიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ ლიად მხარდაჭერილი ანაკლიის ღრმანწყლოვანი პროექტის ჩაგდება, რაც რუსეთის გაცხადებულ ინტერესებში შედიოდა.

საქართველოსა და მის კიდევ ერთ სტრატეგიულ პარტნიორს, უკრაინას, შორის ურთიერთობების გაუარესება ქვეყნის არამდგრადი საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი ნიშანია. უკრაინის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა, რომ რუსეთისთვის მიუღებელია საქართველოსა და სხვა მისი მეზობელი ქვეყნების ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. 2008 წლის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ კარგად ვერ გააცნობიერა, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია ძალიან რთული გეოპოლიტიკური მოვლენა იყო და ის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს¹⁸ სცდებოდა. საქართველოს მაგალითი იმდენად მოულოდნელი, შოკის მომგვრელი და ელვისებური იყო, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში ვერც გაიაზრეს, რომ რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებით სუვერენული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შელახვა ევროპული უსაფრთხოების პარადიგმის მსხვერვის პირველი ფაქტი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას იმ ეტაპზე კონსტიტუციაში ჰქონდა დაფიქსირებული სამხედრო ბლოკებში არგანევრიანების პირობა. ასევე საგულისხმოა, რომ უკრაინას ყირიმის ანექსიის პროცესში ფაქტობრივად არ გაუწევია

18. Asmus, R. (2010). *A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West*. New York: St. Martins Pres LLC.

წინააღმდეგობა, მაგრამ რუსეთმა მაინც წამოიწყო აღმოსავლეთ უკრაინაში ჰიბრიდული ომის აგრესიული ფაზა, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. უკრაინის შემთხვევამ დაადასტურა, რომ რუსეთს აგრესიული სტრატეგია აქვს რეგიონის მიმართ და გალიზიანებისა და პროვოცირების გარეშეც მიმართავს სამხედრო აგრესიას მეზობლების წინააღმდეგ. საქართველოსა და უკრაინის გამოწვევები და, აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნები თუ ეროვნული ინტერესები სრულად თანხვდება ერთმანეთს. ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობისთვის ყველა წინაპირობა არსებობს, თუმცა, ერთი მხრივ, რუსეთის არგალიზიანების პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება ერიდება უკრაინის ღია მხარდაჭერას. მეორე მხრივ, მიხეილ სააკაშვილის უკრაინის პოლიტიკაში აქტიურობის გამო, 2012 წლიდან მოყოლებულმა პოლარიზაციამ კიდევ ერთხელ დაჩრდილა ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები. ჯამში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში განვითარებული ძირითადი მოვლენების ანალიზი და ბოლო წლებში სტრატეგიულ პარტნიორობთან თანამშრომლობის მიმდინარეობის დინამიკა საქართველოს საგარეო პოლიტიკის აშკარა კრიზისს ადასტურებს.

დასკვნა

დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, საქართველოსა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები და ამოცანები ურთიერთგამომრიცხავია. დამოუკიდებელი და ძლიერი ქართული სახელმწიფო რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვის დღემდე პირდაპირ საფრთხედ აღიქმება, რადგანაც ძლიერი სამეზობლო პირდაპირპროპორციულად გამორიცხავს რუსეთის გავლენების გაძლიერებას. რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოს სტრატეგიული ურთიერთობების გზაჯვარედინზე საქართველოს აუცილებლად სჭირდება პარტნიორი, რომელიც დააბალანსებს მეზობელი ქვეყნების ინტერესებს საქართველოსთან მიმართებით. რუსეთის მიერ საქართველოს და შემდგომ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ რუსულ ჰიბრიდულ

ომს მკაფიო მიზანი აქვს: ზენოლისა და დესტაბილიზაციის ხარჯზე განიმტკიცოს საკუთარი გავლენის ექსკლუზიური სფერო რეგიონში. აღნიშნულ კონტექსტში საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი საკმაოდ შეზღუდულია.

დღევანდელ დღემდე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია კონცეპტუალურ დოკუმენტებში ფორმალურად კვლავ ფიქსირდება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად. ასევე უცვლელი რჩება რუსეთის ფედერაციის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გაცხადებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც კრემლისთვის კატეგორიულად მიუღებელია და პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია. შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია და ჩვენი ქვეყნის ინტერესები იმდენად შეუთავსებელია ერთმანეთთან, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დათმობის გარეშე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე საუბარი შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერისა და მათთან მჭიდრო სტრატეგიული ურთიერთობების გარეშე საქართველო ეროვნულ ინტერესებს ვერ გაატარებს. ბოლო წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეცვლის წარუმატებელმა მცდელობამ დაადასტურა, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად ევროპული და ევროატლანტიკური კურსის შეუქცევადობას ალტერნატივა არ გააჩნია.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა: ჩამორჩენილობა და მისი დაძლევის გზები

შესავალი

სტატიაში მოკლედაა განხილული პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. გაანალიზებულია ის სასტატო პირობები, რომლებიც საქართველოს მემკვიდრეობის სახით საბჭოთა პერიოდიდან ერგო. ეს მემკვიდრეობა მოიცავს იმ მეტად სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც დღესაც კი დიდწილად განაპირობებს საქართველოს ჩამორჩენას მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ნაწილთან შედარებით.

სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მსჯელობას იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იყო საქართველო საბჭოთა ეკონომიკური მემკვიდრეობის დაძლევის მცდელობაში. კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის შეფასება, წავიდა თუ არა უფრო შორს ქვეყანა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და თუ არ წასულა, რა არის ამის მიზეზები. მთავარი კითხვაა, რატომ ვერ შეძლო საქართველომ, ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს წარმატებული ქვეყნებისგან განსხვავებით, თავისი ეკონომიკის ტრანსფორმაცია და საფუძვლის მომზადება ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

1. სტატია მომზადებულია გიორგი ქადაგიძის ვიდეოლექციის მიხედვით.

სტატიაში განხილულია დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭირო გზები, რომელთა გამიჯვნა აუცილებელია იმ ერთი შეხედვით მიმზიდველი ალტერნატივებისგან, რომლებსაც ჩიხში შევყავართ.

სტატიის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია, ავტორის აზრით, წარმატებისთვის აუცილებელი იმ ხუთი მდგენელის ხედვა, რომელიც დასახული ამოცანის შესრულებისათვის გადაამწყვეტი მნიშვნელობისაა.

I. ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი

საქართველოს ეკონომიკური მონყობის ძირეული ცვლილების ათვლის წერტილად ალბათ არა დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღი, არამედ 1989 წელი უნდა მივიჩნიოთ. მაშინდელი ეკონომიკური ვითარება და განვითარების ტრანექტორია ააშკარავებდა, რომ საბჭოთა ეკონომიკურმა მოდელმა თავი ამონურა და მისი შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოს იმჟამინდელ ეკონომიკურ ვითარებაში გარკვევის გარეშე გაძნელდება იმ სირთულეების გააზრება, რასაც ახლა ვაწყდებით და, შესაბამისად, ისეთი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ჩვენ ქვეყანას განვითარების სწორ იმპულსებს მიაწვდის და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიმართ ეკონომიკურ განვითარებაში არსებული ჩამორჩენის სწრაფად დაძლევის საშუალებას მისცემს.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საბჭოთა პერიოდის ცხოვრების იმ მითების შესახებაც, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა გარდამავალი პერიოდის ცნობიერებას. მართალია სულ უფრო იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ მოვკრავთ ყურს საუბარს იმის თაობაზე, რომ საბჭოთა საქართველო საბჭოეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების გაცილებით მაღალი დონით გამოირჩეოდა. უპირველეს ყოვლისა, ამ მოსაზრების გასამყა-

რებლად საბჭოთა სტატისტიკას მოიხმობენ ხოლმე, რომელსაც სინამდვილესთან ცოტა რამ თუ აკავშირებს. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ეკონომიკური განვითარების საერთო დონით ბალტიისპირეთის ქვეყნები სხვებზე თვალსაჩინოდ მაღლა იდგნენ. მათ კვალში ედგა რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და ბელარუსი. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ საერთო განვითარების დონით საქართველო საბჭოთა კავშირში საშუალო, მეშვიდე ან მერვე ადგილს იკავებდა. ერთადერთი მნიშვნელოვანი ფორმალური პარამეტრი, რომელიც მაშინდელ საქართველოს დანარჩენებისგან აშკარად განასხვავებდა, ერთ სულ მოსახლეზე დანაზოგების აბსოლუტური მნიშვნელობა იყო. თუმცაღა, ეს ალბათ საბჭოთა სტატისტიკური სისტემის ფუნდამენტური ხარვეზებისა და საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების ანარეკლი უფროა, ვიდრე რეალობა.

ცხადია, საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში, მისი უკიდურესი ცენტრალიზებულობის, ბიუროკრატიზმისა და დახურული ბუნების გამო, მეტად ძნელია მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების სხვადასხვა დონის მიზეზებზე ობიექტური მსჯელობა. „ევროპული ნაწილის“ რესპუბლიკებსა და ჩვენ შორის სულ მცირე, ერთი მკაფიო ნიშნით განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ მას ნამდვილად ვერ ავუვლით გვერდს: საუბარია ურბანიზაციის დაბალი დონის, სოფლის მეურნეობაზე მაღალი დამოკიდებულებისა და, შესაბამისად, ინდუსტრიალიზაციის დაბალ ხარისხზე საბჭოთა სტანდარტებითაც კი. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მიზეზი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკის შედარებითი ჩამორჩენა და გარდამავალი პერიოდის სირთულეები განაპირობა და დღემდე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

მე-20 საუკუნის ბოლოსთვის განვითარებულ მსოფლიოს არათუ აგრარული და ინდუსტრიული ფაზები ჰქონდა გავლილი, არამედ აქტიურად იყო შესული მაღალტექნოლოგიური, ცოდნაზე დაფუძნებული, გაცილებით უფრო პროდუქტიული

სერვისების ეკონომიკის განვითარების ფაზაში. აღარაფერს ვამბობთ ციფრულ ტრანსფორმაციაზე, რომელსაც ინტერნეტის მასობრივი ხელმისაწვდომობა/გამოყენება აქცევს შესაძლებლად სულ რამდენიმე წელიწადში.

ამავდროულად, 1989 წლის საქართველო არის ქვეყანა, რომლის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს სოფლად და სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, სამრეწველო ბაზა ჩამორჩენილია, ინფრასტრუქტურა განუვითარებელია, ეკონომიკის დარგების უმეტესობა სუბსიდირებულია, ხოლო ზღვის პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსი – თითქმის აუთვისებელი.

ამ თვალსაზრისით, საქართველო ცალსახად განვითარებადი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება.

II. მტკივნეული გარდაქმნა

მართალია, საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის ფორმალურად გამოცხადების დროისათვის მოუმზადებელი იყო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე სწრაფად და უმტკივნეულოდ გადასასვლელად, მაგრამ ქვეყნის არსებობის პირველი წლები მოსალოდნელზე ბევრად უფრო მტკივნეული პროცესებით აღინიშნა. სამწუხაროდ, ქვეყანაში ვერ მოხერხდა რიგი კატასტროფული შეცდომების თავიდან აცილება, რომელთა დიდი ნაწილი ყოფილი იმპერიული ცენტრიდან იყო შთაგონებული. შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, კანონიერი ხელისუფლების დამხობამ და შედეგად მიღებულმა განუკითხაობამ, საომარმა მოქმედებებმა რუსეთთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში სავალალო შედეგები მოიტანა.

კატასტროფული იყო ეკონომიკური ნგრევის მასშტაბი. 1991-94 წლებში საქართველომ მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 70% დაკარგა, რაც ალბათ უპრეცედენტო მოვლენაა არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, არამედ მსოფლიოს უახლეს ისტორიაში. თვალსაჩინოე-

ბისათვის, მეორე მსოფლიო ომის შედეგად, დამარცხებულმა გერმანიამ ეკონომიკის 50% დაკარგა. ომების, განუკითხაობისა და ეკონომიკური კოლაფსის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ მოკლე პერიოდში საქართველო დატოვა დაახლოებით მილიონმა მოქალაქემ. ირონიაა, მაგრამ ფაქტია, მათმა უმრავლესობამ ელემენტარული ყოფითი პირობების შესაქმნელად რუსეთს მიაშურა. ეს ალბათ იმან განაპირობა, რომ ქართველი ემიგრანტებისათვის რუსეთში შედარებით ადვილი იყო თავის დამკვიდრება ენობრივი ბარიერის არარსებობისა და მეტ-ნაკლებად გასაგები კულტურული გარემოს გამო. მოქალაქეთა მასობრივი გადინების პროცესი საქართველოსთვის დამანგრეველი იმითაც აღმოჩნდა, რომ წამსვლელთა უმეტესობა ეკონომიკურად აქტიური, კვალიფიციური, მაღალი პროდუქტიულობის მქონე სამუშაო ძალას წარმოადგენდა.

90-იანი წლების შუაში საქართველო ტიპურ „არშემდგარ სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა, სადაც ჩამოშლილ ეკონომიკას, ენერგოკრიზისი, დაუცველი საზღვრები, კორუფცია, პოლიციასთან შეზრდილი კრიმინალი და ინსტიტუტების საყოველთაო მოშლა ერთვოდა. ცხადია, ასეთ პირობებში საუბარიც კი ზედმეტი იყო კანონის უზენაესობაზე, ხელისუფლების შტოების დაბალანსებულ ურთიერთქმედებაზე, დემოკრატიასა და სხვა ფასეულობებზე. ასეთ სახელმწიფოში პოლიციას არ შეეძლო მოქალაქის სიცოცხლის, მისი ქონებისა და ღირსების დაცვა, მთლიანად მოშლილი იყო სახელმწიფო ინსტიტუტები, ჯანდაცვა და განათლება. მოქალაქეთა ერთადერთი საზრუნავი რამენაირად თავის გამოკვება და საკუთარი ოჯახების გადარჩენა იყო. მასშტაბური სოციალური და ეკონომიკური ძვრები სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინდუსტრიალიზაციის პერიოდის ინგლისში იმით ხასიათდებოდა, რომ „უკეთესი ხვედრის“ საძებნელად სოფლის მოსახლეობა საცხოვრებლად ქალაქში გადადიოდა. საქართველოში კი პირიქით მოხდა – შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში სწორედ სოფლის მცხოვრებლები და ის მოქალაქეები აღმოჩნდნენ,

ვინც სოფელთან კავშირებს ინარჩუნებდნენ და ამ გზით საკუთარი თავისა და ოჯახების გამოკვება შედარებით იოლად შეეძლოთ. ამ პროცესმა საბოლოოდ შეაჩერა ურბანიზაციის და სოციალური მობილობის ის მინიმალური ტემპიც კი, რომელიც მანამდე არსებობდა. დღესაც კი საქართველო ამ მაჩვენებლით (50% ურბანიზაციით) ბოლო ადგილზეა ევროპულ ქვეყნებს შორის.

90-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური კოლაფსის მასშტაბის წარმოსაჩენად ორი მაჩვენებლის გახსენებაც საკმარისია. მომდევნო ათი წლის განმავლობაში ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების უმთავრეს წყაროს საბჭოთა ინდუსტრიის დემონტაჟის შედეგად ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენილი ჯართი წარმოადგენდა. შემოსავლის ამ წყაროს ემატებოდა საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასული მოქალაქეების ფულადი გზავნილები. ამ ფულადი გზავნილების წყარო უცხოეთში მოპოვებული ისედაც მწირი შემოსავლების ნაწილი იყო, რასაც, უმეტესწილად საქართველოდან წასული ქალები გამოიმუშავებდნენ. სამწუხაროდ, უცხოურ ტრანსფერებზე დამოკიდებულების პრობლემა საქართველოში დღემდეც გადაუჭრელია და ძნელია ისეთი ოჯახის მონახვა, რომლის ერთი წევრი მაინც არ იმყოფება საზღვარგარეთ შემოსავლის მოსაპოვებლად.

მართალია, 90-იანი წლების მეორე ნახევრის მიწურულს ქვეყანაში გაჩნდა სტაბილიზაციის გარკვეული ნიშნები, თუმცა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების დასაწყისად ამ ახალი ვითარების მიჩნევა გაუმართლებელია. კარგად გვახსოვს, რომ შეიქმნა ერთგვარი „პოლიციური ტიპის წესრიგის“ სახელმწიფო, მაგრამ წესრიგს ფასადური ფორმა ჰქონდა და მოკლებული იყო შინაარსობრივ დატვირთვას. სახელმწიფო ინსტიტუტების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპონენტები – კანონის უზენაესობა, საპირწონეების სისტემა, ჩამოყალიბებული სახელისუფლო შტოები, გამჭვირვალე შიდა და საერთაშორისო რეგულაციების არსებობა, დემოკ-

რატიული პროცედურები მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. ყველა ამ პრობლემის გადაჭრის დასაწყისად მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი უნდა მივიჩნიოთ.

ზემოაღნიშნულის გარდა, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ურბანიზაციაც უნდა განვიხილოთ. ურბანიზაციისა და სამრეწველო რევოლუციის პროცესებს ევროპაში ჯერ კიდევ მე-18, მე-19 საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, თუმცა ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის მასშტაბითა და სისწრაფით მაინც მე-20 საუკუნე გამოირჩევა. ცხადია, ეს პროცესები საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც ვითარდებოდა: იქმნებოდა რიგი ქალაქები ინდუსტრიული სანარმოების ირგვლივ. ასეთი ისტორია აქვს ქალაქ რუსთავს, რომელსაც იქაური მეტალურგიული ქარხნის მუშაობა ასაზრდოებდა. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაცია საბაზრო ეკონომიკისთვის მიუღებელი თავისებურებებით ხასიათდებოდა. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იმთავითვე მოიაზრებოდა, როგორც „გეგმურად წამგებიანი“ სანარმო, რომლის ამოცანა არა მოგების მიღება, არამედ სოციალური ფუნქციის შესრულება იყო, რაც ქალაქ რუსთავის მცხოვრებლებისათვის დასაქმების უზრუნველყოფაში აისახებოდა. საბჭოთა ეკონომიკა, განსაკუთრებით ამ ქვეყნის არსებობის ბოლო წლებში, მთლიანად ენერგომატარებლების საერთაშორისო ბაზარზე მიღებული შემოსავლების ხარჯზე დანარჩენი სექტორების სუბსიდირების მეშვეობით ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას. ცხადია, ენერგომატარებლებზე საერთაშორისო ფასების მკვეთრი ვარდნის შემდეგ ცენტრს აღარ შეეძლო საბჭოთა კავშირის პერიფერიებისა და ეკონომიკის არამდგრადი სექტორების სუბსიდირება. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ეკონომიკის დანარჩენმა სექტორებმა, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ჩამოშლა დაიწყო.

საქართველოს ეკონომიკამ 1989 წლის გამოშვების მაჩვენებლებს ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მხოლოდ

2011-12 წლებში მიაღწია, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ამ დროისთვის მხოლოდ ცენტრალური აზიის ქვეყნებს თუ უსწრებდა ეკონომიკური განვითარებით. ფაქტობრივად, გამოდის, რომ 23-25 წელი მოხმარდა იმას, რომ ეკონომიკა განვითარების საწყის წერტილს დაბრუნებოდა. ცხადია, ისტორიული პერსპექტივით 23-25 წელი დიდი დრო არ არის, მაგრამ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობათა დაკარგვის თვალსაზრისით ძალიან ბევრია. ამის გასააზრებლად ისიც კმარა, რომ დაახლოებით დროის იმავე მონაკვეთში შედარებით ღარიბმა სახელმწიფოებმა, მაგალითად, ირლანდიამ, სინგაპურმა, ლუქსემბურგმა უდიდესი ნახტომი გააკეთეს და მდიდარი ქვეყნების კოჭორტას შეუერთდნენ.

III. შვეპილით თუ არა ეკონომიკური ტრანსფორმაცია?

XXI საუკუნე ჯერაც „ახალგაზრდაა“, თუმცა დღეს კიდევ უფრო ცხადი გახდა XX საუკუნეში გამოკვეთილი ტენდენცია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებას რეალურად მხოლოდ რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის უპირველესად – თავისუფალი ინდივიდების ინტელექტუალური შრომა განაპირობებს. სწორედ ადამიანთა ინტელექტი, კომპეტენცია და უნარებია ის, რაც შრომის ნაყოფიერებას და ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. დღეისათვის უკვე აღარ არსებობენ მაღალგანვითარებული ქვეყნები, სადაც განათლების სისტემა ასევე უმაღლეს დონეზე არ დგას. ეკონომიკური განვითარების მეორე უმნიშვნელოვანესი „მარკერი“ ურბანიზაციის მაჩვენებელია. დღეს მსოფლიო რუკაზე ვერც ისეთ განვითარებულ ქვეყანას მოვნახავთ, სადაც ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 70%-ზე ნაკლებია. ასეთია

ევროპისა და აზიის ყველაზე დაწინაურებული ქვეყნები, რომლებიც საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითია.

პირველი პარამეტრის მიხედვით, საქართველოში დღესდღეობით რთული მდგომარეობაა. განათლების სისტემა სრულიად შეუსაბამოა XXI საუკუნის გამოწვევებთან. თვალსაჩინოებისთვის ისიც კმარა, რომ წაკითხული ტექსტის გააზრების ხარისხის შეფასებისას PISA-ს გამოკითხვებში მონაწილე ქვეყნების სიაში საქართველო, სამწუხაროდ, ხშირად ხვდება ბოლოში. იგივე მდგომარეობაა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებშიც, სადაც დაახლოებით 70 ქვეყნისაგან შედგენილ ჩამონათვალში სტაბილურად „დავმკვიდრდით“ ბოლო 2-3 ადგილზე.

ამჟამად საქართველოში ყოველწლიურად საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებას დაახლოებით 50 ათასი ახალგაზრდა ამთავრებს. ამ ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს განათლების მიღებას, თუმცა ვერც უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და ისე შედიან შრომის ბაზარზე, რომ წარმატებული კარიერისთვის აუცილებელი ცოდნა, კომპეტენცია და უნარები არ გააჩნიათ. ამავდროს, დამსაქმებელი განიცდის კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მწვავე დეფიციტს, რასაც სტრუქტურული უმუშევრობა ეწოდება. საბოლოოდ, განათლების სისტემის მთელი „კონვეიერი“ ისე მუშაობს, რომ ვერ ქმნის ქვეყნის წარმატებისათვის საჭირო თუნდაც მინიმალურ ინტელექტუალურ და შრომით პოტენციალს.

თანამედროვე მოთხოვნებთან შეუთავსებელ განათლების სისტემასთან ერთად, მძიმე ვითარებაა იმ მხრივაც, რომ დედაქალაქი თბილისი ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „თავკომბალა“ ქალაქად, სადაც პრაქტიკულად სრულად კონცენტრირებულია ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება. ქვეყნის მოსახლეობის მეორე ნახევარი კი გაბნეულია სოფლად და სადღეისოდ მეტად სუსტი

ეკონომიკური პოტენციალის მქონე, ნაკლებად მიმზიდველ რეგიონულ ქალაქებში, რომელთაგან მხოლოდ ბათუმი ახერხებს მეტ-ნაკლებად თანამედროვე ტიპის განვითარებას და მოსახლეობის მოზიდვას. ამ თავისებურების გამო, საქართველოში მივიღეთ მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების ნაწილის, განსაკუთრებით აფრიკული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტიპური პრობლემა – ერთი მხრივ, ჭარბი მოსახლეობით შენუხებული დედაქალაქისა და მეორეს მხრივ, განუვითარებელი რეგიონების თანაარსებობისა.

2018 წლის ბოლოსათვის საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტით გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 10 ათას დოლარს შეადგენდა. თბილისში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 15-16 ათას დოლარს უნდა შეადგენდეს, ამავე დროს, რეგიონების დიდ უმრავლესობაში 2-3 ათას დოლარს არ უნდა აღემატებოდეს. რეგიონებს შორის განვითარების დონის არსებული ასეთი მკვეთრი კონტრასტი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი ფაქტორია. საქართველოს ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია მძლავრი რეგიონული ქალაქების განვითარება. ამავე დროს, რეგიონული მოწყობა უნდა ითვალისწინებდეს ზღვის პოტენციალის ათვისებას, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მძიმე ვითარებაა. მაგალითად, გურია და რაჭა-ლეჩხუმი, ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, დაახლოებით ღარიბი აფრიკული ქვეყნის დონეზეა. მეორე მხრივ, თბილისის მშპ ერთ სულ მოსახლეზე მას აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებთან აახლოებს. თუ შექმნილ მდგომარეობას მოკლედ შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ სოფლად მცხოვრები ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი მთელი დოვლათის სულ რაღაც მეათედს ქმნის, მაშინ როცა დარჩენილ ცხრა მეათედს ქალაქები

იძლევა, სადაც ასევე მთელი მოსახლეობის ნახევარი იყრის თავს. ქალაქში შექმნილი დოვლათის ლომის ნილს თბილისი ქმნის, დანარჩენი ქალაქების ნვლილი კი, ბათუმის გარდა, მეტად მოკრძალებულია.

ეკონომიკის და სამუშაო ძალის ასეთი სტრუქტურული გადანაწილება სრულიად შეუსაბამოა თანამედროვე ევროპული ტიპის ქვეყნისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის, დემოგრაფიის და სამუშაო ძალის გადაწინაწინების, ასევე პროდუქტიულობით და განათლების მაჩვენებლით ევროპულ სახელმწიფოებში საქართველო ბოლოდან მეორე ადგილზეა. თუ ევროპულ ქვეყნებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსაც მივათვლით, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ეკონომიკის განვითარების დონე მხოლოდ მოლდოვასა და ცენტრალური აზიის ქვეყნების უმეტესობის ანალოგიურ მაჩვენებელს უსწრებს.

90-იანი წლების განუკითხაობის დაძლევისა და XXI საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო სერვისების მიწოდების და კორუფციის აღმოფხვრაში მიღწეული წარმატებების შემდეგ კვლავაც მწვავედ ისმის კითხვა: შევძელით თუ არა ეკონომიკური ტრანსფორმაცია? სამწუხაროდ, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეს – საქართველომ ეს დღემდე ვერ მოახერხა. ვარდების რევოლუციამ ქვეყანა კორუფციის ქაობიდან ამოიყვანა, 2005-07 წლებში სახელმწიფო სამსახურების რეფორმა მეტად წარმატებული გამოდგა. ქვეყანაში საკმაოდ მაღალი იყო ეკონომიკური ზრდის წლიური ტემპი, თუმცა ამ ზრდას არ მოჰყოლია დასაქმების მაჩვენებლების შესაბამისი აღმავლობა. ფაქტობრივად, მივიღეთ ეკონომიკური ზრდა დასაქმების მატების გარეშე. მაინც რა იყო ამის მიზეზები? რა ძირითადი გამონწვევები დარჩა საქართველოს გადაუჭრელი ეკონომიკური ტრანსფორმაციის დასასრულებლად?

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 3.7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. აქედან 1.9 მილიონი შრომისუნარიანია და სამუშაო ძალას შეადგენს. 1.9 მილიონი შრომისუნარიანი მოქალაქიდან დაახ-

ლოებით მილიონი სოფლის მცხოვრებელია. მათ დღევანდელი სტატისტიკური აღრიცხვის ოფიციალური სისტემა თვითდასაქმებულებად განიხილავს. შედარებისთვის, სოფლის მეურნეობაში მომუშავე ამ თვითდასაქმებულთა რიცხვი არსებითად სჭარბობს საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობას, რაც დაახლოებით 650 ათას ადამიანს შეადგენს. გამოდის, რომ მოსახლეობით საქართველოზე 18-ჯერ, ტერიტორიით კი დაახლოებით 8-ჯერ უფრო დიდი ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა აგრარული პროდუქციის ექსპორტით, ასეთ შთამბეჭდავ შედეგებს საქართველოზე გაცილებით მცირე ადამიანური რესურსის მეშვეობით აღწევს. მეორე მხრივ, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, რომელშიც პროდუქტიული საქმიანობის მწარმოებელი თითქმის ყველა დიდი თუ მცირე ფერმერული მეურნეობაა განევრიანებული, სულ რამდენიმე ათას ადამიანს მოითვლის. ასეთი კოლოსალური სტრუქტურული გამოწვევის დაძლევა მოკლევადიან პერიოდში სრულიად შეუძლებელია არაორდინარული, მასშტაბური და თამამი გადანყვეტილებების გატარების გარეშე.

საქართველოში არსებობს მოლოდინი, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის პრობლემას კონკურენტული პროდუქციისა და მომსახურების შექმნის მეშვეობით გადაჭრიან ამისათვის მოუმზადებელი ადამიანები. ცხადია, ეს არარეალისტური მოლოდინებია, რადგან ახალგაზრდა მუშახელი ისე ამთავრებს სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს, რომ ამ ამოცანის გადანყვეტისათვის აუცილებელი მინიმალური ცოდნა და კომპეტენციაც კი არ გააჩნია. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, XXI საუკუნეში ქვეყნის წარმატების საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი და განათლებული ადამიანების შრომაა. არადა, სწორედ ამ მიმართულებით უჭირს საქართველოს დღეს ყველაზე მეტად.

ამ მოსაზრების ოპონენტები შეგვახსენებენ, რომ ჩვენს ქვეყანას მართლაც აქვს საკმაოდ თვალსაჩინო ეკონომიკური

წარმატება ბოლო წლებში, თუმცა ეს წარმატება უკვე ერთი შეხედვით ფერმკრთალდება სხვათა მიღწევების თუნდაც ზედაპირული გაცნობის შემდეგ. ამის დასტურად თუნდაც ბოლო დეკადის განმავლობაში ექსპორტის დინამიკის განხილვაც კმარა. საქართველოს ექსპორტი ამჟამად უმაღლეს მაჩვენებელზეა და დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს უდრის. ზოგს ეს შეიძლება კარგ მაჩვენებლად მიაჩნია, მაგრამ სულ რაღაც ოცნლიანი პერიოდის განმავლობაში ირლანდიამ ექსპორტის 80 მილიარდ დოლარამდე გაზრდა მოახერხა. ასეთივე, თუ უფრო მეტად არა, შთამბეჭდავია სინგაპურის შედეგები. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ როცა ექსპორტის წლიურ თუნდაც 20%-იან ან ვიზიტორთა 30%-იან ზრდას უდიდეს მიღწევად აღვიქვამთ, საქართველოს ეკონომიკის, მათ შორის საგარეო სექტორის განვითარება იმდენად დაბალი ბაზიდან დაიწყო, რომ ზრდის ასეთი ნახტომისებური მაჩვენებელი გასაკვირი სულაც არაა. მეორე მხრივ, თუნდაც ასეთი სწრაფი ტემპიც კი არ კმარა, რომ სამომავლოდ საქართველო მძლავრ საექსპორტო ქვეყნად გადაიქცეს. პრობლემა კვლავაც გვახსენებს თავს – არაკვალიფიციური, მოუმზადებელი სამუშაო ძალით გაჯერებული შრომის ბაზარი და გამონვევისათვის სრულიად არაადეკვატური განათლების სისტემა, როგორც საშუალო და პროფესიული, ისე უმაღლესი განათლების დონეზე.

ეკონომიკური აქტივობის უკიდურესი სიმწირე რეგიონებში პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში მოსახლეობის დედაქალაქისკენ მასობრივ მიგრაციას უწყობს ხელს. მეორე მხრივ, რეგიონებში ეკონომიკური ცხოვრების არარსებობას თბილისში ჭარბი მოსახლეობის თავმოყრაც უწყობს ხელს. იქმნება ერთგვარი მოჯადოებული წრე, ხოლო პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება. ამავ დროს, დედაქალაქი არც ინფრასტრუქტურის მოწყობითა და ხარისხით, არც ეკონომიკის მასშტაბით ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი პარამეტრით არ არის მზად, იკისროს ქალაქი-სახელმწიფოს როლი და მთელი ქვეყნის მოსახლეობას შეუქმნას თვითრეალიზაციის პირობები. ასეთი

რამ თბილისზე ბევრად უფრო განვითარებულ, გლობალური ეკონომიკისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვან ქალაქებსაც გაუჭირდებათ. ამრიგად, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გააზრება მისი რეგიონული და დემოგრაფიული განვითარების და განათლების სისტემის რადიკალური ცვლილების გარეშე შეუძლებელია.

IV. მომავალი განვითარების ალტერნატივა

21-ე საუკუნეში ნავთობით და სხვა სასარგებლო წიაღისეულის გაყიდვით გამდიდრებული ქვეყნებიდან მხოლოდ კანადა და ნორვეგია უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნული თავისუფლების მაღალ ხარისხს. როგორც წესი, უზრუნველი შემოსავლით გარანტირებული ქვეყნები მეტწილად არათავისუფალი, ავტორიტარული სახელმწიფოებია, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური სიკეთეები ადამიანების ვიწრო ელიტებშია გადანაწილებული. ამ მოვლენას ხშირად „ნავთობის ნყევლას“ უწოდებენ.

საბოლოო ჯამში, წარმატებულ ქვეყნებს მიეკუთვნებიან ისეთი სახელმწიფოები, სადაც თავისუფალი და განათლებული ადამიანები ქმნიან დოვლათს. სწორედ ეს არის სერვისებზე და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის არსი. ასეთი ქვეყნების მთავარ საექსპორტო პროდუქტად შეგვიძლია მოვიაზროთ დამოუკიდებელი სასამართლოთი გარანტირებული კანონის უზენაესობა, რაც მეტად მოთხოვნადი პროდუქტია. ეს განსაკუთრებით იმ რეგიონზე ითქმის, სადაც საქართველოს უწევს ცხოვრება. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ, ჯამში, საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების წინაპირობად შეგვიძლია მოვიაზროთ ერთადერთი „პროდუქტის“ ექსპორტი: ესაა თავისუფალი გარემო, სამართლიანი სასამართლო და კანონის უზენაესობა, სადაც დოვლათის

შექმნის ერთადერთი რესურსი არა ნავთობი და ნიალისეული, არამედ ადამიანის ინტელექტუალური შრომაა.

საქართველო მდებარეობს რეგიონში, რომელშიც არათავისუფალი ქვეყნები ჭარბობენ. ეს მეტად რთული, კომპლექსური რეგიონია, რომელშიც ჯერ კიდევ არ არის უვნებელი ყოფილი საბჭოთა პერიოდის ან თუნდაც რუსული იმპერიის მიერ დატოვებული ყველა „ნაღმი“. ასეთ ფონზე ყოველთვის აქტუალურია კითხვა, განვითარების რა გზას უნდა დაადგეს საქართველო.

საქართველოს პერსპექტივების რეგიონულ კონტექსტში განხილვისას მის უპირატესობად, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული მდებარეობა განიხილება. ამ მდებარეობის უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტია ცენტრალური აზიის ნავთობით მდიდარი ქვეყნებისთვის დასავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი კორიდორის შექმნა რუსეთის გვერდის ავლით. ასე, მაგალითად, 2007 წელს განხორციელდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტი, რომლის მეშვეობითაც შავი ზღვის ფსკერზე ჩაეშვა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომელმაც ევროპის საინფორმაციო ნაკადები რუსული „როსტელეკომის“ გვერდის ავლით აზიას დაუკავშირა. ამ პროექტის მნიშვნელობის გააზრება ნამდვილად არ არის რთული, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე ნებისმიერ სატელეფონო ზარსაც კი ევროპასა და აზიას შორის უნდა გაეწლო „როსტელეკომის“ ინფრასტრუქტურა, რომელიც რეგიონზე აბსოლუტურ მონოპოლიას ფლობდა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს გავლით კასპიისა და ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხსაც, რომელშიც შედის ბაქო სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ჯერ კიდევ პრეზიდენტ შვეარდნაძის მმართველობის პერიოდში ინიცირებული ნავთობსადენები.

ცხადია, ზემოთ მოყვანილი რეგიონული კონკურენტული უპირატესობები ეკონომიკური განვითარების საკმარის პირობად ვერ ჩაითვლება. თანამედროვე მსოფლიოში ვერც ერთი

წარმატებული ქვეყანა დასჯერდება განვითარების მხოლოდ ერთ, თუნდაც ყველაზე თვალშისაცემ წინაპირობას. ბევრს გვახსოვს, რომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში საქართველოში ბევრი დარწმუნებული იყო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ღვინისა და ბორჯომის ექსპორტი სავსებით საკმარისი იქნებოდა. მოგვიანებით გაჩნდა უსაფუძვლო იმედი, რომ ნავთობსადენების ამოქმედება ქვეყანას უზრუნველი ცხოვრებისათვის საკმარის შემოსავლებს მოუტანდა. ცხადია, ასეთი ზედმეტად ოპტიმისტური, რომანტიკული მოლოდინები მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გააქარწყლა.

უცნაურია, მაგრამ დაუსაბუთებელი მოლოდინების ნგრევით მიღებული იმედგაცრუება თითქოს სრულიად მიივიწყეს მათ, ვინც ახლა უკვე ტურიზმს მიიჩნევს პანაცეად და კეთილდღეობის ერთადერთ საკმარის წყაროდ. ცხადია, განვითარებისათვის ვერც ტურიზმი და ვერც რომელიმე სხვა სფერო ცალკე ვერ იქნება საკმარისი.

თუ ეკონომიკურ თეორიას სიღრმისეულად მიმოვიხილავთ და სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას და მათ შედეგებს ისტორიულ პერსპექტივაში გადავაკვლით თვალს, ამკარა გახდება, რომ განვითარებაში წარმატებას აღწევენ ის ქვეყნები, რომლებიც თავისუფალი ინდივიდების გონებრივ შრომას ეყრდნობიან. დღეს ალბათ ყველასათვის ნაცნობია ტერმინი „ეკონომიკური სასწაული“. ამ ტერმინით იმ ქვეყნებს აღწერენ, რომლებმაც დროის მოკლე პერიოდში მოახერხეს ნახტომისებური განვითარება და ღარიბი სახელმწიფოების ჯგუფიდან ლიდერების რანგში გადაინაცვლეს. მათ მაგალითში ყველაზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მათ სიღარიბის დაძლევა და სიმდიდრის დაგროვება ერთი თაობის ცხოვრებაში შეძლეს. ცხადია, მსოფლიოში ასეთი ქვეყნების რიცხვი დიდი არაა, მაგრამ სწორედ ესაა ის ჯგუფი, რომელიც საქართველოსათვის ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს. სწორედ ამ ქვეყნებმა შეძ-

ლეს დროის უმოკლეს პერიოდში დაედლიათ აგრარული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტაგნაცია, სტრუქტურული სირთულეები და შეექმნათ მაღალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე დაფუძნებული, თანამედროვე, მდიდარი და თავისუფალი საზოგადოება.

„ეკონომიკური სასწაულის“ მომხდენი ქვეყნების გამოცდილების ანალიზისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მათი წარმატება მხოლოდ მეტად თამამი, მასშტაბური და რადიკალური გადაწყვეტილებების განხორციელებით გახდა შესაძლებელი. ამის გარეშე ვერც საქართველო მიაღწევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას.

თავისუფალი სასამართლოსა და გამართული ინსტიტუტების მნიშვნელობის საკითხს ზემოთ უკვე შევეხეთ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი და კომპეტენტური სასამართლო რეგიონის ყველა ქვეყნისათვის და მათი წარმატებული მენარმეებისთვის უნდა გახდეს გარანტია იმისა, რომ საქართველოში უსაფრთხოდ შეიძლება კაპიტალის დაბანდება, რომ აქ ეკონომიკური საქმიანობის წარმოება არ ფერხდება ბიუროკრატიითა და სახელმწიფოს უხეში ჩარევით, რომ აქ ყველას ქონება დაცულია. მარტივი წარმოსადგენია, რომ ამ პირობების დაკმაყოფილება რეალობაში უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, მეტ დასაქმებას, შემოსავლებსა და განვითარებას ნიშნავს.

ქვეყნის ინსტიტუციონალურ მოწყობასთან ერთად განათლების სისტემაც რადიკალურ ცვლილებას მოითხოვს. დღეისათვის განათლება ერთგვარ „სოციალურ პროექტად“ მოიაზრება. თუ საქართველოს ნამდვილად ამოძრავებს ეკონომიკური განვითარების დონის რადიკალური გაუმჯობესების განზრახვა, განათლების სისტემისადმი ამგვარი დამოკიდებულება წარსულს უნდა ჩაბარდეს და იგი „საინვესტიციო პროექტად“ უნდა იქცეს. ამგვარად გაგებული განათლების სისტემა გაცილებით უფრო მდგრადი, მომგებიანი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ასე ინტენსიურად ახორციელებს.

ცხადია, ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობის შეუფასებლობაც გაუმართლებელი იქნებოდა. თუმცა მათი განხორციელებისას ასეთი პროექტების ალტერნატიული ღირებულებაც უნდა გვახსოვდეს. მაგალითისთვის შეგვიძლია რიკოთის ულელტეხილის პროექტი მოვიყვანოთ. უდავოა, რომ მეტად მიმზიდველია საქართველოში საავტომობილო მაგისტრალის წარმადობის გაზრდის მიმდინარე პროექტი. მთლიანობაში გაფართოვება ნითელი ხიდიდან სარფამდე მიმავალი „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ დერეფნის შესაძლებლობები. ეს პროექტი მნიშვნელოვნად წაადგება დასაქმებას, ბიზნესის განვითარებას, ხოლო ტრანსპორტირებისათვის საჭირო დროის შემცირებით მიღებული შედეგი შთამბეჭდავი იქნება. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, რიკოთის ულელტეხილის მონაკვეთის მონყობისთვის გამოყოფილი რამდენიმე მილიარდი დოლარის ჩადება განათლების სისტემაში ან რეგიონულ განვითარებაში გაცილებით უფრო მომგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს. ისეთი ღარიბი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, შეზღუდული რესურსების პირობებში პრიორიტეტების განსაზღვრა კვალიფიციურ ანალიზზე დაყრდნობით კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ეკონომიკურ წინსვლაზე საუბრისას, ხშირია ცდუნება, სწრაფი გარღვევა ერთი რომელიმე დარგის განვითარებას დაუკავშირონ. ეს მცდარი მიდგომაა – სახელმწიფოს არც შეუძლია და არც მართებს ასეთი არჩევანის გაკეთება. მისი საქმე თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანებისათვის ასპარეზის და პირობების შექმნაა. შემდგომში ეს ადამიანები თავად გადაწყვეტენ, თუ რა უნდა აწარმოონ, როგორ და რა რაოდენობით. კონკრეტული დარგების ხელშეწყობის მიზანშეწონილობის დასაბუთების, ჩვენი აზრით, ფუჭ მცდელობას ბუნებრივად მოჰყვება მსჯელობა გასაღების ბაზრების მოძიების აუცილებლობაზე. ეს კიდევ უფრო დიდი შეცდომაა. სინამდვილეში, ეკონომიკური გარღვევის გასაღები არა გასაღების ბაზრები, არამედ კვალიფიციური მენარმეები, მენარ-

მული უნარებისა და კომპეტენციის ადამიანების საკმარისი რაოდენობაა. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა ქმნიდნენ პროდუქციისა და მომსახურების რაოდენობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და ფასის იმგვარ კომბინაციას, რაც მას მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანს გახდის. ენერჯისა და რესურსების არასწორად მიმართვას მიყვავართ იქამდე, რომ ქვეყნის პრიორიტეტი ხან ყურძენია, ხან ჩაი, ხან სიმინდი და ხანაც ლურჯი მოცვი. ყველა ასეთი მცდელობა მაკრო დონეზე მარცხისათვისაა განწირული, რადგან სახელმწიფოს ფუნქცია არ არის და ვერ იქნება ასეთი პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა. ნაცვლად ამისა, სახელმწიფომ სამეწარმეო პოტენციალის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი გარემო უნდა შექმნას. ამ გარემოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ასეთი ბიზნესების ზრდაა ის უტყუარი ინდიკატორი, რომლითაც ქვეყნისა და მისი ხელისუფლების საქმიანობის წარმატებულობა ფასდება.

ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, სწრაფი ეკონომიკური განვითარების შესახებ მსჯელობისას დემოგრაფიული და განსახლების ფაქტორების გამორიცხვა წარმოუდგენელია. ყველგან და ყოველთვის დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა ხელსაყრელ დემოგრაფიულ დინამიკასთანაა გადაჯაჭვული. სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველოს „საბჭოთა მემკვიდრეობის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარებაა. საქართველო შობადობისა და სიკვდილიანობის მახასიათებლებით განვითარებული მსოფლიოს ქვეყნების რიგში დგას, მაშინ როცა ეკონომიკის სტრუქტურა განვითარებადი ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული დინამიკის ზედაპირული ანალიზიც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ დაახლოებით 30-40 წელიწადში ქვეყნის მოსახლეობა, და შესაბამისად, სამუშაო ძალა მნიშვნელოვნად შემცირდება. ეს გარემოება საქართველოში სწრაფი ეკონო-

მიკური გარღვევის მიღწევის გამოწვევას კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით წარმოაჩენს.

V. წარმატების ხუთი მდგენელი

საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური განვითარება, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება და მისი „განწევრიანება“ მსოფლიოს დანინაურებული ქვეყნების ერთობაში დიდ ცოდნას და ძალისხმევას მოითხოვს. ამასთანავე, აუცილებელია ეს ძალისხმევა კონკრეტული მიმართულებებით გადადგმულ ღონისძიებებში აისახოს. ეს კონკრეტული მიმართულებები, ჩვენი აზრით სულ ხუთია:

უპირველეს ყოვლისა, გადაუდებელი ამოცანაა განათლების სისტემისა და მისი ყველა კომპონენტის დაუყოვნებლივ საფუძვლიანი განახლება. დღევანდელი განათლების სისტემა საქართველოს წინაშე მდგარ მოთხოვნებს ვერანაირად ვერ პასუხობს. სისტემა ვერ ახერხებს, აღზარდოს განათლებული, ინფორმირებული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მკაფიოდ გაიაზროს მის წინაშე მდგარი ამოცანა, თავისი ცოდნა საჭირო მიმართულებით გამოიყენოს და ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის მთავარი მამოძრავებელი ძალის ფუნქცია იტვირტოს.

მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა ქვეყანაში სამართლიანი გარემოსა და სამართლიანი სასამართლოს შექმნაა. ბოლო წლებში მიღწეული გარკვეული ეკონომიკური თუ ინსტიტუციური პროგრესის მიუხედავად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში რეალურად დამოუკიდებელი, კორუფციისა და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი სასამართლო არასოდეს გვექონია. ასეთი სასამართლოს გარეშე კი სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასა და მაღალი ცხოვრების დონის მიღწევაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

მესამე გამოწვევა, რაც საქართველომ მოკლე ვადებში უნდა დაძლიოს, განსახლებისა და რეგიონული განვითარების სტრუქ-

ტურული თავისებურებებია. ჭარბი მოსახლეობის მქონე დედაქალაქსა და რეგიონებს შორის არსებული სხვაობა ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას უზრალოდ, შეუძლებლად აქცევს. ასეთი რეგიონული დისბალანსის მქონე ქვეყნის სწრაფი განვითარების პრეცედენტი მსოფლიომ არ იცის. დედაქალაქ თბილისში დღეისათვის მილიონ ორასი ათასი მოქალაქე ცხოვრობს, მაშინ როცა ერთადერთი მზარდი რეგიონული ქალაქის, ბათუმის მოსახლეობა ოდნავ ასცდა 150 ათასს. ამ თვალსაზრისით, სავალალოა ქუთაისის მდგომარეობა. ეს ქალაქი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკურ მოწყობაში შეუდარებლად უფრო დიდ როლს უნდა თამაშობდეს. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მოსახლეობა 140 ათასსაც კი ვერ აღწევს.² თუ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე სერიოზულად ვლაპარაკობთ, ქვეყანაში მნიშვნელობით მეორე ამ ქალაქის მოსახლეობა 500-600 ათას ადამიანს უნდა ითვლიდეს. ვერც სხვა მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქების – რუსთავის, გორის, ზუგდიდისა თუ ფოთის დღევანდელი როლი ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. ისინი აუცილებლად უნდა გადაიქცნენ თვითკმარ სუბიექტებად, ეკონომიკური ტრანსფორმაციის მამოძრავებელ ძალად და განათლებული, მომავალზე ორიენტირებული მუშახელისთვის საინტერესო და სასურველ საცხოვრებელ ადგილად. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გადააზრებით.

ამასთან, ცალკე აღნიშვნის ღირსია შავი ზღვის ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის ათვისება. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიო ვაჭრობის თითქმის 90% საზღვაო გადაზიდვების მეშვეობით ხორციელდება; ყველაზე დიდი ქალაქების აბსოლუტური უმეტესობა ზღვისპირა ქალაქებია

2. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

და მსოფლიო დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ აქ იქმნება. საყურადღებოა, რომ მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს ზღვიდან 100 კმ რადიუსში და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება. საქართველოსთვის, რომლის ორ უშუალო მეზობელს და მთლიანად ცენტრალურ აზიას არ აქვს ზღვაზე გასასვლელი, განვითარებული ზღვისპირეთი არის დოვლათის შექმნის, გამდიდრების და სილატაკიდან თავის დაღწევის ყველაზე სწრაფი გზა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები ცხოვრობს ზღვისპირეთში, განუვითარებელია როგორც საპორტო, ასევე დამაკავშირებელი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, შესაბამისად, აუთვისებელია მსოფლიო დოვლათთან გასასვლელი ჩვენი მთავარი კარიბჭე.

დაბოლოს, თუ ეკონომიკური განვითარება და ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა ნამდვილადაა ჩვენი ამოცანა, ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან შემორჩენილი ქვეყნის მართვის მანკიერი პრაქტიკა წარსულს უნდა ჩაბარდეს. არავისთვისაა საიდუმლო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები თითქმის ექსკლუზიურად ეგრეთ წოდებულ ძალოვან სტრუქტურებშია თავმოყრილი. უშიშროების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა არა მხოლოდ პოლიტიკურ ამინდს, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ გეზსაც განსაზღვრავენ. ასეთ პირობებში თავისუფალ მენარმეობაზე დაფუძნებულ ზრდაზე ლაპარაკი ან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რეგიონში საქართველოს „თავისუფლების ოაზისად“ გადაქცევაზე საუბარი ფუჭი სიტყვებია. ქვეყანა უნდა გასცდეს პოლიტიკური ლოზუნგების სტადიას და რეალურად ჩამოაყალიბოს ძალთა ბალანსზე დაფუძნებული მართვის სისტემა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების, პარლამენტისა და სასამართლოს უფლება-მოვალეობანი მკაფიოდაა გამიჯნული, ისინი გამჭვირვალეა და საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება, ხოლო სახელისუფლებლო შტოების ხელმძღვანელობა კვა-

ლიფიცირი, გამჭრიახი და პატიოსანი ადამიანებითაა და-
კომპლექტებული, რომლებიც მხოლოდ ამომრჩევლის წინაშე
არიან ანგარიშვალდებული.

საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ტრანსფორმაციის
გზაზე არსებული დაბრკოლებები ძალზე დიდია. ამ მასშტა-
ბური ამოცანის მისაღწევად დროც ცოტაა და არც საგარეო
პოლიტიკური ვითარებაა ხელსაყრელი. მიუხედავად ამისა, მი-
ზანი და მისი მიღწევის გზები იმდენად ცხადია, რომ სწორი
ხედვის და ბევრი შრომის შედეგად მსოფლიოში მორიგი „ეკო-
ნომიკური სასწაულის“ განხორციელება შესაძლებელია.

ადამიანის უფლებები,
სამოქალაქო საზოგადოება
და ეკლესია

გიორგი მელაძე
ლანა ბუღაძე
ზაალ ანდრონიკაშვილი
ბექა მინდიაშვილი

ადამიანის უფლებები საქართველოს სახელმწიფოს სასწორზე

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს შეფასებისას უამრავი ეპითეტი და ზედსართავი სახელი გამოუყენებიათ დემოკრატიის, პოლიტიკის, სამართლისა თუ ეკონომიკის მკვლევრებს. რთული იქნება, ყველა ჩამოთვალო და აღწერო ამ მოკლე სტატიაში. თუმცა, ერთი კი უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფომ თავის თავზე გამოსცადა როგორც თავბრუდამხვევი ვარდნა, ისე სწრაფი ნახტომებით განვითარებაც და ეს ყველაფერი... სულ რაღაც 30 წელიწადში.

პირველი პრეზიდენტის დამხობამ, სამოქალაქო ომმა და ტერიტორიულმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეავიწროვა სამართლებრივი სახელმწიფოს სივრცე და წარმოუდგენელი გახადა ადამიანის უფლებებზე ლაპარაკიც კი¹. შეიარაღებული ბანდების მიერ გაკონტროლებულ ქალაქებსა და სოფლებში სამართლებრივი წესრიგი ერთხანს სპონტანურმა, არაფორმალურმა წესრიგმა ჩაანაცვლა. თუმცა ძალაუფლების კრიზისი დიდხანს

1. Aves J., Georgia: From Chaos to Stability, Former Soviet South Series, Chatham House, London, 1996

არ გაგრძელდა და სამხედრო საბჭომ მალევე გადასცა პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს, რომელმაც ჩაატარა არჩევნები. 1992 წელს არჩეულმა პარლამენტმა შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის წერა დაიწყო. პარალელურად მიმდინარეობდა ინსტიტუტების დაკომპლექტება ახალი/ძველი კადრებით.

შიდა კონფლიქტებმა, ეკონომიკურმა კოლაფსმა, სახელმწიფოს მომლამ უამრავი ადამიანი აიძულა, მიეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები და გადაადგილებულიყო სხვა რეგიონში ან სულაც გასულიყო ქვეყნიდან.² გაუმართავი სახელმწიფო ინსტიტუტების პირობებში, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ძლიერ პარტნიორებად იქცნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები. საქართველოს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი იყო დასავლური კურსის შენარჩუნება და ამ ფონზე დასავლური ინსტიტუტების რეკომენდაციები წონიანი არგუმენტი ხდებოდა სამოქალაქო აქტივისტების ხელში.³ უნდა ითქვას, რომ ამგვარი ვითარება დღემდე არ შეცვლილა და დღესაც, სამოქალაქო საზოგადოების კავშირი ევროპულ და ამერიკულ ორგანიზაციებთან, მნიშვნელოვნად განაპირობებს მის წარმატებას საჯარო პოლიტიკის საკითხებზე, სახელმწიფოსთან გამართულ დებატებში.⁴

საქართველო იქცა ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც დამოუკიდებლობის პირველ ათ წელიწადში ეკონომიკის უდიდესი ნაწილი და-

-
2. CRRC, Migration and Return in Georgia: Trends, Assessment and Potential, Report submitted to Danish Refugee Council, 2008 (accessed on July 11 2020; http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/CRRC_MigrationReport_FINAL_23JAN2008.pdf)
 3. Kakachia K., Lebanidze B., Georgia's Protracted Transition, Civil Society, Party Politics and Challenges to Democratic Transformation (in: 25 Years of Independent Georgia Achievement and Unfinished Projects, edited by Ghia Nodia), Iliia State University, Tbilisi 2016
 4. Lutsevich, O. How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine, Chatham House, London, 2013

კარგა. წარმოების ცალკეული დარგები მთლიანად განადგურდა ან კატასტროფულად შემცირდა 1989 წლის მაჩვენებლებთან შედარებით 1%-მდე.⁵ ამგვარი ეკონომიკური კოლაფსით საქართველო მხოლოდ ტაჯიკეთს თუ შეიძლება შევადაროთ და, შედეგად, 2002 წლისთვის საქართველოს ეკონომიკის 70% ჩრდილოვანი იყო; ქვეყანაში საყოველთაო მოვლენად იქცა კორუფცია, მშპ კატასტროფულ, 1000-დოლარიან ნიშნულამდე დაეცა და მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა.

განსაკუთრებული როლი ჰქონდა 2003 წლის ვარდების რევოლუციას, რომელმაც რადიკალურად შეცვალა პოლიტიკური კლასის დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. მის შედეგად მკვეთრად შემცირდა კორუფცია, დაჩქარდა ინსტიტუტების რეფორმირება და ეკონომიკური ზრდა, თუმცა რევოლუციის შედეგად მოსულმა მთავრობამ სერიოზული კრიტიკაც დაიმსახურა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უგულებელყოფის, პოლიტიკური ძალაუფლების ადამიანების ვინრო წრეში თავმოყრის გამო.⁶ მართვის ამგვარ სტილს უკავშირებენ კანონის უზენაესობის დაცვასთან დაკავშირებული რეფორმების ჩავარდნას, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს⁷

-
5. European Stability Initiative, Georgia's revolution and the future of its democracy, 2010 (https://www.esiweb.org/pdf/esi_literature_tour_-_georgias_revolution_and_the_future_of_its_democracy_-_april_2010.pdf) accessed on June 24 2020
 6. Fighting corruption in public services: Chronicling Georgia's reforms Washington, D.C. : World Bank Group. <http://documents.worldbank.org/curated/en/518301468256183463/Fighting-corruption-in-public-services-chronicling-Georgias-reforms>
Cornell S. E., Georgia after the Rose Revolution: Geopolitical Predicament and implications for U.S. Policy, 2007 (accessed on July 11 2020: https://www.globalsecurity.org/military/library/report/2007/ssi_cornell.pdf)
 7. Popjanevki J. Retribution and the Rule of Law: The Politics of Justice in Georgia, 2015 (<https://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2015-popjanevski-retribution-and-the-rule-of-law-the-politics-of-justice-in-georgia.pdf>) accessed on June 24 2020

და სასამართლო რეფორმის წარუმატებლობას.⁸

2012 წელს საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლება პირველად შეიცვალა. მშვიდობიანი არჩევნებით გამონჯეული ენთუზიაზმი მალევე გაანელა მართვის ივანიშვილისეულმა „პროექტმა“. „ქართული ოცნების“ ლიდერი, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი იქცა ერთპიროვნულ მმართველად, მიმთითებლად და სახელმწიფოს საკვანძო თანამდებობებზეც მისი უახლოესი გარემოცვის წევრებმა, ახლობლებმა და მის კომპანიებში დასაქმებულმა თანამშრომლებმა დაიკავეს. ივანიშვილი მალევე გადადგა პრემიერის პოსტიდან, თუმცა დღემდე რჩება „არაფორმალურ“ მმართველად.⁹ აღნიშნული პრობლემა მთავარ თემად განიხილება ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ დებატებში და საერთაშორისო ფორუმებზე.¹⁰

ჩამოთვლილ საკითხებს ნითელ ხაზად გასდევს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რომელიც სახელმწიფოს შექმნის პირველივე წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება „მცოცავი ოკუპაციის“ სახით.¹¹ რუსეთის ფაქტორი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და დამოკლეს მახვილივით კიდია ახლადფეხადგმული სახელმწიფოს თავზე. 2008 წლის ომმა მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები და მას მერე რუსეთი განუხრელად მიჰყვება საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევის პოლიტიკას, იქნება ეს პოლიტიკური პარტიების მოსყიდვა, მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული ძალების მიერ ჰომოფობიური კამპანიების

8. Report of the International Bar Association’s Human Rights Institute, 2012

9. Civil.ge: <https://civil.ge/ka/archives/244527>

10. The Republican Study Committee’s Task Force on national Security and foreign Affairs: <https://rsc-johnson.house.gov/sites/republicanstudycommittee.house.gov/files/%5BFINAL%5D%20NSTF%20Report.pdf>

11. უტიაშვილი შ., მცოცავი ოკუპაცია: გამოსავლის ძიებაში, 2017: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31795>

პროვოცირება თუ დეზინფორმაციის და ცრუ ინფორმაციის გავრცელება ქართულენოვანი მედიების მიერ.¹²

აღმოსავლეთ ევროპაში ვერ ვნახავთ მეორე სახელმწიფოს, რომელსაც შექმნიდან 30 წლის თავზე ამდენ გამონწვევასთან მოუწია გამკლავება. ამ პირობებში, ადამიანის უფლებებისთვის პრიორიტეტთა სიაში ადგილის გამოძებნა პოსტსაბჭოური სახელმწიფოსთვის კიდევ უფრო რთულ ამოცანად მოჩანს. მდგომარეობას მეტად ართულებს ის გარემოებაც, რომ მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები სრულიად ახალ შინაარსს იძენს და ამ პროცესისთვის ფეხის აწყობა სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელოვანი მოდერნიზაციის გარეშე წარმოუდგენელი ამოცანაა. თანამედროვე სახელმწიფოს ვალდებულებაა, საერთაშორისო სტანდარტებით დაიცვას ადამიანის უფლებები, ფეხი აუწყოს სწრაფად ცვალებად გარემოს და სათანადო პრიორიტეტი მიანიჭოს უფლებების დაცვას, რაც დამოუკიდებელი სასამართლოს, კეთილსინდისიერი პროკურატურის, კვალიფიციური დაცვისა და გამოძიების, კარგი მმართველობის გარეშე წარმოუდგენელია.

სწორად ამ ჩარჩოს გათვალისწინებით შევეცდებით წარმოვადგინოთ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების ევოლუცია საქართველოში, დავახსიანოთ და გავაანალიზოთ ძირითადი ტენდენციები.

ნაშრომი ეფუძნება დამოუკიდებელი მკვლევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევებსა და შეფასებებს, სახალხო დამცველის ანგარიშებს, მედიაში არსებულ მასალას და ადამიანის უფლებების თემაზე მომუშავე აქტივისტების, იურისტების ინტერვიუებს. ავტორი ბოლო 20 წელიწადია მუშაობს ადამიანის უფლებების თემებზე არასამთავრობო ორგანიზაციებში და საგანმან-

12. მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2016: [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavhuri-GEO-web_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavhuri-GEO-web_(1).pdf)

თლებლო დაწესებულებებში. წარმოდგენილი ტექსტი მისი პირადი გამოცდილების და დაკვირვების საფუძველზეა შედგენილი.

ტექსტი ქრონოლოგიური პრინციპითაა აგებული და გვიანი 80-იანი წლებიდან თანამედროვე პერიოდამდე მიმოიხილავს სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, სოციალურ პროცესებს, რომლებსაც გავლენა ჰქონდა ადამიანის უფლებების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე. სრული პერიოდი დაყოფილია ოთხ ძირითად ნაწილად. პირველ ნაწილში აღწერილია პერიოდი 1995 წლის კონსტიტუციის შექმნამდე. მეორე ნაწილი მიმოიხილავს 1995 – 2003 წლებს. მესამე ნაწილში მიმოიხილულია 2003 – 2012 წლების პერიოდი, როგორც გზა ძალაუფლების დემოკრატიული გზით გადაბარების პირველ გამოცდილებამდე, მეოთხე ნაწილი კი მიმოიხილავს თანამედროვე ტენდენციებს.

ნაწილი I

უფლებები „რკინის ფარდის“ მიღმა

საბჭოთა კავშირი და ადამიანის უფლებები ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია. ტყუილად არ იყენებენ მიმოიხილვები ტერმინს „ფიქციური“, როდესაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას აღწერენ, მთავარ აქტს, რომელშიც ადამიანის უფლებებიც იყო ჩამოთვლილი. ჩამოთვლილი და არა დაცული, ვინაიდან უფლებადაცვითი საქმიანობა ისევე იდევნებოდა, როგორც ტერორისტული, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა და უფლებადამცველების მცირე ჯგუფსაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე მალულად უხდებოდა საკუთარი საქმიანობის განხორციელება.¹³

13. Aves J., Path to National Independence in Georgia, 1987-1990, School of Slavonic and East European Studies, University of London (1991)

ჰელსინკის დეკლარაციასთან მიერთებით საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო დონეზე აღიარა ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება, თუმცა ეს აღიარებაც ფიქციური იყო და შემდგომ პერიოდში, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, უფლებების დაცვა კვლავაც სახიფათო საქმედ რჩებოდა. უფლებებზე ლაპარაკი ფართო საზოგადოებისაგან იმდენად იყო დაფარული, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერებმაც კი ბოლომდე არ იცოდნენ, თუ ვინ იყო ამ საქმეში ჩართული საქართველოში. ეს ორი ჯგუფი – უფლებადამცველები და ეროვნული მოძრაობის წევრები – ერთმანეთისგან განცალკევებითაც კი მოქმედებდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. აქვე უნდა ითქვას, რომ უფლებადაცვითი საქმიანობა ეროვნული მოძრაობის ლიდერებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო და ნაწილობრივ, მათ პრიორიტეტსაც წარმოადგენდა. ამის კარგი დასტურია ის ფაქტიც, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ზვიად გამსახურდიას გარშემო შეკრებილი საზოგადოება საკუთარ თავს „ჰელსინკის ჯგუფს“ უწოდებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობა ჰელსინკის აქტით ხელმძღვანელობდა, ეროვნული მოძრაობის წევრებს ადამიანის უფლებების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.¹⁴ უფლებების საკითხი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა და არ აღიქმებოდა მთავარ სადისკუსიო პრობლემად. პოპულარული იყო ეროვნული უმცირესობების, რელიგიური უმცირესობების „სტუმრებად“¹⁵ მოხსენიება, მიუღებელი იყო იდენტობის საკითხებზე მსჯელობა და ა.შ. მაგალითად ვიტყვით, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები საჯარო გამოსვლებში აფხაზებს „ადილელებს“ ან „აფსუებს“ უწოდებდნენ¹⁶, რითაც მათ „უც-

14. Ghia Nodia, Alvaro Pinto Scholtbach, *The Political Landscape in Georgia*, Eburon-Delft, 2006.

15.. მიშველაძე რ., ახალგაზრდა კომუნისტი, 29 იანვარი 1989.

16. ე. წამალაშვილი, დამოუკიდებლობის გაკვეთილები (<https://u.to/iD94Gw>)

ხოობას“, „არაქართველობას“ უსვამდნენ ხაზს და დაუშვებლად მიიჩნევდნენ ფერღანაში გადასახლებული მესხების დაბრუნებას საქართველოში ასევე „არაქართველობის“ მოტივით.¹⁷ როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი შენგელაია იხსენებს: „ამ საკითხებზე საერთოდ არ ვლაპარაკობდით. არ ვიცნობდი უფლებადამცველებს, რადგან ეს ხალხი (ემილ ადელხანოვი და სხვ.) საჯარო მოღვაწეობას ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა და, როგორც წესი, ისინი ჩვენ შეკრებებს არ ესწრებოდნენ.“¹⁸

სათანადოდ არ იყო გაცნობიერებული მოქალაქეობის იდეაც. „მოქალაქეობის ცნება უცხოა საბჭოთა მოქალაქისთვის ...“¹⁹, – წერდა ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი და სახელმწიფოსა და ადამიანს შორის არსებულ „ქვეშევრდომულ“ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფართო საზოგადოებისთვის სრულიად უცხო იყო ადამიანის უფლებების პრიორიტეტი, მისი ღირებულება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი შეუძლებელიც იყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სპეციალური ლიტერატურა ძნელად იშოვებოდა. ეს თემა მხოლოდ შეფარვით ჩნდებოდა ელიტური მკითხველისთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში.²⁰ აღნიშნული ჯგუფი კი კომუნისტური პარტიის ელიტასთან იყო დაკავშირებული და ამ თემაზე ღიად საუბარს ერიდებოდა.²¹

17. ე. წამალაშვილი, სტატიების კრებული: დამოუკიდებლობის გაკვეთილები (<https://u.to/iD94Gw>)

18. ინტერვიუ ირაკლი შენგელაიასთან, 23 აპრილი 2020.

19. მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტიპოლოგია, 2013

20. ინტერვიუ ირაკლი შენგელაიასთან, 23 ივლისი 2020

21. ინტერვიუ ირაკლი შენგელაიასთან, 23 ივლისი 2020

სამოქალაქო საზოგადოების დაბადება

სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციაზე ბევრ დროს არ დავხარჯავთ და მკითხველს თავიდანვე ვეტყვი, რომ „სამოქალაქო საზოგადოებას“ ჩვენ ტექსტში ვუნოდებთ აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს და საზოგადოებაში ცნობილ აქტივისტებს. სამოქალაქო საზოგადოების როლზე საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში უამრავი დაწერილა და შემფასებლები, იმის მიხედვით, თუ რომელ პერიოდს აფასებენ, ამ უკანასკნელს ხან „ლიდერს“ უწოდებენ, ხანაც – „დონორებზე დამოკიდებულს“.²² შეიძლება დავეთანხმოთ, ან – არა, მაგრამ ერთი ცხადია: სამოქალაქო საზოგადოება ყოველთვის აქტიური იყო.²³

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები 80-იან წლებში იქმნება, როცა ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებული აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა ინტერესის გარშემო ერთიანდებოდნენ, იქნებოდა ეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თუ გარემოს დაცვის საკითხები. ამგვარი გაერთიანებები, იშვიათი გამონაკლისების გარდა (მაგ. „კავკასიური კლუბი“), ფორმალურ სახეს ვერ იღებდა და ამიტომ აქტიურ მოქალაქეებს „არაფორმალურებსაც“ უწოდებდნენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმალურად რეგისტრაცია 92-95 წლებში დაიწყო და არსებული სადისკუსიო კლუბების, მედიების ბაზაზე შეიქმნა პირველი რეგისტრირებული ორგანიზაციები. ფონდების: „ღია საზოგადოება-საქართველოს“, „ევრაზიას“ და „ჰორიზონტის“ დახმარებით ახლად შექმნილმა ორგანიზაციებმა შეძლეს სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობის გაშლა. ადამიანის უფლებების საკითხი ერთ-ერთ პრიორი-

22. Lutsevich, O. How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine, Chatham House, London, 2013

23. Nodia, G. The Role of Democracy Research Organizations in Georgia. National Endowment for Democracy, Democracy Think Tanks in Action, (2013)

ტეტად იქცა. პოლიტიკოსების ერთი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის გაძლიერების შესაძლებლობადაც აღიქვამდა და აქტიურ ჯგუფებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა. 90-იანი წლების დასაწყისში მწვანეთა პარტიამ სპეციალური მცირე გრანტებიც კი გასცა ნებისმიერ მსურველზე, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებით დაინტერესდებოდა.²⁴

თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სისუსტეებზე ვისაუბრებთ, მთავარ სისუსტედ დღემდე რჩება საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის არქონა. ეს „სენი“ არასამთავრობო ორგანიზაციებს ყოველთვის თან სდევდა და სამოქალაქო საზოგადოებას „ელიტურ“ კლუბად წარმოაჩენდა ფართო საზოგადოების თვალში. ამ კლუბში მოხვედრის მთავარი მოტივი ბევრისთვის, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფინანსური უსაფრთხოების მიღწევა უფრო იყო, ვიდრე საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ბრძოლა. ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად კეტავდა ამ სექტორს ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობისთვის.²⁵

მეორე მნიშვნელოვანი ნაკლი არასამთავრობო ორგანიზაციების დონორებზე დამოკიდებულებაა. თითქოს ადამიანის უფლებების დაცვის კამპანიებში ეს ნაკლებად უნდა ქმნიდეს პრობლემას, რადგან ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესი ყველა დასავლელი დონორისთვის გასაგები ინტერესია, მაგრამ რეალობა სხვაა. დონორის ცვალებადი პოლიტიკა პრობლემას უქმნის კამპანიების მდგრადობას. მათი უმრავლესობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად პრიორიტეტულია დონორისთვის კონკრეტული საჯარო ინტერესი დროის კონკრეტულ მონაკვეთში. აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში სამოქალაქო

24. თარხნიშვილი ლ., არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში, 1999.

25. ნოდია გ., სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში; მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005.

კამპანიები უფრო მეტ დამოუკიდებელ, „არაფორმალ“ აქტივისტს აერთიანებს და მდიდარი გამოცდილებაც დაგროვდა კერძო შემომწირველებისგან დაფინანსების მოზიდვის მხრივ. „20 ივნისის მოძრაობა“, იგივე „სირცხვილია“, რომელიც ფართო საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე სპონტანურად შეიქმნა,²⁶ დიდწილად კერძო შემომწირველების თანხებით ტარდებოდა.²⁷ სამოქალაქო საზოგადოების ზრდასთან ერთად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მეტად ხვდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლო დემოკრატიულ ღირებულებებზე დისკუსიის წარმოება, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში მონაწილეობა, ვარდების რევოლუციის დროს დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვა და საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან შეივსო და ივსება პოლიტიკური წრეები ახალი კადრებით. ამ სექტორსაც ჰქონდა და აქვს სტრუქტურული პრობლემები, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანის უფლებათა დაცვის კამპანიებში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ყოველთვის გადამწყვეტი იყო და ასეთად რჩება.

გზა პირველ კონსტიტუციამდე – ბნელ ოთახში დაყრილი არქივი

1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვების შემდეგ ცვლილებები შევიდა საბჭოთა კავშირის 1978 წლის კონსტიტუციაში და ეს მოდიფიცირებული

26. Meladze G., Georgia's Pro-Democracy Movement in Full Swing as 2020 Elections Approaches, Minds of the Movement, ICNC blog on the people and power of civil resistance, 2019

27. ინტერვიუ გიორგი ნონიაშვილთან, 22 აპრილი 2020.

დოკუმენტი იქცა დამოუკიდებელი საქართველოს ახალ კონსტიტუციად. მთელი შემდგომი მოვლენები იმდენად სწრაფად და ქაოსურად განვითარდა – ჯერ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა და რომლის თანახმადაც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი (რეფერენდუმის შედეგი გახდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების საფუძველი); მერე დამოუკიდებლობის გამოცხადება 9 აპრილს; დაპირისპირება პოლიტიკურ/ეთნიკურ ნიადაგზე ცხინვალსა და აფხაზეთში; სამოქალაქო ომი თბილისში და გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა 1992 წლის იანვარში და ა.შ. – რომ ძნელია, ლაკონურად გადმოსცე და არ გამოტოვო მნიშვნელოვანი მოვლენები. პოლიტიკური ოპოზიცია გამსახურდიას ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დარღვევისთვისაც აკრიტიკებდა, თუმცა ამ პერიოდში უფრო ეროვნული მოძრაობის პერიოდში არსებული განწყობების ინერციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ვიდრე ადამიანის უფლებების სახელმწიფო პოლიტიკაზე. პროცესები იმდენად სწრაფად განვითარდა, დემოკრატიული ინსტიტუტები იმდენად ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო, რომ ადამიანის უფლებების პოლიტიკის გააზრებისთვის სივრცე არც შექმნილა.

ხელისუფლების სამხედრო გზით დამხობის შემდეგ ხელისუფლება ე.წ. „სამხედრო საბჭოს“ ხელში გადავიდა, რომელმაც გააუქმა მოქმედი კონსტიტუცია და აღადგინა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია. როგორც ზემოთ ვახსენეთ, 1992 წელს ჩატარდა არჩევნები და უკვე არჩეულმა პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რითაც ჩანაცვლდა მანამდე არსებული დოკუმენტი და მთელი შემდგომი პერიოდი, 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, ეს კანონი სწევდა კონსტიტუციის მაგივრობას.

1993 წელს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია და მას დაევა ახალი კონსტიტუციის მომზადება. კომისიამ ორი წელი იმუშავა და შექმნა პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანი

შინაარსობრივი ცვლილებების შემდეგ დაამტკიცა პარლამენტმა.

1995 წლის კონსტიტუციის მიღების პროცესი გამოიკვლია და აღწერა გერმანელმა მკვლევარმა ვოლფგანგ გაულმა. ის ერთადერთი მკვლევარია, რომელმაც შეისწავლა ყველა არსებული წყარო და მისი წიგნის კითხვისას აუცილებლად მოგხვდებათ თვალში ფრაზა: „მე ვთხოვე საკონსტიტუციო კომისიის მდივანს, ავთანდილ დემეტრაშვილს, მოეცა ჩემთვის კომისიის დოკუმენტების გაცნობის უფლება. მან ერთ ბნელ სამუშაო ოთახში შემეყვანა და ერთ-ერთ კუთხეზე მიმითითა. ჩემდა გასაკვირად, ამ კუთხეში ერთმანეთზე ეყარა (პირდაპირ იატაკიდან დანყებული, დაახლოებით ერთი მეტრისა და ოცი სანტიმეტრის სიმაღლეზე) საკონსტიტუციო კომისიის ყველა დოკუმენტი, გახვეული საქალაქებში“. ამგვარ სცენარს ადვილად წარმოიდგენს „90-იანელი“, რომელსაც ყოველდღიურად უხდებოდა ურთიერთობა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან („საძმოებთან“), „კანონიერ ქურდებთან“, კორუმპირებულ პოლიციელებთან, კორუმპირებულ სასამართლო სისტემასთან, უმოქმედო ინსტიტუტებთან.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენ მიერ ნახსენები გერმანელი მკვლევარის ნაშრომში ადამიანის უფლებების საკითხი არ არის სათანადოდ გამოკვლეული. უფრო მეტიც, როდესაც წარმოდგენილი კვლევის ავტორი სამუშაო პროცესზე ინფორმაციის მოძიებას ცდილობდა, მხოლოდ ზოგადი ცნობები მიიღო სამუშაო ჯგუფის წევრებისგან, რაც მკითხველს სრულ წარმოდგენას ვერ შეუქმნის. მაგალითად, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ვახტანგ ხმალაძემ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა კონსტიტუციაში ჩანერის საჭიროებაზე კომისიის შექმნის საწყის ეტაპზევე ითქვა, თუმცა ვერ გაიხსენა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობდა. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ Habeas Corpus მოამზადა მკვლევარმა გია მეფარიშვილმა, მაგრამ გაუჭირდა, მეტი დეტალები გაეხსენებინა სხვა მუხლების, უფლებე-

ბის მეორე თავში მოხვედრის ისტორიაზე და ა.შ.²⁸ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1995 წლის კონსტიტუციაში უფლებების თავი ადამიანის უფლებათა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კონვენციის ტექსტის საფუძველზე შედგა,²⁹ კონსტიტუციის წერის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები ამერიკელი, უნგრელი, გერმანელი და პოლონელი ექსპერტები. ანდრამ შაიოსა და ჰერმან შვარცთან ვარშავაში გამართული შეხვედრის შემდეგ დასრულდა ადამიანის უფლებების მეორე თავი და აისახა ერთიან დოკუმენტში.³⁰ აღნიშნული თავის შექმნის პროცესი ქაოსური იყო და სამუშაო პროცესში სპონტანურად ხდებოდა ცვლილებების შეტანა.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ესმოდა ადამიანის უფლებები და სახელმწიფო იმ დროის იურიდიულ საზოგადოებას, მაგრამ ზედმეტი ტექსტებით თავს არ შეგანწყენთ, ერთ ციტატას მოვიყვან გაულის კვლევიდან: „პარლამენტი თანასწორუფლებიანი უნდა იყოს, მაგრამ პრეზიდენტი უნდა იყოს პრეზიდენტი“. ციტატა იმ დროის ერთ-ერთ გავლენიან იურისტს, გიორგი ინწკირველს ეკუთვნის და კარგად ასახავს ძალაუფლებისა და დემოკრატიისადმი არსებულ დამოკიდებულებას იმდროინდელ იურისტებში.

28. ინტერვიუ ვახტანგ ხმალაძესთან, 22 აპრილი 2020

29. დემეტრაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა, 2010

30. ინტერვიუ ავთანდილ დემეტრაშვილთან, 17 ივნისი 2020

ნაწილი II

საერთაშორისო ვალდებულებები რომ არა...

კონსტიტუციის მიღებას მოჰყვა არსებული ინსტიტუტების რეფორმირება და ახალი კონსტიტუციური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაც. სახალხო დამცველი და საკონსტიტუციო სასამართლო ორი ინსტიტუტი იყო, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ადამიანის უფლებებთან და ორივე ახალი კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული.

პირველ სახალხო დამცველად შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით სალარიძე აირჩიეს. სახალხო დამცველი, რომელსაც ორ ყველაზე კორუმპირებულად მიჩნეულ ინსტიტუციაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, ყველაზე მისაღებ კანდიდატურად ჩათვალა პრეზიდენტმა შევარდნაძემ. ამ ნაბიჯით მან მკაფიო სიგნალი გაუგზავნა საზოგადოებას, რომ კონსტიტუციაში ეწერა ერთი და, რეალურად, ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება რამდენიმე თვე გაიწელა და კინალამ აცდა კონსტიტუციით დადგენილ ვადებს. კანონი მიიღეს ვადის ამონურვამდე რამდენიმე დღით ადრე და მოსამართლეების შერჩევა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. საკონსტიტუციო სასამართლო დაკომპლექტდა სამართლის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და უზენაესი სასამართლოდან გადაყვანილი კადრებით. მოსამართლეთა დანიშვნა 1995 წლის დეკემბერში დაიწყო და 1996 წლის ივლისში დასრულდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაინერა სასამართლოს რეგლამენტი. პირველი რამდენიმე თვე, სასამართლო რეგლამენტის გარეშე იღებდა და არეგისტრირებდა საქმეებს.³¹

უფლებაცავით საქმიანობაში აქტიურობდა პარლამენტის

31. ინტერვიუ ნონა წონორიასთან, 14 ივნისი 2020

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიც, თუმცა სამართლიანი იქნება აღინიშნოს, რომ წამყვან ძალად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იქცნენ და სწორედ მათი ძალისხმევით შედეგი იყო უფლებების საკითხებზე საჯარო დისკუსიის წარმოება, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და ა.შ.³²

სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობას ზურგს უმაგრებდა ახლად შექმნილი პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი და საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა. თუმცა განსაკუთრებული როლი ადამიანის უფლებათა სტანდარტების დადგენაში საერთაშორისო ორგანიზაციებს და იმ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ჰქონდათ, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ საქართველოს, როგორც ეკონომიკის, ისე პოლიტიკის სფეროებში. 1998 წელს, აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული „რელიგიის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო აქტი“³³ ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტი იყო. ამ აქტმა უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყურადღება გააძლიერა და, შედეგად, რელიგიის თავისუფლების დაცვა სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში გამორჩეულ თემად იქცა. შესაბამისად, გაიზარდა ყურადღება უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართაც და ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობდნენ, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართ გაზრდილი ყურადღება ახალი ორგანიზაციების შექმნას ახალისებდა. ფონდები ფინანსური რესურსებით ეხმარებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს. 2001 წლისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევდა და მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი

32. ინტერვიუ ნონა წონორიასთან 14 ივნისი 2020

33. International Religious Freedom Act, 1998

მხოლოდ ერთი პროექტის განხორციელებისთვის იქმნებოდა, რამდენიმე ათეულმა ორგანიზაციამ შეძლო ინსტიტუციური ბაზის განვითარება და გაძლიერება.³⁴

უფლებადამცველებისთვის გარდამტეხი მოვლენა გახდა საქართველოს ევროსაბჭოში განვერიანება. წევრობა საქართველოსთვის ბევრ პრაქტიკულ სიახლეს ნიშნავდა და სიმბოლურიც იყო – საქართველო უბრუნდებოდა ევროპულ ოჯახს.

განვერიანების სანაცვლოდ, საქართველომ თავის თავზე აიღო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში რეფორმების გატარება. საქართველოს კანონებზე მეტი ძალა შეიძინა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციამ. ორივე სიახლე უფლებადაცვითი საქმიანობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის იყო. პირველი რეფორმების გატარებას ავალდებულებდა სახელმწიფოს – კანონის უზენაესობის, უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. მეორე კი საქართველოს მოქალაქეებს უსამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას აძლევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ევროსაბჭოში განვერიანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფონზე, როცა მთელი სამართალდამცავი სისტემა კორუფციაში ჩაფლულიყო, სახელმწიფო ინსტიტუტები ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა, მოშლილი იყო საგანმანათლებლო სისტემა, ადამიანი სახელმწიფო მოხელეებისა და კრიმინალის ზენოლისგან დაუცველი იყო, ბიზნესი ორმაგ გადასახადს იხდიდა პოლიციისა და კრიმინალისგან თავის დასაცავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფანჯრებიდან პერიოდულად ცვიოდნენ ბრალდებულები და ეჭვმიტანილები. ეს ყველაფერი ყოველდღიურობის ნაწილი იყო და კატასტროფულ მასშტაბებამდე მიდიოდა. 1997-2001 წლებში მხოლოდ რელიგიურ უმცირესო-

34. ნოდია გ., სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში; მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005

ბებზე ორგანიზებული თავდასხმების რაოდენობა რვაასს აღ-
ნევდა. შეუძლებელია აღირიცხოს ინდივიდუალური მორწმუ-
ნეების დევნის, ბუღინგისა და შევიწროების ფაქტები.³⁵

კორუფციის, ძალადობისა და უსისტიემობის პრობლემა ერთ
მთლიანობადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელიც ადა-
მიანისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა, ფლანგავდა
საჯარო სახსრებს და ეკონომიკის 70% ჩრდილში ჰყავდა გან-
დევნილი.

„მე ვარ ქართველი, და მაშასადამე, ვარ ევროპელი“³⁶ გა-
ნაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ და ამით არა მარტო
ხაზი გაუსვა საქართველოს დასავლურ არჩევანს, არამედ
რეფორმების ახალი ეტაპიც დააანონსა. პოლიტიკური ელი-
ტა ცდილობდა, დასავლელი პარტნიორების დასანახად მაინც
გაეტარებინა საჩვენებელი რეფორმები, რაც საქართველოს
„ევროპული კლუბის“ წევრობას და ფინანსურ დახმარებებს
შეუნარჩუნებდა. ამგვარი დახმარების გარეშე შეუძლებელი
იყო სახელმწიფო ინსტიტუტების შენარჩუნება, როცა სახელ-
მწიფოს ბიუჯეტი რამდენიმე ასეულ მილიონს არ ცდებოდა.

1998-2001 წლებში პოპულარულ თემად იქცა სასამართლო
რეფორმა. ავარიულ შენობებში განთავსებული სასამართლოე-
ბი, საბჭოთა მოსამართლეები, კორუფციული გარიგებები
კონკრეტული რეფორმების განხორციელების აუცილებლო-
ბას ქმნიდა. სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა ძველი
მოსამართლეების გათავისუფლებას და ახალი მოსამართლე-
ების შერჩევას გულისხმობდა, მაგრამ მალევე ნათელი გახდა,
რომ პროკურატურის, პოლიციის რეფორმების გარეშე მოსა-
მართლეების ცვლილება შედეგს ვერ მოიტანდა და ვერც უფ-
ლებათა დაცვის გარანტი გახდებოდა. რეფორმის შეჩერება
სცადა საკონსტიტუციო სასამართლომ, როცა მოქმედ მოსა-
მართლეთა ვადაზე ადრე გათავისუფლება კონსტიტუციასთან

35. თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებების მიმოხილვა, 2004

36. ციტატა ზურაბ ჟვანიას 1999 წლის 27 იანვარს ევროსაბჭოში წარმოთქმუ-
ლი ცნობილი სიტყვიდან,

შეუსაბამოდ გამოაცხადა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების მწვავე რეაქციის ფონზე და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად, სახელმწიფო იძულებული გახდა, დაენიშნა კონკურსის წესით გამარჯვებული კანდიდატები.

ფუნდამენტური განახლების რესურსი სისტემას არ გააჩნდა და პირველი რეფორმაც სიმულაციური ხასიათის უფრო იყო, ვიდრე რეალური.³⁷ სამართალდამცავი ინსტიტუტები „რკინის კაცის“³⁸ მითითებით აგრძელებდნენ მუშაობას და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხზე სასამართლო რეფორმას დიდი გავლენა არ მოუხდენია.

ნაწილი III

„10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ ანუ

რეფორმები „ჯაღოსური ჯოხის“ გარეშე

ვარდების რევოლუცია წყალგამყოფ ხაზად იქცა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მშვიდობიან ცვლილებებს განსაკუთრებული ენთუზიაზმით უყურებდნენ დასავლელი პარტნიორები. „ნაცრისფერი ზონიდან“³⁹ საქართველო მალევე გადაიქცა „თავისუფლების შუქურად“.⁴⁰ ზვავივით მოწოლილი რეფორმების მთავარი მიზანი, ბევრ სხვა ამოცანასთან ერთად, კორუფციის დამარცხება, საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სამართალდამცავი სისტემის, კანონის უზენაესობის კულტურის გაძლიერება იყო.

37. თევზაძე გ., საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 1999

38. შინაგან საქმეთა მინისტრის, კახა თარგამაძის ზედმეტსახელი

39. Nodia G., Story of Georgia State-Building: Dramatic but Closer to Completion, in: 25 Years of Independent Georgia, Achievements and Unfinished Projects, Ilia State University Press, Tbilisi 2016

40. Civil.ge: <https://civil.ge/ka/archives/135145>

თუმცა სულ მოკლე ხანში პარლამენტმა ახალი ცვლილებები დაამტკიცა კონსტიტუციაში, რითაც პოლიტიკური ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში კონსოლიდაცია მოახდინა, დაასუსტა პარლამენტის როლი, პრეზიდენტს გაუადვილა პარლამენტის დაშლა და იმ პირობებში, როცა პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტია საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენდა, პრეზიდენტს მართვის შეუზღუდავი ბერკეტები გადასცა. რეფორმებმა ოპონენტებისა და დემოკრატიული ძალების კრიტიკა დაიმსახურა,⁴¹ თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველი კანონი, რომელიც ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღო, გამოსატვის თავისუფლების დაცვის თანამედროვე სტანდარტებს ამკვიდრებდა. კანონს მაღალი შეფასებები მისცეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა პოსტრევოლუციური მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“ საზოგადოების ერთი ნაწილის მწვავე კრიტიკას იმსახურებდა.⁴² ქუჩის დანაშაულის კლებას, უსაფრთხო გარემოს შექმნას იწონებდა ფართო საზოგადოება და პოლიციის რეფორმის შემდგომ სამართალდამცავთა მიმართ ნდობა 80%-ზე მაღლა ავიდა. თუმცა მთავრობის პოლიტიკური ოპონენტები სისტემის რეპრესიულ ბუნებასა და სუსტ სამართლოზე მიუთითებდნენ.

ვარდების რევოლუციამდე საზოგადოებისთვის მიცემული პირობა – „10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ – ეტაპობრივად სრულდებოდა, თუმცა კრიტიკოსები რეფორმების მდგრადო-

41. Meladze G. & Godoladze K., Instrumentalization of the Constitution: Story of Post-Revolutionary Constitution-Making, paper presented at International Conference on Constitutional Law in Oslo, 2014 (<https://conlaw.iliauni.edu.ge/instrumentalization-of-the-constitution-story-of-post-revolutionary-constitution-making-2/>)

42. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ნულოვანი ტოლერანტობა და (თითქმის) ნულოვანი გამართლება, 2010 (<https://transparency.ge/ge/blog/pnulovani-tolerantoba-da-titkmis-nulovani-gamartlebap>)

ბასა და განგრძობადობას აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ. მაგ.: სასამართლო რეფორმა, ახალი კონსტიტუციური გარანტიები, მოსამართლეებს მოქმედების თავისუფლებას აძლევდა, მაგრამ, პარალელურად, საზოგადოების ყურადღებას იქცევდა შემთხვევები, როცა „არასანდო“ მოსამართლეები შევიწროების მსხვერპლი ხდებოდნენ სხვადასხვა გზით, მაგ: „ურჩებს“ მაღალმთიან რეგიონებში უშვებდნენ სამუშაოდ, რითაც მათ ჩამოაცილებდნენ მოქმედებების ეპიცენტრს და ბევრისთვის ეს გათავისუფლების ტოლფასიც იყო, რადგან საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, ფაქტობრივად მონყვეტილად ყოფნა ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას ართმევდათ.

ყურადღების ცენტრში მოექცნენ ძალოვანი უწყებების, უშიშროებისა და პროკურატურის თანამშრომლები. სასამართლო მონიტორინგის არაერთი პროექტით მტკიცდებოდა, რომ პროკურატურას სრული კონტროლი ჰქონდა სასამართლოზე და საქმეთა უდიდეს უმრავლესობას წარმატებით ამთავრებდა, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მინიმალური მტკიცებულებები იყო წარმოდგენილი.⁴³

განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებდა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ვითარება. ძალიან ძნელია ვითარების შედარება 2003 წლამდე არსებულ მდგომარეობასთან. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობამ რადიკალური ნაბიჯები გადადგა და მოშალა კრიმინალური ავტორიტეტების ფაქტობრივი კონტროლი ციხეებში. ამან იქ არსებითად ახალი ვითარება შექმნა, რადგან სახელმწიფო გახდა წესრიგის ერთადერთი მოკარნახე. ამ რეფორმას უკვალოდ არ ჩაუვლია და 2006 წელს ორთაჭალის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში კრიმინალური ავტორიტეტების ორგანიზებით სისხლიანი დაპირისპირება გაიმართა პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის. ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, დამხმარე ძალა გამოეძახებინა და მისი

43. იხილეთ სახალო დამცველის ანგარიშები 2005-2012 წლები

მეშვეობით ჩაეხშო ამბოხი. „ციხის ბუნტი“ ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, „ძალდობრივ ინციდენტად“ შეაფასა და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა მთავრობას.⁴⁴ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი კი ამ მოვლენას ადამიანის უფლებათა დარღვევის ქრილში განიხილავდა და მთლიანი პროცესის ლეგიტიმურობას აყენებდა ეჭვის ქვეშ.

კრიტიკოსები გამოუჩინდნენ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ზომებსაც. ახალმა კანონმა დანაშაულად გამოაცხადა ორგანიზებული დანაშაულის წევრობა, ხოლო წევრობის კრიტერიუმად პირის მიერ „ქურდული მენტალიტეტის“ აღიარებას მიიჩნევდა. პოლიტიკური ოპოზიციის ერთი ნაწილი რეგულაციას გამობატვის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევდა და რეპრესიული კანონმდებლობის მიღებაში ადანაშაულებდა მთავრობას. აღნიშნული დავა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაგრძელდა და დასრულდა ცნობილი გადაწყვეტილებით „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს უფლება ჰქონდა, ფართო ფორმულირება მიეცა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონისთვის, რათა ეფექტიანად ემოქმედა მყარად ფესვგადგმული კრიმინალური ორგანიზაციის წინააღმდეგ.⁴⁵

კრიტიკის განსაკუთრებულ ობიექტად იქცა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა. მთავრობა ძალოვან უწყებებს ავალებდა, ნებისმიერ ფასად აღმოეფხვრათ კრიმინალი, რამაც ამ უკანასკნელთა მხრიდან ლეტალური იარაღის და ძალის გამოყენების შემთხვევები გაზარდა. პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა „გირგვლიანის საქმემ“. 2006 წლის 8 იანვარს თბილისთან ახლოს მკვდარი იპოვეს 28 წლის სანდრო გირგვლიანი. გარდაცვლილს სხეულ-

44. Civil.ge: ბურუსით მოცული ციხის ინციდენტი, <https://bit.ly/3eyutT7>

45. აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ №45554/08 15 ივლისი 2014

ზე მრავლობითი ქრილობები ჰქონდა. გარდაცვლილის დედამ შსს-ის მაღალჩინოსნებს დასდო ბრალი შვილის მკვლელობაში. შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო ბრალდებები, რასაც პოლიტიკური ოპოზიციის პროტესტი მოყვა. საქმემ პოლიტიკური აქტუალობა შეინარჩუნა და დღესაც ხშირად იხსენებენ, როგორც წინა მთავრობის დანაშაულს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება არაეფექტიანად მიიჩნია, რითაც ხაზი გაუსვა სამართალდამცავ ინსტიტუტებში არსებულ სისტემურ პრობლემებს.⁴⁶

ამ პერიოდში გააქტიურდნენ სექსუალურ უმცირესობათა დამცველი ორგანიზაციები, რასაც რადიკალურად დაუპირისპირდნენ როგორც პოლიტიკური პარტიები, ისე „ქუჩის ბანდები“. სექსუალურ უმცირესობათა უფლებები დაცვის საკითხი პირველად დადგა დღის წესრიგში და ნელ-ნელა მწვავე დაპირისპირებამ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისგან სექსუალური უმცირესობების თემისკენ გადაინაცვლა.

სოციალური უფლებები – „ნამდვილი“ თუ „ყალბი“ ადამიანის უფლებები?

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა, რომელიც აქტიურად უპირისპირდებოდა მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ 2004-2012 წლებში გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, რეგულაციების შემცირებასა და ზოგჯერ სრულად გაუქმებას, ბაზრის ლიბერალიზაცია მიუღებელ, სოციალურ უფლებათა საწინააღმდეგო ნაბიჯად გამოცხადა. ეს კამათი განსაკუთრებით გამწვავდა 2010 წელს, შრომის კოდექსის მიღების დროს. საბჭოთა კავშირის დროინდ-

46. Enukidze and Girgvliani v. Georgia (25091/07)

ლი კანონის რეფორმამ, პროფესიული გაერთიანებების ექსკლუზიური უფლებამოსილებების შესუსტებამ, მთავრობის წინააღმდეგ განაწყო მემარცხენე აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი. იდეოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე წარმოშობილი უთანხმოება ნითელ ხაზად გასდევდა ნაციონალური მოძრაობის მართვის პერიოდს.

„ნეოლიბერალები“ – ასე უწოდებდნენ კრიტიკოსები „მემარჯვენე“ ეკონომიკური რეფორმების ინიციატორ მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ „მემარჯვენე“ ძალების ერთი ნაწილიც ძალიან კრიტიკულად იყო განწყობილი მთავრობის არათანმიმდევრული ნაბიჯების მიმართ. სადავო გახდა უამრავი საკითხი:

– საჯარო სამსახურებიდან ათასობით ადამიანის დათხოვნა მოსაწონი იყო მათთვის, ვინც კორუფციას აკრიტიკებდა წლების მანძილზე და მერიტოკრატიულ ინსტიტუტებს უჭერდა მხარს. ამ დროს, სოციალური უფლებების დარღვევაზე ლაპარაკობდნენ „მემარცხენე“ ღირებულებების მქონე ჯგუფები, რომელთათვისაც მიუღებელი იყო საჯარო მოხელეების, პოლიციელების გათავისუფლება – რეფორმის გატარების მოტივით;

– კამათი გამოიწვია სოციალური დახმარებების სელექციურად განაწილების პრინციპმაც. მთავრობა ასაბუთებდა, რომ სოციალურ დახმარებას აღმოუჩენდა ღარიბი მოსახლეობის ერთ ნაწილს, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს პასუხობდა, ხოლო კრიტიკოსები მიუთითებდნენ სისტემის გაუმართაობასა და ხარვეზებზე, რაც უამრავ ღარიბ ადამიანს დაცვის გარეშე ტოვებდა.⁴⁷

უფლებათა შინაარსზე დავა არასდროს ყოფილა ისეთი „გამყოფი“, როგორც 2004-12 წლებში. განსხვავებული ღირე-

47. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა, 2010

ბულებების მქონე ჯგუფები დაუსრულებლად კამათობდნენ საერთაშორისო უფლებების შინაარსზე, პრიორიტეტებზე. სოციალური უფლებები აქტივისტებისა და უფლებადამცველთა ერთი ნაწილისთვის „ნამდვილ“ უფლებებად არ განიხილებოდა, ხოლო მემარცხენე ჯგუფები სოციალური უფლებებისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თანაზომიერი ყურადღების მიქცევას მოითხოვდნენ.

სამოქალაქო საზოგადოება კონსენსუსის ძიებაში თუ მის გარეშე?

უფლებათა დაცვა შეთანხმებებსა და კონსენსუსსაც გულისხმობს. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას ყოველთვის მოიხსენიებდნენ ეფექტიან ჯგუფად სწორედ იმის გამო, რომ ყოველთვის ახერხებდა კონსოლიდაციას მთავარი პრობლემების მოსაგვარებლად. 2003 წლის შემდეგ ასეთი კონსოლიდაცია გართულდა. მკვეთრად პოლარიზებულ გარემოში ღირებულებითი განსხვავებები კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა. პოლარიზებული მედია, ასეთივე პოლიტიკური გარემო და სამოქალაქო საზოგადოება თითქმის შეუძლებელს ხდიდა რაიმე სახის შეთანხმებას განსხვავებული შეხედულების ინტერესთა ჯგუფებს შორის. სტატიის ავტორი არაერთ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას დასწრებია, რომლებზეც მხარეები განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდნენ დეკლარირებულად, განხილვის და შეთანხმების სურვილის გარეშე. ფორმალურად არსებული ფორმატების მიუხედავად, ძალიან იშვიათი იყო კონსენსუსის ძებნის და მიღწევის სურვილი.

შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონსტრუქციული დიალოგის გამართვის შესაძლებლობას იძლეოდა და ახერხებდა განსხვავებული ინტერესების დამცველი ჯგუფებისთვის „თამაშის თანასწორი წესების“ შეთავაზებას, საკონსტიტუციო სასამართლო იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ევროპული კონვენციის და დემოკრატიული საელმწიფოების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, აქტივისტების მიერ ინიცირებულ საქმეებზე უფლებების კანონმდებლობის მნიშვნელოვნად მოდიფიცირება შეძლო. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძირითადი „ტესტების“ შექმნა, სხვადასხვა უფლების შინაარსის განმარტება თანამედროვე სტანდარტების ქრილში. სასამართლო იქცა განსხვავებული ღირებულებების მქონე ახალგაზრდა, დამწყები იურისტების სკოლად. ათობით იურისტმა გაიარა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამზადებელი კურსები და შეიქმნა კონსტიტუციური მართლმსაჯულებით დაინტერესებულ იურისტთა წრე, რამაც მნიშვნელოვნად წინ წასწია უფლებადაცვითი საქმიანობა. კანონების შეცვლის პრიორიტეტი ნელ-ნელა სასამართლოს გზით არაკონსტიტუციური კანონების გაუქმების ტაქტიკამ ჩაანაცვლა და თუ წინა პერიოდში პარლამენტთან მუშაობა ითვლებოდა მთავარ ამოცანად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა სასამართლო დავების მიმართულებით გააძლიერეს მუშაობა და ბევრმა ორგანიზაციამ სპეციალური ცოდნის მქონე იურისტიც აიყვანა საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოებისთვის. 2006 წლიდან მოყოლებული, საკონსტიტუციო სასამართლომ უამრავი პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო სამოქალაქო და პოლიტიკური, საპროცესო უფლებების მიმართულებით, რამაც ფუნდამენტურად შეცვალა მოქმედი კანონმდებლობა და ერთგვარი „კონსენსუსი“ შექმნა ადამიანის უფლებათა შინაარსზე სახელმწიფოსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. თუმცა, აქაც მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნა სახელმწიფომ, როცა მან სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე უარი თქვა, გადადო ან უბრალოდ უყურადღებოდ დატოვა.

ნაწილი IV

ერთი ნაბიჯი წინ, ორი – უკან, „უმრავლესობის ტირანიისკენ“

2012 წლის არჩევნები ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი არჩევნები, რომელიც ძალაუფლების მქონე პოლიტიკური პარტიის დამარცხებით დასრულდა. საბჭოთა კავშირისგან თავდახსნილი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია პოლიტიკური ძალაუფლების არჩევნების გზით გადაბარება და საქართველომ ეს შეძლო. შედეგს მოუმზადებელი შეხვდა გამარჯვებული პარტიების კოალიცია, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა მოქმედ ინსტიტუტებს, დაიწყო პოლიტიკურ ოპოზიციაში დარჩენილი პოლიტიკოსებისა და „არალოიალურად“ მიჩნეული საჯარო მოხელეების დევნა.

პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების პროცესში გააქტიურდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც და რადიკალური ჯგუფების დახმარებით შეეცადა, ზენოლა მოეხდინა მთავრობაზე საკუთარი სტატუსის გაძლიერების მიზნით. ეკლესიიდან წამოსული სიგნალი უყურადღებოდ არ დარჩენილა, სახელმწიფომ გადადგა შემხვედრი ნაბიჯები, რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობის სტილი შეცვალა და რელიგიის თავისუფლების დაცვის არსებული ჩარჩოს ჩანაცვლება დაიწყო კონტროლის რეჟიმით, შექმნა რელიგიის სააგენტო, რომელსაც გადააბარა რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებულ კონფლიქტებში შუამავლობა. ამ პროცესში ძალის დემონსტრირების ობიექტად უმცირესობები იქცნენ. 2013 წლის 17 მაისი იყო პირველი სიგნალი, როცა ათასობით რადიკალურად განწყობილი, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მობილიზებული „მრევლი“ სექსუალური უმცირესობების შეკრებას დაესხა თავს და შემდეგ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო უმცირესობების შევიწროვებამ, რასაც მმართველი პარტიის

წარმომადგენელთა განცხადებებიც ახალისებდა.⁴⁸ რელიგიათა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ უახლეს მიმოხილვაში კარგადაა აღწერილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული პოლიტიკის ბუნებაც და შედეგებიც.⁴⁹

აჭარასა და გურიაში გაძლიერდა წნეხი საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებზე. 2013 წლის 26 აპრილს შემოსავლების სამსახურმა ქელაში მდებარე მეჩეთს მინარეთი მოაჭრა და მხოლოდ სამთვიანი „გამოძიების“ შემდეგ დააბრუნა.⁵⁰ 2014 წელს სოფელ მოხეში არსებული მეჩეთის კულტურულ ცენტრად გადაკეთება დაიწყო სახელმწიფომ და პოლიციის დახმარებით დაარბია ადგილობრივი თემის საპროტესტო აქცია. ნიგეზიანში, სამთაწყაროში, ქობულეთში მუსლიმთა შეურაცხყოფის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა და სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემებს რეაგირება არ მოჰყოლია.⁵¹ პოლიტიკოსთა განცხადებებით, პრობლემები ადგილობრივ თემში არსებობდა და მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყვეტილიყო. მთავრობის წარმომადგენლები უმცირესობის მიმართ განხორციელებული აგრესიის შეფასებისას „უმრავლესობის უფლებების დარღვევაზეც“ ხშირად მიუთითებდნენ. ეს „მესიჯი“ 2012 წლის არჩევნებიდან მალევე გაახმოვანა მთავრობის ერთ-ერთმა გავლენიანმა წევრმა.⁵²

48. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2010-2019 წლებში: https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

49. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2020 (<http://ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf?fbclid=IwAR2pWdNHziuzgwmqQ-H5wBIXB44hMPgTu8AXDhB9UVAEsysEH7U93zB7728>)

50. ქელა მინარეთის დემონტაჟიდან ერთი წლის შემდეგ, სამხრეთის კარიბჭე, 27.08.2014 (<http://sknews.ge/index.php?newsid=4233>)

51. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება მოხეში მუსლიმთა უფლებების უხეში დარღვევის თაობაზე (https://www.transparency.ge/ge/post/general-announcement/gantskhadeba-mokheshi-muslimta-uplebebis-ukheshi-darghvevis-taobaze))

52. თეა წულუკიანი: უმრავლესობის უფლებები ირღვეოდა, 2012 წლის 27 დეკემბერი (<http://www.tabula.ge/ge/story/63403-tea-tsulukiani-umravlesobis-uflebebi-irghveoda>)

შეუმცირდა დაფინანსება ქართული ენის სწავლების პროგრამებს უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, გაიზარდა რადიკალების გავლენა განათლების რეფორმის პროცესში.⁵³ ახალი სახელმძღვანელოების დამტკიცებას პრობლემა შეექმნა, რადგან რელიგიური ჯგუფები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ სახელმძღვანელოების არსებულ ვერსიებს და მათ გადაწერას მოითხოვდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის მეტი წარმომადგენლისა და მართლმადიდებლური დოგმატიკის სახელმძღვანელოებში ინტეგრირების მიზნით.

პარალელურად, შერბილდა სახელმწიფოს კონტროლი საპატიმრო დაწესებულებებზე და ორგანიზებულმა კრიმინალურმა ჯგუფებმა ხელახლა შეძლეს გავლენის გაძლიერება. პოლიტიკას სახელმწიფო ძალადობის შემცირების მოტივით ხსნიდა სახელმწიფო, თუმცა კრიმინალური ავტორიტეტების კონტროლის გაძლიერებით ძალადობის არაფორმალური სისტემა ჩამოყალიბდა, რაც ადამიანის უფლებებისთვის კიდევ უფრო მეტი პრობლემაა, რადგან გაცილებით რთულია დარღვევების აღმოჩენა და მათზე რეაგირება.⁵⁴ ადამიანის უფლებები კვლავ სამიზნედ იქცა ახლა უკვე დაუცველობის, სახელმწიფოს უმოქმედობის პირობებში.

განსაკუთრებით გაძლიერდა ქსენოფობიური და პროორუსული ჯგუფები და სწრაფადვე შეიქმნა კოორდინირებული საკომუნიკაციო ქსელი სხვადასხვა მედიაში, რომელიც მიზანმიმართულად ავრცელებდა ჰომოფობიური და ქსენოფობიური შინაარსის პროპაგანდას. აღნიშნული ქსელი ნაწილობრივ სა-

53. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში, 2016: https://www.tdi.ge/sites/default/files/saxelmzgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf

54. კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური სისტემის მართვაზე, კვლევა მომზადდა „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, 10.09.2020 (<https://osgf.ge/kriminaluri-subkulturis-gavlana-penitenciuri-sistemis-martvaze/?fbclid=IwAR0wpW60wDdMPQ1tETQNbftO9OasY-G4EvLpdy31zEIDLiyCP3PaBQiCvQ>)

ხელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სარგებლობდა, ნაწილობრივ – ფარული შემოსავლებით. სახელმწიფო შუღლის გაღვივების ერთ-ერთ სპონსორად გადაიქცა.⁵⁵

ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ეპიცენტრად იქცა საარჩევნო პროცესი. დაშინება, პირადი დოკუმენტების ჩამორთმევა, ამომრჩევლის ღია მოსყიდვა დაგმეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა და საქართველოც, წინა პერიოდთან შედარებით, ნაკლებად თავისუფალ სახელმწიფოდ შეაფასეს. პოლიტიკურ ოპოზიციასთან ძალისმიერი ბრძოლა პოლიტიკური კულტურის ნაწილი იყო და 2012 წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი რესურსი ჩაიდო ე.წ. „ზონდერ-ჯგუფების“ შექმნაში. სწორედ ამ ჯგუფების გამოყენებით დაარბია მთავრობამ საარჩევნო უბნები 2016 წლის არჩევნებზე და მათი დახმარებით შეძლო პოლიტიკური ოპოზიციის შევიწროება რეგიონებში.⁵⁶

მთავრობამ განსაკუთრებულად აქტიურად შეუტია კერძო მედიას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, როცა თითქმის ერთი წლით შეაჩერა საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება „რუსთავი 2-ის“ მესაკუთრის ცვლილების შესახებ.⁵⁷ გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის ინსტიტუციად გადაიქცა კომუნიკაციების მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიაც. მის მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილებები კრიტიკულად შეაფასეს მედიის სფეროთი დაინტერესებულმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა და

55. მედიის განვითარების ფონდი, მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2018: <http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/127>

56. კორცხელი – ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ ოპონენტებზე ფიზიკური ანგარიშსწორება, მომზადებულია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ, 2016 (<https://www.gdi.ge/uploads/other/0/340.pdf>)

57. უკვე სტრასბურგში: რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ამერიკის ხმა: <https://www.amerikiskhma.com/a/georgia-echr-extends-ruling-over-tv-rustavi-2/3755403.html>

უნდობლობა გამოუცხადეს მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს.⁵⁸

მორიგ ჯერზე მოხდა სასამართლო რეფორმის დისკრედიტაცია და საჯაროდ ჩატარებულმა მოსამართლეთა შერჩევის პროცესმა უფრო მეტი ნიჰილიზმი გამოიწვია საზოგადოებაში. საჯარო სხდომებზე მოსამართლეები მიერ გაკეთებულმა კომენტარებმა მოსამართლეთა არაპროფესიონალიზმი ნათლად დაანახა ფართო საზოგადოებას, თუმცა პარლამენტისთვის ამ ფაქტორს ხელი არ შეუშლია, წარმოდგენილი კანდიდატურები დაემტკიცებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად.⁵⁹

სამოქალაქო უფლებების დისკრიმინაციული პოლიტიკის საპირწონედ, მთავრობამ სცადა, სოციალური უფლებების დაცვის პრიორიტეტი ექცია საკუთარ სამარკო ნიშნად, თუმცა სულ რამდენიმე წელში ნათელი გახდა, რომ ჯანდაცვის მიმართულებით გადატანილი თანხის უდიდესი ნაწილი უშედეგოდ იხარჯებოდა და ვერ აღწევდა სასურველ მიზანს, რასაც ბიუჯეტის ამ ნაწილის შეკვეცა და ჯანდაცვის სექტორის, საბიუჯეტო პროცესის „ჯადოსნურ წრეში“ გამოკეტვა მოჰყვა.⁶⁰

დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეული მთავრობისთვის, უფლებათა დარღვევის მთავარ სიმბოლოდ 2019 წლის 20 ივნისის სასტიკად დარბეული შეკრება იქცა. პოლიციის სპეციალური ძალები დამიზნებით ესროდნენ შეკრებილ ახალგაზრდებს და შედეგად დაშავდა ათობით ადამიანი, ორმა აქტი-

58. კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის, 2019: <https://gyla.ge/ge/post/koaliciis-shefasebit-kakha-beqauri-kanonit-minitchebul-uflebamosilebas-gascda#sthash.OmrohDSZ.dpbs>

59. GDI (Georgia's Democracy Initiative), უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის ერთნაირი პროცესის ქრონოლოგია: <https://www.gdi.ge/uploads/other/1/1084.pdf>

60. ვაშაკიძე რ., გოგოლი ა., ჯანდაცვის პოლიტიკა ჯანდაცვის პროფილაქტიკასა და ავადმყოფობის პრევენციას არ ემსახურება, Forbes Georgia, 2019 (<https://forbes.ge/news/7512/jandacvis-politika-avadmyofobis-prevensias-ar-emsaxureba>)

ვისტმა თვალი დაკარგა.⁶¹ იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს გამოძიება დაენყო და მოძალადეები გამოეველინა, ამ აქტის ხელმძღვანელი შს მინისტრი პრემიერად დანიშნა. აქციები გაგრძელდა და წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისისთვის საპასუხოდ სახელმწიფომ საარჩევნო სისტემის რეფორმირებაზე თანხმობა განაცხადა, თუმცა მოგვიანებით „ქართულმა ოცნებამ“ მაინც სცადა მიცემული პირობის გადათქმა.⁶²

შეჯამება

საქართველოს საზოგადოებისთვის კვლავ აქტუალური რჩება კითხვა: შეძლებს საქართველოს სახელმწიფო ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც საზოგადოების ნდობას დაიმსახურებს? ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სისტემის შექმნა რთულ რეფორმას და საზოგადოების ჩართულობას გულისხმობს. პოლიტიკური გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, თუ როგორი იქნება ნდობა სახელმწიფოს მიმართ, რამდენად ეფექტიანად იმუშავენ სახელმწიფო ინსტიტუტები. მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერების მიერ გაგზავნილი შეტყობინებები ერთგვარი „ჩამრთველი მონწყობილობის“ როლს თამაშობს და როცა პოლიტიკური ლიდერები ქსენოფობიურ განცხადებებს ავრცელებენ, ძნელია ადამიანის უფლებათა დაცვის კლიმატი შეიქმნას, სისტემა გაიმართოს.

ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა „დაუსრულებელი პროექტია“ და მუდმივ ძალისხმევას საჭიროებს. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ეს კარგადაა ცნობილი; თუმცა ამ ბრძოლის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილე-

61. International Media reacts to June 20 Developments in Tbilisi, Agenda.ge <https://agenda.ge/en/news/2019/1640>

62. Georgian Dream MPs block switch to fully proportional electoral system, OC media, November 2019 (<https://oc-media.org/georgian-dream-mps-block-switch-to-fully-proportional-electoral-system/>)

ბელია კონსოლიდაცია და სამწუხაროა, რომ ამგვარი კონსოლიდაცია დღეს არ არსებობს და ეზოპეს იგავებისა არ იყოს, ყველა სხვადასხვა მიმართულებით ეწევა ურემს. ანდაზა გვასწავლის, ურემი რომ გადატრიალდება, გზა მერე გამოჩნდებაო, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, მანამდეც იქნება შესაძლებელი ახალი პოლიტიკური კონსენსუსის ჩამოყალიბება, რაც ადამიანის უფლებების დაცვას მდგრად და გავლენიან ინსტიტუციურ საყრდენს შესძენს.

პროტესტის ინსტინქტი

რა არის თავისუფლება?
როცა ყველაფერს იწყებ თავიდან.

შელინგი

შესავალი-რეზიუმე

ეს ტექსტი, არსებითად, საქართველოში პროტესტის ტრადიციაზე ან, თუ გნებავთ, ინსტინქტზეა, რომელიც ჩემი და ჩემი მშობლების თაობისთვის მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს და ამა თუ იმ ფორმით დღემდე გრძელდება. ათვლის წერტილად შესაძლოა 1956 წლის მარტის მოვლენები ან საერთოდ, 1924 წლის აჯანყება აგვეჩინო, მაგრამ მივიჩნევ, რომ იდენტიფიკაციის ნიშნები უფრო მკაფიო უნდა ყოფილიყო და სწორედ იმ პერიოდიდან დამეწყოს აღწერა, რომლის შესაძლო მონაწილენიც დღეს, 2020 წელს, ჩვენი თანამედროვენი არიან.

ისტორიის თვალთახედვიდან, ცხადია, ძალიან ცოტა დროა გასული იმ საპროტესტო აქციებიდან, რომლებიც პარლამენტის წინ მოეწყო კლუბ „ბასიანის“ დარბევის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდები ქუჩაში გამოვიდნენ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი აქტის გასაპროტესტებლად (შთაბეჭდილების ინტენსიურობის გამო კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი დრო გასულიყოს ამ აქციებიდან). შემდეგ ეს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა პროცესში გადაიზარდა,

თუმცა, მე ამ საპროტესტო აქციებს განყენებულად არ განვიხილავ, მიუხედავად იმისა, რომ საბაბი ერთი კონკრეტული მოვლენა იყო.

იქ ისეთი მნიშვნელოვანი სახე-ხატებები გაჩნდა, იმიჯები, როგორც იტყვიან, როგორიც მანამდე არ ყოფილა, თუკი პროტესტის კულტურაზე ანუ ერთგვარ ესთეტიკაზე ვსაუბრობთ. ყველას ახსოვს ცნობილი ცეკვა პარლამენტის წინ – როცა უეცრად ტრადიციულად პოლიტიკურ სივრცეში შემოიჭრა კლუბური ცხოვრება, მე ვიტყვოდი, კონცეპტუალური გართობა, რომელიც საკლუბო იატაკქვეშეთიდან ამოიჭრა სისტემურ სივრცეში – პარლამენტის წინ. მაშინ, ალბათ, ბევრს დაამახსოვრდა მრავალგვარად ინტერპრეტირებული და შეფასებული ცეკვა 9 აპრილის მემორიალზე, რომელიც ასევე ძალიან საინტერესო იყო და რის გამოც არცთუ ცოტა ადამიანი აღშფოთდა სწორედ მორალისტური თვალსაზრისით – როგორ გაბედა ცეკვა იმ გოგონამ იქ, სადაც 30 წლის წინ 9 აპრილის ტრაგედია მოხდა?! ამ საკრალურ ადგილზე, სადაც ამდენი ადამიანი დაიღუპა; რატომ იცეკვა იქ და ასე?! ეს ხომ შეუსაბამოა ამ ადგილის ტრაგიზმისათვის?

ამ დროს, ეს უაღრესად ლოგიკური იყო. მან ხომ საკუთარი თავისუფლების გამოსახატად იცეკვა, რადგან 9 აპრილი მოხდა მათ შორის იმიტომაც, რომ 30 წლის მერე ამ გოგონასაც ჰქონოდა აქ და ასე ცეკვის უფლება.

ეროვნული თავისუფლება ცარიელი ფანტომია პიროვნული თავისუფლების გარეშე.

პროტესტის „აი ია“

საქართველოში პროტესტის პროცესი ალბათ მას შემდეგ და მაშინვე დაიწყო, რაც საქართველო რუსეთის იმპერიამ დაიპყრო და რომელიც უმეტესწილად სისხლში იქნა ჩახშობილი, მაგრამ პროტესტი ყოველთვის იყო და ეს იყო ყველაზე მძიმე დროსაც კი.

არ მინდა, ნიშნულად მეტიმეტად შორეული ათვლის წერტილი ავიღო და ამიტომ შევეცდები, იმ პერიოდს მივუბრუნდე, სადაც უკვე მეც კი ვარსებობდი ფიზიკურად. მაგალითად, 1978 წელი, როცა ერთი წლის ვიყავი და, არსებობის მიუხედავად, ბუნებრივია, ვერ აღვიქვამდი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ. და თურმე ძალიანაც მნიშვნელოვანი რამე ხდებოდა.

არ ვიცი, რას ვაკეთებდი 1978 წლის 14 აპრილს (როცა ერთი წლის ხარ, სამოღვაწეო ასპარეზად არცთუ დიდი ტერიტორია გაქვს), მაგრამ ვიცი, რას მოეცვა ჩემი ახალგაზრდა მშობლები, რომლებიც მაშინ სტუდენტები იყვნენ.

1978 წლის 14 აპრილს ადამიანებმა – სტუდენტებმა, უპირველეს ყოვლისა, – იდენტობის ის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი) მნიშვნელოვანი იარაღი დაიცვეს, რომელიც იდენტობა-გაუქმებულ საქართველოს შერჩენოდა თვითაღქმის და გამოხატვის ფორმად.

ეს კი იყო ენა.

ენის სტატუსის დაკარგვა (რის საფრთხეც 1978 წელს გაჩნდა) უკვე არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ საკუთარი თავის დაკარგვას ნიშნავდა. ანუ საკუთარი იდენტობის, იმის, რითაც პოლიტიკურად და ისტორიულად გაუქმებული საქართველო თავის არსებობას ადასტურებდა... ენას, რომლითაც „შუშანიკის წამება“ დაიწერა 15 საუკუნის წინ და რომელიც 15 საუკუნის გასვლის შემდეგაც ფუნქციურია, რუსიფიკაციის ახლებური ტალღისთვის უნდა გაეძლო.

სსრკ-ს მთავარი იდეოლოგის, მიხაილ სუსლოვის კონცეფციის მიხედვით, ბრეჟნევის ე. წ. ახალ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი უნდა ჩამორთმეოდა. მართალია, ეს არ იყო სტალინური ტერორის ეპოქა, მაგრამ სსრკ ჯერაც ძალიან საშიში სახელმწიფო იყო – სულ რაღაც ერთ წელიწადში საბჭოთა ჯარები ავღანეთში შევიდოდნენ, ახლებურ, დამანგრეველ და, უპირველეს ყოვლისა, თავად სსრკ-ისთვის დამანგრეველ უბედურებაში, ამიტომ პოლიტიკურად მსხდომი „სისხლისმსმელი მოხუ-

ცებისგან“ ყველაფერი მოსალოდნელი გახლდათ. 22 წლით ადრე, 1956 წლის 9 მარტს, საბჭოთა არმიამ ასობით დემონსტრანტი დახვრიტა თბილისის ცენტრში, 11 წლის მერე კი, 1989 წლის 9 აპრილს, კიდევ 21 ადამიანს შესწირავდა თავის მორყეულ რეჟიმს. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენი არაა, რამდენად სახიფათო იქნებოდა ქართული ენის დაცვა წითელი ალმებით მორთულ ქუჩაში 1978 წელს, იმ პირობებში, როცა საქართველო რუკაზე არც არსებობდა, მოსკოვიდან იმართებოდა და დანარჩენი მსოფლიოსათვის კი ჩვენ რუსები ვიყავით. მაგრამ მოხდა სასწაული და სტუდენტებმა დაიცვეს ენა – იქ და მაშინ, დღემდე დაუდგენელი მიზეზით, მოსკოვმა უკან დაიხია.

სამწუხაროდ, ფაქტობრივად, არ არსებობს ამ საპროტესტო მოძრაობის ფოტომასალა, მაგრამ არსებობს მოგონებები, მათ შორის, აკაკი ბაქრაძის, რომელიც აქტიურად იცავდა ქართული ენის უფლებებს ნომენკლატურისა და, ასე განსაჯეთ, ზოგიერთი კოლეგისგანაც კი.

ვერ ვიტყვოდი, მწერლების დიდმა ნაწილმა-მეთქი, მაგრამ რამდენიმე გამორჩეულმა ავტორმა უთუოდ შეინარჩუნა სიმტკიცე.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც კონფორმისტები აღმოჩნდნენ უმრავლესობაში, რომლებიც, მართალია, ქართულად წერდნენ და ქართველ მწერლებად იწოდებოდნენ, მაგრამ ტრაგიკული პარადოქსის, კონიუქტურისა და, რაც მთავარია, მითითების შესაბამისად, რუსულ ენას მიიჩნევდნენ და აღიარებდნენ უმთავრეს ენად.

აკაკი ბაქრაძის თქმით, სტუდენტებს ერთადერთი პლაკატი ჰქონდათ და ამ პლაკატზე ის ასოები იყო გამოყვანილი, რომლებითაც ქართული ენის შესწავლას ვიწყებთ: „აი ია“ (ზოგს, გოგონებს, მაგალითად, თეთრ პერანგზე დაენერათ პომადით), იაკობ გოგებაშვილის გენიალური ფორმულა, რომლითაც ასოების სწავლას უკვე იდეის, წინადადების აღქმა-გამოთქმით ვიწყებთ.

„აი ია“ იყო ერთადერთი საპროტესტო ლოზუნგი, რითაც საქართველო თავისი მეხსიერებისა და მომავლის დაცვას ცდილობდა.

მარბინალები და წმინდანები

80-იანი წლებში პროტესტი კიდევ უფრო მასშტაბური და ძლიერი გახდა და ამ ისტორიულ პროცესს ეროვნული მოძრაობა ეწოდა.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ იმ მოშიმშილეების, ისევე და ისევე უმეტესად ახალგაზრდებს, რომლებიც ახლანდელი პარლამენტის (მაშინდელი მთავრობის სახლის) კიბეებზე ისხდნენ (ეს ხომ მართლაც ტრადიციული პროტესტის ეპიცენტრია საქართველოში), საბჭოთა პრესა თითქმის იმავე ტერმინებით და შეფასებებით ესხმოდა თავს, როგორებიცაა ორი წლის წინანდელ დემონსტრანტებს მოიხსენიებდნენ ათასნაირი ინტერნეტტროლები თუ ბოტები: „ნარკომანები“, „ლოთები“, „გადაგვარებულები“ და ა. შ. იმის მიუხედავად, რომ პროტესტის მიზეზი, ცხადია, აბსოლუტურად განსხვავებული იყო.

„გონს მოდიო!“ – მოუწოდებდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოშიმშილე ახალგაზრდებს გაზეთი „კომუნისტი“, – „ვინ გაგზარდათ, რა ჯიშისანი ხართ?!“

ისევე, როგორც ახლა, როცა ნებისმიერ ადამიანს, მით უმეტეს, ახალგაზრდას, რომელიც თავისუფლების ტერიტორიის გაფართოებას ცდილობს, „გადაგვარებულად“, „გარყვნილად“, „მოღალატედ“ და ათასნაირი უსამართლო ეპითეტით ამკობენ.

რადგან, სინამდვილეში, პრობლემა ისევ თავისუფლებაა, ისევე და ისევე იმის სურვილი, რომ „შენი თავი შენვე გეყუდნოდეს“, რადგან, თუკი 1988-89 წელს მოშიმშილე ახალგაზრდები ეროვნულ თავისუფლებას ითხოვდნენ, დღევანდლები პიროვნული თავისუფლების ტერიტორიის დასაცავად იბრძვიან.

ამიტომ, არსებითად, „მემორიალზე ცეკვა“ ლოგიკური აქ-

ტია, რადგან ამ გოგონას მშობლების თაობის ახალგაზრდები 80-იანი წლების ბოლოს იმის გამოც ებრძოდნენ ავტორიტარიზმს, რომ მათ შვილებს დოგმატური აკრძალვებისგან თავისუფალ საზოგადოებაში ეცხოვრათ.

თავისუფლება, როგორც ინტელექტუალური იდეა

თავისუფლება პროცესია. ჩვენ კი, შესაძლოა, სტატიკური მოცემულობა გვეგონა. ამ დროს, ის მუდმივ დინამიკას მოითხოვს ჩვენგან, რასაც ზოგჯერ დაღლა და იმედგაცრუება მოჰყვება...

მართალია, საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად აღარ არსებობს, მაგრამ მენტალურად და გარკვეული რუდემენტული სისტემების ფორმით კვლავაც განაგრძობს ფუნქციონირებას.

თავისუფლება სინამდვილეში ინტელექტუალური იდეაა.

ყოველ შემთხვევაში, ეს იდეა სულაც არ ყოფილა საყოველთაო საბჭოთა დროს. საქართველოს დამოუკიდებლობაზე მაშინ (და, არსებითად, ყოველთვის, თუკი მეცხრამეტე საუკუნეს გავიხსენებთ) ინტელექტუალები ლაპარაკობდნენ. აბსოლუტური უმრავლესობა – ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ბუნებრივად ეგუებოდა იმ მოცემულობას, რომ საქართველო არ უნდა ყოფილიყო თავისუფალი; რომ საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული დედაქალაქი – ისევე როგორც სხვა 15 „რესპუბლიკისთვის“ – მოსკოვი უნდა ყოფილიყო.

დისიდენტები ინტელექტუალი მარგინალები იყვნენ, რადგან თავად თავისუფლება იყო მარგინალური იდეა.

ამრიგად, იდეა, რომელიც შესაძლოა გარკვეულ დროს მარგინალურად გვესახებოდეს და მეტიც, რესპრესირებული ანუ აკრძალულიც კი იყოს (როგორც, მაგალითად, იდეა, რომ საქართველო არ უნდა იყოს საბჭოთა მონობაში), ბევრს შეუძ-

ლებელ და სახიფათო ფანტასტიკად მიაჩნდეს მასზე ხმამაღლა ლაპარაკი, წლების გასვლისა და ისტორიულ-ცივილიზაციური პირობების შეცვლის შემთხვევაში თურმე ნორმად შეიძლება დამკვიდრდეს, იმის მიუხედავად, რომ თუნდაც ისეთი საყოველთაო აზრი, როგორც ქვეყნის თავისუფლებაა, არცთუ დიდი ხნის წინ, მეოცე საუკუნის 80-იან წლებშიც კი სკანდალურ და სახიფათო იდეათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

ეს დღეს ჰქვია პროსპექტებზე და ქუჩებს მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სახელები, თორემ 70-იან, 80-იან წლებში მერაბ კოსტავა ბანაკში იჯდა იმ იდეის გამო, რომელიც დღეს აბსოლუტური უმრავლესობისთვის მისაღები და ბუნებრივია, მაშინ კი უმრავლესობა მას ფსიქოპათად და არანორმალურად მიიჩნევდა, რადგან ის ღიად ითხოვდა იმას, რაც დღეს ნორმაა და მაშინ სკანდალი იყო: დამოუკიდებლობას საკუთარი ქვეყნისთვის. ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი კი 80-იან წლებში სიგიჟე იყო. ანუ სიგიჟედ მიიჩნეოდა იდეა, რომლის ქეშმარიტებაზე ახლა უმრავლესობა შეთანხმებულია.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა ის, რაც დღეს *სკანდალურ მიუღებლობად* გვეჩვენება, ხვალ ჩვენი რეალობის ნაწილად იქცეს და გავიოცოთ კიდეც, რატომ ვიყავით ამ იდეისგან ასე შორს, რას ვთვლიდით მიუღებლად, სკანდალურად, წარმოუდგენლად და ა. შ.

მამასადამე, რა გამოსულა: რომ, თურმე, არა იდეა, არამედ სწორედ ჩვენ ვყოფილვართ პრობლემურები.

უმცირესობა და უმრავლესობა

ინტელექტუალური იდეები არასდროს ჩნდება მასობრივად, ბრბოს არასდროს მოაქვს იმგვარი სიახლე, რომელიც განვითარებას გულისხმობს. ვინც ახალი იდეების გამტარებად გვევლინებიან, ხშირად თავისი რეპუტაციისა და ზოგჯერ, სიცოცხლის ფასადაც კი, როგორც წესი, უმცირესობაში არიან.

ცვლილებებს მცირედნი იწყებენ, ზოგჯერ მარგინალებად მიჩნეულები, სხვები კი მხოლოდ მერელა მიუყვებიან მათ მიერ გაკვალულ გზას.

განა ქრისტიანობაც თავიდან მარგინალების, უმცირესობის რელიგია არ იყო?! სულ თორმეტი იყვნენ და მერე ერთიც გამოაკლდათ...

რამდენი ადამიანი დგას გოლგოთაზე, როცა ქრისტეს ჯვარს აცვამენ? მხოლოდ ოთხნი, სამი ქალი, დედის ჩათვლით და მისი საყვარელი მოწაფე – იოანე. ძალიან ცოტანი არიან, სხვებს კი ეშინიათ და იმალებიან. პეტრეც კი გაქცეულია, თვით პეტრემაც სამჯერ უარყო ქრისტე, როცა შეეშინდა. მაგრამ შეგვიძლია კი ვთქვათ, რომ ადამიანთა სიმცირის მიუხედავად, ქრისტიანობის იდეა არ იყო მასშტაბური და სამყარო არ შეცვალა? მანამდე ხომ არ იყო ასე, რომ თურმე მოყვასიც უნდა გყვარებოდა, რომ უნდა გეპატიებინა, რომ ვინც უცოდველია, ქვა იმას ესროლა; რომ სიყვარული ყველაფერს გამოისყიდდა; რომ ღმერთი კი არ ითხოვდა მსხვერპლად ადამიანს, არამედ პირიქით, შვილს სწირავდა ადამიანის გადარჩენისთვის. მანამდე არ ყოფილა ეს ფილოსოფია, ახალმა იმპულსმა კი ყველაფერი შეცვალა. იმის მიუხედავად, რომ საუკუნეების განმავლობაში და მით უფრო, დღეს, ჩვენს სინამდვილეში, სწორედ ქრისტიანული იდეალების დისკრედიტაცია და ფულგარიზაცია ხდება ვითომდა მისი დაცვის ფანატიკური თუ თვალთმაქცური ვნებით, როცა პოპულისტებს ადამიანთა სამანიპულაციოდ, პოლიტიკური ავტორიტეტის მოსახვეჭ შესაძლებლობად უქცევიათ უმცირესობაში დაბადებული და უმრავლესობის რელიგიად ქცეული ჭეშმარიტება.

როცა მანიპულატორებზე და მანიპულირებულებზე ვლაპარაკობთ, არაგონივრული არ იქნება, გავიხსენოთ პლატონის გაფრთხილება – როცა შესაძლებელია, ყველაზე დიდი იდეიდანაც კი მხოლოდ სიტყვებილა დარჩეს და შინაარსი სრულებით გამოეცალოს: ანუ მხოლოდ გარეგან ფაქტორად იქცეს;

ვთქვათ, დემოკრატია (ხალხის მმართველობა) და რეალურად კი ოხლოკრატია (ბრბოს მმართველობა) დამკვიდრდეს, სადაც გადანყვეტილებები არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ ნიადაგზე მიიღება და სადაც ხალხის მაგივრად სხვა აზროვნებს, ოღონდ ოხლოსს ილუზია აქვს, რომ ესა თუ ის გადანყვეტილება მის მიერ და მისთვის მიიღება.

ხალხის თუ ბრბოს მმართველობა – ირაციონალური რაციონალურობა

სამწუხაროდ, ბრბო ჩვენც ხშირად ვყოფილვართ და არცთუ იშვიათად დაგვიკარგავს რაციონალური აზროვნების უნარი, მაგალითად, მაშინ (და ეს ჩვენი უახლესი ისტორიის დიდი და უსამართლო პარადოქსია), როცა საბჭოთა კავშირის ისტორიული დასრულების დღეებში, თბილისის ცენტრში ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გვექონდა გაჩაღებული.

მოვლენა, რომელსაც თაობები ელოდნენ – **ქვეყნის დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის დაშლა** – ჩვენ ტყვეების ზუზუნში გამოგვეპარა.

ჩვენ ვერ გავიგეთ, როგორ გაუქმდა ტოტალიტარული იმპერია და ობიექტურ თუ საბედისწეროდ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვერ დავაფასეთ, რა მივიღეთ ისტორიისგან. და თუ დავაფასეთ და მივხვდით, ალბათ, გვიანდა, თუმცა შესაძლოა ინფანტილური ილუზიით, თითქოსდა თავისუფლება გზის დასასრული უნდა ყოფილიყო, ერთგვარი კულმინაცია, ის კი პრობლემური, ფათერაკებითა და გამონწვევებით აღსავსე დასაწყისი აღმოჩნდა.

თურმე კი არ დამთავრდა, არამედ ახლა იწყება ყველაფერი...

სპონტანური თუ ლობიკური?

ის საქართველო, რომელსაც ვიცნობ, არსებითად, 1991 წელს დაიბადა და ჩვენთან ერთად იზრდება, შესაბამისად, როგორც ადამიანის შემთხვევაშია, მისი ზრდის პროცესიც პრობლემურია. პრობლემები – სხვადასხვა ფორმით – ახლაც გრძელდება, მაგრამ პროტესტის ტრადიციისა თუ ინსტინქტის გამო, რომელიც ჩვენში არსებობს, ამ პრობლემებთან გამკლავების უნარიც გამომუშავებული გვაქვს, რადგან პროტესტი და თავისუფლებებისათვის ბრძოლა ისევ და ისევ (და ყოველდღიურად) აქტუალურია.

გამონვევა იყო თუნდაც 2019 წლის ივნისის თითქოსდა სპონტანური პროტესტი, რომელიც რუსეთის დუმის კომუნისტ-მართლმადიდებელი დეპუტატის („კომუნისტი-მართლმადიდებელი“ – როგორი პოსტმოდერნისტული და ნიშანდობლივი ოქსიმორონია) პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომას მოჰყვა, რაც არა მხოლოდ სახელმწიფოს ნიშანსიმბოლოს შეურაცხყოფა, არამედ *შეურაცხყოფათა* მთელი ჯაჭვის შედეგად ამოხეთქილი რეაქცია იყო. შეურაცხყოფის, რომელიც საქართველოსთან ურთიერთობის ნორმად იქცა კრემლისა და პუტინიზმისთვის.

ამრიგად, პროტესტი კი იყო სპონტანური, მაგრამ რეალურად ეს ისევ და ისევ არასპონტანური სპონტანურობა გახლდათ – ძველი და ძირეული ინსტინქტი, როცა საზოგადოება მშვიდობიანი რეაგირებით ცდილობს თავისი და, შესაბამისად, ქვეყნის ღირსების დაცვას, ან კი საყოველთაო თუ არსებრივი უფლებების, რადგან მართლაც თუკი რაიმე ქცეულა სსრკ-ს მიწურულის და პოსტ-სსრკ პერიოდის საქართველოში ტრადიციად, ეს სწორედ პროტესტის კულტურაა:

1978 წელი – ენის სტატუსი

1987-1988-1989-1990 – ეროვნული მოძრაობა (საქართველოს სსრკ-იდან გათავისუფლების პროცესი)

1992-93 – „დახვრეტილი“ პროტესტი (პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა დემონსტრაციები)

2003 წლის ნოემბერი – „ვარდების რევოლუცია“

2006 წლის მაისი – „აჭარის რევოლუცია“

2007-2009-2011 – პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო პროცესი

2008 – სხვადასხვა ფორმით (და ფორმატით) წარმოებული პროტესტი კრემლის საოკუპაციო პოლიტიკის წინააღმდეგ (ე. წ. „ბორდერიზაცია“, საქართველოს მოქალაქეთა პერმანენტული გატაცებები და მკვლელობები), მათ შორის, მწერლებისა და გამომცემლების მიერ ორგანიზებული ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე 2008, 2017 და 2018 (საქართველოს საპატიო სტუმრობის დროს) წლებში

2018 წლის ახალგაზრდული პროტესტი – (საბაბი) რეაქცია, რომელიც სპეცრაზმის კლუბ „ბასიანში“ შესვლამ გამოიწვია.

2019 წლის ივნისი-სექტემბერი – „გავრილოვის ღამე“, სამთვიანი აქციები პროპორციული არჩევნებისა და შს მინისტრის (მოგვიანებით პრემიერ-მინისტრის) გადადგომის მოთხოვნით

თუმცა, დამლელი და დამთრგუნველი გამონწვევების მიუხედავად (ზოგჯერ ეს გამონწვევები ეგზისტენციალურიც კია), ვერ ვიტყვით, რომ მთლად ცუდად გვექონდეს საქმე.

ამის მაგალითი კი თუნდაც ქართული ლიტერატურაა.

ღია ტექსტი

90-იანი, 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქოსდა ისე გამოვიდა, რომ ლიტერატურა ერთგვარ ინდიკატორად იქცა თავისუფლებისთვის...

რადგან, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ლიტერატურაშია ჩამალული ნაღმები, რომლებზეც დემაგოგები და ფარისევლები ფეთქდებიან ხოლმე.

მწერალი, რომელიც თავისი სიტყვის (ანუ თავისი ტექსტის) თავისუფლებას იცავს, ზოგადად სიტყვის თავისუფლების პრინციპსაც იცავს, რადგან საქართველოში ტრადიციულად და ისტორიულად ასე იყო: ქართული ლიტერატურა და თავისუფლების ინსტინქტი ფატალურად დაუკავშირდა ერთმანეთს.

აქ გავიხსენებდი რამდენიმე ტექსტს, რომელიც დემაგოგების, ახლებური ყაიდის ცენზორების, პროვოკატორებისა და სამწუხაროდ, სახიფათოდ მანიპულირებული საზოგადოებრივ-რელიგიური ჯგუფების თავდასხმის ობიექტი გამხდარა თანამედროვე საქართველოში, უმეტესად კი იმ აბსურდული ფორმულის მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში იშვა გროტესკულ სისულელედ (სახელდობრ, ბორის პასტერნაკის „დოქტორი ჟივაგოს“ წინააღმდეგ წარმოებული იდეოლოგიური კონფლიქტის პირობებში):

არ წამიკითხავს, მამრამ ვბმობ!

დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“

ზაზა ბურჭულაძის „სახარება ვირისა“ და სხვა ტექსტები

პაატა შამუგიას პოეზია და თარგმანები

რატი ამალლობელის „პატრიარქი გაიყინა“

ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობა“

ზურაბ ქარუმიძის „მელია-ტულეფია“

ამ ტექსტის ავტორის „პირველი რუსი“ და სხვ.

აქვე დავასახელებდი მხატვარ ლია უკლებას შემოქმედებას (განსაკუთრებით ნამუშევარს „მარიამი სათამაშო პისტოლექტით“), რომელიც უმეტესად ქალთა პრობლემების მხატვრული რეფლექსიაა, თუმცა, ტრადიციულად, „თავდამსხმელებმა“ შინაარსი არ თუ ვერ ამოუკითხეს და მხოლოდ იმის „დანახვალა“ შეძლეს, რომ მხატვარი – სხვათა მსგავსად – შეურაცხმყოფელად „ეხებოდა სინწინდეებს“.

უშუალოდ მწერალთა (და არა მხოლოდ მწერალთა) პროტესტი პოეტ ზვიად რატიანზე პოლიციელთა უკანონო და დანაშაულებრივმა თავდასხმამ გამოიწვია 2018 წელს, რაც საქართველოში სამართლის, ანუ ობიექტური გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯის მიუღწევლობის გამო, პოეტის ემიგრაციით დასრულდა.

თითქოს მისი ფიზიკური „ეკზეკუცია“ არ იყო საკმარისი, პოეტის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება სცადა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც, რითაც კიდევ უფრო მეტად წააქეზა აგრესიული ჯგუფები დაკავებული და ფიზიკურად თუ მორალურად შეურაცხყოფილი პოეტის წინააღმდეგ. ამის შედეგად რამდენიმე მწერალმა, გამომცემელმა და უფლებადამცველმა ბოიკოტი გამოუცხადეს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ეს ბოიკოტი დღემდე გრძელდება. ზვიად რატიანის სახელი და მის მიმართ სახელმწიფოს „სიყრუის“ პრობლემა კი არაერთხელ გახმიანდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2018 წელს.

თუკი ადრე სახელმწიფო თუ სხვა ავტორიტეტული ინსტიტუციების წარმომადგენლები აგრესიული და თითქოსდა დროსთან, ეპოქასთან შეუსაბამო აბსურდული რიტორიკით შე-

მოიფარგლებოდნენ ხოლმე ავტორების მიმართ (საპატრიარქო და პარლამენტი „პირველი რუსის“ „სკანდალის“ შემთხვევაში, პრეზიდენტი სააკაშვილის არაადეკვატური რეაქცია ზაზა ბურჭულაძის ირონიულ რეპლიკაზე ქუთაისში გამართულ ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე და სხვ.), ზვიად რატიანის შემთხვევაში, სახელმწიფომ ცალსახად დაიკავა დამნაშავე პოლიციელების მხარე და მეტიც, სიმართლის დადგენისა და უსამართლობაზე ზნეობრივად მართებული რეაგირების ნაცვლად, თავისივე პროპაგანდისტული ორგანოს მეშვეობით (საზოგადოებრივი მაუწყებელი) კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა დაზარალებულს. მოქალაქე ისევ დაუცველი აღმოჩნდა სახელმწიფოს წინაშე.

თითქოს ამ (და სხვა) პროცესების გამოძახილად იქცა საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ 2019 წელს „ქართული ეროვნული წიგნის ცენტრისა“ და „მწერალთა სახლის“ გაუქმება-გადაკეთება, რაც საზოგადოებამ სახელმწიფოს მიერ მწერლების გარკვეულ დასჯად აღიქვა. განათლებისა და კულტურის სამინისტროს ამ გაუაზრებელ ქმედებას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა, „მწერალთა სახლის“ კედელზე გაჩნდა დავით სარაჯიშვილის სტენსილი („დავით სარაჯიშვილი მწერალთა სახლს ტოვებს“), რაც ამ პროტესტის ძლიერ ვიზუალურ და შინაარსობრივ პროტესტად სიმბოლოდ იქცა. პროტესტის შედეგად, კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ (კულტურის ექს-მინისტრმა) თანამდებობა დატოვა, მწერალთა სახლისა და წიგნის ცენტრის თანამშრომლების ნაწილი უკან, „რეანიმირებულ“ მწერალთა სახლში დაბრუნდა, თუმცა მიღწეული კომპრომისის თუ გამარჯვების ნაწილობრივი მიღწევის მიუხედავად, წიგნის ცენტრის არსებული სტატუსს ქუო არ აღდგენილა.

მაგრამ არც იმ ფორმით დარჩა, როგორც „დამსჯელ“ ბიუროკრატებს ჰქონდათ თავიდან ჩაფიქრებული. „მცირედთა“ პრინციპულობა ძლიერთა მეთოდებზე შედეგიანი აღმოჩნდა. მეტ-ნაკლებად მაინც.

მაგრამ, განა ასე არ იყო თითქმის ყოველთვის?!

პირველი ტექსტიც კი, რომლითაც ქართული ლიტერატურა იწყება, სწორედ თავისუფლების, უკომპრომისობისა და ზნეობრივი პრინციპის დაცულობის პრობლემაზეა, როცა ფიზიკურად ძლიერი დესპოტი (უმრავლესობა) გარეგნულად შესაძლოა სუსტ, მაგრამ ნებით მყარს უპირისპირდება, რადგან „სუსტი“ თავის ზნეობრივ პრინციპს არ თმობს, „ძლიერს“ კი თავისუფლების ლოგიკა არ ესმის.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ ერთგვარი ისტორიული ფორმულაა საქართველოსთვის, ეს ღია ტექსტი და ამბავია – 15 საუკუნის წინ რომ დაიწყო და ჯერაც არ დასრულებულა, რადგან თურმე ყველა ეპოქას ჰყოლია თავისი ვარსკენი, რომელიც ჭეშმარიტებას უარყოფს...

თუმცა, როგორც ვხედავთ, არც „შუშანიკია“ მდუმარე...

პირველ ქართულ ლიტერატურულ ტექსტში სწორედ პროტესტის ათვლის წერტილი არის აღწერილი – პიროვნული მაგალითით საყოველთაო ღირებულების დაცვა... როცა ერთი მაგალითია მრავალთათვის...

საბჭოთა ქართული ინტელიგენციის გენეალოგია და ტრანსფორმაცია

In nova fert animus mutatas

dicere formas corpora

მოდი, გაამბობთ, როგორ იქცნენ
ფორმები სხვა სხეულებად.

ოვიდიუსი,

მეტამორფოზები 1,1.

ამბავი, რომელსაც მოყვებები, ინტელიგენციის მოკლე ისტორიაა საქართველოში. როგორ ჩამოყალიბდა ქართული ინტელიგენცია, როგორ გადაიქცა ის დამოუკიდებელ კლასად საბჭოთა პერიოდში და რა ცვლილებები განიცადა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. თემა ერთი სტატიისათვის ზედმეტად ვრცელია. მასალის სივრცეს იმით შევზღუდავ, რომ ინტელიგენციის ტრანსფორმაციის ფორმალურ მხარეზე გავამახვილებ ყურადღებას და არა შინაარსობრივზე. ფორმალური აღწერა წინ უსწრებს შინაარსობრივს, რადგანაც ჰომოგენურ ინტელიგენციას (იმ თვალსაზრისით, რომ ის სოციალურად ერთგვაროვან ჯგუფს წარმოადგენს) შინაარსობრივად შეიძლება განსხვავებული მიმართულებები ჰქონდეს. ასე ხდებოდა კიდევ საქართველოში XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე და XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე.

წერილის პირველი ნაწილი თეორიულია, მეორე ისტორიული. ინტელიგენციის ცნებას და თეორიას ამ წერილისათვის

არაპროპორციულად დიდ ადგილს იმითომ ვუთმობ, რომ ისტორიული ნაწილის, ინტელიგენციის ტრანსფორმაციათა აღწერის მცდელობაც კი თეორიული ჩარჩოს გარეშე არაპროდუქტიული მგონია. თეორიული თვალსაზრისით გამოვყოფ ინტელიგენციის ოთხ მოდელს: რომანტიკული ტრადიციის ეროვნულ ინტელიგენციას, კლასობრივ ინტელიგენციას (გრამში), კლასობრივად მიუკედლებელ ინტელიგენციას (მანჰაიმი) და პოსტკლასიკური საზოგადოების ინტელიგენციას (მამარდაშვილი). ამ მოდელებს გამოვიყენებ არა ისტორიული პერიოდიზაციისათვის (თუმცა შეიძლება გარკვეული განვითარების დანახვა რომანტიკული ინტელიგენციიდან პოსტკლასიკურ ინტელიგენციამდე), არამედ სისტემატურად, ქართული ინტელიგენციის აღსაწერად ყოველ ისტორიულ მონაკვეთში.

ისტორიულ ნაწილში თითო ქვეთავი ეძღვნება XIX საუკუნის, საბჭოთა პერიოდისა და პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის აღწერას.

I. ინტელიგენციის ცნება და თეორია

ცნება „ინტელიგენცია“ ისეთი ადამიანების ერთობლიობას აღნიშნავს, რომელთათვისაც განათლება პროფესიული ან სოციალური განმასხვავებელი ნიშანია საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან. ამ გაგებით ინტელიგენცია, როგორც ფენომენი, ცნებაზე ძველია და ყველგან არსებობდა, სადაც კი წერა-კითხვა ან მასთან დაკავშირებული საქმიანობა განსაკუთრებული საზოგადოებრივი ჯგუფების პრივილეგია იყო. ანტონიო გრამში და კარლ მანჰაიმი ინტელიგენციას **ისტორიულად** სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებენ. XIX საუკუნეში სიტყვა ინტელიგენციამ, რომელიც იქამდე ინტელექტს ნიშნავდა, შეიძინა განათლებულ ადამიანთა ჯგუფის მნიშვნელობა. თანამედროვე გაგებით, ინტელიგენციის ისტორიაც აქედან იწყება. სავარაუდოდ, ცნება ინტელიგენცია პირველად გამოიყენა პოლონელ-

მა ფილოსოფოსმა კაროლ ლიბელტმა 1844 წელს.¹ 1840-იან წლებში ინტელიგენციას სოციალური ჯგუფის აღსანიშნავად იყენებდნენ გერმანიაშიც და რუსეთშიც. რუსეთში ეს ცნება 1860-იან წლებში პოპულარული გახადა ჟურნალისტმა ბობრიკინმა, რომელიც ამ ცნების ავტორობას იჩემებდა.² რუსეთში ინტელიგენციის ცნებამ განსაკუთრებული სულიერი მისიის მატარებელი სოციალური ჯგუფის მნიშვნელობა შეიძინა.³ საქართველოში აღნიშნული ცნება 1890-იანი წლების შემდეგ მკვიდრდება. 1906 წელს არჩილ ჯორჯაძე უკვე ინტელიგენციის ისტორიას წერს.⁴

სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელად ეს ცნება უფრო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, პოლონეთსა და რუსეთში გამოიყენებოდა (საქართველოშიც, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილში). დასავლეთ ევროპაში ინტელიგენციის ცნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის აღარ გვხვდება – დასავლეთ ევროპული დისკურსი ნაკლებად ეხება კოლექტიურ ინტელიგენციას, უფრო ინდივიდუალურ (საჯარო) ინტელექტუალებს.⁵

1. Andrzej Walicki, Polish Conceptions of the Intelligentsia and Its Calling, *Slavica Lundensia* 22, 2005, pp. 1-22, აქ: 3. Aleksander Geila, "The life and death of the old Polish intelligentsia", *Slavic Review* 30:1, 4; A. Walicki, *Philosophy and Romantic Nationalism. The Case of Poland*, Oxford 1982, 177.
2. Глебкин В.В. Интеллигенция // Вестник культурологии. 2015. №1 (72). URL: <https://cyberleninka.ru/article/n/intelligentsiya> (ბოლო წვდომა: 17.09.2020).
3. Berlin, Isaiah. *A Remarkable decade*. Published in: *Russian Thinkers*, Penguin UK, 2013
4. არჩილ ჯორჯაძე, „მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“ // არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბილისი 1989, გვ. 103-314,
5. ცნება „ინტელექტუალი“ უფრო გვიანდელია, ვიდრე „ინტელიგენცია“. ის გაჩნდა საფრანგეთში იმ ადამიანების აღსანიშნავად, რომლებიც ჯაშუშობაში უდანაშაულოდ ბრალდებულ ფრანგ ებრაელ ოფიცერს, ალფრედ დრეიფუსს ესარჩლებოდნენ. David Drake, *French Intellectuals and Politics from the Dreyfus Affair to the Occupation*, Basingstoke et. al. 2005.
ცნების გამოყენების მაგალითისათვის იხ. Michel Foucault and Gilles Deleuze, *Intellectuals and Power*, // *Language, Counter-Memory, Practice. Selected Essays and Interviews*, Ed. by D. F. Bouchard, Ithaca, Cornell UP 1977, 205-217.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დასაწყისში ინტელიგენციაზე ბევრი ავტორი წერდა (ბერდიავი, პლехანოვი, ბუხარინი, პოლონსკი) გრამშიმ და მანჰაიმმა შექმნეს ინტელიგენციის თეორია, რომელიც თავის მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს.

ინტელიგენციის თეორიაში ინტელიგენციის ფორმის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით: ა) ინტელიგენცია ერის განათლებული, საუკეთესო ნაწილია; ბ) ინტელიგენცია ყოველი კლასის განათლებული ფენაა, რომელსაც კლასობრივი მდგომარეობის გაცნობიერება და ჩამოყალიბება შეუძლია; გ) ინტელიგენცია კლასობრივია, მაგრამ ყველა კლასში წარმოადგენს შედარებით მიუკერძოებელ ფენას, რომელსაც საკუთარი კლასობრივი ინტერესებისაგან ტრანსცენდირება შეუძლია; დ) ინტელიგენცია კლასობრივია, მაგრამ ერთკლასიან თანამედროვე საზოგადოებაში ის ამ კლასის ინტერესებს ემსახურება. ამ განსხვავებულ თეორიებზე დანვრილებით შევჩერდები.

ა) ინტელიგენციის ცნება, რომელიც პოლონეთის 1831 წლის აჯანყების კონტექსტში გაჩნდა და იგი თეორიულად გააფორმა კარლ ლიბელტმა, რომანტიზმისა და ერის ჰერდერისეული გაგების პროდუქტს წარმოადგენდა. ჰერდერს მიაჩნდა, რომ ენა, კულტურა, ხელოვნება, ეროვნული სულის გამოხატულება იყო. აქედან კი შორს არ იყო მოსაზრება, რომ მწერლები და ხელოვანნი, რომლებიც ეროვნულ სულს გამოხატავდნენ, ერის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდნენ.⁶ ერის ჰერდერისეული გაგება განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო იქ, სადაც პოლიტიკური ერი არ არსებობდა. რუსეთის მიერ დაპყრობილ

6. Reinhart Koselleck, „Herder“, // „Volk, Nation, Nationalismus, Masse“, // *Geschichtliche Grundbegriffe. Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland*. Hgg. v. Otto Brunner, Werner Conze, Reinhard Koselleck, Stuttgart 1992, ტ.7, გვ. 141-431.

პოლონეთში (ან მის ნაწილში) სწორედ ინტელიგენცია ითავსებდა პოლიტიკური კლასის ფუნქციასაც ან, უფრო სწორად, ყოფილი პოლიტიკური ნაწილი (თავადაზნაურობა) ინტელიგენციად გადაიქცა. მსგავსი სოციალური ტრანექტორია შეგვხვდება საქართველოშიც, სადაც თავადაზნაურობა ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი ინტელიგენციად გარდაიქმნა მას შემდეგ, რაც რუსულმა კოლონიურმა მმართველობამ მას პოლიტიკური ფუნქცია ჩამოართვა.

ინტელიგენცია ილია ჭავჭავაძესაც რომანტიზმის ტრადიციიდან გამომდინარე ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებით არ სარგებლობდა. მისთვის ინტელიგენტი – მეცნიერი ან ხელოვანი – მამულიშვილი იყო, მამული კი კლასობრივად დიფერენცირებული არ ყოფილა. მამულიშვილი მთელი ერის ინტერესებს გამოხატავდა. ეს თეორია ილიას გაშლილი აქვს საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზე“ (1863), ამ გაზეთმა კი საფუძველი ჩაუყარა პირველ დასს და მის სოციალურ ფილოსოფიას.

ერის სულისკვეთების გამომხატველთა მნიშვნელობით ესმოდა ინტელიგენცია XX საუკუნის დასაწყისში რუს ფილოსოფოს ნიკოლაი ბერდიაევს,⁷ რადგანაც ერს ერთი სული ჰქონდა, ხორციც ერთი უნდა ჰქონოდა. ამიტომაც, ინტელიგენციის ჰომოგენურობის დარღვევა ბერდიაევს ეროვნული ორგანიზმის სწეულების გამოხატულებად მიაჩნდა.

ეროვნული ინტელიგენციის თეორია, რომელიც ექსპლიციტურად არ ჩამოყალიბებულა და რომელსაც იმპლიციტურად, თუმცა სხვადასხვაგვარად და განსხვავებული აქცენტებით მისდევდნენ პოლონეთში კარლ ლიბელტი, საქართველოში ილია ჭავჭავაძე და რუსეთში ნიკოლაი ბერდიაევი, ინტელი-

7. Николай Бердяев, “Из психологии русской интеллигенции” // Духовный кризис интеллигенции. Статьи по общественной и религиозной философии (1907-1709), Санкт-Петербург 1910, 61-72, აქ: 61.

გენციას პრინციპშივე ერთიან სოციალურ ჯგუფად განიხილავდა და ვერ უშვებდა მისი სხვადასხვა ჯგუფების ან, უფრო სწორად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საკუთარი ინტელიგენციის არსებობის შესაძლებლობას. რაკი ერი ერთი სხეული იყო და ერთი სული ჰქონდა, მისი სულის გამომხატველი ინტელიგენციაც ერთი უნდა ყოფილიყო. ასეთი წარმოდგენის ფარგლებში ინტელიგენციის დიფერენციაცია მხოლოდ გადახვევის, დევიაციის ნიშნად აღიქმებოდა.

ბ) ერის ჰერდერისეული ცნებისაგან განსხვავებით, ინტელიგენციის კლასობრივი თეორია მარქსისგან მოდიოდა და კლასების თეორიას ეყრდნობოდა. მარქსი ინტელიგენციის ცნებას იყენებდა სოციალური თვალსაზრისით, ოღონდ ინტელიგენციის თეორიაზე არ დაფიქრებულა. ინტელიგენციის კლასობრივი თეორია ჩამოაყალიბა იტალიელმა კომუნისტმა ანტონიო გრამშიმ „ციხის რვეულებში“. გრამშიმ თეორიაზე დიდი გავლენა მოახდინა დისკუსიებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა 1920-იან წლებში. გრამშიმ 1922-1923 წელს რუსეთში იმოგზაურა და აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ბოლშევიკურ, განსაკუთრებით კომინტერნის ინტელიგენციასთან. მისი ჰეგემონიის თეორიასა და ინტელიგენციის თეორიაში რუსეთში მიმდინარე დისკუსიების კვალის დანახვა შეიძლება.

ბოლშევიკები ინტელიგენციის კლასობრიობას კი აღიარებდნენ, მაგრამ ამ კლასობრიობის შესახებ ჩამოყალიბებული აზრი არ ჰქონიათ. რუსული ინტელიგენციის მკვლევარი ს. კრასილნიკოვი 1920-იანი წლების საბჭოთა კავშირში სამ პოზიციას გამოჰყოფს: „პირველის წარმომადგენლები (ზალკინდი, ვოლფსონი) ინტელიგენციას განიხილავდნენ მუშათა კლასის სახეობად, რომელიც ასრულებდა გარკვეული სახის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. მეორე პოზიციის მომხრენი (ბუხარინი, ლუნაჩარსკი), მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, ინტელიგენციას საზოგადოების არაპროლეტარ-

რული, საშუალო ფენების [...] დამოუკიდებელ ნაწილად მიიჩნევენ. [...] მესამე ჯგუფის წარმომადგენლებს (პოლონსკის და სხვებს) მიაჩნდათ, რომ ყოველ საზოგადოებრივ კლასს საკუთარი ინტელიგენცია ჰყავდა.⁸ ამ სამ პოზიციას შორის საზღვრები არ იყო მკაფიო. ლენინი და ლუნაჩარსკი, მაგ. ინტელიგენციას კლასთაშორის შუალედურ, მერყევ ჯგუფად მიიჩნევენ.⁹ ლუნაჩარსკი და ბუხარინი ინტელიგენციას ჰომოგენურ ჯგუფად განიხილავდნენ (ამით ისინი მისდევდნენ ძველ, რომანტიზმიდან მომდინარე შეხედულებას ინტელიგენციის შესახებ), მაგრამ მიიჩნევენ, რომ პროლეტარიატს საკუთარი, ახალი ინტელიგენცია უნდა შეექმნა, რომელიც ჩაანაცვლებდა ძველ ინტელიგენციას.

საბოლოოდ, იდეალურ შემთხვევაში, მთელი პროლეტარიატი, კულტურის დონისა და ცნობიერების ამაღლების გზით მთლიანად უნდა გადაქცეულიყო საკუთარ ინტელიგენციად (ასეთი მოსაზრება გამოთქვა მემარცხენე პროფესურის წარმომადგენელმა მიხაილ რაისნერმა 1923 წელს გამართულ დისკუსიაზე).

გრამმის თეორიასთან ყველაზე ახლოს იყო საბჭოთა პუბლიცისტი ვიაჩესლავ პოლონსკი, რომლის აზრითაც ინტელიგენცია იყო ერთობლიობა იმ ხალხისა, რომელიც საკუთარი კლასის ზოგადი ამოცანებისა და ინტერესების გაგებამდე ამაღლდა. ამგვარად გაგებული ინტელიგენცია საკუთარი კლასის იდეოლოგიის ორგანიზატორი იყო. მისი აზრით, ერთიანი ინტელიგენცია არ არსებობდა: თავ-თავიანთი ინტელიგენცია ჰყავდათ თავადაზნაურობას, ბურჟუაზიას, გლეხობას, პროლეტარიატს. პოლონსკიც, რაისნერივით, მიიჩნევდა, რომ მომავალში ზღვარი პროლეტარიატსა და ინტელიგენციას შო-

8. С. Красильников, "Предисловие", // Судьбы русской интеллигенции. Материалы дискуссий 1923-1925, (ред. В.Л. Сокин), Москва 1991, 3-14, аҟ: 12.

9. "Судьбы современной интеллигенции" // Судьбы русской интеллигенции, 18-54, аҟ: 19

რის უნდა ნაშლილიყო და პროლეტარიატი უნდა გამხდარიყო საკუთარი თავის ბელადი.¹⁰

გრამში რუსული დისკუსიების სისტემატიზაციას შეეცადა და დასვა კლასობრივად გაგებული ინტელიგენციის თეორიისათვის მთავარი შეკითხვა – რას წარმოადგენდა ინტელიგენცია: დამოუკიდებელ სოციალურ ჯგუფს თუ ყველა სოციალურ ჯგუფის ინტელექტუალურ ავანგარდს.

გრამისათვის, ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, ინტელიგენცია არ უკავშირდებოდა რომელიმე საქმიანობას. ყველა ადამიანი, ფიზიკურად მშრომელიც კი, ინტელექტუალურადაც შრომობდა. ყველა ინტელექტუალი იყო, ოღონდ ყველა არ ასრულებდა ინტელექტუალის ფუნქციას. „ინტელიგენციის ახალი ტიპის შექმნის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ყველა ადამიანისთვის ამა თუ იმ ფორმით დამახასიათებელი ინტელექტუალური საქმიანობის კრიტიკულ განვითარებაში და ინტელექტუალურსა და კუნთოვან-ნერვულ საქმიანობას შორის ახალი წონასწორობის მიღწევაში. უნდა შეიქმნას ისეთი წონასწორობა, რომლის შედეგადაც კუნთოვან-ნერვული შრომა, როგორც მატერიალური და სოციალური სამყაროს განმაახლებელი პრაქტიკული საქმიანობის ნაწილი, გახდება ახალი მსოფლმხედველობის საფუძველი“.¹¹ თანამედროვე სამყაროში ყველაზე არაკვალიფიცირებული ფიზიკური შრომაც კი უნდა გამხდარიყო ინტელიგენტის ახალი ტიპის ჩამოყალიბების საფუძველი, განსხვავებით ინტელიგენციის ძველი გაგებისა, რომელიც ინტელიგენტურობად მხოლოდ უმაღლეს განათლებასთან ან ხელოვნებასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ შრომას მიიჩნევდა.

აქედან გამომდინარე, ყოველ კლასს ჰყავდა საკუთარი ინ-

10. “Будущее интеллигенции. Дискуссия в политехническом музее” // Судьбы русской интеллигенции, 15-18, აქ: 17-18.

11. Antonio Gramsci, Selection from Prison Notebooks, edited and translated by Quentin Hoare and Geoffrey Nowell Smyth, London 1971, 141.

ტელიგენცია, რომელიც ამ კლასთან მიმართებით ორგანული იყო – მის წიაღში ჩნდებოდა, ამ კლასის მიზნებისა და მოთხოვნილებების გაცნობიერება და ჩამოყალიბება შეეძლო. ყოველი ახალი კლასი საკუთარი რიგებიდან ქმნიდა ახალ ინტელიგენციას (რომელიც, გრამშისთანაც, თუნდაც იმპლიციტურად, ემთხვეოდა მთელ კლასს) და რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა პრაქტიკული ცხოვრების ყველა სფეროში რომელიმე კონკრეტული სფეროს (მაგ. ხელოვნების) პრივილეგიების ან მონოპოლიზაციის გარეშე.

წინამორბედი კლასის ინტელიგენციას დაკარგული ჰქონდა საკუთარი ორგანული კლასობრივი მიკუთვნებულობის შეგნება და თავი „მარადიულად“, „კლასგარეშედ“ ან „ზეკლასობრივად“ მიაჩნდა. ასეთ ინტელიგენციას გრამში ტრადიციულს უწოდებდა. (მაგ. ფეოდალიზმისათვის სასულიერო წოდება ორგანული ინტელიგენცია იყო, რომელიც ისტორიული განვითარების შემდეგ ეტაპზე უკვე ტრადიციულ ინტელიგენციად გადაიქცა).¹² იმ კლასისათვის, რომელიც ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვოდა, უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო ტრადიციულ ინტელიგენციაზე კულტურული ჰეგემონიის მოპოვება.

გრამში ბუხარინსა და პოლონსკის შორის პოზიციას იკავებდა. ერთი მხრივ, ინტელიგენციის კლასობრიობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ყველა კლასს საკუთარი ინტელიგენციის შექმნა შეეძლო და ამას აკეთებდა კიდეც, მეორე მხრივ კი ინტელიგენცია კლასთან მიმართებით დამხმარე ფუნქციას ასრულებდა: 1) ინტელიგენცია უზრუნველყოფდა ხალხის მასების „სპონტანურ“ თანხმობას იმ მიმართულებასთან, რომელსაც მმართველი ჯგუფი საზოგადოებას ახვევდა თავს [...] 2) ინტელიგენცია მონაწილეობდა იძულების სახელმწიფო აპარატში, რომელიც უზრუნველყოფდა „კანონიერ“ დისციპლინას მათში, ვინც არც პასიურად, არც აქტიურად არ ეთანხმებოდა

12. Gramsci, Selection from Prison Notebooks, 134 და შემდგომ.

მოქმედ ძალაუფლებას და რომელიც შეიძლებოდა გავრცობილიყო მთელ მოსახლეობაზე მართვის კრიზისის დროს, როდესაც მოსახლეობის სპონტანური თანხმობა ქრებოდა.¹³ მოქმედი ძალა კლასი იყო, ინტელიგენცია კი კლასს ემსახურებოდა. საბჭოთა თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, გრამში კლასის ავანგარდის ფუნქციას ნაკლებად აკისრებდა პარტიას, არამედ მიიჩნევდა, რომ იდეალურ შემთხვევაში მთელი კლასი უნდა გამხდარიყო საკუთარი თავის ინტელიგენცია.

გ) ინტელიგენციის კლასობრივ თეორიას აღიარებდა გერმანელი სოციოლოგი კარლ მანჰაიმი, ოღონდ ამ თეორიაში თავისი შესწორებები შეჰქონდა. სტატიაში – „შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური მეცნიერება?“ – რომელიც შესულია წიგნში *იდეოლოგია და უტოპია* (1929), მანჰაიმი ვარაუდობდა, რომ აზროვნება დაკავშირებული იყო „ყოფიერებით მდგომარეობასთან“ (Seinslage) – არსებობდა კავშირი იმას შორის, რასაც ფიქრობდა ესა თუ ის საზოგადოებრივი ჯგუფი ან კლასი (მის იდეოლოგიას) და მის „ყოფიერებით მდგომარეობას“ შორის.¹⁴

13. იქვე, გვ. 145.

14. „იდეოლოგიის და უტოპიის“ შესავალ ნაწილში მანჰაიმი განასხვავებს პარტიკულარულ და ტოტალურ იდეოლოგიას: პირველი არ სცილდება ინდივიდუალურ და ფსიქოლოგიურ დონეს (მაშინაც კი, როდესაც კოლექტივებზე ლაპარაკობს), მეორე კი მთლიანობაში აღწერს სააზროვნო აპარატს ან სტრუქტურას (მანჰაიმი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ცნებას იყენებს, მათ შორის – ცნობიერების სტრუქტურის ცნებას). ტოტალური იდეოლოგია (რომელიც არ უნდა აგვერიოს ტოტალიტარიზმის იდეოლოგიაში) ისტორიულად ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ერთიანი მსოფლალქმის დარღვევის შემდეგ. განმანათლებლობა შეეცადა, ეს მთლიანობა ცნობიერების მთლიანობის შემოტანით გადაერჩინა. ჰეგელმა ცნობიერების ამ მთლიანობის ისტორიზაცია მოახდინა აბსოლუტური ან მსოფლიო გონის ცნების და მისი ისტორიული მოძრაობის შემოტანით, რომანტიზმმა მსოფლიო გონი სახალხო გონებად დაშალა (Volksgeist, საქართველოში დამკვიდრებული ცნების მიხედვით მას უფრო შეესაბამება „ეროვნული სული“), ხოლო მარქს(იზმ)მა მსოფლიო გონი კლასობრივი ცნობიერებით ჩაანაცვლა (მანჰაიმი მიიჩნევს, რომ უფრო სწორი ცნება კლასობრივი იდეოლოგიაა). მანჰაიმი მიიჩნევს, რომ ამ განვითარებას ერთი საერთო რამ ჰქონდა: რაც უნდა ისტორიულად

ცოდნის (განსაკუთრებით, პოლიტიკური ცოდნის) კლასობრიობის აღმოჩენა, მანჰაიმის აზრით, მარქსისტული სოციოლოგიის დამსახურება იყო. ოღონდ მარქსისტული სოციოლოგია ორ ასპექტს არ ითვალისწინებდა. უპირველესად, ის ხედავდა და აღწერდა მონინალმდევე ჯგუფების მსოფლმხედველობას, როგორც იდეოლოგიას (რომელსაც უნგრელი ფილოსოფოსი გეორგ ლუკაჩი (1885-1971) ყალბ ცნობიერებას უწოდებდა),¹⁵ ოღონდ არ შესწევდა უნარი, საკუთარი პოლიტიკური მსოფლმხედველობაც აღწერა, როგორც იდეოლოგია.¹⁶

ან სოციალურად დიფერენცირებული ყოფილიყო ცნობიერება, ის ყოველთვის გულისხმობდა სუბიექტს და მასზე იყო მიბმული: ცნობიერება სუბიექტის ცნობიერება იყო, იმისგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა ეს სუბიექტი წარმოდგენილი მსოფლიოდ, ერად თუ კლასად. მანჰაიმი აზროვნების ისტორიაში ორმაგ მოძრაობას ხედავდა: ერთი მხრივ, სინთეტური კონცენტრაციის პროცესს, რომელშიც მსოფლიოს უსასრულო მრავალსახეობა ერთიან ცენტრს იღებდა ცნობიერების ცნების სახით, მეორე მხრივ კი, იგივე სააზროვნო მოძრაობა მუშაობდა ზემოხსენებულ სინთეტურ მოძრაობაში ზედმეტად კონსტრუქციულად პოსტულირებული ერთიანობის შესამსუბუქებლად. შესაბამისად, „ცნობიერების, როგორც ასეთის“ ფიქტიური მარადიული და უცვლელი ერთიანობის ადგილას ჩნდებოდა ისტორიულად, ეროვნულად და სოციალურად დიფერენცირებული სუბიექტი. ამ განვითარების ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ თუკი ადრე მონინალმდევეებს საერთო მსოფლალქმა ჰქონდათ და ერთმანეთისათვის ტყუილის დაბრალება შეეძლოთ, ახლა უკვე გაჩნდა მონინალმდევის მთელი სააზროვნო სტრუქტურის დისკრედიტაციის, მისი ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობა. Karl Mannheim, *Ideologie und Utopie*, Bonn 1929, აქ: 1-24.

15. Georg Lukács, „Klassenbewusstsein“ // *Geschichte und Klassenbewusstsein*, Studien über marxistische Dialektik, Berlin 1923, 69-96, აქ: 72.

16. ამას მანჰაიმი „სპეციალური იდეოლოგიის“ ცნებას უწოდებდა (ის არ ასახელებს, მაგრამ, სავარაუდოდ, გულისხმობს ლუკაჩის ნაშრომს „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება“ რომლის მიხედვითაც მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია სხვისი და საკუთარი კლასობრივი მდგომარეობის გაცნობიერება, განსხვავებით ბურჟუაზიისაგან, რომელიც საკუთარ კლასობრივ მდგომარეობას ვერ აცნობიერებს). იდეოლოგიის ტოტალური ცნების ზოგადად ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, როდესაც არა მარტო მონინალმდევის, არამედ ყველა, მათ შორის საკუთარი მდგომარეობაც იდეოლოგიურ ჩრილში დანახვას შეეძლებოდა. Mannheim, *Ideologie und Utopie*, 31-33. სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომა განასხვავებდა ცოდნის სოციოლოგიას უბრალო სწავლებისაგან იდეოლოგიების შესახებ: პირველი ერთი პარტიის საბრძოლო აპარატს გადააქცევდა ჰუმანიტარული კვლევის საგნად.

მეორე შენიშვნა, რომელიც მანჰაიმს მარქსისტული სოციოლოგიის მიმართ ჰქონდა, ცოდნის კლასობრიობის გადაულახავობას ეხებოდა. მანჰაიმი თვლიდა, რომ მიუხედავად კლასობრიობის და იდეოლოგიური დაქსაქსულობისა, პოლიტიკური ველი მაინც ერთიანი იყო და ამ ერთიანობას სწორედ „კლასობრივად მიუკერძოებელი ინტელიგენცია“ უზრუნველყოფდა.

მივყვეთ მანჰაიმის არგუმენტაციას. მისი აზრით, მსოფლმხედველობისა და (პოლიტიკური) აზროვნების დაქსაქსვა, დიფერენციაცია და პოლარიზაცია პოლიტიკური პოზიციების მიხედვით XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა.¹⁷ ამ დროიდან ნებისმიერი პოლიტიკური ცოდნა აუცილებლად პარტიული და, რაც მთავარია, პარტიკულარული, როგორც მანჰაიმი ამბობს, „ნაწილობრივ-ყოფიერი“ იყო. მაგრამ თავისთავად პოლიტიკური ცოდნის პარტიკულარულობა იმას უჩვენებდა, რომ „პარტიული ასპექტები“ ერთი მთლიანი ველის ნაწილები იყვნენ, ხოლო პოლიტიკური სოციოლოგიის ამოცანას ამ მთლიანი პოლიტიკური ველის აღწერა წარმოადგენდა.¹⁸

თუკი დიფერენცირებულ პოლიტიკურ ველს ერთ მთლიანობად წარმოვიდგენდით, მაშინ უნდა ყოფილიყო ძალები, რომლებიც ამ მთლიანობას უზრუნველყოფდა. პოლიტიკური ველის მთლიანობას ქმნიდა „დინამიკური სინთეზი“, რომელიც განსხვავდებოდა სტატიკური სინთეზისაგან. სტატიკური იყო სინთეზი, რომელიც ეყრდნობოდა წმინდა რაოდენობრივ შუა-

17. იქვე, გვ. 115.

18. იქვე, გვ. 116. მიუხედავად თავისი დაქსაქსულობისა, პოლიტიკური აზრის კლასობრიობა და იდეოლოგია არ ნიშნავდა რელატივიზმს (ცალკეული იდეოლოგიების მიღმა არსებული მართალი გამონათქვამების შეუძლებლობას): მანჰაიმი პოლიტიკურ ველს რელაციურად აღწერდა (რელაციონიზმი ამ შემთხვევაში ნიშნავდა, რომ გარკვეულ სისტემაში ყველა აზრის მატარებელი ელემენტი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ერთმანეთს ეყრდნობოდა. იქვე, გვ. 41

ლედს პოლიტიკურ პოლუსებს შორის (ასეთ შუალედურ კლასად მემარცხენე და მემარჯვენე თეორეტიკოსები ბურჟუაზიას ასახელებდნენ). დინამიკური სინთეზი კი რომელიმე ჯგუფს კი არ ეყრდნობოდა, არამედ მაქსიმალურად ითვისებდა ყველა ჯგუფის კულტურულ სიკეთებსა და სოციალურ ენერჯიას და უზრუნველყოფდა პარტიკულარული, ერთმანეთთან შეურიგებელი და ურთიერთგამომრიცხავი სააზროვნო სტილების შერიგებას.

მანჰაიმის აზრით, ასეთი სინთეზი შესაძლებელი იყო, რადგანაც (სოციალური) აზროვნება გართულებული საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნილებების კვალდაკვალ უნდა განვითარებულიყო: გართულებული პრობლემები კლასობრივად ლოკალიზებული ცოდნის ტრანსცენდირების და დინამიკური სინთეზის აუცილებლობას ქმნიდა, რომელიც სამუდამო კი არ იყო, არამედ ისტორიულად იცვლებოდა. ამგვარი დინამიკისა და მთლიანობისადმი მისწრაფება ვერ წამოვიდოდა კლასობრივად, გინდაც საშუალო კლასებში ლოკალიზებული ჯგუფისგან, არამედ შედარებით უკლასო, სოციალურ სივრცეში არამყარად ჩანერგილი ჯგუფისაგან. სწორედ ასეთი ჯგუფი იყო მანჰაიმის აზრით სოციალურად მიუკედლებელი ინტელიგენცია.¹⁹

მანჰაიმს მიაჩნდა, რომ მხოლოდ კლასებზე ორიენტირებულ სოციოლოგიას ამ ფენომენის დანახვა არ შეეძლო და ინტელიგენციას კლასად ან კლასის დანამატად განიხილავდა.²⁰

19. იქვე, გვ. 123. მანჰაიმი ამ ცნებას ალფრედ ვებერისაგან სესხულობს. Sozial freischwebende Intelligenz პირდაპირ რომ გადავთარგმნოთ, „სოციალურად თავისუფლად მოლივლივე ინტელიგენცია“ გამოგვივა. მანჰაიმი ამ ცნებას ინგლისურად თარგმნის როგორც „socially uncommitted intelligentsia“. იხ: Karl Mannheim, „The Problem of the Intelligentsia. An Inquiry into its Past and Present Role“ // Karl Mannheim, Essays on the Sociology of Culture, Collected Works Volume Seven, New York 2003, 91-170, აქ: 105. ქართულად ვარჩიე „სოციალურად მიუკედლებელი“, რადგანაც ეს თარგმანი, ჩემი აზრით, მანჰაიმის აზრს უფრო ზუსტად გამოხატავს, ვიდრე სიტყვასიტყვით თარგმანი.

20. იქვე.

სწორედ ასე ხდებოდა ინტელიგენციის საბჭოთა თეორიებ-
სა და გრამშის თეორიაში. მანჰაიმის აზრით, განსხვავებით
სხვა სოციალური ჯგუფებისაგან, ინტელიგენციას არ ჰქონ-
და ჰომოგენური ეკონომიკური ბაზა, რომელიც მისი ამ კრი-
ტერიუმით დაჯგუფების შესაძლებლობას მოგვცემდა. გარდა
ამ ეკონომიკური კრიტერიუმისა, არსებობდა სოციოლოგიური
კრიტერიუმიც: სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, სხვადას-
ხვა კლასის ინტელიგენცია სარგებლობდა ცოდნის ერთობ-
ლივი საგანძურით. ეს ერთობლივი სარგებლობა ანელებდა
დიფერენციაციის ტენდენციას. განათლება და კულტურა იყო
ემანსიპატორული ძალები, რომლებიც ინტელიგენციას სა-
შუალებას აძლევდა, საკუთარი კლასის ან წოდების ჩარჩოებს
გასცდენოდნენ. (ეს მხარე მანჰაიმს გაშლილი აქვს წერილში
„ინტელიგენციის პრობლემა“).²¹

მანჰაიმის აზრით, „მიუკედლებელი ინტელიგენციის“ შუა-
ლედური მდგომარეობიდან გამომდინარე, ორი გზა იხსნებოდა:
თავისუფალი არჩევანით შეერთება ამა თუ იმ ანტაგონისტურ
კლასთან ან საკუთარი მისიის – მთლიანობის სულიერი ინტე-
რესების ადვოკატობის – აღმოჩენა. პირველი გზა გულისხმობ-
და მოწინააღმდეგე კლასებთან გაერთიანების შესაძლებლობა-
საც (ისეთ კლასებთან გაერთიანებას, რომლებთანაც ინტელი-
გენტი წარმომავლობით არ იყო დაკავშირებული). არჩევანის
ეს შესაძლებლობა განასხვავებდა ინტელიგენციას კლასობრი-
ვად ერთმნიშვნელოვნად დეტერმინირებული ინდივიდებისაგან,
რომლებსაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეეძლოთ სა-
კუთარი სოციალური სამკვიდროს მიღმა მოქმედება.²²

მანჰაიმის თეორია არ ნიშნავდა ჰომოგენური ინტელიგენ-

21. იხ. სქოლიო 19.

22. მანჰაიმის მიხედვით, არჩევანის შესაძლებლობა იყო ინტელიგენციის მი-
მართ უნდობლობის მიზეზი არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე
ნებით მიუკედლებოდა რომელიმე სოციალურ კლასს, არამედ (გრამშის
ცნება რომ მოვიშველიოთ) ორგანული ინტელიგენციის მიმართაც, მაგ. მა-
შინ, როდესაც პროლეტარი ინტელიგენტი ხდებოდა.

ციის რომანტიკულ თეორიასთან დაბრუნებას: მანჰაიმის ინტელიგენცია, მიუხედავად იმისა, რომ კლასობრივი იყო, ამ კლასობრიობის გადალახვის და ამით ისტორიულად ცვლადი დინამიკური სინთეზის შესაძლებლობას ქმნიდა, რომელიც აუცილებელი იყო ისტორიული პროგრესისთვის: ისტორიულად გართულებული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელსაც ცალკე აღებული კლასი ვერ გადაჭრიდა.

დ) ინტელიგენციის თავისებური თეორია ჩამოაყალიბა მერაბ მამარდაშვილმა სტატიაში „ინტელიგენცია თანამედროვე საზოგადოებაში“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის დანგრევამდე დიდი ხნით ადრე, 1968 წელს, მაგრამ რომელიც ფაქტობრივად აღწერს ინტელიგენციის იმ მდგომარეობას, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში შეიქმნა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ და მოქმედებს დღესაც.²³ მიუხედავად იმისა, რომ მამარდაშვილი თავის მოკლე სტატიაში საბჭოთა კავშირს და სოციალისტურ ბანაკს საერთოდ არ შეხებია, მთელი რიგი შენიშვნებისა შეიცავდა საბჭოთა ინტელიგენციის და მისი წოდებრივი თვითშეგნების (ინტელექტუალურ შრომასა და საზოგადოებრივი ინტერესის გამოხატვის მონოპოლიაზე პრეტენზიის) კრიტიკასაც. თავის წერილში მამარდაშვილი ეყრდნობა გრამშის და მიუხედავად იმისა, რომ ის მანჰაიმს არ ახსენებს, მისი თეორია გრამშისა და მანჰაიმის გარკვეულ სინთეზს გულისხმობს. ინტელიგენციის ისტორიას მამარდაშვილი უშუალოდ უკავშირებს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ისტორიას და ამით გრამშის და მანჰაიმის კვალდაკვალ მარქსისტულ თუ არა, მტკიცე მატერიალისტურ საფუძველზე დგას. გრამშისაგან განსხვავებით მამარდაშვილი

23. Мераб Мамардашвили, „Интеллигенция в современном обществе“ // Мераб Мамардашвили, Как я понимаю философию, Москва 1990, 329-337. პირველად გამოქვეყნდა კრებულში „Проблемы рабочего движения, Материалы международной сессии 12-15 апреля 1967 года“, Москва 1968, 3-12.

„ტრადიციული“ და „ორგანული“ ინტელიგენციის ცნებებს განსხვავებულად იყენებს და მათ საზოგადოებრივი განვითარების ორ: კლასიკურ და თანამედროვე პერიოდს უკავშირებს. კლასიკური პერიოდი (1930-იან წლებამდე) „ეკონომიკური კანონების და ძალების სტიქიური იძულებით“ ხასიათდებოდა. ამ პერიოდში არ მიიჩნეოდა, რომ ადამიანების ცნობიერება საზოგადოებრივ მნიშვნელობას ატარებდა, და სპეციალური მართვისა და რეგულირებისაგან თავისუფალი იყო. „ერთმანეთთან საზოგადოებრივი მთლიანობით დაკავშირებული საზოგადოებრივი ატომების“ რეგულირება ხდებოდა მეტ-ნაკლებად სტიქიურად „ინდივიდუალისტური“, „გონიერი“, „რაციონალურად გაგებული“ ეგოისტური ინტერესისა და საბაზრო კონკურენციის კანონების მეშვეობით. გარკვეული თვალსაზრისით ის, რასაც მამარდაშვილი „კლასიკურს“ უწოდებს, შეიძლება დავუკავშიროთ მანჰაიმის მიერ აღწერილ იდეოლოგიურად დიფერენცირებულ პოლიტიკურ ველს: ამ პერიოდში იდეოლოგიური განსხვავებები არსებობს და არის განსხვავებული (კლასობრივი) პოლიტიკის შესაძლებლობა, რასაც უზრუნველყოფს კლასობრივი ინტელიგენცია, რომელსაც, თავის მხრივ, კლასობრიობისაგან განრიდების მექანიზმები აქვს.

კლასიკური კაპიტალიზმის პერიოდში „ინტელიგენცია იყო რაოდენობრივად შეზღუდული და ჰქონდა დრო და საშუალება, განეხორციელებინა ფაქტობრივი მონოპოლია გონებრივ შრომაზე იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ნოდებრივი დანაწილება, კასტურობა, გარკვეული ტრადიციულობა და სიმყარე სოციალური სტრატეფიკაციებისა, რომლებიც ძალიან შეზღუდულ სოციალურ დინამიკას უშვებდა“.²⁴ იდეოლოგიას, რომელიც ინტელიგენციას გამოუმუშავდა და რომლის მიხედვითაც ინტელიგენცია საკუთარ თავს, როგორც „საზოგადოების სინდისს“, „საზოგადო მგრძნობელობის ორგანოს“ (всеобщим чувствилищем)

24. Мамардашвили, Интеллигенция в современном обществе, 331-332.

წარმოდგენდა, რომელშიც ერთიანდებოდა კრიტიკული თვითშეგნებისა და მგრძნობელობის ყველა ძაფი, ხოლო დანარჩენ საზოგადოებას მიიჩნევდა მის გარეშე უხმოდ და უსმენოდ დარჩენილად, მამარდაშვილი „განმანათლებლურ აბსოლუტიზმს“ უწოდებდა. კლასიკური პერიოდის ინტელიგენციის ასეთი აღწერა აახლოებს მას რომანტიკული ტრადიციის ინტელიგენციასთან. ოღონდ მამარდაშვილის მოდელში ინტელიგენცია, თუნდაც კლასიკური, სტატიკური არ არის.

მამარდაშვილი „კლასიკური“ კაპიტალიზმის ინტელიგენციას, გრამმისაგან განსხვავებით, არ აღწერს, როგორც ბურჟუაზიის „ორგანულ“ ინტელიგენციას. ორგანული ინტელიგენციის ცნება მისთვის არა კლასიკური, არამედ თანამედროვე (კაპიტალისტური) საზოგადოების ცნებაა. რადგანაც, მამარდაშვილის აზრით, „კლასიკურ“ პერიოდში კავშირი ეკონომიკურ ბაზასთან და მის ზედნაშენთან არამყარია, უფრო სწორად, ეს ზედნაშენი „ბოლომდე აშენებული“ არ არის, ინტელიგენციას ჰქონდა გარკვეული თავისუფლება, რაც მამარდაშვილის ანალიზს მანჰაიმისეულ „ნაწილობრივ მიუკედლებელ ინტელიგენციასთან“ აახლოებს.²⁵ ინტელიგენციის შედარებითი თავისუფლება აძლევდა მის გარკვეულ ნაწილს, „რომელსაც შეეძლო ამაღლებულიყო კაცობრიობის მთელი კულტურის დაუფლებამდე და ისტორიული პროცესის, როგორც მთლიანობის გაგებამდე, [...] გადასულიყო (და გადადიოდა კიდევ) ჩაგრულთა მხარეს“.²⁶

განსხვავებით კლასიკურისაგან, თანამედროვე სამყაროს,

25. „რამდენადაც არ არსებობდა ცოდნის საზოგადოებრივ მასშტაბში უტილიტარულად გამოყენების რაიმე ორგანიზებული ფორმები და [არ არსებობდა] ინტელიგენციის კოლექტიურობის შესაბამისი ფორმები, მისი კავშირი მმართველ კლასთან საკმარისად თავისუფალი იყო და მის წინაშე აყენებდა არა იმდენად მისი (ინტელიგენციის – ზ.ა.) საკუთარი მდგომარეობის პრობლემებს, არამედ ყველა სხვა საზოგადოებრივი ფენის პრობლემებსაც, რომელთა მაგივრადაც ის „აზროვნებდა“. იქვე, გვ. 332.

26. იქვე.

მამარდაშვილის თქმით, საზოგადოების სტრუქტურას არა სტიქიური, არამედ ორგანიზებული კავშირები ახასიათებდა; გაიზარდა ცნობიერების როლი სახელმწიფო მონოპოლიური კაპიტალიზმის მიზნების რეალიზაციაში. თანამედროვე სამყაროში მმართველი კლასის ეკონომიკური ინტერესები საზოგადოებრივი ატომების ცნობიერების „ორიენტიაციის“, „კოდირების“ გზით ხორციელდებოდა. საზღვრები მეცნიერებას, წარმოებასა და საზოგადოებრივ ადმინისტრირებას შორის იშლებოდა. ინტელექტუალური შრომაც სულ უფრო მასობრივი და სტანდარტიზებული ხდებოდა, რაც გულისხმობდა კავშირებს მის შემსრულებლებს შორის, არსებული „მაგალითების“ მასობრივ მასშტაბებში შაბლონურ კვლავწარმოებას, ინტელექტუალური ფუნქციის რუტინულ ხასიათს, რაც დიფერენცირებული იყო შემსრულებელთა შორის, რომლებსაც, თავის მხრივ, დაეკარგათ მთლიანობის კავშირის გაცნობიერების უნარი და ამით დამსგავსებოდნენ მშრომელებს შრომის დანაწილების პროცესში. ამ პროცესთან უშუალო კავშირში იყო „დასავლური საზოგადოების [...] იდეოლოგიური და ინსტიტუციური ზედნაშენის“ საბოლოო ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლო „საკუთარი ოპოზიციაც კი – იქნებოდა ეს ბრძოლა გაფიცვების მეშვეობით თუ „მემარცხენე“ ავანგარდული ხელოვნება – გადაექცია საკუთარი თვითრეგულირების ორგანოებად, სარქველებად და მათი, ასე ვთქვათ, საკუთარ თავში ინტეგრაცია მოეხერხებინა“.²

თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურის შესაბამისად, განსხვავებული იყო ინტელიგენციაც, რომელსაც დაეკარგა ტრადიციული მონოპოლია საზოგადოებრივი და ისტორიული პროცესების გაცნობიერებასა და აზრის გამოხატვაზე და, შესაბამისად, თავისი ნოდებრივი „რჩეულობის შარავანდედი“. „ინტელიგენციას უკვე აღარ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია იმაზე, რომ მან სხვის მაგივრად იცის ან სხვის მაგივრად

27. იქვე, 331.

აზროვნებს, და შემდეგ პატერნალისტურად დაიცვას ან გაანათლოს ისინი მზა აბსოლუტური ქეშმარიტების ან ჰუმანისტური მორალის მიწოდებით. [ინტელიგენცია] თვითონ ექცევა მისთვის გაუგებარი, დანაწევრებული რეალობის, ფრაგმენტირებული მთლიანობის წინაშე“.²⁸ გრამშისეულ „ორგანულ“ ინტელიგენციას მამარდაშვილი სწორედ საზოგადოების თანამედროვე განვითარებას უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ მამარდაშვილი არაფერს ამბობს თანამედროვე საზოგადოების კლასიკურ აგებულებაზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის „ერთკლასიან“ საზოგადოებას აღწერს, რომელშიც საზოგადოების ფართო ფენები, პროლეტარიატის ჩათვლით, ფაქტობრივად, ბურჟუაზიად არიან გადაქცეულები და კლასობრივი განსხვავებები ბურჟუაზიის სხვადასხვა კლასს შორის განსხვავებებს გულისხმობს. ამიტომაც მამარდაშვილი თანამედროვე საზოგადოების ინტელიგენციაზე ლაპარაკობს, როგორც ბურჟუაზიის ორგანულ ინტელიგენციაზე, რომელიც არ უნდა ავეურიოთ გრამშისეული გაგებით ორგანულ ინტელიგენციებში (მათ შორის ბურჟუაზიისა) „კლასიკურ საზოგადოებაში“. ბურჟუაზიის „ორგანული“ ინტელიგენციის ჩამოყალიბების პროცესში მამარდაშვილი ყურადღებას ამახვილებდა ორ განსხვავებულ პროცესზე: მართალია, ინტელიგენციის მონოპოლია დაირღვა, მაგრამ იდეოლოგია, რომელიც ამ მონოპოლიას ოდესღაც შეესაბამებოდა, ჯერ კიდევ შემორჩენილიყო. ამ მონოპოლიის დამრღვევი პროცესები აღიქმებოდა, მაგრამ გაცნობიერებული არ ყოფილა. ამიტომაც ინტელიგენცია, იმდენად, რამდენადაც ის არ ეგუებოდა არსებულ მდგომარეობას და სოციალური კრიტიკის ტრადიციას აგრძელებდა, ირაციონალური და აპოკალიფსური სოციალური უტოპიების საშუალებით გამოხატავდა საკუთარ თავს, მეორე ნაწილი კი სისტემაში ინტეგრაციას არჩევდა და სოციალური ინჟინერიის პროცესში მონაწილეობდა. განვითარებულ საზოგადოება-

28. იქვე, 332.

ში ინტელიგენცია განიცდიდა სტანდარტიზაციის, გაუცხოების პროცესს, მისი ექსპლუატაცია ადრინდელთან შედარებით უფრო ნატიფი და რთული იყო. აქედან გამომდინარე, ინტელიგენცია დადგა დილემის წინაშე: „გადაიქცეს თანამედროვე კორპორაციის ჩინოვნიკად და ინტეგრირდეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, თუ წავიდეს დემოკრატიული ბრძოლის და დემოკრატიული ძალების ბრძოლის გზით თანამედროვე მონოპოლიებთან“.²⁹

მამარდაშვილის წერილი ორი თვალსაზრისითაა საინტერესო. ერთი მხრივ, მასში შეგვიძლია წავიკითხოთ საბჭოთა ინტელიგენციის ირიბი აღწერა. ისევე როგორც თანამედროვე საზოგადოება ფაქტობრივად ერთკლასიანი (ბურჟუაზიული) საზოგადოებაა, ასევე ერთკლასიანია საბჭოთა საზოგადოებაც, რომელშიც ინტელიგენციაც ასევე დაქვემდებარებულ, სისტემასთან შერწყმულ და მის მომსახურე როლს ასრულებს, მაგრამ აქვს დემოკრატიული ბრძოლის პოტენციალიც. მეორე მხრივ, მამარდაშვილს 1968 წლის სტატია გვაძლევს საშუალებას, აღვწეროთ ინტელიგენციის როლი უკვე პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში, როდესაც საზოგადოებრივი სტრუქტურა ემსგავსება მამარდაშვილის მიერ აღწერილს და მიისწრაფვის ერთკლასიანი ბურჟუაზიული საზოგადოების მოდელისაკენ.

ინტელიგენციის ოთხი თეორია: ეროვნული ინტელიგენციის, კლასობრივი ინტელიგენციის, შედარებით მიუკედლებელი ინტელიგენციისა და ერთკლასიანი, „პოსტკლასიკური“ საზოგადოების ორგანული ინტელიგენციისა, საშუალებას მოგვცემს, აღვწეროთ ქართული ინტელიგენცია და მისი ტრანსფორმაციები დაახლოებით 200 წლის განმავლობაში.

29. იქვე, 335.

II. XIX საუკუნის ქართული ინტელიგენცია

XVIII საუკუნის ბოლომდე განათლების ძირითადი წყარო ჯერ კიდევ ეკლესია იყო, თუმცა მაღალი წოდების წარმომადგენლები განათლებას შინაც იღებდნენ. ეს იყო გრამშის გაგებით ტრადიციული ინტელიგენცია, რომელსაც ეკუთვნოდა მამების (გრიგოლ ორბელიანისა და ბარბარე ჯორჯაძის) თაობა. ტრადიციული ინტელიგენცია თავადაზნაურობის ინტელიგენცია იყო – განათლებული ფენა მასში განსაკუთრებულად არ ყოფილა გამოყოფილი – ყველას მეტი ან ნაკლები განათლება ჰქონდა მიღებული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ინტერესების ან ნიჭის მიხედვით მონაწილეობდა. წერა ჰობი იყო და არა პროფესია.

ინტელიგენციის გაჩენა საქართველოში დაკავშირებულია არა ახალი სოციალური კლასის გაჩენასთან (მაგ. ბურჟუაზიასთან), არამედ ტრადიციული ინტელიგენციის დიფერენციაციასთან, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდებოდა განათლების პროფესიული ცენტრების – სკოლების, უნივერსიტეტების, ჟურნალ-გაზეთების – გაჩენას. რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტები გახდნენ ქართული ინტელიგენციის სამჭედლოები, ხოლო ტრადიციული ინტელიგენციის შინაარსობრივი დიფერენციაციის გამოხატულებად განსხვავებული მიმართულების ჟურნალ-გაზეთები იქცა (მაგ. „ცისკარი“, როგორც ტრადიციული ინტელიგენციის ჟურნალი და „დროება“, როგორც ახალი ინტელიგენციის გაზეთი. არჩილ ჯორჯაძე ქართული ინტელიგენციის ისტორიას სწორედ ჟურნალი „ცისკრის“ დაარსებით იწყებს).

თავადაზნაურობის წრიდან ინტელიგენციის გამოყოფა სოციალურმა და ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა, რამაც ტრადიციული ფასეულობებისა და იერარქიების დაშლა გამოიწვია. XIX საუკუნის შუამდე თავადაზნაურობის ხელში იყო სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სიმბოლუ-

რი კაპიტალი.³⁰ XIX საუკუნის შუიდან ეკონომიკურ კაპიტალში მას ვაჭრები შეეცილნენ, ხოლო კულტურულ კაპიტალში – ახალი თაობა, რომელსაც განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში მიეღო და იქაური იდეები საქართველოში ჩამოეტანა.³¹

ეს შინაური განათლება აღარ იყო, ეს იყო თვისებრივად განსხვავებული, პროფესიონალიზებული განათლება, რომლის მიღებასაც რამდენიმეწლიანი ინტენსიური შრომა და საკმაო ფული სჭირდებოდა. ინტელიგენციის გაჩენა უშუალოდ უკავშირდება კულტურული კაპიტალის, განათლების მნიშვნელობის გაზრდას. სიმბოლური კაპიტალის მატარებელი ხდება არა თავადი, აზნაური ან ვაჭარი, არამედ განათლებული ადამიანი. სიმბოლური კაპიტალის ტრანსფორმაციას ზუსტად გამოხატავს ამირინდო, გიორგი ერისთავის „დავის“ პერსონაჟი: „კალამი ხმლათ გარდაიქცაო“. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სამაგალითო ქართველი განათლებული მამულიშვილია, რომელიც თავის განათლებას კერძო მატერიალური ან სიმბოლური წარმატების წყაროდ კი არ განიხილავს, არამედ საზოგადოებას მოახმარს.³²

სამოციანელთა თაობა, რომელსაც ილია ქავჭავაძე ჩაუდგა

30. ფართო გაგებით ეკონომიკის აღწერისთვის ბურდიემ კაპიტალის ოთხი სახეობა განასხვავა: 1) ეკონომიკური კაპიტალი, რომელიც უშუალოდ კონვერტირებადი ფულში; 2) კულტურული კაპიტალი (განათლება);

3) სოციალური კაპიტალი (სოციალური კავშირები) და 4) სიმბოლური კაპიტალი (პრესტიჟი). სიმბოლურ კაპიტალს ბურდიემ განმარტავდა, როგორც „სამი კაპიტალის აღქმულ და ლეგიტიმურად აღიარებულ ფორმას“. იხ. Pierre Bourdieu, *Sozialer Raum und Klassen, Leçon sur la leçon. Zwei Vorlesungen*, Frankfurt a.M. 1985.

31. ამ პროცესის შესახებ დანერჩილებით იხ. ზაალ ანდრონიკაშვილი, „ფული და ხარისხი. ქართული რომანტიკული ანტიკაპიტალიზმი (I ნაწილი)“, literature.iliauni.edu.ge, 17.03.2020, <https://literature.iliauni.edu.ge/literature/phuli-dakhariskhi-qarthuli-romantikuli-antikapitalizmi-pirveli-natsili/>

32. განათლების, როგორც მთავარი ფასეულობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იხ. ზაალ ანდრონიკაშვილი, „ფული და ხარისხი. ქართული რომანტიკული ანტიკაპიტალიზმი (II ნაწილი)“, literature.iliauni.edu.ge 31.03.2020, <https://literature.iliauni.edu.ge/literature/phuli-dakhariskhi-qarthuli-romantikuli-antikapitalizmi-meore-natsili/>

სათავეში, გრამშის კატეგორიებით რთულად აღინერება. წოდებრივად სამოციანელები თავად-აზნაურები იყვნენ, ოღონდ სამოციანელები არ ჯდებიან არც ტრადიციული და არც ორგანული ინტელიგენციის კატეგორიაში. ეს ტრადიციული ინტელიგენციის (თავადაზნაურობისათვის კი – ორგანული ინტელიგენციის) ემანსიპირებული ნაწილია, რომელმაც შეძლო საკუთარ წოდებრივ ინტერესებზე მაღლა დადგომა და ზენოდებრივი, ეროვნული ფასეულობებისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება. ილიას შექმნილია მამულის ფართო, პოლიტიკური ცნება, რომელმაც ჩაანაცვლა დაკარგული პოლიტიკური სახელმწიფო და, ასე თუ ისე, დღემდე განსაზღვრავს ქართულ პოლიტიკურ ფილოსოფიას. მონარქიის ერთ (ნაციით), უზენაესი სუვერენის ადგილას მეფის მაგივრად ხალხის (ერის) დაყენებამ დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიის მხრებზე გადაიარა. საქართველოში ეს ამოცანა ისევ თავადაზნაურობის ინტელიგენციად გარდაქმნილმა ნაწილმა იკისრა.

ვრცელ ციტატას მოვიყვან არჩილ ჯორჯაძის სტატიიდან, რომელიც შესანიშნავად აღწერს ქართული ინტელიგენციის თავადაზნაურობის წიაღიდან ემანსიპაციის პროცესს. „[...] ინტელიგენციის გამოსახვა იწყება 1861 წლიდან. 1863 წელს უკვე გარკვეულად მოსჩანს ახალი, კულტურულ-საზოგადოებრივი ჯგუფის სახე (1863 წელს დაარსდა ჟურნალი საქართველოს მოამბე, რომელიც დაუპირისპირდა „მამების“ „ცისკარს“ – ზ.ა.). აქედამ იწყება დიფერენციაცია თავადაზნაურობისა, როგორც წოდებრივ ერთეულისა და ინტელიგენციისა, როგორც წოდებათა შუა მდგარ კულტურულ ძალისა. მართალია, ამ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა თავადაზნაურული ელემენტისაგან შესდგება. ამ გარემოებას თავისი ცუდი და კარგი მხარე ჰქონდა, მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ. რომ ინტელიგენცია უკვე აღარ არის თავადაზნაურობა, არც თავისი მოქმედებით, არც თავისი მისწრაფებით. [...] დღეს, მაგალითად, საბოლოოდ მოხდა გათიშვა დემოკრატიული ინტელიგენციისა და წოდებრივ თავადაზნაურობისა. ასე რომ,

ინტელიგენცია და თავადაზნაურობა სხვა და სხვა მოვლენათა კატეგორიებია. [...] ადვილად წარმოსადგენია, რომ მესამოციანების ქართული პრესა, რომელმაც დაძლია პრინციპი ნოდებრიობისა და მოინადინა დემოკრატიულ ნიადაგზე დგომა აუცილებლად დაჰკარგავდა თავადაზნაურობის თანაგძნობას. და ეს ასედაც იყო. „ცისკრის“ მკითხველნი მას უნდობლობით და მტრულად ეკიდებოდნენ. სამაგიეროდ, ამ პრესას ახალი მკითხველი გამოუჩნდა. ეს მკითხველი იყო ნორჩი ქართველი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა და შეგირდები სხვა და სხვა სასწავლებლებისა“.³³

თავადაზნაურობის წიალიდან გამოსულმა ინტელიგენციამ უარი თქვა საკუთარი ნოდებრივი ინტერესების დაცვაზე და გამოესარჩლა ნოდებას, რომელსაც ჯერ საკუთარი ინტელიგენცია არ ჰყავდა. ამიტომ საქართველოში ინტელიგენციის გაჩენა უფრო მანჭაიმის თეორიის მეშვეობით შეგვიძლია აღვწეროთ, ვიდრე გრამშისა. სამოციანელთა ლოიალობა არ ეკუთვნოდა მათ ნოდებას, არამედ სწორედ საკუთარ ნოდებრივ ინტერესებზე მალლა დადგომამ შექმნა საქართველოში საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის წინსვლის შესაძლებლობა. მართალია, არჩილ ჯორჯაძე, რუსი კოლეგების კვალდაკვალ, ინტელიგენციას შუალედურ ფენად მოიხსენიებს, მაგრამ ის თვითონვე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ თავადაზნაურულ ინტელიგენციასა და თავადაზნაურობას შორის კავშირი არასოდეს განწყვეტილა და უკვე „რაზნოჩინცებიდან“ წამოსულმა ორგანულმა დემოკრატიულმა ინტელიგენციის გაჩენამ ზღვარი მათსა და ტრადიციულ ინტელიგენციას შორის სწორედ ნოდებრივ კუთვნილებაზე გაავლო.³⁴

33. არჩილ ჯორჯაძე, „მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“ // არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბილისი 1989, გვ. 103-314, აქ: გვ. 225-226.

34. „ცისკრის“ დროს ინტელიგენცია, როგორც თავადაზნაურობისაგან გამოყოფილი ერთეული, არა სჩანს. ეს გამოთიშვა ხდება „საქართველოს მოამბეში“ და „დროებაში“ თითქოს დამთავრებული ხასიათი ეძლევა ამ მოვლენას, ნამდვილად კი სრული გათიშვა არც იქ ხდება“. ჯორჯაძე, წერილები 285.

შინაარსობრივად, სამოციანელებს ჯორჯაძე ლიბერალიზ-
მსა და დემოკრატიზმს შორის ათავსებს. „პირველი ხანა ამ
ჯგუფის მოღვაწეობისა დახასიათდება, აზროვნების ფარგალ-
ში, სხოლასტიურ აზროვნების წინააღმდეგ გალაშქრებაში,
ხოლო, სოციალურ საკითხთა ფარგალში, ბატონ-ყმურ საქარ-
თველოს უარყოფაში. მეორე ხანა ამ ჯგუფის მოღვაწეობისა
გამოისახა მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ იდეალების
გამორკვევაში და იდეურ ხელმძღვანელობაში ყოველგვარ სა-
კულტურო დანესებულებისა, რომელიც კი იბადებოდა ჩვენს
საზოგადოებაში“.³⁵ ყველაფრის მიუხედავად, ჯორჯაძე სამო-
ციანელთა წოდებრივ ინსტინქტებს – გრძელი ვადით მაინც –
უფრო ძლიერად მიიჩნევს, ვიდრე მათ ემანსიპატორულ პო-
ტენციალს.³⁶

თუკი „საქართველოს მოამბის“ და „დროების“ „ცისკრისა-
გან“ გამოყოფა წოდებრივად ჰომოგენური ინტელიგენციის
შინაარსობრივად დაყოფის შედეგი იყო, 1880-იანი წლები-
დან საქართველოში ჩნდება (გრამშისეული გაგებით) ორგა-
ნული ინტელიგენციაც. ჯორჯაძე არ ეთანხმებოდა ქართული
ინტელიგენციის სამ დასად დაყოფის თეორიას და საკუთარი
დიფერენციაცია შემოჰქონდა: „მესამოციელებს“ მოსდევდნენ
„მეოთხომოციანელნი“, „ნაროდნიკებად“ მონათლული ჯგუ-
ფი, რომელიც გაზეთ „იმედის“ გარშემო იყო შეკრებილი. ეს
ჯგუფი შედგებოდა ეგრეთ წოდებული რაზნოჩინცებისაგან.
სწორედ ამ ჯგუფის მაგალითზე აღწერს ჯორჯაძე ორგანული
ინტელიგენციის დაბადებას, რომელიც ძველ ინტელიგენციას
უპირისპირდება მისი წოდებრიობის გამო.

„ოცი წლის ბატონ-ყმობის გათავისუფლების შედეგ, [...] სოციალური ცვლილებების ნაყოფი აღმოჩნდა უკვე ჩვენს ინ-

35. ჯორჯაძე, წერილები, 293.

36. „მაშინ, როცა რუსეთში ინტელიგენციამ სავსებით სძლია თავისი წოდებ-
რიობა, ჩვენმა ინტელიგენციამ ეს ვერ მოახერხა და შედეგი ამისი ის იყო,
რომ მან თანდათან შეითვისა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავა-
დაზნაურობისა“. ჯორჯაძე, წერილები, 285.

ტელიგენციის წრეებში. თუ წინად აქ თავ-აზნაურთა წარმომადგენლების მეტს სხვა წოდების შვილს თითქმის ვერ ნახავდით, ახლა გაჩნდნენ სხვა წოდებიდან გამოსული ინტელიგენტი „დიაკვნის-შვილები“, როგორც უწოდებდნენ მათ დაცინვით კეთილშობილ საზოგადოებაში. ამ ინტელიგენტების დემოკრატიზმი მნიგნობრივი აღარ იყო. საუკუნოების მონობიდან გამოსული და თავდაღწეულნი, მათს სისხლში სდულდა პროტესტი და მათ თითქოს თანშეზდილი ჰქონდათ უნდობლობა თავად-აზნაურებისადმი, თუნდაც რომ ისინი ინტელიგენტები და დიდებული მგოსნები ყოფილიყვნენ. ეს ახალი სამწერლო დემოკრატია, თუმცა ტლანქი და უხეში, ხოლო პირდაპირი და გულწრფელი მოსარჩლე იყო დავრდომილ ხალხისა, რომლის წრიდამ თვითონ იყვნენ გამოსულნი და რომლის დაქვეითებას და დაცემას ასე კარგად გრძნობდნენ და ხედავდნენ“.³⁷ შინაარსობრივად 1881 წელს დაარსებული გაზეთი „იმედი“ გამომხატავდა სოციალური თემების ემანსიპაციას ნაციონალური თემების წიაღიდან.

„მეოთხმოცდაათიანთა“ ჯგუფი იყო ე.წ. მესამე დასი, რომელსაც ჯორჯაძე ახალ დასს ეძახის. ეს ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად ეგნატე ნინოშვილის გარშემო იყო შეკრებილი და გვიანდელ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს აერთიანებდა, ჯგუფად გაფორმდა ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე, როცა სილიბისტრო ჯიბლაძემ წაიკითხა საპროგრამო სიტყვა. ჯგუფს მალევე შეუერთდა ნოე ყორღანია, შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რომელმაც ჯგუფის მარქსისტული მიმართულება გააძლიერა. მესამედასელები იმთავითვე დაუპირისპირდნენ სამოციანელებს – ნოე ყორღანიას წერილი „ქართული პრესა“ ძირითადად ილია ჭავჭავაძის კონსერვატო-

37. არჩილ ჯორჯაძე, „მეოთხმოცენი“ და „მეოთხმოცდაათიანი“ (მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის) // არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბილისი 1989 314-393, აქ: 323.

რად წარმოჩინას ისახავდა მიზნად და უფრო პოლემიკური და იდეოლოგიური იყო, ვიდრე აღწერითი.

საბოლოოდ, XX საუკუნისათვის ჯორჯაძე სამ ძირითად ჯგუფს გამოყოფს: სამოციანელებს, მარქსისტებს და სოციალ-ფედერალისტებს, რომელთა შორის განსხვავებაც ძირითადად ეროვნული და სოციალური საკითხის მნიშვნელობაზე გადიოდა: პირველნი ემხრობოდნენ ეროვნულ საკითხს და უგულებელყოფდნენ სოციალურს, მეორენი სოციალურ მხარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას და ოპონენტებისაგან ეროვნული ნიჰილისტობის ბრალდებას ისმენდნენ, მესამენი კი ცდილობდნენ შეეჯერებინათ ეროვნული და სოციალური საკითხები და მიაჩნდათ, რომ ეროვნულობას, სამოციანელებისაგან განსხვავებით, კულტურულის მაგივრად პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ამათგან ორგანული ინტელიგენცია „ნაროდნიკები“, სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები იყვნენ. რა პოზიციაზეც უნდა მდგარიყვნენ ისინი შინაარსობრივად, ფასეულობრივად ისინი აღიარებდნენ განათლების მნიშვნელობას და განათლების, როგორც საზოგადო სიკეთის მნიშვნელობას. ეს ფასეულობრივი დამოკიდებულება განათლების მიმართ ინტელიგენციის შინაარსობრივად დაყოფილ ჯგუფებს აერთიანებდა შეგნებაში, რომ განათლებული ადამიანი საზოგადო მოღვაწე უნდა ყოფილიყო და მონაწილეობა მიეღო სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება ექსპლიციტურად და პროგრამულად ჩამოყალიბებული არ ყოფილა, ინტელიგენცია არ ნიშნავდა უტილიტარული, პოლიტიკური კლასის ან სახელმწიფო აპარატის მომსახურე კლასს (გრამშისეული მოურავების გაგებით). ინტელიგენტი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფიგურა, საზოგადო მოღვაწე იყო. ინტელიგენციის ასეთი გაგება, ინტელიგენციის ფორმა, სწორედ სამოციანელების შექმნილი იყო, ამ ფორმას სხვადასხვა შინაარსის დატევა შეეძლო. ის საბჭოთა პერიოდშიც კი შემოინახა კულტურულმა მეხსიერებამ და მისი რეაქ-

ტულიზაციის შესაძლებლობა შექმნა, მართალია ძველისაგან განსხვავებული, გვიანდელ საბჭოთა კავშირში უკვე კარიკატურული ფორმით.

III. საბჭოთა ინტელიგენცია

საბჭოთა კავშირში ინტელიგენციის ფუნქცია თავდაპირველად პროლეტარული რევოლუციის იდეას ემორჩილებოდა. ინტელიგენცია – უპირველეს ყოვლისა, პარტიული ინტელიგენცია – თავს პროლეტარიატის ავანგარდად და არა ზოგადი ეროვნული მისიის მატარებელ ჯგუფად. ამიტომ პროლეტარიატის ორგანულ ინტელიგენციას უნდა ჩაენაცვლებინა ტრადიციული ინტელიგენცია ან, ყოველ შემთხვევაში, ჰეგემონია მოეპოვებინა მასზე. როგორც შესავალში აღვნიშნე, საბჭოთა მარქსისტთა შორის აღიარებდნენ ინტელიგენციის კლასობრიობას, ოღონდ გარკვეული არ იყო, ინტელიგენცია ცალკე კლასს წარმოადგენდა სხვა კლასთა შორის თუ ყველა კლასს თავისი საკუთარი ინტელიგენცია ჰყავდა.

მიუხედავად 1920-იან წლებში მიმდინარე დისკუსიებისა, ინტელიგენციაზე რაიმე ერთიანი თეორია არ ჩამოყალიბებულა. ოდნავ გვიანდელი, გრამშისეული თეორიული მოდელით რომ ვისარგებლოთ, ორგანული ინტელიგენციის როლი ბოლშევიკებს ჰქონდათ მორგებული (თვითაღწერაშიც კი რევოლუციონერთა დიდი ნაწილი თავს ლიტერატორად მოიხსენიებდა), საკუთრივ ინტელიგენციის ცნებით კი აღიწერებოდა ბოლშევიკების გადმოსახედიდან ტრადიციული, „ბურჟუაზიული“ ინტელიგენცია, რომელიც საბჭოთა წყობილების მტრად იყო მიჩნეული ბურჟუაზიასთან, წვრილ ბურჟუაზიასა და ძველ არისტოკრატიასთან ერთად.

განსხვავება ახალ, ორგანულ ინტელიგენციასა და ძველ, ტრადიციულ ინტელიგენციას შორის ჰეგემონიის პრეტენზიაზეც გადიოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ოქტომბრის

რევოლუციის ერთ-ერთი ბელადის, ლევ ტროცკის პოლემიკა რევოლუციურ-ლიტერატურულ გაერთიანება „სამჭედლოს-თან“ (кузница).³⁸ „სამჭედლო“ ბრალად სდებდა პარტიულ ხელმძღვანელობას ლიტერატურულ პროცესებში ჩარევას. რაზეც ტროცკი პასუხობდა, რომ „სამჭედლოს“, ისევე როგორც სხვა ლიტერატურულ გაერთიანებებს, ტყუილად ჰქონდათ პროლეტარული ხელოვნების პრეტენზია. პროლეტარული ხელოვნება ჯერ არ არსებობდა და უცნობია, როდესმე გაჩნდებოდა თუ არა. ტროცკი ლიტერატორებს ბრალს სდებდა იმაში, რომ მათ ვერ გააცნობიერეს ისტორიული ცვლილება: ადრე ბელინსკი, ჩერნიშევსკი ან დობროლუბოვი, ერთი მხრივ, ლიტერატურის საზოგადოებრივი შთამაგონებლები, ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოების ლიტერატურული შთამაგონებლები იყვნენ. ისინი, ტროცკის აზრით, იყვნენ თავიანთი დროის საზოგადოების ბელადები, ახლა კი ბოლშევიკური ცეკას წევრები იქნებოდნენ. შესაბამისად, ტროცკი აღიარებდა ინტელიგენციის, როგორც კლასობრივი ან საზოგადოებრივი ავანგარდის ფუნქციას, ოღონდ ეს ფუნქცია რევოლუციის შემდეგ „პროფესიით“ ინტელიგენტებისაგან გადმოვიდა ფუნქციით ინტელიგენციაზე: კომუნისტურ პარტიაზე, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ძველებურად გაგებული ინტელიგენცია (მწერლები, ხელოვანები და მეცნიერები).

ამ თვალსაზრისით, ტროცკისაგან განსხვავებული აზრი რევოლუციის სხვა „ბელადებსაც“ არ ჰქონიათ: ყველა მათგანი მიიჩნევდა, რომ ხელოვნება და მეცნიერება უნდა დაემორჩილოს რევოლუციურ და პარტიულ საჭიროებას.

აქედან გამომდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მეცნიერებისა და ხელოვნების (ტრადიციული ინტელიგენციის) მიმართ; 1920-იანი წლებიდან მოყოლებული,

38. იხ. Лев Троцкий, Литература и Революция, Москва 1923, 154-155. ეს წიგნი სხვა მხრივაც უკიდურესად მნიშვნელოვანია ინტელიგენციის თეორიისა და ისტორიისათვის.

მერყეობდა ტრადიციულ ინტელიგენციაზე ჰეგემონიისა და მისი პროლეტარული ინტელიგენციით ჩანაცვლებას შორის. 1920-იან წლებში დასაშვები იყო „ბურჟუაზიული სპეციალისტების“ გამოყენება, 1930-იან წლებში კი იგივე ბურჟუაზიული სპეციალისტები საბოტაჟის ბრალდებით განადგურდნენ. კლასობრივი უნდობლობა ბურჟუაზიული სპეციალისტების (ტრადიციული ინტელიგენციის) მიმართ აუცილებელს ხდიდა საკუთარი, კლასობრივი ინტელიგენციის გაზრდას. აქაც უნდა განვასხვავოთ ტრადიციული და ორგანული ინტელიგენცია. საბჭოთა გაგებით ტრადიციულ ინტელიგენციას წარმოადგენდნენ პროფესიონალი მეცნიერები, ხელოვანები, ადმინისტრატორები, ხოლო საბჭოთა გაგებით ორგანული ინტელიგენცია იყო პარტია, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ავანგარდი და შინაარსის განმსაზღვრელი ყველა სფეროში, მათ შორის ხელოვნების აკრძალვების და წახალისების სისტემა სსრკ-ში 1936 წლამდე უმაღლესი განათლებისაკენ გზას უღობავდა დამარცხებული კლასების წარმომადგენლებს და გზას უხსნიდა მუშებსა და გლეხებს. შესაბამისად, 1921-1936 წლებში ინტელიგენციის მიმართ პრაქტიკულად ხორციელდებოდა ის პოლიტიკა, რომელიც თეორიულად ბუხარინსა და ლუნაჩარსკის ჰქონდათ ჩამოყალიბებული და რომელიც პროლეტარული ინტელიგენციის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული. სწორედ ასეთ ინტელიგენციას შეიძლება ვუწოდოთ წითელი ინტელიგენცია. ეს წითელი ინტელიგენცია „მომსახურე“ ინტელიგენცია იყო: ის ემსახურებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მოთხოვნილებებს, მაგრამ არ განსაზღვრავდა მის პოლიტიკას. პოლიტიკის განსაზღვრა ბოლშევიკური, მოგვიანებით კომუნისტური პარტიის საქმე იყო. ინტელიგენციამ ორგვარი ტრანსფორმაცია განიცადა: ტრადიციული ინტელიგენცია, რომელიც ზეკლასობრივი ეროვნული ინტელიგენცია იყო, პროფესიულად მეცნიერებასა და ხელოვნებას წარმოადგენდა, პოლიტიკურად ოპოზიციაში იყო მმართველ რეჟიმთან (მეფის ხელისუფლებასთან) და საზოგადოებრივი აზრის ჰე-

გემონიაზე პრეტენზია ჰქონდა, შეიცვალა ფუნქციონალური ინტელიგენციით: პოლიტიკური კლასით (ბოლშევიკური, მოგვიანებით კომუნისტური პარტიით), რომელიც იყო საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური ჰეგემონი და კლასობრივად დიფერენცირებული, ძველი და წითელი ტრადიციული გაგებით პროფესიული ინტელიგენციით (მეცნიერებით, ხელოვნებითა და ადმინისტრატორებით), რომლებსაც, პარტიისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი კი არა, დაქვემდებარებული, მოსამსახურე ფუნქცია ჰქონდა.

სიტყვათშეთანხმება „წითელი ინტელიგენცია“ ნეგატიური კონოტაციით 1980-იანი-1990-იანი წლების საქართველოში გვხვდება ეროვნული მოძრაობის დისკურსში. პოზიტიური კონოტაციით ცნება „წითელი პროფესურა“ 1920-1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში გვხვდება.

„წითელი პროფესურის“ ან „წითელი ინტელიგენციის“ ცნებამ ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით აზრი დაკარგა უკვე 1930-იანი წლების დასაწყისში. 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირში ორი ძირითადი სამომავლო პროექტი განიხილებოდა: ტროცკისეული მსოფლიო რევოლუციის თეორია და სტალინის თეორია ერთ სახელმწიფოში სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ. ტროცკის თეორიის მიხედვით, რომელიც მარქსის საფუძველზე უფრო მყარად იდგა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე, საბჭოთა კავშირი უნდა გამხდარიყო მსოფლიო რევოლუციის ფორპოსტი. ტროცკისაგან განსხვავებით სტალინს თეორიულად ნაკლებად მყარი, მაგრამ უფრო პრაგმატული მოსაზრება ჰქონდა სოციალიზმის ცალკე აღებულ ქვეყანაში აღმშენებლობის შესახებ. თუკი მსოფლიო რევოლუციის თეორია ეყრდნობოდა მსოფლიო პროლეტარიატს, როგორც კლასს, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორია განსხვავებულ სოციალურ დიფერენციაციას და „ნაციონალიზმთან“ დაბრუნებას ნიშნავდა იმ გაგებით, რომ რამდენიმე არაანტაგონისტური კლასისაგან შემდგარი საბჭოთა ხალხი ფორმალურად მაინც ხდებოდა საბჭოთა კავშირის სუვერენი. სტალინი 1936

კონსტიტუციისადმი მიძღვნილ გამოსვლაში სსრკ-ს ხალხს 2 კლასად და ერთ ფენად (процлинка): მუშებად, გლეხებად და ინტელიგენციად ყოფდა.³⁹

ინტელიგენციასთან საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების კრიტერიუმებად ლიტერატურას თუ ავილებთ, დავინახავთ, რომ ეს დამოკიდებულება რამდენიმეჯერ რადიკალურად შეიცვალა 1925 და 1932 წლებს შორის. 1925 წლის 18 ივლისს პოლიტბიურომ გამოსცა დადგენილება ლიტერატურის სფეროში პარტიის პოლიტიკის შესახებ შესახებ.⁴⁰ ამ დადგენილებაში აღიარებული იყო, რომ კლასთა ბრძოლა საბჭოთა კავშირში ჯერ არ დასრულებულიყო და ეს ბრძოლა ლიტერატურაშიც მიმდინარეობდა, რომ (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში) არსებობდა ახალი ბურჟუაზია, რომლისკენაც მიისწრაფოდა ძველი და ახალი ინტელიგენცია. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში პარტიის პოლიტიკა მიმართული იყო ძველი ინტელიგენციის მიმხრობისა და პროლეტარული ინტელიგენციის მიერ მის ნელ-ნელა გამოდევნისკენ. ლიტერატურაში ჰეგემონია უნდა განეხორციელებინა მთელ პროლეტარიატს, რადგანაც პროლეტარი და გლეხი მწერლები ჯერ არ იყვნენ მზად ამგვარი ჰეგემონიისათვის, პარტია კი პროლეტარ და გლეხ მწერლებს ამ ჰეგემონიის მოპოვებაში უნდა დახმარებოდა. ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც „მეგზურების“ (попутчики) ცნებით მოიხსენიებდნენ, პარტია ტოლერანტობის პოლიტიკას აცხადებდა,

39. Sheila Fitzpatrick, *Everyday Stalinism. Ordinary Life in Extraordinary Life: Soviet Russia in 1930-ies*, Oxford and New York, 16. მარქსისტული გაგებით, სტალინური დანაწილება კლასების კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებდა: როგორც შეილა ფიცპატრიკი ამბობს, ეს უფრო წოდებები იყო, რადგანაც სოციალური ჯგუფები განისაზღვრებოდა მათი დამოკიდებულების მიხედვით სახელმწიფოსთან და არა ერთმანეთთან. იქვე, გვ. 12.

40. Постановление Политбюро ЦК РКП(б) «О политике партии в области художественной литературы», А.Н. Яковлев, (რედ.), *Власть и художественная интеллигенция. Документы ЦК РКП(б) — ВКП (б), ВЧК — ОГПУ — НКВД о культурной политике. 1917-1953*, Москва 1999, 54-56.

რომლის მიზანიც იყო „მაღალი კლასის სპეციალისტების“ შენარჩუნება, მიმხრობა და კომუნისტური იდეოლოგიის ხაზზე გადაყვანა. ამ დადგენილებით, პარტია, ფაქტობრივად, უარს ეუბნებოდა პროლეტარი მწერლების ორგანიზაციებს, განსაკუთრებით რაპპ-ს (რუსეთის პროლეტარ მწერალთა ასოციაცია) ლიტერატურის სფეროში ხელმძღვანელ როლზე, არამედ – გარკვეულად – ლიტერატურის სფეროში ნეიტრალიტეტსაცხადებდა.

შედარებითი ნეიტრალურობის პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა 1932 წელს. 23 აპრილს სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცკ-ს პოლიტბიურომ გამოსცა დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“.⁴¹ ამ დადგენილებაში პოლიტბიურო ამბობდა, რომ პროლეტარ მწერალთა ორგანიზაციები ლიტერატურულ განვითარებას კი აღარ უწყობდნენ ხელს, არამედ ამუხრუჭებდნენ, ამიტომაც პროლეტარულ ლიტერატურულ ორგანიზაციებს აუქმებდა და მათ ადგილას ქმნიდა ერთიან მწერალთა კავშირს ყველა მწერლისთვის, ვინც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას უჭერდა მხარს და სოციალისტურ მშენებლობაში სურდა მონაწილეობა. ამავე გზას უნდა დასდგომოდნენ სხვა შემოქმედებითი კავშირები: კომპოზიტორებისა, მხატვრებისა და ასე შემდეგ.

სტალინური დადგენილება სტალინური ტიპის საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებისთვის რამდენიმე თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი: 1) კულტურის შინაარსს განსაზღვრავდა მხოლოდ პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. ის უარს ამბობდა კულტურული „მოურავების“ მოდელზე, როგორაც „რაპს“ წარმოედგინა თავი, და ამით, ფაქტობრივად, უარყოფდა კლასობრივი ინტელიგენციის მოდელს. ინტელიგენცია აღარ წარმოადგენდა ერთ რომელიმე, თუნდაც ჰეგე-

41. Постановление Политбюро ЦК РКП(б) «О перестройке литературно-художественных организаций», იქვე, გვ. 173.

მონ კლასს. 2) პირველიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა კულტურული ველის ჰომოგენიზაცია. რამდენიმე ათეული ან ასეული ლიტერატურული და სხვა სახელოვნებო ორგანიზაციის მაგივრად იქმნებოდა ერთიანი ორგანიზაციები, რომლებიც ხელოვნების მუშაკებს აერთიანებდა სფეროების მიხედვით და ამ გაერთიანებას იმეორებდა რესპუბლიკურ დონეზე. მაგ., შეიქმნა მწერალთა კავშირი და მის თარგზე გამოიქრა არქიტექტორთა, კომპოზიტორთა და ასე შემდეგ კავშირები. 3) პარტიული პოლიტიკა ხელოვნების მიმართ დასჯისა და ნახალისების მეთოდით მოქმედებდა. ინტელიგენციას მონაწილეობა უნდა მიეღო პარტიის მიერ განსაზღვრულ იდეოლოგიურ მუშაობაში. ვინც ამ ამოცანას ვერ ასრულებდა, ან ფიზიკურად განადგურდებოდა ან ნადგურდებოდა სხვა, უფრო ნატიფი მეთოდებით: არ ეძლეოდა პროფესიული მუშაობის საშუალება და, შესაბამისად, არ ჰქონდა შემოსავლის წყარო. ასეთი ბედი ეწია, მაგ. მიხაილ ბულგაკოვს და მარინა ცვეტაევას. 4) ისინი, ვინც მიიღებდა თანამშრომლობის შემოთავაზებულ ფორმებს, გადადიოდნენ საბჭოთა ელიტის რიგებში.

საბჭოთა კავშირში ინტელიგენციამ განიცადა ტრანსფორმაცია კლასობრივად დიფერენცირებული ინტელიგენციიდან საერთო-სახალხო ინტელიგენციად. 1930-იანი წლების შემდეგ ინტელიგენციამ დაკარგა პოლიტიკურად ან საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფის ფუნქცია, ეს ფუნქცია მთლიანად იკისრა კომპარტიამ, რომელმაც თავი ჯერ პროლეტარიატის, ხოლო შემდეგ კი მთელი საბჭოთა ხალხის ორგანულ ინტელიგენციად გამოაცხადა. ძველი გაგებით პროფესიული ინტელიგენცია, ერთი კლასის ან ჯგუფის, დიფერენცირებული პოლიტიკური სივრცის ნაწილების იდეების გენერატორიდან და გამომხატველიდან, სოციალურად და პოლიტიკურად აქტიური ფენიდან გადაიქცა ერთიან, დაუნაწევრებელ წოდებად, სოციალურად და პოლიტიკურად პასიურ სახელმწიფოს მომსახურე პერსონალად სხვადასხვა სფეროში: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ადმინისტრაციაში. ამ სამსახურის საფასურად

ინტელიგენცია იღებდა სოციალურ სტატუსს (სიმბოლურ კაპიტალს), სოციალურ კაპიტალს (კავშირებს), ხოლო ფინანსურ კაპიტალს ანაცვლებდა პრივილეგიების სხვადასხვა ფორმები დაწყებული უკეთესი საბინაო პირობებით და დასვენების უკეთესი საშუალებებით დამთავრებული უკეთესი კვებითა და მკურნალობით.

მოხდა ის, რასაც ვარაუდობდა ლუნაჩარსკი 1920-იან წლებში: საბჭოთა ინტელიგენცია მოწყდა ხალხს და ჩამოყალიბდა ახალ ელიტად.⁴² ამა თუ იმ ფორმით, საბჭოთა ინტელიგენციას არა წამყვანი, არამედ ინსტრუმენტული ფუნქცია ენიჭებოდა. ის ემსახურებოდა საბჭოთა სახელმწიფოს, რომლის იდეოლოგიასაც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო განსაზღვრავდა. ეს აღარ იყო წითელი ინტელიგენცია პროლეტარული ინტელიგენციის გაგებით, ეს იყო საბჭოთა ადმინისტრაციული ელიტა, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, შეიძლებოდა არ ჰქონდა დიდი სიმპათია საბჭოთა წყობილების მიმართ, მაგრამ პრივილეგიების სანაცვლოდ მას ერთგულებას უცხადებდა. მისი ფორმები განსხვავდებოდა: სტალინის სიცოცხლეში ეს შეიძლებოდა ყოფილიყო პანეგირიკები სტალინის ან ბერიას მიმართ, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული საკმარისი იყო ფორმალური ლოიალობის შენარჩუნება და პირდაპირი დისიდენტობისათვის თავის არიდება თუნდაც საზღვარგარეთ პუბლიკაციებზე უარის თქმით. ასე თუ ისე, საბჭოთა ინტელიგენცია ჩართული იყო სახელმწიფოსთან კორუფციულ ურთიერთობაში მაშინაც კი, თუკი მის წარმომადგენლებს გულწრფელად სჯეროდათ საბჭოთა სახელმწიფოსი.

თუკი XIX საუკუნეში ინტელიგენცია წარმოიშვა ერთი ნოდების – თავადაზნაურობის დიფერენციაციიდან, ჯგუფისგან, რომელმაც შეძლო, საკუთარ ნოდებრივ ინტერესებზე მაღლა დამდგარიყო და საზოგადო საქმის სამსახურში ჩამდგარიყო,

42. იხ: Судьбы российской интеллигенции, გვ. 26.

ამან კი, თავის მხრივ, გზა გაუხსნა ორგანული ინტელიგენციის ჩამოყალიბებას ჯერ რაზნოჩინცების, შემდეგ – გლენობის და პროლეტარიატის წრიდან, სტალინისეულ სსრკ-ში უკუპროცესი მიმდინარეობდა: მოხდა ინტელიგენციის უნიფიკაცია და ორგანული ინტელიგენცია თანდათან ტრადიციულ ინტელიგენციად გადაიქცა საკუთარი ნოდებრივი შეგნებით, კოდექსითა და პრივილეგიებით, ოლონდ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ფუნქციის გარეშე. ნაიშალა საზღვარი პროლეტარ ინტელიგენტსა და არისტოკრატ ინტელიგენტს შორის, პირობითად: სიმონ ჩიქოვანსა და ალიო მირცხულავას შორის. სტალინური ყაიდის საბჭოთა ინტელიგენცია (რომელიც განსხვავდებოდა წითელი, პროლეტარული ინტელიგენციისაგან) დაუბრუნდა XIX საუკუნის ინტელიგენციის პირველი ნახევრის მოდელს: ინტელიგენციას საკუთარი თავი წარმოედგინა არა მარტო ერის საუკეთესო ნაწილად და მის მისწრაფებათა გამომხატველად, არამედ ამ გამომხატვის მონოპოლისტად. ოლონდ, სინამდვილეში, მას დაეკარგა საზოგადოებრივი ფუნქცია და გამომხატვის თავისუფლება მხოლოდ პარტიის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში ჰქონდა. საბჭოთა საქართველოში ეს ჩარჩოები უფრო ფართო იყო, ვიდრე რუსეთში. შედარებითი თავისუფლების გამო საბჭოთა ქართულ ინტელიგენციას შეეძნილი ჰქონდა საკუთარი მითოლოგია, რომელიც მას XIX საუკუნის არისტოკრატის და ინტელიგენციის მემკვიდრედ, სტალინური რეპრესიების მსხვერპლად და ქართველი ხალხის წინამძღოლად სახავდა. სწორედ ამ ფორმით მოაღწია ინტელიგენციამ პერესტროიკამდე, როდესაც მას ჰეგემონიისათვის ბრძოლა ეროვნულ მოძრაობასთან მოუხდა.⁴³

43. პერესტროიკის პერიოდის საბჭოთა ქართული ინტელიგენციის შესახებ იხ. ზაალ ანდრონიკაშვილი, „ტაძარი და ბაზარი. გვიანი საბჭოეთის ფასეულობები“, literature.iliauni.edu.ge 10.04.2020, <https://literature.iliauni.edu.ge/literature/tadzari-da-bazari-gviani-sabtchoethis-phaseulobebi/>.

IV. პოსტსაბჭოთა ინტელიგენცია

პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის ისტორია მისი ხელახალი დიფერენციაციის ისტორიაა ერთიანი „ნახევარი კლასიდან“, როგორადაც რაოდენობრივად გაზრდილი ინტელიგენცია გადაქცეულიყო საბჭოთა კავშირში.

1980-იანი წლების ბოლოს ინტელიგენცია ფორმალურად და სოციალურად ერთიანი იყო, მაგრამ უკვე დაეკარგა შინაარსობრივი ერთობლიობა: მას გამოეყო დისიდენტების ფენა, რომელიც ფორმალურად იმავე ინტელიგენციის წიაღიდან გამოვიდა, ოღონდ შინაარსობრივად სხვა პოზიციაზე იდგა. ის მიუღებლად თვლიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან კომპრომისს და 1980-იანი წლების ბოლოს უკვე გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. მისი წინამძღოლი, ზვიად გამსახურდია, ისეთივე წარმომადგენელი იყო საბჭოთა ინტელიგენციისა, როგორც მისი შემდგომი ოპონენტები. ფორმალური განსხვავება მათ შორის არ ყოფილა. ამ მხრივ საინტერესოა დაპირისპირება ინტელიგენტ დისიდენტ ზვიად გამსახურდიას და „პროლეტარ“ დისიდენტ ჯონი ლაშქარაშვილს შორის. ის, რომ ამ დაპირისპირებაში გაიმარჯვა ინტელიგენტმა დისიდენტმა, სიმპტომური იყო: ეს ნიშნავდა, რომ სოციალური სტრუქტურა არ შეცვლილა და იცვლებოდა მხოლოდ მისი შინაარსები.

განსხვავება ინტელიგენციის ტრადიციულ და დისიდენტურ ნაწილს შორის შინაარსობრივადაც ძალიან დიდი არ ყოფილა: ორივეს პრეტენზია ჰქონდა ქართველი ერის წინამძღოლობაზე (რომელიც ორივეს ერთნაირად ესმოდა, როგორც რომანტიკული ტრადიციიდან მომდინარე, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ფილტრში გატარებული ეთნო-ლინგვისტური ერთობა), ორივე სარგებლობდა ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისა და ლიტერატურის წიაღში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური და ცნებითი აპარატით, ოღონდ ინტელიგენციის დისიდენტურ ნაწილს შეეძლო ნონკონფორმიზმის

კაპიტალიზაცია, ხოლო ტრადიციული ინტელიგენციისათვის – კოლაბორაციონიზმის დაბრალება.⁴⁴

ეროვნულმა მოძრაობამ ტრადიციულად გადაქცეულ საბჭოთა ინტელიგენციას ერის წინამძღოლობაზე მონოპოლია ჩამოართვა: გამსახურდიას წინააღმდეგ ინტელიგენციის ბრძოლა დიდწილად სწორედ ამ, სიმბოლური ძალაუფლებისათვის ბრძოლამ განაპირობა. სახელმწიფო გადატრიალებამ და შევარდნაძის დაბრუნებამ დროებით აღადგინა ძველი ბალანსი: შევარდნაძემ სახელმწიფოს საყრდენად გამოაცხადა კულტურა და, შესაბამისად, ინტელიგენციას (კულტურისა და მეცნიერების ელიტის ვინრო, XIX საუკუნისეული გაგებით) დაუბრუნა ქვეყნის ელიტის სტატუსი. ოღონდ რესტავრაციას აღარ შეეძლო საბჭოთა ინტელიგენციის შერყეული სტატუსის გამოსწორება. დაიწყო ინტელიგენციის დიფერენციაცია არა მარტო შინაარსობრივად, არამედ ფორმალურადაც: ინტელიგენციის ნაწილი მთავრობის ლეგიტიმაციის მონეტარიზაციის ჩვეულ გზას დაადგა (თუმცა ამ გზაზე ის წარმატებით ჩაანაცვლა საპატრიარქომ), ნაწილმა პროფესიონალი ინტელექტუალების გზა აირჩია, ნაწილმა გადაინაცვლა სამოქალაქო საზოგადოების არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორში, ნაწილი შეუერთდა ადმინისტრაციას, ნაწილი კი – პრეკარიატს (სხვადასხვა სოციალური ჯგუფისაგან შედგენილ ფენას უკიდურესად არამყარი სოციალური გარანტიებითა და საარსებო პირობებით, რომელმაც ფაქტობრივად ჩაანაცვლა ძველი პროლეტარიატი).

მიუხედავად იმისა, რომ ინტელიგენციამ, როგორც წოდებამ მნიშვნელობა დაკარგა, ინტელიგენციის დიფერენციაცია დაიწყო და გრძელდება ძველი, საბჭოთა ინტელიგენციის სოციალურ ბაზაზე. დაშლილი ინტელიგენციის ყველა ცალკეული სეგმენტი მაინც რჩებ(ოდ)ა „კასტად“, „ნახევარ კლასად“

44. დანვრილებით იხ. ზაალ ანდრონიკაშვილი და გიორგი მაისურაძე, „საქართველო 1990-დამოუკიდებლობის ფილოლოგემა ანუ გაუზარებელი გამოცდილება“, შთაბეჭდილება, N 1, ივლისი – აგვისტო 2008, 12-21.

ანუ ფაქტობრივად უფრო დახურულ, ვიდრე ღია წოდებად, ერთმანეთთან დაკავშირებულად პირადი, ნათესაური, პროფესიული და სხვა კავშირებით, რომელშიც მოქმედებდა წოდებრივი იერარქიები და წოდებაში „მიღების“ წესები.

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა გახდა ინტელიგენციის არასამთავრობო და პროფესიონალ ინტელექტუალებად ჩამოყალიბებული ნაწილი. ორივე ინტელიგენციის შინაარსობრივი, მაგრამ არა ფორმალური დიფერენციაციის პროდუქტი იყო. ფაქტობრივად განმეორდა XIX საუკუნის 60-იანი წლების სიტუაცია (ხაზს ვუსვამ ფორმალურ და არა შინაარსობრივ პარალელს), როდესაც წოდების წარმომადგენელთა ნაწილმა იმპორტირებული იდეების მეშვეობით შეძლო, დამდგარიყო წოდებრივ ინტერესებზე მაღლა და წასულიყო საკუთარი წოდებრივი ინტერესების წინააღმდეგ. ამ „ახალმა“ ინტელიგენციამ, რომელიც დაუპირისპირდა ძველ, წოდებრივ ინტელიგენციას, შემოიტანა დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპები.

შინაარსობრივად ეს ინტელიგენცია ლიბერალური იყო და ირხეოდა ლიბერალურ ცენტრსა და მემარჯვენე ლიბერალობას შორის). ინტელიგენციის ეს ნაწილი შეეცადა, მოერგო „ბურჟუაზიული“ ინტელიგენციის იმპორტირებული როლი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საზოგადოებას ტრანსფორმაციის ის გზა ჯერ არ გაუვლია, რომელიც მას ბურჟუაზიულად აქცევდა. პირიქით, თუ ინდუსტრიული ქვეყნების უმეტესობაში საზოგადოება მეტ-ნაკლებად ერთი, ბურჟუაზიული კლასისაგან შედგება, საქართველოში ეს კლასი უმცირესობაშია, ხოლო დიდი ნაწილი პრეკარიატს წარმოადგენს.⁴⁵ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ მატერიალური ბაზის თვალსაზრისით, ეს ინტელიგენცია არ წარმოადგენდა ახალ

45. იმპორტირებული ინტელიგენციის დისკურსის შესახებ იხ. ლუკა ნახუც-რიშვილი, „გია ნოდია. საქართველოს ალაგის ძიებაში IV“, EMC ბლოგი, 20.06.2020, https://emc.org.ge/uploads/products/covers/alagi_IV_1592637458.pdf

ბურჟუაზიას, ეკონომიკური ბაზის თვალსაზრისით ის დიდად არ განსხვავდებოდა საქართველოს მოქალაქეების (ან, ყოველ შემთხვევაში, ინტელიგენციის) უმეტესობისაგან. მიუხედავად ეკონომიკური „ბაზის“ დაუმთხვევლობისა, იდეოლოგიურად ინტელიგენციის ამ ნაწილმა ნეოლიბერალურ ეკონომიკას და, ფაქტობრივად, მსხვილ ბურჟუაზიას დაუჭირა მხარი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ქმნიდა იმ კორუმპირებულ პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც ინტელიგენციის ეს ნაწილი სხვა სფეროებში უპირისპირდებოდა.

ინტელიგენციის ერთადერთი ნაწილი, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა ძველ ინტელიგენციასთან, მომძლავრებული სასულიერო წოდება იყო. ინტელიგენციის ამ ნაწილს ვერ ვუნოდებთ ტრადიციულს, ის ახალი გაჩენილია და 30 წელიწადს თუ ითვლის. მას ვერც ორგანულს ვუნოდებთ, იმიტომ რომ ის არ წარმოადგენს რომელიმე კლასს ან სოციალურ ჯგუფს. საეკლესიო ინტელიგენცია საბჭოთა ინტელიგენციის, საერთო-სახალხო ინტელიგენციის „ჩრდილოვანი“ ანარეკლია, ის იმეორებს მის სტრუქტურას და პრეტენზიას აცხადებს ხალხის ინტერესების ცოდნასა და გამოხატვაზე. ის „პარალელური“ ინტელიგენციაა, რომელმაც მიითვისა XIX საუკუნის ინტელიგენციის პრეტენზია და იდეოლოგია. მისი უფრო სახალხო საფუძვლების გამო ეს ინტელიგენცია მემარცხენე ჯგუფების მეტი სიმპათიით სარგებლობს, ვიდრე ლიბერალური ინტელიგენცია.

ჯერჯერობით მთავარი მახასიათებელი პოსტსაბჭოთა ინტელიგენციისა მისი არაორგანულობაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ქონებრივი და, შეიძლება ითქვას, კლასობრივი დიფერენციაციაც საკმაოდ შორს წავიდა, ეკონომიკურად დაუცველ საზოგადოებრივ ჯგუფებს საკუთარი ინტელიგენცია არ შეუქმნიათ და მათი მოსარჩლის როლი ისევ ქალაქური ინტელიგენციის საზოგადოებრივად აქტიური თაობებიდან ყველაზე უმცროსმა იკისრა. ინტელიგენცია ჯერ კიდევ ატარებს საბჭოთა წოდებრივი ინტელიგენციის კვალს (ისევე როგორც XIX საუკუნის ინტელიგენცია თავა-

დაზნაურობის კვალს ატარებდა, რომლის წიაღიდანაც შეიქმნა XIX საუკუნის ინტელიგენცია). ის ჯერ შინაარსობრივი დიფერენციაციის ფაზაშია და ნაწილობრივ იმეორებს XIX საუკუნის ინტელიგენციის განვითარების გზას: დემოკრატიული ინტელიგენცია უპირისპირდება კონსერვატიულს, სოციალისტური ინტელიგენცია უპირისპირდება დემოკრატიულს, მაგრამ ერთი, რომ ისინი სოციალურად ერთ ფენას წარმოადგენენ და ინტელიგენციის ფუნქციაზე იმპლიციტურად საერთო წარმოდგენები აქვთ: „ხალხი“ მათთვის გარეშე ობიექტი და მათი პოლიტიკის საგანია, ისინი ორგანულად არ წარმოადგენენ არცერთ სოციალურ ჯგუფს. მამარდაშვილის ცნება რომ გამოვიყენოთ, ინტელიგენციისა და ხალხს შორის დამოკიდებულება ჯერ კიდევ „განმანათლებლური აბსოლუტიზმის“ კატეგორიით აღინერება. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს საკუთარი ინტერესების ჩამოყალიბებისა და გამოხატვის საშუალება ჯერ არ მისცემია და ამ ფუნქციას მათ მაგივრად სხვები ასრულებენ. ინტელიგენციის განვითარება საქართველოში ორი მიმართულებით იქნება შესაძლებელი: ერთი მხრივ, საზოგადოების უფრო ფართო ფენები და არა მხოლოდ ყოფილი „საბჭოთა“ ინტელიგენცია (ამ ცნების იმ ფართო, წოდებრივი გაგებით, რომლის გაშლასაც ზემოთ შევეცადე) ჩაერთვებიან საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის გამოხატვის პროცესში. მეორე მხრივ, საქართველოში სულ უფრო აქტუალური გახდება ის არჩევანი, რომელზეც მამარდაშვილი წერდა 1968 წლის სტატიაში: მიუხედავად „ტრადიციული“ (კლასიკური) ინტელიგენციის იდეოლოგიის არსებობისა, ინტელიგენცია საქართველოშიც გაივლის ინტელექტუალური შრომის დესაკრალიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესს, რომელიც, საქართველოშიც, ინტელიგენციის წარმომადგენლებს დააყენებს დილემის წინაშე – ინტეგრირდეს სისტემაში (ჩვენს შემთხვევაში – ოლიგარქიულ კაპიტალიზმში) თუ დემოკრატიული პროცესების მხარდამჭერი გახდეს.

ეკლესია და დემოკრატია: მიქსეჟ-მოქსეჟის 30 წელი

საბჭოთა ათეისტურმა ტოტალიტარიზმმა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეკლესია ძალადობრივად დაამუხჯა, სმენა დაუხშო და დააბრმავა; იგი საბჭოთა ეპოქაში, მძიმე დევნის შემდეგ, ფაქტობრივად სუსტი და უსიტყვო მსახური გახდა ხელისუფლებისა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ეს დასახიჩრებული, კომუნისტურ ხელისუფლებასთან, სპეცსამსახურებთან ღრმად დაკავშირებული საეკლესიო სხეული ერთბაშად საჯარო პროცესების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

1988 წელს, მოსკოვში პომპეზურად აღნიშნეს რუსეთის გაქრისტიანების 800 წელი, რაც იმის სიმბოლური გამოხატულება იყო, რომ ათეისტურ საბჭოთა კავშირში დევნის, შევიწროებისა და საჯარო სივრციდან გაქრობის შემდეგ, პერესტროიკის დაწყების შედეგად, რელიგია საზეიმოდ დაბრუნდა. აკრძალული თუ დევნილი რელიგიური ორგანიზაციები და მორწმუნეები ნებადართული და აღიარებული გახდნენ. ტელეეკრანებზე გამოჩნდნენ მღვდლები და მქადაგებლები. მაგრამ „პერესტროიკამდე“, ჯერ კიდევ 1984 წელს, საქართველოში გადაიღეს ნახევრად ლეგალური კინოფილმი „მონანიება“. ფილმის ესთეტიკა და სიუჟეტური ქარგა ქრისტიანული, სახარებისეული სიმბოლიზმითა და თემატიკით იყო გაჟღენთილი, ხოლო მთავარი პერსონაჟების კონფლიქტი საბჭოთა სისტემასა და ეკლესიის დაპირისპირების კონტექსტშიც შეიძლებოდა ყოფი-

ლიყო წაკითხული. „მონანიება“ ცნობილი ქართველი საბჭოთა მსახიობის ფრაზით სრულდებოდა: „რის მაქნისია გზა, თუკი იგი ტაძართან არ მიმიყვანს?“ როგორც ჩანს, ამ ანტიკომუნისტური კინოსურათით ქართული საბჭოთა პარტიული ნომენკლატურა და ინტელიგენცია, ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად, გადარჩენის გზას, მომავალში დასამკვიდრებელ ადგილს უშუალოდ რელიგიაში ან რელიგიური ლეგიტიმაციის მეშვეობით ეძიებდნენ. სამი წლის შემდეგ აკრძალული „მონანიება“ პერესტროიკის საკულტო ფილმად იქცა, ხოლო რელიგია მოედო ქუჩებსა და მოედნებს.

სსრკ-ს ბოლო წლებში რელიგიის თავისუფლება თითქოს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად დამკვიდრდა. ქუჩებში შეხვედებოდი სხვადასხვა აღმსარებლობის მქადაგებლებს, რომლებიც გამვლელების საკუთარი მოძღვრებით დაინტერესებას ცდილობდნენ. კინოსა და თეატრის დარბაზები პროტესტანტი მქადაგებლებისა და „მაძიებელი“ ადამიანების შეკრების ადგილებად, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე მოქმედი ტაძარი – ეროვნული სულის გაღვიძების ეპიცენტრებად იქცნენ. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოსული და პოპულარობამოხვეჭილი ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ამავდროულად, რელიგიური ადამიანებიც იყვნენ. მათთვის ბუნებრივი იყო რელიგიური რიტორიკა: საქართველოში მღვდლების ქადაგებები ჯერ კიდევ არ ისმოდა, მათ ნაცვლად კი, სწორედ ისინი, ეროვნული მოძრაობის ლიდერები წარმოთქვამდნენ მგზნებარე ქადაგებებს. მიტინგებზე გამოჩნდა ხატები, ჯვრები, შეკრებები ლოცვის თანხლებით იწყებოდა და სრულდებოდა. რელიგიურობაში ეროვნულ ლიდერებს ქართული ნომენკლატურა და ინტელიგენციაც არ ჩამორჩებოდა. პარტიულ თუ საზოგადოებრივ შეხვედრებზე კათოლიკოს-პატრიარქს და სხვა სასულიერო პირებსაც იწვევდნენ. კომპარტიის ადგილობრივ ბოსებთან დაახლოებული ერთი ცნობილი პოეტი ცოტა მოგვიანებით, 1991 წელს ასეთ თავყრილობაზე იტყვის: „მე კომუნისტი კაცი ვარ, მაგრამ პატრიარქის

დაკიდებული ჯვრით დავდივარ... მე ქრისტიანი ვარ¹. ნათელი იყო, რომ გამოღვიძებულ ქართული ნაციონალიზმსა და ზოგადად, მთელ პოლიტიკურ პროცესს თვალმისაცემი რელიგიური შეფერილობა ეძლეოდა.

ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი შოვინისტურ ელემენტებს შეიცავდა, ის ეთნოცენტრისტული იყო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ორ რამეზე მიმართული: საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან გასვლასა და დასავლური დემოკრატიული ქვეყნების ოჯახში, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განწევრიანებაზე. ნაციონალისტურ კონტექსტში ეწერებოდა საქართველოს საპატრიარქოც. 1986 წელს დაწესდა საეკლესიო დღესასწაული „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“²; ისმოდა ქადაგებები იმის თაობაზე, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე ქართულ ენაზე განიკითხავს მსოფლიოს, რაკი ქართველები, ყველა სხვა ერისგან განსხვავებით, არ მიიღებენ კარს მომდგარი ანტიქრისტეს გლობალურ ბატონობას. ამ საეკლესიო მესიანიზმის შემოქმედი იყო პატრიარქი ილია მეორე, ადამიანი, რომელმაც ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში, 1952 წელს ჩააბარა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ეკუმენურ მოძრაობაში და 1978 წელს, აღსაყდრებისთანავე³ (ამის შესახებ ედუარდ შევარდნაძე 20 წლის შემდეგ იტყვის, რომ მონაწილეობა მიიღო მის გაპატრიარქებაში⁴), ყველაზე დიდი ეკუმენური ორგანიზაციის –

1. რევაზ ამაშუკელი, გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. <https://www.myvideo.ge/v/2506533>
2. ნუგზარ პაპუაშვილი, „რელიგიურობის ისტორიიდან საქართველოში. ქართული ენისა და ქართველი ერის რჩეულობა“. რელიგიები საქართველოში. 2009, გვ. 45
3. მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი 1977 წლის 23 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.
4. ედუარდ შევარდნაძე: „მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ პატრიარქი გამხდარიყო, ახალგაზრდა, განათლებული და თავის ხალხზე შეყვარებული“ – გულისხმობს ილია შიოლაშვილს. 1997. <https://www.youtube.com/watch?v=gzCzP3ax0MU>

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტი გახდა, 1983 წელს კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა იური ანდროპოვმა იგი „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით დააჯილდოვა. ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ილია მეორეს საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა.

პრეზიდენტი და ბანზი გამდგარი შუამავალი

ეროვნული მოძრაობის უფრო რადიკალური ნაწილისა და საპატრიარქოს გზები 9 აპრილის ტრაგედიის ღამით გადაიკვეთა და, შეიძლება ითქვას, იქვე გაიყარა. ღამით ილია მეორე ხელისუფლების თხოვნით მივიდა მომიტინგეებთან⁵ და რუსთაველის გამზირის დაცლა და გზის გადაღმა, ქაშუეთის ტაძარში ლოცვისთვის გადასვლა შესთავაზა. პატრიარქის თხოვნას ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა უარით უპასუხეს, მას მიკროფონი გამოართვეს და თავად დაიწყეს ლოცვა. ეს იყო პირველი შემთხვევა საპატრიარქოს საჯარო პოლიტიკურ პროცესში ჩაბმისა.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიასა და პატრიარქს შორის უთანხმოებაზე იმ პერიოდში ბევრი საუბრობდა. მათ შორის დაპირისპირებას საკმაოდ დიდი ისტორია ჰქონდა. ამ დაპირისპირების ხასიათი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს, გავერკვეთ გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საპატრიარქოს როლსა და მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულებაში.

5. ტელეკომპანია „იმედი“, პატრიარქის ექსკლუზიური ინტერვიუ. 09.06. 2019. <https://imedinews.ge/ge/politika/102189/patriarqi-9-aprilze-vgrdnobdrom-khalkhi-ar-damijerebda>

გამსახურდია, როგორც რელიგიური დისიდენტი, 1960-იანი წლებიდან მამხილებელ წერილებს წერდა საპატრიარქოს საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობასა და იქ გამეფებული არაჯანსაღი მორალური გარემოს შესახებ. 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდიას დისიდენტური საქმიანობის დასაგმობად მოწვეულ მწერალთა კავშირის სხდომაზე იმხანად პოპულარული პოეტი იოსებ ნონეშვილი იტყვის: „მე ამაღელვა პატრიარქის⁶ წერილმა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოშია“... ეკლესიასაც უნდა ვერწმუნოთ და პროკურატურასაც, რომ მათ შეისწავლეს და გვწერენ... ეკლესია და პროკურატურა გვიმტკიცებს, და როგორც წესდებაშია, რომ მწერალთა კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას ჩვენს, საბჭოთა პოზიციაზე.“⁷

ამ ფრაზაში საბჭოთა პროკურატურისა და საპატრიარქოს ერთად მოხსენიება ნათელს ჰფენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სულ მცირე, „წითელი ინტელიგენციისთვის“, ზოგადად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფიგურა, ან რა ფუნქციას ანიჭებდა საბჭოთა ხელისუფლება მის პოზიციას. ამ და კიდევ სხვა მრავალმა ამბავმა, როგორც ჩანს, განსაზღვრა გამსახურდიას, როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერისა და საპატრიარქოს დაპირისპირების თავისებურება. შეიძლება ითქვას, ეროვნული მოძრაობის პერიოდის ერთი მთავარი მახასიათებელი სწორედ ეს დაპირისპირება იყო. ამით აიხსნება გამსახურდიას მომხრეების კრიტიკული დამოკიდებულებაც ილია მეორისადმი, რომელსაც ისინი „წითელ მღვდელმთავარს“ უწოდებდნენ.ს

1990 წელს 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები, ხელისუფლების სათავეში მოვიდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ამ გაერთიანებიდან პარლამენტის წევრი გახდა იმჟამად ერთ-ერთი

6. იგულისხმება კათოლიკოს-პატრიარქი დავით V დევედარიანი.

7. ნინო ყიფშიძე, „ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვა.“ საარქივო მოამბე. №12. 2012, გვ. 38.

ყველაზე პოპულარული სასულიერო პირი, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. პარლამენტარი მღვდლის გარეშე არც საქართველოს კომუნისტები დარჩენილან – როსტომ ლორთქიფანიძე, თბილისის წმ. სამების ტაძრის წინამძღვარი, სწორედ კომუნისტური პარტიის სიით იყო უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი. ამასთანავე, ზვიად გამსახურდიამ ახალციხის პრეფექტად დანიშნა მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი. როგორც ჩანს, პოლიტიკურ პროცესში სამღვდელოების ღია ჩაბმას საპატრიარქოში იმთავითვე არ მიესალმებოდნენ.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა გამოსცა განჩინება, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ ამა თუ იმ პარტიისადმი ღია მიმხრობა და პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა.

გამსახურდიამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ერთი მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერა დაიწყო, რაც ეკლესიის მატერიალურ-ფინანსურ გაძლიერებაში, დახურული ტაძრებისა და მონასტრების გახსნაში გამოიხატებოდა, ხოლო მეორე მხრივ, გაგრძელდა კულუარული დაპირისპირება მასა და კათოლიკოს-პატრიარქს შორის.

გამსახურდია საპრეზიდენტო, საინაუგურაციო სიტყვაში პირდაპირ აცხადებდა, რომ სახელმწიფოებრიობა უნდა დაფუძნებოდა მართლმადიდებლობას, მართლმადიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო სახელმწიფო რელიგიად⁸, თუმცა, მეორე მხრივ, ამას ხელი არ უნდა შეეშალა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დამკვიდრებისთვის. საინტე-

8. „სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება“. – ზვიად გამსახურდიას საინაუგურაციო სიტყვა. 07.06.1991, <https://www.youtube.com/watch?v=Rn1ja0DApDw>.

რესოა, რომ ხელისუფლებამაც და საპატრიარქომაც ამ პერიოდში თითქოს სინქრონულად გადაწყვიტეს, ნეგატიური პოზიცია გამოეხატათ არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისადმი. განსაკუთრებით დიდი დარტყმის ქვეშ პროტესტანტული რელიგიური გაერთიანებები, კერძოდ, ბაპტიისტები აღმოჩნდნენ. 1991 წლის სვეტიცხოვლობის დღისადმი მიძღვნილ ტელემიმართვაში ზვიად გამსახურდიამ ქართველი და მართლმადიდებელი გააიგივა და კრიტიკული პოზიცია გამოხატა საქართველოს ბაპტიისტური ეკლესიისადმი. როგორც ჩანს, სწორედ ამ დღეს არის წარმოთქმული პატრიარქის ქადაგებაც, რომელიც საპატრიარქოში სამისიონერო განყოფილების შექმნას მიეძღვნა. პატრიარქი ამ სიტყვაში ამბობს, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოში უცხო აღმსარებლობების გავრცელებას, გამოცხადდებოდა არამართო ეკლესიის, არამედ ქართველი ერის მტრად.

თუმცა, მთლიანობაში, როგორც ზვიად გამსახურდია, ასევე საპატრიარქო, ამ პერიოდში მაინც დამთმენ პოლიტიკას ატარებდნენ, რამდენადაც რელიგიური გაერთიანებების წინააღმდეგ მათ ამგვარ ზეპირსიტყვიერ შეუწყნარებლობას რაიმე ქმედითი ნაბიჯი რეალურად არ მოჰყოლია. პირიქით, ზვიად გამსახურდიამ მართლმადიდებელ ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად მიიღო სხვა აღმსარებლობათა სასულიერო პირებიც, ხოლო საპატრიარქო განაგრძობდა ეკუმენურ ორგანიზაციებსა და აქციებში მონაწილეობას. ამის გამო მას შიდასაეკლესიო, შედარებით რადიკალური მართლმადიდებლური ჯგუფები უპირისპირდებოდნენ, რომლებიც, თავიანთ მხრივ, ზვიად გამსახურდიას მომხრეებად მიიჩნევდნენ თავს. სახელისუფლებო გამოცემა „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდებოდა ამ რადიკალური ჯგუფის წარმომადგენელთა ვრცელი სტატიები ეკუმენიზმის დამღუპველობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, საპატრიარქო და უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქი კრიტიკულად იყვნენ განწყობილები ზვიად გამსახურდიას მმართველობისადმი.

1991 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ღიად გააკრიტიკა გამსახურდიას მართვის სტილი. მისი კრიტიკის სულისკვეთება ის გახლდათ, რომ პრეზიდენტი არ გამოიჩინა დემოკრატიულობით. პატრიარქის მხრიდან ამგვარი საჯარო კრიტიკა სრულიად უცხო იყო საპატრიარქოს გამოცდილებისთვის. ფაქტობრივად, 30-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოს საპატრიარქოს მმართველებს პანეგირიკული პოზიციის გარდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სხვა დამოკიდებულება არ გამოუხატავთ. ილია მეორე კი, ამ პერიოდიდან დაწყებული, დაუფარავად ცდილობდა, ოპოზიციურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუფებთან ჰქონოდა მჭიდრო კავშირი. იგი მეგობრობდა გასამხედროებული უკანონო ფორმირების, „მხედრონის“ ლიდერთან, ჯაბა იოსელიანთან, სპორტის სასახლეში დაესწრო და დალოცა ხელისუფლებასთან რადიკალურად დაპირისპირებული ეროვნული კონგრესის პირველი ყრილობა. ეროვნული კონგრესი პარალელური, არაოფიციალური არჩევნების შედეგად იყო შექმნილი, მისი მომხრეები არ ცნობდნენ ოფიციალური არჩევნების და მის შედეგად შექმნილი ორგანოს, უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობას. შესაბამისად, ისინი გამსახურდიას ხელისუფლებას ლეგიტიმაციის მქონედ არ მიიჩნევდნენ.

ამავე პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა გამსახურდიას ხელისუფლებასა და აჭარის მუსლიმ მოსახლეობას შორის. ეს დაძაბულობა განპირობებული იყო იმით, რომ, ერთი მხრივ, აქტუალური გახდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების საკითხი, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა აჭარის გაქრისტიანებისკენ მოწოდებები გამსახურდიას ხელისუფლებისა და რადიკალურად განწყობილი მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან. აჭარაში, დაბა სხალთაში, მღვდლად გაამწესეს გოჩა სპირიდონ აბულაძე (ამჟამად მთავარეპისკოპოსი სპირიდონი), რომლის რადიკალური პოზიციები მძაფრ რეაქციას იწვევდა მუსლიმ მოსახლეობაში. ვითარება განმუხტა თბილი-

სიდან აჭარაში მივლენილმა დელეგაციამ, რომლის ხელმძღვანელმა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, მრავალრიცხოვან აუდიტორიას არაბულად წაუკითხა ნაწყვეტები ყურანიდან, რითაც მუსლიმებისადმი ლოიალურობა დაადასტურა.

გამსახურდია ასევე მუდმივად საუბრობდა საქართველოს სკოლებში მართლმადიდებლობის სწავლების აუცილებლობაზე და სკოლისა და ეკლესიის თანამშრომლობაზე ახალგაზრდებში ზნეობრივი ნორმების დასამკვიდრებლად. სასულიერო პირებმა ინტენსიურად დაიწყეს სკოლებში სიარული, ქადაგება და სკოლების ე.წ. კურთხევა.

ოპოზიციასა და გამსახურდიას ხელისუფლებას შორის გამწვავებული დაპირისპირების პროცესში საპატრიარქომ სცადა, მედიატორის როლი შეესრულებინა. პირველი შეხვედრები ოპოზიციურ ჯგუფებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის სწორედ საპატრიარქოში გაიმართა. ეს მანამდე მოხდა, სანამ ხელისუფლების შეიარაღებული დამხობა დაიწყებოდა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდიას მცირეხნიანი მმართველობის პერიოდში ეკლესია სრულფასოვნად დაბრუნდა საჯარო პოლიტიკურ ასპარეზზე და იდეოლოგიური აღიარება მიიღო. რელიგია ჩამოყალიბდა „ქართველის“ იდენტობის განმსაზღვრელ მარკერად: რელიგიურ და პოლიტიკურ დონეზე გაცხადდა, რომ ქართველი ნიშნავს მართლმადიდებელს, ხოლო ეკლესიის პოლიტიკური როლი ზეპარტიული და ზეპოლიტიკური ხასიათისა იქნებოდა – მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოს ყოველთვის ექნებოდა თავისი პოლიტიკური პოზიცია.

მრავლისმეტყველი და ტრაგიკული იყო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის დღეებში ერთი მხრივ, ხელისუფლების მოწოდება უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქისადმი, რომ იგი უზენაესი საბჭოს შენობასთან მოსულიყო და სასულიერო პირებთან ერთად მშვიდობის გარანტად დამდგარიყო და, მეორე მხრივ, საპატრიარქოს პასუხი, რომელიც ჯერ კიდევ გამსა-

ხურდიას მიერ გაკონტროლებული ტელევიზიიდან გაისმა. ტელევიზიაში მისულმა სიონის საკათედრო ტაძრის პროტოპრესვიტერმა გიორგი გამრეკელმა (ამჟამად მიტროპოლიტმა იოანემ) ამ მოთხოვნის საპასუხოდ განაცხადა, რომ პატრიარქი შეუძლოდა და საუბარი დაასრულა შემდეგი ფრაზით: „ვინც აღიღებს მახვილს, მახვილითვე განიგმირება“. ეს ფრაზა ისე იყო გაგებული, თითქოს საპატრიარქო ხელისუფლებას არამარტო ადანაშაულებდა, ემუქრებოდა კიდევ, რაკი აქტიურად ვრცელდებოდა ცნობა, რომ პირველად სწორედ ხელისუფლების მხრიდან გაისროლეს. საპატრიარქოს განზე გადგომა სინამდვილეში დამხობის მხარდაჭერად იკითხებოდა.

კოლეგა და ბიორბი შევარდნაძე

ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ 1992 წელს საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძე აეროპორტიდან პირდაპირ სიონის საკათედრო ტაძარში მიდის პატრიარქთან შესახვედრად. ედუარდ შევარდნაძეს პირველ ინტერვიუს ხატების ფონზე ჩამოართმევენ, იგი დემონსტრაციულად ანთებს სანთლებს, ისახავს პირჯვარს და ყველაზე რთული ნაბიჯების გადადგმისას კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერის იმედს გამოთქვამს. ცოტა ხანში ინათლება კიდევ და ილია მეორე მას წმ. გიორგის სახელს დაარქმევს. პატრიარქი არაერთხელ შეადარებს შევარდნაძის საქმიანობას წმ.გიორგის მონამებრივ გზას.

სახელმწიფო გადატრიალებით მოსული შევარდნაძის ხელისუფლებისა და საპატრიარქოს მჭიდრო ურთიერთობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა წარსული. ედუარდ შევარდნაძე კათოლიკოს-პატრიარქს „კოლეგას“ უწოდებდა. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აღიარებს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე ყოფნისას, 1977 წელს, ხელი შეუწყო ილია შიოლაშვილის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრე-

ბას⁹. გარდა ამისა, როგორც ჩანს, გამსახურდიას ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის ველის შექმნაში პატრიარქმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; შემთხვევითი არ იყო, რომ გამსახურდიას მომხრეები დამხობის შემდეგ საპატრიარქოს წინ, პატრიარქის გადახაზული პორტრეტებით, პერმანენტულად მართავდნენ საპროტესტო აქციებს; ისინი პატრიარქს სუკის (სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის) აგენტად იხსენიებდნენ, გამსახურდიას მომხრეთა გაზეთი „იბერია-სპექტრი“ კი 1993 წელს აქვეყნებს ბარათებს, რომლებითაც, გაზეთის რედაქციის თანახმად, უშუალოდ ილია მეორისა და კიდევ რამდენიმე მღვდელმთავრის სუკის აგენტობა დასტურდება. მესამე და მთავარი ფაქტორი ის იყო, რომ ხელისუფლებაში პუტჩით მოსულ შევარდნაძეს ლეგიტიმაციის დამატებითი წყარო სჭირდებოდა, დაახლოებით ისეთი, როგორც შუა საუკუნეებში – როცა მეფის კორონაცია ეკლესიაში აღსრულდებოდა.

ლეგიტიმაციის ფუნქციის მიღების მხრივ საკვანძო მნიშვნელობის მოვლენა იყო 1994 წელს ედუარდ შევარდნაძის გადადგომის ინსცენირება და ამაზე ილია მეორის რეაქცია. მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, იმჟამინდელი პარლამენტის შენობის წინ ხალხი შეიკრიბა, რომელიც შევარდნაძის პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფო მეთაურის პოსტზე დარჩენას მოითხოვდა. ამ დროს ილია მეორემ თქვა, რომ იგი, როგორც მთელი საქართველოს სულიერი მამა, ედუარდ შევარდნაძეს აცხადებს საქართველოს მეთაურად. „ხმა ღვთისა, ხმა ერისა“ – იყო შევარდნაძის პასუხი¹⁰. ამ სიტყვებით ეკლესიამ ხელისუფლების მალეგეტიმირებელი ფუნქცია დაისაკუთრა და შევარდნაძის ხელისუფლებაც განამტკიცა.

9. შევარდნაძის აღიარება. როგორ დაამტკიცეს პატრიარქი
https://www.youtube.com/watch?v=t1g6_5ih2kg

10. „პატრიარქი ილია მეორე: შევარდნაძე არ გადადგება“
<https://www.youtube.com/watch?v=ddFfWhMRNtk>

საკვანძო მნიშვნელობისა იყო 1994 წელს, რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულების პარაფირება, რომლის თანახმადაც რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნა 25 წლით უნდა დაკანონებულიყო. ამ ნაბიჯს ოპოზიციის მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა. მაშინდელმა ხელისუფლებამ რეაქციის განმუხტვა ანანურში რუსეთის თავდაცვის მინისტრის, პავლე გრაჩოვის მონათვლით სცადა (ნათლიის როლში მისი ქართველი კოლეგა ვარდიკო ნადიბაიძე მოგვევლინა)¹¹. შევარდნაძის ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის სრულმა ჰარმონიამ დაისადგურა, მაგრამ ყოველივე ამან იმ პერიოდში ეკლესიის ავტორიტეტი საგრძნობლად დააკნინა. 94-96 წლებში ცენტრალურ ტაძრებში ლიტურგიაზე მდგომი მრევლი საგრძნობლად გამეჩხერდა.

ეკლესიის ავტორიტეტის ხელახალი ზრდა დიდწილად ხელისუფლების მხარდაჭერასთან იყო დაკავშირებული. განუელი სამსახურის საპასუხოდ, 97-98 წლებიდან შევარდნაძის ხელისუფლება იწყებს საპატრიარქოს ნება-სურვილის აღსრულებას რამდენიმე მიმართულებით: უზრუნველყოფს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების აქტიურობის შეზღუდვასა და, ზოგ შემთხვევაში, შეჩერებას. დიდი ქალაქების ქუჩებში აღარ ჩანან სხვა აღმსარებლობის მისიონერები. ხელისუფლების „რელიგიური პოლიტიკის“ შედეგად რელიგიური უმცირესობებისთვის შიშისა და შეუწყნარებლობის ატმოსფერო ისადგურებს. ხელისუფლების მხარდაჭერით, ასპარეზზე გამოდის 1995 წელს გამსახურდიას მომხრეობისა და პატრიარქის კრიტიკის გამო სინოდის მიერ განკვეთილი დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი. იგი მართლმადიდებლობის სახელით განსხვავებული

11. [დავით ბერძენიშვილი:] „1994 წელს პატრიარქმა მონათლა რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი, რომელიც ბომბავდა სოხუმს“ 02.05.2019 <https://for.ge/view/166214/patriarqma-monaTla-ruseTis-Tavdacvis-ministri-pavle-graCovi-romelic-bombavda-soxums.html>.

აღმსარებლობების აქტიურ დევნას იწყებს. მისი ლოზუნგია „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი“. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები თანამშრომლობდნენ რელიგიურ ექსტრემისტებთან ე.წ. სექტების წინააღმდეგ. სწორედ ისინი იძლეოდნენ მითითებებს, თუ სად და რომელი ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო დარბეული და შევიწროებული მკალავიშვილის დაჯგუფების მიერ.¹²

1997 წელი ამ მხრივ საეტაპოა – იწყება განსხვავებული რელიგიური გაერთიანებების დევნა, ხოლო თავად ეკლესიის შიგნით იწყება წმენდა იმ სასულიერო პირებისა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოს პატრიარქის პოზიციას ეწინააღმდეგებიან.

საქართველოს ეკლესიაში გაჩნდა ჯგუფი სასულიერო პირებისა, რომლებიც სხვადასხვა მონასტერს წარმოადგენდნენ. ისინი ითხოვდნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრობაზე, ერთი სიტყვით, ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე უარის თქმას. მათი აზრით, ეკუმენურ ორგანიზაციებში ყოფნა ერესს უტოლდებოდა და მომაკვდინებლად მოქმედებდა მართლმადიდებელ აღმსარებლობაზე. მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი განხეთქილებით იმუქრებოდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც საპატრიარქომ ეკუმენური ორგანიზაციები მართლაც დატოვა, მათ წამოაყენეს ახალი მოთხოვნა, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების ოჯახიდან

12. „პოლიციასა და რელიგიურ ექსტრემისტებს შორის არსებული კავშირის შესახებ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, 2001 წელს იეპოვას მოწმეებმა მას მიაწოდეს ინფორმაცია, თუ სად და როდის აპირებდნენ შეკრების მოწყობას და სთხოვეს, დახმარებოდა ამ შეკრებათა უსაფრთხოების დაცვაში. ელენე თევდორაძემ ეს სია გადასცა ქალაქის პოლიციის უფროსს, სოსო ალავიძეს, რომელმაც, თავის მხრივ, სია „შემდგომი რეაგირებისთვის“ ბასილ მკალავიშვილს გადაუზღავნა.“ – „აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში“, თბილისი, თავისუფლების ინსტიტუტი. 2002, გვ. 20.

გამოსვლას გულისხმობდა. ეს ნაბიჯი ნიშნავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულ იზოლაციას, რაზეც საპატრიარქო აღარ დათანხმდა¹³. ხსენებული სასულიერო პირები ზარზმის მონასტერში დაბანაკდნენ და კათოლიკოს-პატრიარქთან და სინოდის წევრებთან ევქარისტული კავშირი განწყვიტეს. სახელმწიფომ ამბოხებული ბერების წინააღმდეგ საპატრიარქოს სასარგებლოდ და მონასტრის საპატრიარქოსთვის დასაბრუნებლად საპოლიციო ძალა გამოიყენა. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ხელისუფლება აჩვენებდა, რომ იგი მზად იყო, საპატრიარქოს ინტერესების გასათარებლად ამ უკანასკნელს თავისი რესურსებით დახმარებოდა.

1997-დან 2004 წლამდე პერიოდი შეიძლება შეფასდეს საქართველოში რელიგიური დევნისა და ძალადობის ხანად: მართლმადიდებლური ექსტრემისტული ორგანიზაციები მუდმივად თავს ესხმოდნენ და არბევდნენ რელიგიურ უმცირესობათა შეკრებებს, იყო მასობრივი ძალადობა, რამდენჯერმე გადაწვეს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ტაძარი კახეთში, ასევე იეჰოვას მოწმეების შეკრების ადგილები, დაარბიეს არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“¹⁴, რომელიც აქტიურად იცავდა რელიგიის თავისუფლებას, წვადნენ რელიგიურ ლიტერატურას, მათ შორის სახარებებსაც, რომლებიც გამოცემული იყო პროტესტანტული შემოწირულობებით.

საპატრიარქოს პოზიცია დარბევებთან დაკავშირებით, როგორც წესი, შემდეგ ფორმულას ეყრდნობოდა: ისინი ემიჯნებიან ძალადობას, მაგრამ, ამავედროულად, ეწინააღმდეგებიან სექტებსა და ფსევდოლიბერალიზმს, რაშიც იმ დროს რელი-

13. ლელა გიორგაძე. „საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ ეპოქაში. საეკლესიო განხეთქილების მცდელობა პოსტსაბჭოთა ეპოქის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში“. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2014, გვ. 55-67.

14. თამარ ჩიქოვანი, „ვინ დაარბია თავისუფლების ინსტიტუტი“, რადიო თავისუფლება 18.07.2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1522150.html>

გის თავისუფლების აქტიური დაცვა იგულისხმებოდა. რელიგიური ძალადობის გამო მეგობარი სახელმწიფოების ლიდერებმა, პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლების სახელზე არაერთი საპროტესტო წერილი გამოგზავნეს. საერთაშორისო ზენოლის შედეგად, 2003 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაენყო სამართლებრივი დევნა ბასილ მკალავიშვილისა და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ფორმალური პასუხი იყო საერთაშორისო თანამეგობრობისადმი. ამბავი იმით დასრულდა, რომ ორი პოლიციელი, რომლებიც ბასილ მკალავიშვილს გამოსაკითხად ესტუმრნენ, მან და მის ჯგუფის წევრებმა თავად დააკავეს, ჩამოართვეს იარაღი, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, წელსზემოთ გააშიშვლეს და მხოლოდ ორი დღის შედეგ გაათავისუფლეს, ისე რომ ამის გამო პასუხი არავის უგია.¹⁵

საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც არ დაწყებულა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური უმცირესობების ქონების ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების პროცესი, პირიქით, გაჩნდა ე.წ. სადავო ტაძრების საკითხი. სომხურ სამოციქულო ეკლესიას, მუსლიმ თემს, ლუთერულ ეკლესიას, ებრაულ თემს არ უბრუნებდნენ ჩამორთმეულ რელიგიურ ნაგებობებს, ხოლო კათოლიკე ეკლესიის ხუთი ტაძარი პირდაპირ მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. ასევე, მედიასივრცეში მთლიანად შეიზღუდა განსხვავებული რელიგიების ხსენება, შეწყდა გადაცემები, რომლებშიც აკადემიური პოზიციიდან განიხილებოდა რელიგიური საკითხები. რელიგიურ გაერთიანებებს არ ჰქონდათ იურიდიული რეგისტრაციის შესაძლებლობა. 1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც საპატრიარქოს სასკოლო პროგრამებისა და

15. თავისუფლების ინსტიტუტი, „ადამიანის უფლებების მიმოხილვა. იანვარ-მარტი 2002“, გვ. 15, <http://liberty.ge/wp-content/uploads/2012/10/Report-N1.pdf>

პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა.¹⁶ ამ პერიოდში, ფაქტობრივად, სკოლა ხდება მოსწავლეების რელიგიური ინდოქტრინაციის ინსტრუმენტი. სკოლების ტერიტორიებზე შენდება ტაძრები, იხსნება სალოცავი კუთხეები, კლასებში გამოფენილია რელიგიური სიმბოლოები – ხატები და ჯვრები, სხვადასხვა საგნის პედაგოგები ქადაგებენ მართლმადიდებლობას, პედაგოგები გაკვეთილს ლოცვით იწყებენ და ასრულებენ, სკოლა ხდება შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ადგილი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების წინააღმდეგ. ისწავლება საგანი „რელიგია და კულტურა“ გრიფირებული ორი სახელმძღვანელოს საფუძველზე. ერთი სახელმძღვანელო მხოლოდ ქრისტიანობის შესახებ გვიამბობს, ხოლო მეორე, მზარდად პოპულარულ სახელმძღვანელოს, თავად საპატრიარქო ავრცელებს სკოლაში, მას ჰქვია „ქრისტეს გზა“. ეს წიგნი ფაქტობრივად კატეხიზმო იყო მოსწავლეების მოსაქცევად.

ამ პერიოდში საქართველოდან გაიგზავნა რამდენიმე საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმეა „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“¹⁷. 1999 წლის 17 ოქტომბერს ბასილ მკალავიშვილის ექსტრემისტული ჯგუფი თავს დაესხა იეჰოვას მოწმეთა შეკრებას, ჩაკეტეს სამლოცველოდან გასავლელი ორივე კარი და ხალხს დაუნყეს ცემა. მას შემდეგ, რაც პოლიცია ადგილზე მივიდა, გამოუშვეს მხოლოდ ქალები და ბავშვები, ხოლო კაცების ცემა განაგრძეს. ამ დარბევის შედეგად ათეულობით ადამიანმა მიიღო მძიმე ფიზიკური დაზიანება, მათ შორის ორმა დაკარგა მხედველობა. პროკურატურისა და შსს-ის ჩარევის შე-

16. „კანონი განათლების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 27.06.1997. კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 01.09.2010-ში.

17. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი № 71156/01) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gldani97.pdf>

დეგად, საქმე ისევ იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ აღიძრა. ეს ტიპური აღწერაა ბასილ მკალავიშვილის მიერ ორგანიზებული თავდასხმებისა. სახელმწიფოსა და რელიგიური უმრავლესობის აგრესიისგან სრული დაუცველობის სიმბოლოა ის ფაქტი, რომ 90-იან წლებში ერთ-ერთი პროტესტანტული გაერთიანების პასტორმა დამცავი ნიღბები და ჩაფხუტები შეიძინა. ეს რელიგიური გაერთიანება დამცავი ჩაფხუტებით ლოცულობდა.

ეკლესიამ კულტურის სფეროში ცენზორის ფუნქციაზეც განაცხადა პრეტენზია. რამდენიმე შემთხვევაში გაილაშქრეს მწერლების, მხატვრების, კინოსა თუ კონკრეტული წიგნების წინააღმდეგ, მაგალითად, ამ პერიოდში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ლამა ბულაძის მოთხრობა „პირველი რუსის“ გამოქვეყნებას. საპატრიარქო და ე.წ. საბჭოთა ინტელიგენცია მოითხოვდა მწერლისგან საჯარო ბოდიშის მოხდას. ეკლესია გამოვიდა „ჰარი პოტერის“ წინააღმდეგ. მოითხოვდნენ გამოცემის შეწყვეტასა და წიგნების დაწვას. შეწყდა ვოლკანოს თეატრის წარმოდგენები.

1998 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო ეკლესიის დაფინანსება, რომლის მიზანს ოფიციალურად ეკლესიის სამისიონერო საქმიანობისა და ასევე სასულიერო სასწავლებლებში თეოლოგიური განათლების მხარდაჭერა წარმოადგენდა. დაფინანსება ატარებდა დოტაციურ ხასიათს.

90-იანი წლების მიწურულს დაიწყო მსჯელობა ეკლესიისთვის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის მინიჭების შესახებ. საბოლოო ჯამში, 2002 წელს კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ საქართველოს საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კონსტიტუციური შეთანხმებითაა განსაზღვრული, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს აქვს განსაკუთრებული ისტორიული როლი. ხანგრძლივი დისკუსიებისა და დებატების შედეგად 2002 წელს სვეტიცხოველში, ერთი მხრიდან ედუარდ შევარდნაძემ და მეორე მხრიდან

ილია მეორემ ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ შეთანხმებას¹⁸. შეთანხმების პუნქტები გულისხმობდა ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას მთელ რიგ საკითხებში და ასევე პრივილეგიებს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისგან, ეკლესია თავისუფლდებოდა გადასახადების ყველა ფორმისგან, საპატრიარქოს უბრუნდებოდა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება, გათვალისწინებული იყო ფინანსური კომპენსაცია და საერო უქმეებად აღიარებული იყო მართლმადიდებლური საეკლესიო დღესასწაულები. ამასთანავე, კონსტიტუციური შეთანხმების პირველი პუნქტი გვაცნობს, რომ ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთდამოუკიდებლები არიან და თანამშრომლობენ საზოგადოების საკეთილდღეოდ. პრემბულაში ნათქვამია, რომ მართლმადიდებლობა არის ევროპის უძველესი აღმსარებლობა, ხოლო კონსტიტუციური შეთანხმება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

კონსტიტუციური შეთანხმება შესაძლოა განვიხილოთ როგორც უნიკალური ფორმა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისა, ვინაიდან ის ორ თანასწორ სუბიექტს, სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის შეთანხმებას გულისხმობს. ამ პროცესში საინტერესოა ისიც, რომ შეთანხმების ხელმოწერამდე მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ექვსი რელიგიური გაერთიანების მხარდაჭერის მოპოვება იმ პირობით, რომ ის ასევე მხარს დაუჭერდა ამ რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის სუბიექტად აღიარებას, თუმცა მან ეს საჯაროდ დეკლარირებული პირობა აღარ შეასრულა.

18. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება 22.10.2002, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0>

2003 წელსვე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პროტესტის შედეგად, საქართველოს მთავრობამ ვატიკანის სახელმწიფოსთან შეთანხმების დაგეგმილი ხელმოწერა ჩაშალა. 15-პუნქტიანი დოკუმენტის ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, 19 სექტემბერს, ხელშეკრულების გასაპროტესტებლად საქართველოს ეკლესიის მხარდამჭერთა რამდენიმეათასიანი ჯგუფი გამოვიდა რუსთაველზე, ხოლო სახელმწიფო მინისტრმა აუნყა შეკრებილებს, რომ საქართველომ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე.¹⁹

ეკლესიის დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისადმი ღიად იყო დეკლარირებული ჯერ კიდევ 1994 წელს, როდესაც საქართველოს პატრიარქი სამობაო ეპისკოპლში აღმოჩნდა შემდეგი ფრაზები:

„სარგებლობენ რა დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული მრავალი უცხო რელიგიის და პროტესტანტული სექტის წარმომადგენელნი (იეღოველები, ბაპტისტები, კათოლიკეები, კრიშნას მიმდევარნი, ორმოცდაათიანელები, ე.წ. ხსნის არმიის წარმომადგენლები და სხვანი) რელიგიური ექსპანსიის განხორციელებას ცდილობენ. ისინი ფულით, პროდუქტებით, ტანსაცმლით იპყრობენ ადამიანთა სულელებს, ამცირებენ და შეურაცხყოფენ საქართველოს ეკლესიას, მის წმინდანებს, სასულიერო პირებს, ჩვენს ტრადიციებს. ასეთი სექტები თესენ ანტაგონიზმს და შუღლს ადა-

19. „სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მიმართა აქციის მონაწილეებს, რათა დაერწმუნებინა ისინი, რომ საქართველოს მთავრობა არ მოანერდა ხელს ხელშეკრულებას. საქართველო-ვატიკანის ხელშეკრულებას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიაც ეწინააღმდეგება. „სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსა და ვატიკანს შორის არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს“, – განაცხადა სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II 18 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე.“ – „საქართველო უარს ამბობს ვატიკანთან ხელშეკრულების გაფორმებაზე“, Civil.ge, 19.09. 2003. <https://civil.ge/ka/archives/130387>.

მიანებს შორის, ეს ბოროტი ძალის მანქანებაა და მას კავშირი ღმერთთან არა აქვს.“²⁰

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 1999 წელს საპარლამენტო ტრიბუნლიდან ევროსაბჭოში მიღების ცერემონიაზე ღიად განაცხადა, რომ საქართველოს სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა უცხოური რელიგიური ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მედიაგამოცემების ერთ-ერთი უმთავრესი თემა უცხოური ე.წ. სექტების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ფაქტობრივად ოფიციალურ დოქტრინად იქცა წარმოდგენა, რომ მართლმადიდებლობის გარდა ყველა სხვა რელიგია ლუპავს ადამიანის სულს.

ამ დაპირისპირებამ გეოპოლიტიკური ხასიათიც შეიძინა. მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიუღებელი იყო რელიგიის თავისუფლების მოთხოვნათა სრულყოფილი შესრულება და მას სავსებით აკმაყოფილებდა რეალობა, რომელიც ამ დროისთვის საქართველოში შეიქმნა. იგი რელიგიურ ველზე ექსკლუზიურ ბატონ-პატრონად მიიჩნევდა საკუთარ თავს და მოითხოვდა, რომ უკლებლივ ყველა რელიგიური საკითხი მასთან ყოფილიყო შეთანხმებული ან პირდაპირ დაქვემდებარებოდა მას.

საქართველოს საპატრიარქო და უშუალოდ ილია მეორე ამბობდნენ, რომ მართლმადიდებლობას უნდა ჰქონოდა პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხასიათი²¹, რომ მართლმადიდებელი სახელმწიფოს შესაბამისი მოწყობა იყო არა ლიბერალურ-დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ მონარქიული წყობა, რომელშიც მართლმადიდებლობა იდეოლოგიურ ფუნქციას შეასრულებდა.

20. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. საშობაო ეპისტოლე 1993-1994. <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1994.htm>

21. ილია მეორე: „მართლმადიდებლური აზროვნება – ეს არის ჩვენი იდეოლოგიის საფუძველი. მართლმადიდებლობა არ არის მხოლოდ ცოდნა, არ არის მხოლოდ დოგმატები, არ არის მხოლოდ სწავლება“ („საპატრიარქოს უწყებანი“, 12. 03. 05).

პატრიარქი საუბრობდა იმაზეც, რომ ქართველი ადამიანი უნდა იყოს არა ლიბერალი ან კონსერვატორი, არამედ მართლმადიდებელი. ამ კონტექსტშივე ითქმოდა, რომ ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ-სოციალურ სხეულს ინარჩუნებს მართლმადიდებელი ეკლესია. მისი სიტყვებით, თუ ადრე არსებობდა მეფე, კულტურა და ეკლესია, ახლა დარჩა მხოლოდ ეკლესია, რომელიც აერთიანებს მთელ საქართველოს.²² ცხადია, ასეთი ტიპის დამოკიდებულებები ეწინააღმდეგებოდა ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ მოწყობასა და ხელისუფლების მიერ გაცხადებულ დასავლურ ორიენტაციას.

პატრიარქი თავის ქადაგებებში ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთი სულიერი სიცარიელის კერაა: „დღეს ბევრს მსჯელობენ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა, საითკენ უნდა წარიმართოს იგი: აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისაკენ. დასავლეთი არის სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია და სადაც ძალმომრეობა ბატონობს. იგი მატერიალურად ძლიერია, მაგრამ სულიერად მწირი, რადგან ფული იქ კერპადაა ქცეული. მიწიერმა კეთილდღეობამ არ უნდა მოგვხიბლოს. წარსული ბევრი რამის მასწავლებელია... რა თქმა უნდა, ევროპაში კარგიც ბევრია, მაგრამ ეს კარგი ჩვენთვის უცხოა და ძნელად მისაღები.“²³

ანტიდასავლური განწყობა გამოიხატა ასევე გლობალიზაციის, დემოკრატიის ლიბერალიზმისა და პოლიტიკური ორიენტაციის კრიტიკაში. ეპისტოლეებსა და ქადაგებებში პატრიარქი საუბრობდა იმაზე, რომ საქართველო უნდა

22. ილია მეორე: „ნუ იქნებით ნურც ლიბერალები და ნურც კონსერვატორები, იყავით ნამდვილი მართლმადიდებლები... ადრე ხალხს აერთიანებდა მეფე, ეკლესია, კულტურა, ახლა მხოლოდ ეკლესია დარჩა“ („საპატრიარქოს უწყებანი“, 3-9. 12. 04).

23. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. საშობაო ეპისტოლე. 1994-1995 <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1995.htm>

იყოს პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ნეიტრალური²⁴ სახელმწიფო, ხოლო გლობალიზაცია არის მთავარი გამოწვევა, რასაც ქართულ იდენტობის მორღვევა შეუძლია.²⁵ ანტიდასავლურ მოტივებს ეყრდნობოდა 2000 წელს ნიუ-იორკში დიდი გამოფენის მოსაწყობად შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურული საგანძურის გატანისადმი წინააღმდეგობა.²⁶ მხარეებს შორის შეთანხმებული გამოფენა საპატრიარქოს ობსტრუქციის შედეგად ჩაიშალა. ექსპოზიციის წინააღმდეგ არგუმენტების წყება ასეთი ტიპის იყო: 2000 წელს საქართველო უნდა შეხვდეს თავის საგანძურთან ერთად, საგანძურთან ერთად საქართველოს დატოვებს მადლი, აშშ-ში ამერიკელი სატანისტები ჩვენი ხატების წინაშე ჩაატარებენ მკრეხელურ რიტუალებს, აშშ ვალის საფასურად დაიტოვებს საგანძურს. სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც ვერ სძლია ეკლესიის წინააღმდეგობას.

სასულიერო პირები აქტიურად ქადაგებდნენ ლიბერალიზ-

-
24. „ისეთი პატარა ქვეყნისთვის კი, როგორც საქართველოა, ალბათ, ყველაზე სწორი პოზიცია ნეიტრალიტეტია, თუ, რა თქმა უნდა, გარანტირებული იქნება სხვა დიდი სახელმწიფოების მიერ. თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას.“ – კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საშობაო ეპისტოლე 2001- 2002 წ. <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sasho-bao2002.htm>
 25. „მე ვფიქრობ, რომ ის პროცესი, რაც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, ვითომც თავისუფლება და ვითომც დემოკრატია, არის ცრუ, რადგან ადამიანი ამ შემთხვევაში ყველაფერს კისრულობს, აკეთებს როგორც ცუდს, ასევე კარგს, უფრო მეტად კი ცუდს. ამიტომ ამ პროცესს არ შეიძლება ვუწოდოთ თავისუფლება და დემოკრატია, ის, რაც ამ სიტყვების არსში დევს, არის თავისუფლების ბოროტად გამოყენება“. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საკვირაო ქადაგება 2002 წელი.
 26. „გრეგ გუროვის მიერ მომზადებული გამოფენის ჩაშლის გამო ორგანიზატორებმა ქართულ მხარეს განუული ხარჯების საკომპენსაციოდ 832 000 დოლარი მოსთხოვეს.“ – ნონა მჭედლიძეილი, „მთავრობას „საქართველოს კულტურული ფასეულობების შემოტანისა და გატანის შესახებ“ კანონში ტექნიკური ხასიათის შესწორებები შეაქვს“, „რადიო თავისუფლება“ 04.12.2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1525066.html>.

მის, დემოკრატიის, გლობალიზაციის, დასავლეთის²⁷ წინააღმდეგ. ყოველივე ეს თავსდებოდა აპოკალიფსურ ნარატივში, რომლის თანახმადაც საქართველო ბოლო ჟამს, ანტიქრისტიანული მოსვლამდე იქნებოდა მსოფლიოში ერთადერთი ერი, რომელიც შეურყვინელად შეინარჩუნებდა ქრისტიანობას. სწორედ ამის გამო მოინდომებდნენ საქართველოს სულიერ განადგურებას ანტიქრისტიანული გლობალური სტრუქტურები: გაერო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, ნატო, მსოფლიო ბანკი და ა.შ. ამ ნარატივში საქართველოს მფარველად რუსეთი გვევლინებოდა, როგორც დიდი და, რაც მთავარია, ერთმორწმუნე სახელმწიფო. ზოგი სასულიერო პირი ქადაგებებსა და ინტერვიუებში სტალინისადმი განსაკუთრებულ სიმპათიას გამოხატავდა. სტალინის შესახებ იქმნებოდა წარმოდგენა, რომ იგი იყო კრიპტოორთოდოქსი, რომელმაც შეაკავა აღმოსავლურ მართლმადიდებლურ სამყაროში დასავლეთის ექსპანსია და რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები განადგურებას გადაარჩინა, რომ იგი იყო განსაკუთრებული მისიის მქონე დიადი პოლიტიკური ფიგურა²⁸.

27. საილუსტრაციოდ გამოდგება 2005 წელს, მთავარეპისკოპოს სტეფანე კალიჯაშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ლიბერალიზმი – სიცრუე და ცოდვის მონობა თავისუფლების ნიღბით“. ამ წერილში ის ამბობდა: „დიდი საფრთხის წინაშე დგას საქართველო. ქართველ ხალხს თვალსა და ხელს შუა აცლიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას. სახელმწიფო რელიგია, ყოველგვარი გამოცხადების გარეშე, მკვიდრდება ლიბერალიზმი. დიანხ, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მარქსიზმის ადგილს ახალი სახელმწიფო იდეოლოგია – ლიბერალიზმი იმკვიდრებს.“ 2005 წ., <http://church.ge/index.php?showtopic=1948>

28. 28. „В интервью в июле 2013 года [Илия II] вспоминал, что, когда умер Сталин, «я был студентом Духовной семинарии. И мы все стояли в актовом зале и плакали, когда хоронили его. Сталин – это выдающаяся личность. Такие рождаются редко. Он знал мировое значение России». რუსული ვიკიპედიის სტატია „Илия II (Католикос-Патриарх Всея Грузии)“.
[https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BB%D0%B8%D1%8F_%D0%BA-%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%BB%D0%B8%D0%BA%D0%BE%D1%81-%D0%BF%D0%B0%D1%82%D1%80%D0%B8%D0%B0%D1%80%D1%85_%D0%B2%D1%81%D0%B5%D1%8F_%D0%93%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%B8\)#cite_note-9](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BB%D0%B8%D1%8F_%D0%BA-%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%BB%D0%B8%D0%BA%D0%BE%D1%81-%D0%BF%D0%B0%D1%82%D1%80%D0%B8%D0%B0%D1%80%D1%85_%D0%B2%D1%81%D0%B5%D1%8F_%D0%93%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%B8)#cite_note-9)

90-ანი წლების მინურულს საქართველოს ეკლესიებში აქტიურ ფაზაში შევიდა იმ პერიოდში ერთადერთი თეოლოგიური ხასიათის დისკუსია, რომლის განხილვის საგანი იყო იმის გარკვევა, მოხვდებოდნენ თუ არა ჯოჯოხეთში დედის მუცელში მოუნათლავად გარდაცვლილი ჩვილები²⁹. ამ „დოგმატურ“ დისკუსიას მოჰყვა სინოდის განჩინება, რომლის თანახმადაც აღიარებული იყო, რომ ბავშვები ნათლობის გარეშე, ყველა სხვა არამართლმადიდებელთან ერთად, მოხვდებოდნენ ჯოჯოხეთში.³⁰ ასეთი გადანყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნიკალური ადგილი დაიკავა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, რამდენადაც მსგავს საკითხზე არც ერთ სხვა ეკლესიას არ უმსჯელია და არც ოფიციალური პასუხი დაუდგენია.

განსხვავებული აღმსარებლობების წინააღმდეგ მართლმადიდებელი ეკლესიის აგრესია განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 1999 წელს, რომის პაპის, იოანე პავლე მეორის ვიზიტის მომზადების წინ. რომის პაპი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი იმ დროის ჩაბნელებულ და ყველასგან მივიწყებულ საქართველოში; მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიამ მის ჩამოსვლას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ილია მეორე ბო-

სხალთელი მთავარეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე: „სხვათა შორის, ერთი რამე მინდა გითხრათ. სტალინის ბიოგრაფები ამბობენ, რომ განსაკუთრებით უყვარდაო სვიმონ ღვთისმომრქმელის ხატი, შედიოდა და ღოცულობდაო ძალიან დიდი ხანი, საოცრებაა, არა? – „მეუფე სპირიდონი: სტალინს ძალიან ჰყვარებია ღვთისმომრქმელის ხატი, საოცრებაა, არა?!“, „ტაბულა“, 17.02.2021, <https://tabula.ge/ge/news/662338-meupe-spiridoni-stalins-dzalian-hqwarebia>.

29. დავით თინიკაშვილი, „ერთი უცნაური პოლემიკის ისტორია. გადარჩებიან თუ არა მოუნათლავი ჩვილები?“ „ემაოსი“ N. 1 (7), 2007, <https://elfiles.emis.ge/uploads/7674/conversions/813-compressed.pdf>
30. „ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორედ შობის ანუ ცოდვათაგან განწმენდის გარეშე სასუფეველის დამკვიდრება ანუ სულის ცხონება შეუძლებელია“. სინოდის განჩინება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის მოკლე მიმოხილვა. 14.12. 2000 http://www.orthodoxy.ge/samartali/oqmi_14-12-00.htm

ლო მომენტამდე არ აგზავნიდა ოფიციალურ მონვევას ვატიკანში; ამას პრეზიდენტი შევარდნაძის ჩარევა დასჭირდა. უკვე ჩამოსულ პონტიფექსს არ მისცეს ღია სივრცეში ლიტურგიის გამართვის უფლება, ხოლო ყველას, ვინც სპორტის სასახლეში დაესწრო რომის პაპის ლიტურგიას, სახელმწიფოს მეთაურის ჩათვლით, საპატრიარქომ საეკლესიო სასჯელი გამოუცხადა – რამდენიმე თვით აუკრძალა ზიარება. აშკარად ჩანდა, რომ ამ კუთხით შევარდნაძისა და ილია მეორეს დამოკიდებულებები განსხვავდებოდა, რაც მოგვიანებით აისახა კიდევ შევარდნაძის მხრიდან საპატრიარქოს ღია კრიტიკაში. პრეზიდენტი საჯაროდ ალაპარაკდა იმაზე, რომ საპატრიარქოში დაიბუდეს კრიმინალური ცნობიერების მატარებელმა ადამიანებმა, რომელთაგანაც ეკლესია უნდა გათავისუფლდეს.

შევარდნაძისა და ილია მეორის თანამშრომლობას ჰქონდა „თანაზიარების“ ხასიათი, ვინაიდან ეს იყო სამსახური სამსახურის წილ. შესაბამისად, თუკი საპატრიარქო ხელისუფლების ნაბიჯებს ეწინააღმდეგებოდა, ხელისუფლებაც ანალოგიური ნაბიჯებითვე პასუხობდა.

შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში იყო რამდენიმე სუსტი მცდელობა სხვა რელიგიებისადმი სიმბოლური მხარდაჭერის გამოხატვისა. მაგალითად, ბაპტისტური ეკლესიის დარბევის შემდეგ სახელმწიფოს მეთაური ამ პროტესტანტულ ეკლესიაში დაესწრო ეკუმენურ მსახურებას³¹. გარდა ამისა, მედიაში გაჩნდა კრიტიკული შეფასებები საპატრიარქოს მიმართ, თუმცა ამას იმხანად რაიმე გამოკვეთილი შედეგი არ გამოუღია.

2003 წლის 23 ნოემბერს, როდესაც საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით ოპოზიციურად განწყობილი ხალხი შეიჭრა, რათა გაყალბებული არჩევნების შემდეგ შეკრებილი საქართველოს პარ-

31. „პრეზიდენტი ეკუმენისტურ ლოცვას დაესწრო ბაპტისტურ ეკლესიაში“, Civil.ge, 15.03.2003, <https://Civil.ge/ka/archives/129236>

ლამენტის პირველი სხდომა ჩაეშალათ, ტრიბუნასთან სიტყვით გამოდიოდა ედუარდ შევარდნაძე. თავის გამოსვლაში ის თითქოს სასონარკვეთილი ახსენებდა ილია მეორეს, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ პატრიარქის სახელის მოხმობით ის საკუთარ თავს იცავდა, მაგრამ, მონვევის მიუხედავად, პატრიარქი დარბაზში არ იმყოფებოდა. ილია მეორე პარლამენტის პირველ სხდომას რომ დასწრებოდა, შესაძლებელია, ვარდების რევოლუცია გახანგრძლივებულიყო ან სულ სხვა სცენარით განვითარებულიყო.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეკლესიამ გაიმყარა იდეოლოგიური პოზიციები, მოიპოვა ოფიციალური იურიდიული აღიარება, დაიწყო ჩამოყალიბება, როგორც ხელისუფლების დასავლური კურსის ალტერნატიული დისკურსის მქონე ინსტიტუტმა და რელიგიურ სივრცეში ექსკლუზიურმა დომინანტმა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული პრივილეგიებით იყო აღჭურვილი და რომლის მიერ თუ რომლის სახელით ინიცირებული ძალადობა არ ისჯებოდა.

მეორე ილია და ნაციონალიზმის ორი ხატი

ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების მმართველობის პირველი პერიოდი სწრაფი და ეფექტური მოქმედებებით ხასიათდებოდა. ხელისუფლება ცდილობდა, ხელში აეღო სხვადასხვა სფეროში გაბნეული ძალაუფლება, ცდილობდა, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ყოფილიყო, თანამედროვე სტანდარტის მიხედვით, ერთადერთი ინსტანცია, ვისაც ძალის გამოყენების შესაძლებლობა ექნებოდა. გამოუცხადა ბრძოლა შეიარაღებულ ბანდფორმირებებს, ტყის სამოეებს, კრიმინალურ ავტორიტეტებსა და მათ ალტერნატიულ „სამართალს“, კორუფციას, აჭარაში ცენტრალური

ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელ პატარა დიქტატორს. ძალადობას მართლმადიდებლობის სახელით მოქმედი ჯგუფებიც მიმართავდნენ. 2004 წლის მარტში დააკავეს რელიგიური მოძალადე ბასილ მკალავიშვილი და მისი ექსტრემისტული დაჯგუფების რამდენიმე წევრი. ეს დაკავება, თავისი ფორმით, იყო ერთგვარი სიგნალი, რომ ხელისუფლება აღარ დაუშვებდა რელიგიის თავისუფლების დარღვევას, რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ძალადობასა და დაუსჯელობას. მართლაც, 2008 წლამდე, გარდა ამ ჯგუფის წევრებისა, რელიგიური სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის გამო ასევე დააკავეს 9 ადამიანი.

2004-დან 2008 წლამდე რელიგიური დანაშაულის მაჩვენებელმა მკვეთრად იკლო. მთლიანობაში გამოვლინდა დაახლოებით 15-20 შემთხვევა, რომელთა უმეტესობაზე სახელმწიფოს ჰქონდა რეაგირება. ამავდროულად, 2005 წელს რელიგიურ გაერთიანებებს პირველად მიეცათ რეგისტრაციის შესაძლებლობა, როგორც კერძო იურიდიულ პირებს. ასევე შეიქმნა ზოგადი განათლების შესახებ კანონმდებლობა: საჯარო სკოლებში აიკრძალა პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური ნიშნით გამოფენა და რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია. ამასთან, განათლების ერთ-ერთ მიზნად ტოლერანტული ცნობიერების განვითარება დაისახა.³²

2005 წელს სახალხო დამცველთან შეიქმნა რელიგიათა საბჭო, რომელშიც განწერიანდა თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა. მეორე მხრივ, საპატრიარქოსაც ჰქონდა მცდელობა, თავის გარშემო შეექმნა ინტერრელიგიური ჯგუფი, მაგრამ ამას, საპატრიარქოს მხრიდან დირექტიული მიდგომის გამო, წარმატება არ მოჰყოლია. რელიგიური უმცირესობების წინაშე მრავალი

32. „ტოლერანტობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“ 2009
http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619822&sub_id=1321954386

პრობლემა და გამოწვევა იდგა, რაც გადაჭრას მოითხოვდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო უთანასწორო სამართლებრივი გარემო, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობა და ძალადობა, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, საჯარო სკოლებში კანონის დაცვის უზრუნველყოფა და მედიასივრცეში რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა. ყველა ამ საკითხის შესახებ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო პერიოდულად ამუშავებდა რეკომენდაციებს და სახელმწიფო უწყებებს წარუდგენდა.³³

2003-2004 წლებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში საპროტესტო მოძრაობა დაიწყო. დეკანოზ ბასილ კობახიძის თაოსნობით რამდენიმე სასულიერო პირი ალაპარაკდა ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე, ფანატიკურ და შეუწყნარებელ გარემოზე, ეკლესიის პროორუსულ ორიენტაციაზე, ობსკურანტიზმსა და იზოლაციონიზმზე. მათ ეთმობოდათ ეთერი; ამავდროულად, 2004 წლის 8 ოქტომბერს პოპულარულ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა სასულიერო სემინარიისა და აკადემიის 24 სტუდენტის ერთობლივი წერილი, რომელშიც ისინი აპროტესტებდნენ ეკლესიაში არსებულ კორუფციას, სასულიერო პირთა ტოტალურ გაუნათლებლობას, სიძულვილისა და შეუწყნარებლობის ქადაგებას, ანტიდასავლურ პროპაგანდას. ისინი ამ პრობლემების გადასაჭრელად სამუშაო ჯგუფის შექმნას ითხოვდნენ. აკადემიის სტუდენტების წერილს ფართო რეზონანსი მოჰყვა, ვინაიდან საპატრიარქო წერილის ავტორების დასჯას და მათ მონასტერში გასახლებას აპირებდა 6 თვით.³⁴

წერილის გამო იმდროინდელმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაადანაშაულა. თავად კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა, რომ ხელისუფლება

33. „სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს შესახებ“
<http://tolerantoba.ge/index.php?id=1345202134>

34. ჯიმშერ რეზვაიშვილი, „დაპირისპირება თბილისის სასულიერო აკადემიაში“, „რადიო თავისუფლება“ 12.11.2004,
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1538189.html>

ცალი ხელით ეკლესიას ებრძვის, ხოლო მეორე ხელით თითქოს პატივისცემას გამოხატავს და ამ დაპირისპირებით იგი არყევს კონსტიტუციურ წყობას. ასეთი მკვეთრი რეაქციის ფონზე მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ დაგმეს ეკლესიის წინააღმდეგ სტუდენტების ბრძოლა, რომელსაც მხარს უჭერდა სამოქალაქო საზოგადოება. პრეზიდენტი სააკაშვილიც შეუერთდა ამ დაგმობას და მოუწოდა მედიას, ფრთხილად გაეშუქებინათ ეკლესიაში მიმდინარე პროცესები. ამის შემდეგ, ფაქტობრივად, მედიის მხრიდან მინელდა ინტერესი სტუდენტების პროტესტისადმი, სრულიად შეწყდა საეკლესიო საკითხების გაშუქება და დაბრუნდა შევარდნაძის დროინდელი სტატუს-კვო: მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიტიური გაშუქების გარდა მედია რელიგიური პრობლემატიკით აღარ ინტერესდებოდა.

სემინარიისა და აკადემიის სტუდენტობის გამოსვლის პერიოდებიდან მოკიდებული, ოპოზიციის მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ ვექტორად იქცა წარმოდგენის დანერგვა, რომლის თანახმადაც „ნაციონალები“ ებრძვიან პატრიარქს, მართლმადიდებლობასა და ქართველობას. ყველაზე მძაფრად ეს მიმართება გამოიხატა აჭარაში 2007 წელს ფერიის მთაზე უკანონოდ მშენებარე ტაძრის დანგრევის გამო. ხელისუფლება გეგმავდა ფერიის მთაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვას, თუმცა საპატრიარქომ აქ თვითნებურად დაიწყო ტაძრის შენება.³⁵ შეწყვეტილი მშე-

35. „[ფერიის მთის] ტერიტორია არის აჭარის ა/რ მთავრობის საკუთრებაში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და რასაც არ უარყოფს ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსი. შესაბამისად, მშენებლობა ითვლება უკანონოდ და სახელმწიფოს ჰქონდა სრული უფლება, მოეთხოვა მშენებლობის შეჩერება და საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთა პოლიციის მეშვეობით, რაც არ განხორციელებულა“ – „საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2007 წ. პირველი ნახევარი.“ გვ. 174, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373659470.pdf>

ნებლობის გამო პირველი დიდი ოპოზიციური მიტინგი სამების ტაძრის ეზოში გაიმართა. ამ მიტინგის ერთ-ერთი ინიციატორი ოპოზიციაში ახლად გადასული ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი იყო. პასუხად, ხელისუფლებამ ნაწილობრივ დათმო ფერიას მთა და დღეს იქ, საბაგირო გზასთან ერთად, ტაძარიც ფუნქციონირებს.

ფერიას მთასთან დაკავშირებულმა აქციამ აჩვენა, რომ ოპოზიციას ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში ეკლესია თავის რესურსად შეეძლო ექცია, ხოლო საპატრიარქოს გაუჩნდა შესაძლებლობა, ხელისუფლებასთან ოპოზიციის მეშვეობით ევაჭრა.

საპატრიარქო პოლიტიკური ოპოზიციის 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო გამოსვლების კონტექსტშიც ჩაენერა, როდესაც ილია მეორემ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერდა საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას. ეს განცხადება იკითხებოდა ოპოზიციის მთავარი მოთხოვნის, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის („საქართველო პრეზიდენტის გარეშე“)³⁶ სარკისებურ ანარეკლად და, შესაბამისად, ოპოზიციის თითქმის ყველა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საპატრიარქოს ინიციატივას.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია გადაეშენნენ საპატრიარქოს გულის მოგების კამპანიაში და საზოგადოებისთვის იმის მტკიცებაში, რომ საპატრიარქო სწორედ მათ უჭერს მხარს. ყველა პარტია საპატრიარქოს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობდა. მაგალითად, ერთ-ერთი პარტიის დევიზი იყო „ჩვენ გვწამს ღმერთი“. ისინი ყველა ეპარქიას თითო მილიონს ჰპირდებოდ-

36. „ოპოზიციური კამპანიის ერთ-ერთი მოთხოვნაა „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“, რაც საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკით ჩანაცვლებას გულისხმობს“ – „ილია მეორე საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის ინიციატივით გამოდის.“ Civil.ge, 08.07.2007, <https://civil.ge/ka/archives/141593>

ნენ³⁷. არჩევნების შემდეგ ეს დაპირება ფაქტობრივად შეასრულა სააკაშვილის ხელისუფლებამ, ვინაიდან თუ 2007 წელს საპატრიარქო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა ათი მილიონი ლარით, არჩევნების შემდეგ მისი დაფინანსება 25 მილიონამდე გაიზარდა.

დაფინანსების ამ ფორმას შეიძლება დოტაციური ენოდოს, რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლება თვითნებურად უნაწილებს საბიუჯეტო თანხას საეკლესიო ინსტიტუტებს.

მიუხედავად ხელისუფლების მრავალგვარი მცდელობისა, დაფინანსების გაზრდით თუ სხვა ხერხებით საპატრიარქოსთან ურთიერთობა გაუმჯობესებინა, კრიტიკული დისტანცია სააკაშვილის მმართველობისას მათ შორის ვერ აღმოიფხვრა.

ისე ჩანდა, რომ საპატრიარქო პოლიტიკურ ოპოზიციას უფრო თანაუგრძნობდა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც პატრიარქი და სხვა მღვდელმსახურები ხელისუფლებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას აღარ მალავდნენ. ილია მეორემ პირდაპირ განაცხადა, რომ ბრძენ ლიდერს ომი თავიდან უნდა აერიდებინა.³⁸

ომის შემდეგ ილია მეორე რამდენჯერმე ჩავიდა მოსკოვში, იგი ხვდებოდა პრეზიდენტ მედვედევსა და პრეზიდენტ პუტინს, მკაფიო პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა საუბარმა ერთმორწმუნეობის შესახებ, ხოლო საქართველოში სწორედ საპატრიარქოს ქოლგის ქვეშ იმართებოდა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები

37. „ჩვენ გვწამს ღმერთი, ჩვენ გვაქვს ძალა“ – სწორედ ამ დევიზით განახორციელებს დავით გამყრელიძე თავის წინასაარჩევნო კამპანიას.“ – „ახალი მემარჯვენეების საპრეზიდენტო კანდიდატი პრიორიტეტებზე საუბრობს“, Civil.ge, 26.11.2007, <https://Civil.ge/ka/archives/142088>.

38. „ეს [აგვისტოს ომი] არ უნდა მომხდარიყო. ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი ამ მოვლენებისთვის. გემი როცა მიდის ზღვაში, კაპიტანმა უნდა იცოდეს სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ გვხვდებოდა და გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს,“ – განაცხადა საქართველოს პატრიარქმა ორი კვირის წინ მასწავლებლებთან შეხვედრაზე.“ – „დაპირისპირება პატრიარქზე ვიდეორგოლების გამო.“ Civil.ge, 21.10.2009, <https://Civil.ge/ka/archives/147070>

რუს დიპლომატებთან, ჟურნალისტებთან და ექსპერტებთან. იმ ფონზე, როდესაც პატრიარქი აკრიტიკებდა საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო პუტინი პრეზიდენტს ერთი ადგილით ჩამოკიდებას ჰპირდებოდა, მისი მხრიდან პუტინის ქება ხელისუფლების შეურაცხყოფადაც კი შეიძლება ყოფილიყო აღქმული.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას უმეტესწილად ტაბუდადებული იყო მედიით საპატრიარქოს კრიტიკა, მაგრამ სოციალური ქსელების „რევოლუციამ“ ეს ტაბუ ფაქტობრივად მოარღვია. 2009 წელს ფეისბუქით გავრცელდა ვიდეო, რომლითაც პატრიარქია გაშარჟებული. ამ ვიდეოკლიპს უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა როგორც საპატრიარქოს მესვეურების, ასევე ხელისუფლებისა და ინტელიგენციის ნაწილის მხრიდან. აქტივისტთა თუთბერიძეს, რომელმაც ეს ვიდეო საკუთარ გვერდზე გააზიარა, განადგურებით ემუქრებოდნენ არა მარტო ფეისბუქის უჩინარი მომხმარებლები, არამედ სასულიერო პირები, პოლიტიკოსები და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.³⁹ მუქარის განხორციელების საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ ორი კვირის განმავლობაში თეა თუთბერიძეს სხვა მისამართზე დამალვა უნევდა.

მსგავსი პროცესები განვითარდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა მწერალმა ერეკლე დეისაძემ გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული სათაურით „საიდუმლო სირობა“. ვინაიდან ნიგნი მკრეხელურად ჩაითვალა, ხოლო მისი პრეზენტაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიგნის მალაზია „ლიგამუსში“ 2010 წლის წინასაარჩევნო პერიოდში გაიმართა, ეს საკითხი ახლად შექმნილმა ექსტრემისტულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა, სახალხო მართლმადიდებლურმა მოძრაობამ⁴⁰ მობილიზაციის ხელსაყრელ საშუალებად გამოიყენა.

39. იქვე.

40. ეკა ქევანიშვილი, „თბილისში „სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა“ ფუძნდება“, „რადიო თავისუფლება“ 25.03.2010, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1993772.html>

ილიას უნივერსიტეტის წინ გაიმართა აგრესიული საპროტესტო აქცია მისი რექტორატისა და ერეკლე დვისიძის წინააღმდეგ, ხოლო მეორე დღეს, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად გამოვიდა, მათი აქცია სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის (მმკ) წევრებმა დაარბიეს. დარბევის შემდეგ პოლიციას არავინ დაუკავებია. მეორე დღეს ტელევიზია „კავკასიაში“ გამართული დისკუსიის შემდეგ სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები შეიჭრნენ ტელევიზიის შენობაში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „კავკასიის“ თანამშრომლებს და გადაცემა შეაჩერებინეს. მედიის დარბევის შემდეგ ამ ორგანიზაციის 8 წარმომადგენელი დააპატიმრეს. პოლიტიკურმა ოპოზიციამ ისინი სინდისისა და პოლიტიკურ პატიმრებად შერაცხა და ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე ამ სტატუსით გაათავისუფლა ციხიდან. სასულიერო პირები, რომლებიც მმკ-ს ხელმძღვანელობდნენ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სპეციალური საეკლესიო ჯილდოებით დაასაჩუქრა და მათი განსაკუთრებული წვლილი აღნიშნა სამშობლოსა და მართლმადიდებლობის დაცვის ასპარეზზე⁴¹. ამ აქტით პატრიარქმა თვალსაჩინო გახადა, რომ მათი წარმოდგენები სამშობლოსა და მართლმადიდებლობის დაცვაზე დიამეტრულად განსხვავებულია ხელისუფლების შეხედულებებისაგან.

2010 წელს დაპირისპირების ველად საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი „დიდი ათეული“ იქცა, რომელსაც საზოგადოების გამოკითხვის გზით ათი ყველაზე გამოჩენილი ქართველი უნდა გამოეკვლინა. რაკი კანდიდატთა შორის ეკლესიის მიერ წმინდანებად აღიარებული ფიგურები იყვნენ, საპატ-

41. „დაჯილდოებული მამა დავით ისაკაძე“ – „ნეტგაზეთი“ 11.05.2010, <https://netgazeti.ge/news/6363/>

რიარქომ გადაცემის დახურვა მოითხოვა: მისი აზრით, დაუშვებელი იყო წმინდანების კრიტიკულ კონტექსტში განხილვა და მათი ქულებით შეფასება. პრობლემა კომპრომისით გადაწყდა: საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაიმართა დისკუსია, რომელშიც როგორც საპატრიარქოს წარმომადგენლებმა, ისე მისი პოზიციის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა საზოგადოებამ თავიანთი აზრი გამოთქვეს. გადაცემა გაგრძელდა, მაგრამ ისტორიული პირები ქულებით აღარ შეფასებულან და რიგითობის მიხედვით არ გამოვლენილან.⁴²

როდესაც 2009 წელს ოპოზიციამ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით ხანგრძლივი საპროტესტო კამპანია გააჩაღა, ამ კამპანიის ფარგლებში, შესაძლოა, ყველაზე დიდი თავყრილობის მონაწილეები მივიდნენ სამების საკათედრო ტაძარში, რათა პატრიარქს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა დაელოცა. თუმცა ტაძარში ასევე მივიდა თბილისის მერი გიგი უგულავა, რის შემდეგაც პატრიარქმა თავის ქადაგებაში მოვლენების რევოლუციურ განვითარებას მხარი არ დაუჭირა და თქვა, რომ საქართველოს ჯარი და პოლიცია დალოცვასა და კურთხევას იმსახურებს.⁴³

2011 წელს განხორციელდა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის რეფორმა და ყველა რელიგიურ გაერთიანებას მიეცა შესაძლებლობა, თავად აერჩია, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ყოფილიყო რეგისტრირებული. ამავ დროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციის შემთხვევაშიც რელიგიური გაერთიანება დაცული რჩებოდა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური კონტროლისგან. ეს საკანონმდებლო ცვლილება იყო ერთგვარი პასუხი რელიგიათა საბჭოს მოთხოვნაზე, ჩა-

42. „დიდი ათეულის დილემა“. – „ნეტგაზეთი“ 18.03. 2010
<https://netgazeti.ge/news/5524/>

43. „უცნობი პატრიარქი: საქართველოს პატრიარქის პოზიცია ქართულ პოლიტიკურ პროცესებში გადამწყვეტი ხდება“. – „ლიბერალი“ №.2.2009. გვ. 15 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8556/1/Liberali_2009_N2.pdf

მოყალიბებულიყო რეგისტრაციის ისეთი სისტემა, რომელიც სახელმწიფოს არ მისცემდა შესაძლებლობას, განესაზღვრა რელიგიური გაერთიანებების შინაარსი, დაეხარისხებინა ისინი საჯარო, კერძო, ისტორიულ, ახალ, მრავალ თუ მცირერიცხოვან ორგანიზაციებად და სამართლებრივი სტატუსის დონეზე რელიგიებს შორის იერარქიული მიმართებები ჩამოყალიბებულიყო. ამ ცვლილებას საპატრიარქოს მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ილია მეორემ განაცხადა, რომ ეს არის საშიში კანონი და ის 100 წლის შემდეგაც გამოიღებს ნეგატიურ ნაყოფს.⁴⁴

თუმცა საპატრიარქოში ხელისუფლების წარმომადგენელთა სტუმრობის შემდეგ სინოდმა განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემხრობოდა რელიგიური გაერთიანებებისა და კონკრეტულად მათი წევრების სრულ თანასწორობას, რაც ამ კანონის მხარდაჭერასაც ნიშნავდა.⁴⁵ ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ იგი აშენებს ქვეყანას, სადაც არ ექნება მნიშვნელობა, რომელ რელიგიურ დაწესებულებაში ივლის ადამიანი.

44. „ეს კანონი იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად საშიშია, რომ კანონმდებლებს უნდა ეფიქრათ, ვთქვათ, ათი, ასი წლის შემდეგ რა შედეგი ექნება ამას, – განაცხადა ილია მეორემ.“ – „ილია მეორე: რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონი „საშიშია“, Civil.ge, 07.07.2011, <https://Civil.ge/ka/archives/149292>

45. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი, ისევე როგორც რელიგიური გაერთიანებები, თანასწორია კანონის წინაშე. რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ რელიგიური გაერთიანებას ეკუთვნის საქართველოს ესა თუ ის მოქალაქე. წმიდა სინოდის სხდომის ოქმი. დადგენილება. 11. 07. 2011. – „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება“, „ინტერპრესნიუსი“, 05.10.2011 <https://www.interpressnews.ge/ka/article/180862-sakartvelos-katolikos-patriarkis-ganxadeba/>

მეორე მხრივ, პატრიარქის მიმართ პანეგირიკები მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური რიტორიკის მუდმივი კომპონენტი იყო. იგი ილია მეორეს მეორე ილიას უწოდებდა (ილია ჭავჭავაძის შემდეგ), რითაც, ფაქტობრივად, ქართველი ერის მამის სიმბოლურ სტატუსს ანიჭებდა. ასევე, ხელისუფლება საპატრიარქოსა და სინოდის წევრებს საჩუქრებით ანებივრებდა. ხელისუფლების ინიციატივით, სინოდის წევრებს საჩუქრად გადასცეს ძვირადღირებული მანქანები. დაიწყო სატყეო-სამეურნეო მიწებისა და ქონების ეკლესიისთვის გადაცემა. ჩანდა, რომ სწორედ ამ გზით ცდილობდა ხელისუფლება საპატრიარქოს ლოიალობის მოპოვებას, ხოლო საპატრიარქო ხელისუფლების ამ დამოკიდებულებას საკუთარი ფინანსური და მატერიალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებდა.⁴⁶

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ნაციონალიზმის ორ გაგებას შორის დაპირისპირება. ხელისუფლება გვთავაზობდა ნაციონალიზმის მოდელს, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამოქალაქო ნაციონალიზმი, სადაც ყველა თანასწორია მიუხედავად ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობისა და ეროვნებას არა რელიგიური და ეთნიკური იდენტობა, არამედ მოქალაქეობა განსაზღვრავს. საპატრიარქოს წარმოდგენით კი საქართველო არის სივრცე, რომელშიც ქართველი და მართლმადიდებელი უნდა იყოს უპირატესი, ვინაიდან ქართველ ერს აქვს განსაკუთრებული რელიგიური მისია მსოფლიოს წინაშე – იქადაგოს ქრისტიანობა – და ვინაიდან მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა.

ამ უპირატესობის გამოვლინებას ეკლესია ცდილობდა ყვე-

46. ნინო რობაქიძე, „მთავრობა ეკლესიის სამსახურში“, „ლიბერალი“ №2. 2009, გვ. 17-18.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8556/1/Liberali_2009_N2.pdf

ლა დონეზე დაწყებული სამართლებრივი აღმატებულობის ხაზგასმით, მართლმადიდებელი სასულიერო პირების დაუსჯელობით, საგადასახადო და მატერიალური პრივილეგიებით, მედიის ცენზურითა და საჯარო სივრცის ექსკლუზიური ფლობით, სადაც სხვა აღმსარებლობებს გამოჩენის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ.

საჯარო სივრცე სხვა რელიგიებისთვის უმეტესწილად იზღუდებოდა. დიდი სპორტული და საკონფერენციო დარბაზების დაქირავებისას, ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობისას ისინი მუდმივად აწყდებოდნენ ბარიერებს.

მაგრამ რელიგიური ნაციონალიზმი, ვფიქრობ, შეუსაბამო ტერმინია მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული განწყობების დასახასიათებლად. ქართული ნაციონალიზმი, მე-19 საუკუნიდან მოკიდებული, მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ხასიათდებოდა ანტირუსული და დასავლური ორიენტაციით. ამის მსგავსად, შეუძლებელია უკრაინული ან ლიეტუვეური ნაციონალიზმი იყოს პრორუსული. ნაციონალიზმის მთავარი მახასიათებელი ამ კონტექსტში არის ანტიიმპერიულობა, ხოლო საპატრიარქოს მიმართება რუსული პოლიტიკურ-რელიგიური სივრცისადმი უმეტესწილად პოზიტიურია, ხოლო დასავლეთისადმი – უმეტესწილად ნეგატიური. საქართველოს საპატრიარქო არასდროს დაპირისპირებია საგარეო ასპარეზზე რუსული საეკლესიო ინტერესების გატარებას. რელიგიური თვალსაზრისით, იგი ყოველთვის ანტიდასავლური იყო: გამოეთიშა დასავლურ რელიგიურ ფორუმებს, შევიდა დსთ-ის რელიგიათა საბჭოში და დასავლეთის წინააღმდეგ მუდმივად აყენებდა მორალურ ბრალდებებს, როგორებიცაა გლობალიზაციის დამლუპველი ხასიათი, ლიბერალიზმი, რელიგიური, ეთნიკური, სქესობრივი და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით თანასწორობის მიუღებლობა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიის იდეოლოგია უფრო მეტად რუსული, იმპერიული კონსტრუქციაა, რომელიც იმალება ნაციონალისტური სიმბოლოებისა და ატრიბუტების

მიღმა. ქართველ პატრიოტს ის სთავაზობს ეროვნული და რელიგიური აღმატებულობის განცდას, თუმცა, ამავდროულად, უბიძგებს რუსული იმპერიული სივრცისკენ, რაც ურთიერთგამომრიცხავი მიმართებებია.

შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება მიქცევ-მოქცევებით ხასიათდებოდა, პერიოდულად ხელისუფლება ახერხებდა თავისი ინტერესების განხორციელებასა და საპატრიარქოსთან მიმართებით დასახული მიზნის მიღწევას, თუმცა იმავდროულად საკუთარი პოზიციების დაცვა საპატრიარქოსადმი მუდმივი „ხარკის“ გაღებად უჯდებოდა.

2009 წლის სექტემბერში ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში მმკ-ის ხელმძღვანელობით ორმოცდაათამდე მანქანით რეიდი დაიწყო, რათა ამ სოფელში, რომელშიც მთელი მოსახლეობა ეთნიკურად აზერბაიჯანელია, შეეჩერებინათ მეჩეთის მშენებლობა. მმკ-ის ლიდერი აცხადებდა, რომ აზერბაიჯანელებმა აზერბაიჯანში უნდა აშენონ მეჩეთები. ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა მმკ-ის უკანონო ქმედებები და სექტემბრიდან ვიდრე ივნისამდე სოფელში მეჩეთის წინ იდგა ორი მანქანა. ერთი ეკუთვნოდა პოლიციას, ხოლო მეორე – მმკ-ს. მმკ-ის პიკეტირების მიზანი იყო მეჩეთის მშენებლობის არდაშვება, ხოლო პოლიცია იდგა იმისთვის, რომ ეს მოვლენა არ გადაზრდილიყო ეთნორელიგიურ დაპირისპირებაში. მას შემდეგ, რაც 2010 წლის ივნისში ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრის გამო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები დააკავეს, მეორე დღესვე განახლდა მეჩეთის მშენებლობა და ერთ თვეში დასრულდა კიდევაც.⁴⁷

47. „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2009 წლის მეორე ნახევარი“, გვ. 191.

<https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373662896.pdf>

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, როგორც მანამდე უკვე აღვნიშნეთ, ოპოზიციის ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო ხელისუფლების დადანაშაულება ანტიმართლმადიდებლობაში, რაც მარჯვედ გამოიყენა ივანიშვილის თაოსნობით შექმნილმა ოპოზიციურმა კოალიციამ და სააკაშვილთან დაპირისპირებაში ამ კუთხით მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა. ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას ეკლესიამ მოიპოვა მეტი დამოუკიდებლობა, გაზარდა ფინანსური შესაძლებლობები და ჩამოყალიბდა ერთგვარ უზენაეს არბიტრად პოლიტიკური დაპირისპირების პროცესში. ჩანდა, რომ იგი მიისწრაფოდა პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, ხოლო ხელში ნაციონალიზმის სიმბოლოებით მოხატული იმპერიული დროშა ეკავა.

მტარი თუ მოყვარე?

ბიძინა ივანიშვილის მმართველობა დაიწყო რელიგიური უმცირესობების, განსაკუთრებით, მუსლიმების დევნით. 2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ჩათვლით ეთნიკურად ქართველი მუსლიმების წინააღმდეგ თავდასხმები განხორციელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო, ჭელა, მოხე, ადიგენი, ქობულეთი მუსლიმების უფლებათა დარღვევის კერებად იქცა. თავდასხმებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის თანამშრომლები. მაგალითად, სამთაწყაროელ მუსლიმებს საკრებულოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შეუტვივდნენ მეჩეთში, გამოყარეს მლოცველები, სამლოცველო ატრიბუტიკა, ხოლო შემდეგ მოლას საკუთარ სახლში დაესხნენ თავს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მის მეუღლეს და აიძულეს, სოფელი დაეტოვებინა. მანამდე კი, როგორც ჩანს, სუს-ის ორი თანამშრომელი, რომლებიც თბილისიდან იყვნენ ჩასულები, საკუთარ მანქანაში მუსლი-

მი ღვთისმსახურის დაშანტაჟებას ორი საათის განმავლობაში ცდილობდნენ.⁴⁸

კიდევ უფრო მასშტაბური და შემაშფოთებელი იყო 2013 წელს ახალციხის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის მოჭრის ფაქტი. თითქოსდა განბაჟებისას დაშვებული ფინანსური შეცდომის გამო, რომელიც დაახლოებით 2000 ლარის ცდომილებას მოიცავდა, პირდაპირი მნიშვნელობით, მოახერხეს და დაასაწყობეს მინარეთის კონსტრუქცია. ხელისუფლებას ეს აქტი, თვითმხილველების თქმით, ორი ვერტმფრენის, 50-მდე საპოლიციო მანქანისა და სპეცსამსახურის ორასამდე თანამშრომლის მობილიზების ფასი დაუჯდა. მეჩეთზე განხორციელებული თავდასხმისას ფიზიკურად გაუსწორდნენ მინარეთის დამცველებს, თერთმეტი მუსლიმი კი იქვე დააკავეს. დაახლოებით ორ თვეში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მინარეთის კონსტრუქცია მუსლიმ თემს დაუბრუნეს.⁴⁹

საინტერესო პროცესი განვითარდა სოფელ მოხეშიც, სადაც საპატრიარქომ პრეტენზია გამოთქვა უფუნქციო მეჩეთზე, თუმცა ადგილობრივ მუსლიმებს არა მხოლოდ მის დაბრუ-

48. „2013 წლის 7 ივნისს მართლმადიდებელი მოსახლეობა მეჩეთთან შეიკრიბა და ამ ფორმით ცდილობდა ლოცვის შესრულებაში ხელის შეშლას. სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმთა სულიერი წინამძღვრის – ხოჯა ს.ხ.-ს განმარტებით, 2013 წლის 7 ივნისს, მას ავტომანქანით ორმა უცნობმა მიაკითხა, რომლებმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებად გააცნეს თავი და ხოჯა სოფელში რელიგიური დაძაბულობის წარმოქმნასა და მუსლიმთა სალოცავის გახსნის სანაცვლოდ თანხის აღებაში დაადანაშაულეს. მუსლიმთა წინამძღოლის თქმით, ავტომობილში მას დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. დაახლოებით 1 საათის შემდეგ ს.ხ. სამლოცველოსთან მიიყვანეს, თუმცა ავტომანქანიდან გადმოსვლისთანავე იგი შეუძლოდ გახდა“ – „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013 წელი“, გვ. 299,

<https://drive.google.com/file/d/19AJSGIOHEQkzJOHV-rxQ56sXgFxoE6d7/view>

49. მათა იველაშვილი, მინარეთი ისევ აღიმართება. რადიო თავისუფლება, 21.11.2013, <https://www.radiotavisupleba.ge/a/chelashi-minateri-isev-agimarteba/25182225.html?fbclid=IwAROGGmNJ4TbMV5U3xHXSILHIm0GqoD0c-rMCavnXTU5961gnDcAaD3AWXaM>

ნებაზე, არამედ დასუფთავებაზეც კი უარს ეუბნებოდნენ. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ მუსლიმებს სხვა ადგილას შესთავაზეს მეჩეთის აშენება. ანტიმუსლიმური პოლიტიკის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია ბათუმის მუნიციპალიტეტის დისკრიმინაციული უარი აქ მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებისა და დისკრიმინაციის ცხრიდან რვა შემთხვევაზე პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია⁵⁰

მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილი იყო პირველი პოლიტიკური ლიდერი, ვინც საჯაროდ ისაუბრა პატრიარქის კრიტიკის აუცილებლობაზე. მან ეს დამოკიდებულება მოკლე პერიოდში ზედიზედ სამჯერ გამოხატა. პრემიერობიდან წასულმა ივანიშვილმა დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“; დაფუძნებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე მან პირდაპირ მოუწოდა უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქის კრიტიკისკენ, რასაც საპატრიარქომ შემდეგ სიტყვებით უპასუხა: „ააშენო ტაძარი, არ ნიშნავს, იყო ტაძრის შვილი“⁵¹

ქართული ოცნების მმართველობა განსაკუთრებით გაუგებარი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა რელიგიური მრავალფეროვნებისა და რელიგიის თავისუფლებისადმი. 2014 წელს მთავრობამ დაიწყო მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად კიდევ ოთხი რელიგიური გაერთიანების: მუსლიმი თემის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკე ეკლესიისა და ებრაული თემის დოტაციური დაფინანსება. თავისთავად რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების გამრავალფეროვნება

50. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში. ანგარიში 2010-2019“, 2020 წ., გვ 105-116, http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarisshi-reliigiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

51. ანა ჭელიძე, „რამდენად დიდია ეკლესიის, როგორც „ინტერესთა ჯგუფის“ გავლენა პარტიულ პოლიტიკაზე“, „რადიო თავისუფლება“ 04.05.2015 <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-ana-chelidze-eklesiis-gavlana/26994053.html>.

თანასწორობის კონტექსტში პოზიტიურ მოვლენად შეიძლება მიჩნეულიყო, რომ არა ორი ფაქტორი: დაფინანსება სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უნდა შეხებოდა, მაგალითად, ლუთერულ ეკლესიას, რამდენადაც დაფინანსების საფუძვლად საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის კომპენსაცია იყო გამოცხადებული, ხოლო ეკლესია ამ კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული თემია და, მეორე მხრივ, გაჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ დაფინანსება სახელმწიფოს ნახსენები რელიგიური გაერთიანებების გასაკონტროლებლად, მათი არაკრიტიკული დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება გამოეყენებინა. 2014 წელსვე მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა რელიგიის საკითხთა სააგენტო, სტრუქტურა, რომლის შინაარსი ძალიან წააგავს საბჭოთა პერიოდში მოქმედ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საკითხთა საბჭოს, რომლის მიზანი რელიგიური გაერთიანებების მართვა და კონტროლი იყო. ამ გადანყვეტილებით ქართული ოცნების ხელისუფლებამ აშკარა გახადა, რომ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს იგი განიხილავდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემად, რომლის სამართავადაც სპეციალიზებული სტრუქტურა და ფინანსური რესურსი იყო საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ რელიგიის საკითხთა სააგენტოს გაუქმებას უკვე წლებია ითხოვენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო რელიგიური გაერთიანებების უმრავლესობა მის მიმართ მკაფიოდ კრიტიკულ პოზიციას გამოხატავს⁵².

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსასვლელად ბოლომდე გამოიყენა საპატრიარქოს რესურსი, მასა და საპატრიარქოს შორის გაჩნდა დაძაბულობა იმასთან

52. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), „არასამთავრობოები რელიგიის საკითხთა სააგენტოს გაუქმების შესახებ“, 04.07.2018, <https://tdi.ge/ge/statement/arasamtavroboebi-reliigiis-sakitxta-saagentos-gaukmebis-shesaxeb>

დაკავშირებით, უნდა გამართულიყო თუ არა 2013 წლის 17 მაისს „აიდაჰოს დღისადმი“ მიძღვნილი სამოქალაქო აქცია. ხელისუფლება აცხადებდა, რომ იგი ყველა მოქალაქის თანასწორ უფლებას აღიარებს და ამ აქციას თავდასხმისგან დაცავდა. მიუხედავად ამისა, ეკლესიამ ოცი ათასამდე ადამიანის მობილიზება შეძლო და აქცია ბრუტალური, ველური ფორმებით ჩაშალა. მათ გაღიზიანებას იწვევდა ის, რომ დაახლოებით ორმოციოდე აქტივისტის მხარდასაჭერად რუსთაველზე გამოჩნდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და პოლიცია. საპატრიარქოს აქციამ ანტიდასავლური ხასიათი მიიღო, ვინაიდან აქციის ხელმძღვანელი, მთავარეპისკოპოსი იაკობ იაკობაშვილი ღიად აცხადებდა, რომ ასეთები ვართ ქართველები და დასავლეთს თუ უნდა, ასეთებად მიგვიღოსო: „ძალიან ხშირად ხდება, რომ ხელოვნურად თავს გვახვევენ რაღაცეებს, ის რაც მიუღებელია ერის ცნობიერებისთვის“. ამავდროულად, სწორედ დარბევის პროცესში იგი ამბობდა, რომ „ძალადობა ხდება უმცირესობის მხრიდან უმრავლესობაზე“.⁵³

საპატრიარქო ხელისუფლებას დაუპირისპირდა ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებისასაც და ასევე თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ივანიშვილის პირადი ნების გამოვლენის შედეგად, ვინაიდან პარლამენტარების უმრავლესობა იზიარებდა ეკლესიის პოზიციას⁵⁴, მაგრამ ვერ შეინააღმდეგებოდა ივანიშვი-

53. მთავარეპისკოპოს იაკობ იაკობაშვილის კომენტარი
<https://www.youtube.com/watch?v=fVjx89IH4rU>

54. „არის საკითხები, რომლის დაშვება არ შეიძლება. როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო? უკანონობის დაკანონება ეს დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და მე რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და ის იქნებოდა საოცარი, რომ არ მეთქვა. მე ვალდებული ვარ, უნდა მეთქვა, – განაცხადა ილია მეორემ“. „საქართველოს პატრიარქი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებაზე“, Civil.ge, 06.05.2014, <https://Civil.ge/ka/archives/152945>.

ლის სურვილს. თვითმმართველობის კანონმდებლობასთან დაკავშირებით კი პატრიარქის პოზიცია ფაქტობრივად ყველაზე ძლიერი არგუმენტი გახდა ოცნების ხელისუფლებიდან კანონის ჩასაგდებად მათთვის, ვისაც ისედაც არ სურდა რესპუბლიკური პარტიის მიერ მომზადებული ლიბერალური კანონის გატანა. ილია მეორემ ეს კანონპროექტი ქვეყნის დამლის წინაპირობად შეაფასა ⁵⁵.

საინტერესო იყო დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიაში კაზანტიპის ელექტრონული მუსიკის ფესტივალის წინააღმდეგ საეკლესიო მოძრაობა და მასზე საპატრიარქოს რეაქცია. საპატრიარქოს წარმომადგენლები მოითხოვდნენ „გარყვნილების“ ფესტივალის შეჩერებას, აანონსებდნენ თავდასხმით აქციებს, აპირებდნენ ფესტივალის პიკეტირებას, თუმცა როგორც ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა განაცხადა, საპატრიარქო პარალელურად აწარმოებდა მოლაპარაკებას ფესტივალის ორგანიზატორთან იმაზე, რომ წყალი „სნო“, რომლის წარმოება დაკავშირებული იყო უშუალოდ საპატრიარქოსთან, ექსკლუზიურად შეეტანათ ფესტივალზე. საპატრიარქო სწორედ პროტესტის ამ ფორმით აშანტაჟებდა კაზანტიპის ფესტივალს.⁵⁶ საბოლოოდ

55. „ჩვენი პარლამენტი და ჩვენი ხელისუფლება დღეს განიხილავს, მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე, კანონზე. ეს მეტად რთული საკითხია. ეს თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დამლისაკენ, დარღვევისკენ. ჩვენ არასდროს არ შევურიგდებით ამას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ შესრულდეს“ – განაცხადა პატრიარქმა მცხეთის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას – „პატრიარქი: თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტი ქვეყნის „დაშლას“ გამოიწვევს“, Civil.ge, 05.12.2013, <https://civil.ge/ka/archives/187289>.

56. [ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი სიგუა]: „სნოს“ სურდა, რომ ისინი წყლის ექსკლუზიური გამყიდველები ყოფილიყვნენ, რაც იყო საკმაოდ ძვირადღირებული ლოტი; „სნო“ ამას ლებულობდა აბსოლუტურად უფასოდ, ეს იყო მათი მოთხოვნა, რომ წყალი მათ უნდა გაეყიდათ. შევთანხმდით, ეკლესია ითხოვდა „სნოს“ შემოტანას. თვითონ სასულიერო პირები ითხოვდნენ, ჩვენ უნდა შემოვიტანოთ „სნო“. თავად კომპანია კი არ მოსულა. ეს გაიტანეს, მაგრამ შემდეგ სხვა რაღაცეებიც მოითხოვეს და წარმოიშვა ნიკიტა მარშუნოკა და მათ შორის ბიზნესდა-

კაზანტიპის ფესტივალი ჩატარდა, თუმცა ნაკლები დაინტერესებულთა და საპატრიარქოს ბიზნესინტერესების მიმართ დათმობის ხარჯზე.

ზოგადად, საინტერესოა ის ფორმა, რომლითაც საპატრიარქო ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით „ვაჭრობს“. იგი წამოაყენებს ხოლმე რელიგიურ-მორალური ხასიათის მოთხოვნას; გარკვეულ ეტაპზე საპატრიარქოს პროტესტი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლად წყდება. კაზანტიპის გარდა, შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ სააკაშვილის ხელისუფლების დროს „ბუდა ბარის“ ამუშავების მიმართ წინააღმდეგობა. საპატრიარქო სამორინე „შანგრილას“ გაიხსნის წინააღმდეგაც გამოდიოდა საპატრიარქოსა და უძველესი ეკლესიის, ანჩისხატის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მოთხოვნით აქციებიც იმართებოდა⁵⁷. სავარაუდოა, რომ რომ ორივე შემთხვევაში კონფლიქტი შეწყდა მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის „სარფიანი“ გარიგება შედგა.⁵⁸ 2010-2011 წლებში სასულიერო პი-

პირისპირება, თქვენ რა გგონიათ, სასულიერო პირები არიან ჩვეულებრივი ბიზნესმენები, ფირმები აქვთ, ბიზნესს აწარმოებენ, გადასახადებს არ იხდიან“. კომპანია „აქვა გეო“ „სნოს“ ბრენდის ქვეშ სასმელ წყალს 2009 წლიდან აწარმოებს. საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანიის 80%-ს ვახტანგ ლიპარტიანი, ხოლო 20%-ს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ფლობს“. – „გიორგი სიგუა: კაზანტიპის გამო ეკონომიკის მინისტრი და მეც საპატრიარქოში დაგვიბარეს“, „ნეტგაზეთი“. 13.09.14 <https://netgazeti.ge/news/34986/>

57. „საპატრიარქოსთან მდებარე კაზინო „შანგრილას“ დემონტაჟის მოთხოვნით აქცია გაიმართა“, „ინტერპრესნიუსი“, 11.11.2012 <https://www.interpressnews.ge/ka/article/220327-sapatriarkostan-mdebare-kazino-shangrilas-demontazhis-motxovnit-akcia-gaimarta/>
58. „საქართველოს საპატრიარქომ, რომელსაც სამეწარმეო საქმიანობის უფლება უშუალოდ არ აქვს, შპს „ემ&სი ჯორჯია ჰოლდინგთან“ ერთად, 2014 წლის 5 აპრილს შპს „კრწანისის პარკი“ დააფუძნა. ამ ახალ კომპანიაში წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: 25% – საპატრიარქოს, ხოლო 75% – „ემ & სი ჯორჯია ჰოლდინგს“. დაფუძნების ოქმს ხელი მოაწერეს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა (კონსტანტინე იაკობაშვილი) და „ემ & სი ჯორჯია ჰოლდინგის“ დირექტორმა რატი ღვამბერიამ. „კრწანისის პარკის“ გენერალურ დირექტორადაც რატი ღვამბერია დაინიშნა. „ემ & სი ჯორჯია ჰოლდინგი“ თავის მხრივ „კრწანისის პარკის“

რები აწყობდნენ საპროტესტო აქციებს „სოკარის“ გაზგასამართი სადგურების წინააღმდეგ, ვინაიდან, მათი თქმით, ის „აქ მეჩეთებს აშენებდა“⁵⁹. თუმცა, მას შემდეგ, რაც სოკარმა 2013 წელს საპატრიარქოს ბუნებრივი გაზის საფასურის ანაზღაურება დაიწყო, პიკეტირება შეწყდა. საპატრიარქო მორალურ საკითხებს ხშირად საკუთარი ეკონომიკური ინტერესე-

დაფუძნებამდე ოთხი დღით ადრე, 2014 წლის 1 აპრილსაა დარეგისტრირებული. რეესტრში განცხადება ამავე დღეს აქვს შეტანილი რატი ღვამბერიას. „ემ & სი ჯორჯია ჰოლდინგის“ 100%-იანი წილის მფლობელი კი რომანოზ მოსულიშვილია, რომელიც, „ბათუმელების“ მიერ მოდიებული დოკუმენტების მიხედვით, სხვა რაიმე სახის ბიზნესს არ ეწევა. რომანოზ მოსულიშვილი ორი წლის წინ „ქართული კაზინოს ჯგუფის“ წილების გასხვისებისას რატი ღვამბერიას ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ერთ დღეში დაფუძნებული „ემ & სი ჯორჯია ჰოლდინგის“ იურიდიულ მისამართად მითითებულია შპს „ეს ჯი კომპანის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე თბილისში, გერგეთის №3-ში. ამავე მისამართზე იყო დარეგისტრირებული „ქართული კაზინოს ჯგუფიც“. – „ეკლესიის ბიზნესი კრწანისის ტყე-პარკის ხარჯზე“, „ნეტგაზეთი“, 03.02. 2015, <https://netgazeti.ge/news/38421/>.

59. დიდი ხანია, რაც საქართველოში, კერძოდ კი აჭარასა, ადიგენსა და ბონისის რაიონებში აქტიურად მიმდინარეობს მეჩეთების მშენებლობა... ერთ-ერთი მათი დამფინანსებელი აღმოჩნდა ბენზინგასამართი სადგურების ქსელი „სოკარი“, ავტომობილების მძღოლები კი, რომლებიც აქ ასახმდნენ სანვავს, ავტომატურად ხდებოდნენ ამ საქმის ხელშემწყობნი. სწორედ ამიტომ ხუთშაბათს, 17 სექტემბერს გაიმართა შეგონებითი აქცია. სასულიერო პირები და მრევლის წარმომადგენლები გადანაწილდნენ „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურებთან, დარიგდა ფურცლები, სადაც განმარტებული იყო, რომ „სოკარში“ ჩასხმული სანვავით მძღოლები ხელს უწყობდნენ მეჩეთების მშენებლობას საქართველოში. გთავაზობთ ტექსტს მიმართვიდან: „ძვირფასო თანამემამულენო! უცხო ქვეყნის ხელშეწყობით საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში – აჭარაში, ადიგენში, ქვემო ქართლში, ხდება მუსულმანური ელემენტების ხელოვნურად გაძლიერება, უკანონო მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობა, რელიგიური კადრების მოზაზადება, რაც აძლიერებს სეპარატიზმს ამ რეგიონებში, ხელს უწყობს რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტების ესკალაციას. არაოფიციალური წყაროები მეჩეთების მშენებლობის ხელშემწყობად კომპანია „სოკარსაც“ ასახელებენ. ის, ვინც სანვავს ჩაასხამს „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებში, მეჩეთების მშენებლობის თანამონაწილე ხდება“. აღნიშნული აქცია დაიგეგმა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მრევლისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირების ინიციატივით, რომელთაც შემდგომში შეუერთდა წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ძმობა. – ავტორის პირადი არქივიდან.

ბის უზრუნველსაყოფად იყენებს: ასეთ მოქმედებას შეიძლება რელიგიური რეკეტი ვუწოდოთ.

2016 წელს კუნძულ კრეტაზე უნდა გამართულიყო მართლმადიდებელ ეკლესიათა მსოფლიო კრება, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში მზადდებოდა. მისი დოკუმენტაციის შემუშავების ყველა დონეზე იყო ჩართული საქართველოს ეკლესია. თუმცა კრებამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, როცა უკვე გაცემული იყო თანხმობა კრებაში მონაწილეობის შესახებ და შედგენილი იყო ქართული დელეგაციის სია, საქართველოს საპატრიარქომ უარი განაცხადა კრეტაზე ჩასვლაზე.

უარის მიზეზად დოკუმენტაციის შეუთანხმებლობა ცხადდებოდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ რეალურ მიზეზს რუსული ეკლესია წარმოადგენდა, რომელიც პირველობის ამბიციის გამო კრეტის კრებას ეწინააღმდეგებოდა. 2017 წლის 10 ნოემბერს „რუსთავი 2“-ის ეთერით გადაიკა სიუჟეტი, რომელშიც გავრცელდა ფარული ჩანაწერი, თუ როგორ არწმუნებს საქართველოს სინოდის რამდენიმე ეპისკოპოსი საქართველოს პატრიარქს, საქართველოს დელეგაცია კრეტაზე არ გაემგზავროს. წასვლაზე უარისთვის ორი არგუმენტი სახელდებოდა: პირველი ის, რომ მსოფლიო კრება ამერიკული პროექტია და მეორე, რომ კრების გამართვით აღმოსავლურ საქრისტიანოში ვატიკანის პოზიციები ძლიერდებოდა... ეს ორი არგუმენტი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქართველოს ეკლესიას ბოლო მომენტში კრებისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა.⁶⁰

2016 წელს საქართველოში განხორციელდა რომის პაპის, ფრანცისკეს ვიზიტი. იოანე პავლე მეორისგან განსხვავებით, საპატრიარქომ ის უფრო თბილად მიიღო, თუმცა, როცა ფრან-

60. „ილია მეორე კრეტაზე არ მიდის – ეკლესიების ერთობისთვის ის სამებაში ილოცებს“, – „ტაბულა“ 18.06.2016, <https://tabula.ge/ge/news/587103-ilia-meore-kretaze-ar-midis-eklesiebis>.

ცისკე თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე წირვის ჩასატარებლად შევიდა, მას თითქმის ცარიელი ტრიბუნები დახვდა. როგორც ამბობდნენ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ხელი შეუშალეს მორწმუნეთა ჩამოსვლას რეგიონებიდან, სადაც ქართველი კათოლიკეები ცხოვრობენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელიც საქართველოს ეკლესიის საგარეო პრიორიტეტებზე კარგად მეტყველებს, უკრაინის ავტოკეფალიის ცნობასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მსგავსი გზით მოიპოვა, სინოდის ოფიციალური პოზიცია ღიმილისმომგვრელი იყო: 2017 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი ეცნობა და კითხულობს ტომოსს.⁶¹ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიები დღემდე ელოდებიან კითხვის პროცესის დასრულებას. წინააღმდეგობის ასე თუ ისე გაცხადებული მიზეზი დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს ეკლესია უფროთხის რუსეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯებს ოსეთისა და აფხაზეთის ეკლესიების აღიარების მიმართულებით. თუმცა სახელდება ისიც, რომ რეალურად საქართველოს ეკლესია საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ინტერესების მოწინავე მხარდამჭერია.

2017 წელს დაიწყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესი, რაშიც ჩაბმული იყო ეკლესიაც და სახელმწიფოც: ე.წ. ციანიდის სკანდალი. საპატრიარქო დიდი ხანია მოცულია კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის გარშემო დაპირისპირებებით და, ცხადია, ხელისუფლებაც ყველანაირად შეეცდებოდა ამ ბრძოლაში საკუთარი ინტერესის გატარებას.

საპატრიარქოში არსებობს სხვადასხვა დაჯგუფება, რომელიც ეკლესიაში გავლენების გასაძლიერებლად იბრძვის.

61. „მეუფე ნიკოლოზი: ტომოსი ხომ უნდა ნავიკითხოთ, იქნებ შიგნით რა წერია“, – „ტაბულა“, 07.02.2019, <https://tabula.ge/ge/news/618105-meupe-nikoloji-tomosi-khom-unda-cavikitkhot-ikneb>.

ბუნებრივია, ხელისუფლება სწორედ ამ ჯგუფებთან ითანამშრომლებდა სხვა ჯგუფების წინააღმდეგ. წლების განმავლობაში ილია მეორის მემკვიდრის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ძლიერ კანდიდატურად სახელდებოდა ბათუმის მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი, რომელიც, ამავდროულად, ილია მეორის ძმისშვილია. იგი ხელისუფლებისგან უფრო დამოუკიდებელი ფიგურა იყო, ვიდრე სხვა ნებისმიერი ეპისკოპოსი. ბუნებრივია, ხელისუფლება სწორედ მის განეიტრალებას შეეცდებოდა.

2017 წელს აეროპორტში დააკავეს მღვდელი გიორგი მამალაძე, რომლის ჩანთაშიც თითქოსდა აღმოაჩინეს კალიუმის ციანიდი. პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ ამით აღკვეთა პატრიარქის ლიკვიდაციის მცდელობა. გიორგი მამალაძე იყო დიმიტრი შიოლაშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანი, რომელიც საპატრიარქოში სწორედ შიოლაშვილის ინტერესებს წარმოადგენდა. ამ დაკავების გამო დიმიტრი შიოლაშვილმა გამართა პრეს-კონფერენცია, რომელშიც აცხადებდა, რომ იგი არ არის დაკავშირებული ამ სასულიერო პირთან და ენდობა გამოძიებას. ამ ამბის შემდეგ მისი კანდიდატურა პატრიარქის მემკვიდრედ ფაქტობრივად აღარ განიხილება. დიმიტრი შიოლაშვილის სიძე ქვეყნიდან გაიქცა, ხოლო ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა პეტრე ცაავამ, ღიად დაადანაშაულა საპატრიარქოს მთელი რიგი წარმომადგენლები, რომ მათ უდანაშაულო მღვდელი ციხისთვის განირეს.

ციანიდის სკანდალი მესამე წელია აქტიური განხილვის საგნად რჩება და მას მრავალი შრე აქვს. საქმის კრიმინალურ ასპექტზე რაიმეს დადასტურებულად მტკიცება შეუძლებელია, ვინაიდან მას საიდუმლო გრიფი ადევს. მაგრამ ერთი წინააღმდეგობა აშკარაა: პრემიერი კვირიკაშვილი და შემდეგ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებდნენ, რომ ეს ადამიანი სასჯელს იხდის პატრიარქის მკვლელობის მცდელობისთვის,

მაგრამ საქმე ისაა, რომ სასამართლოს არ განუხილავს პატრიარქის მკვლელობის საკითხი. ამის მაგივრად მამა გიორგის პატიმრობა მიესაჯა პატრიარქის მდივნის, შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მცდელობის გამო.

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მიტროპოლიტი იაკობ იაკობაშვილი მოვლენების სულ სხვა ვერსიას გვთავაზობდა, ის ჟურნალისტ ვახო სანაიასთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ პატრიარქის გადაყენების ან ლიკვიდაციის მცდელობას, ხოლო მის ადგილას მიტროპოლიტ შიო მუჯირის დასმის გეგმას ამუშავებდნენ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, ამჟამინდელი უშიშროების მინისტრი ვახტანგ გომელაური, აგრეთვე ხელისუფლებასთან და საპატრიარქოსთან მჭიდროდ დაკავშირებული ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი. ამ მოლაპარაკებების საქმის კურსში ბიძინა ივანიშვილიც იყო.⁶² თუმცა ამ სკანდალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით არანაირი გამოძიება არ დაწყებულა. საკითხზე კვლავ განახლდა ფართო დისკუსია, მაგრამ დებატები შეწყდა მას შემდეგ, რაც იაკობ იაკობაშვილის მიერ განმოვანებული ბრალდებიდან ზუსტად ერთ კვირაში მიტროპოლიტმა პეტრე ცაავამ პატრიარქი სინოდის სხდომაზე, მისივე სიტყვებით, „პედერასტიის“ ცოდვაში ამხილა⁶³.

სამწლიანი გამუდმებული სკანდალების ფონზე, სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, ეკლესიის რეიტინგმა რამდენადმე იკლო, მაგრამ 2020 წლის გლობალური პანდემია მან საკუთარი ავტორიტეტის დასაბრუნებლად და დასამტკიცებლად გამოიყენა. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა პანდემიასთან დაკავშირებით ვერცერთი საგანგებო ზომის მნიშვნელობაში ეკლესიის დარწმუნება. მოთხოვნის მიუხედავად, პანდემიის გამო არ და-

62. „ტვ პირველი“, „მეუფე იაკობის სკანდალური ინტერვიუ „ცინიანდის საქმეზე“ – 26.10.2019,

<https://www.youtube.com/watch?v=H-eK-dPhLUk>

63. „პატრიარქმა მეუფე პეტრე მღვდელმთავრობიდან გადააყენა“. 31.10. 2019

<https://www.youtube.com/watch?v=POLOc4rWxZg>

ხურულა ტაძრები, არ შეწყვეტილა ზიარების ტრადიციული წესით მიღების პროცესი, ეკლესიას მოსახლეობისთვის უმეტესწილად არ მოუწოდებია, შინ დარჩენილიყვნენ დიდ დღესასწაულებზე, რაც, საბოლოო ჯამში, დასრულდა პრემიერ გახარეას აღიარებით, რომ საქართველო არის მართლმადიდებლური სახელმწიფო⁶⁴. ამ ფრაზის წარმოთქმისას იგი გულსხმობდა იმას, რომ საქართველოს საპატრიარქო კანონის მიღმა არსებული დანესებულებაა.

64. „გახარია: ეკლესია არ უნდა დაიხუროს, რაც გასაგებია, ჩვენ ხომ მართლმადიდებლური სახელმწიფო ვართ“, – „ტაბულა“, 14.09.2020, <https://tabula.ge/ge/news/644208-gakharia-eklesia-ar-unda-daikhuros-rats-gasagebia>

საზოგადოების ტრანსფორმაცია

გიგა ზედაძე
ლევან ბერძენიშვილი
ნათია ფანჯიქიძე
ლუკა ბაქრაძე

ღირებულებების ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როდესაც საბჭოთა რეჟიმიდან პოსტსაბჭოთა მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ ვსაუბრობთ, ღირებულებების ტრანსფორმაციის საკითხია. დავიწყებ დაკვირვებით – საქმე ის არის, რომ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, იმის თაობაზე, თუ როგორი რთული იქნებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამონვეული ცვლილებები, საქართველოში ამაზე უფრო ადეკვატური ნარმოდგენა არსებობდა, ვიდრე დასავლელ დამკვირვებლებს შორის. დასავლელი ექსპერტების უმეტესობის აზრით, საბჭოთა მემკვიდრეობის გადალახვა ორი მნიშვნელოვანი ცვლილებით იქნებოდა შესაძლებელი¹: პირველი იქნებოდა ცვლილება პოლიტიკურ სფეროში, ანუ ავტორიტარული რეჟიმი შეიცვლებოდა დემოკრატიულით, ხოლო მეორე იქნებოდა ცვლილება ეკონომიკის სფეროში, რომლის შედეგადაც გეგმური ეკონომიკა შეიცვლებოდა საბაზრო ეკონომიკით. ამ ორი ცვლილებით უნდა ამოწურულიყო პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია.

მაგრამ საქართველოში, უკვე 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ხშირად ისმოდა საუბარი, რომ „ჩვენ სხვანაირები ვართ“, „დასავლეთში სხვაგვარი ხალხი ცხოვრობს“, რომ

1. Carothers, T. „The End of Transition Paradigm“, in: *Journal of Democracy*, 13.1, 2002, 5-21.

საქართველო არ არის მზად დემოკრატიული ცხოვრებისათვის და ა.შ., რაშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობდა ღირებულებათა სისტემა, რომელიც, შესაძლოა, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებას არ შეესაბამებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქის ბოლო პერიოდში საქართველოში არსებული ცოდნა გარე სამყაროს შესახებ ძალზე შეზღუდული და ფრაგმენტული იყო, სოციალური თვითრეფლექსია სწორი აღმოჩნდა; ტრანსფორმაციის დანყების დაახლოებით მეათე წლისთავზე დასავლელმა ექსპერტებმაც გააცნობიერეს, რომ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანზიცია არ იქნებოდა საკმარისი საზოგადოების ცვლილებისათვის. ნელ-ნელა მოდაში შემოვიდა ღირებულებათა შესახებ მსჯელობა. დაიწყო დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა ტიპის ღირებულებები არსებობდა საბჭოთა საქართველოში და როგორ უნდა შეცვლილიყო ეს ღირებულებები, რათა საქართველო გამხდარიყო თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა.

ერთი ძალიან საყურადღებო რამ, რაც ამ დროს მოხდა, იყო ადამიანების სწრაფი გადასვლა ე. წ. ტრადიციულ წარმოდგენებსა და ღირებულებებზე. ეს საინტერესო განვითარება იყო, მაგრამ, ცხადია, უცნაურიც, რადგან საბჭოთა კავშირს ვერ დავარქმევთ ტრადიციულ ქვეყანას ჩვეულებრივი გაგებით; მართლაც, ერთი შეხედვით, საბჭოთა კავშირი გახლდათ მოდერნული ქვეყანა, მოდერნიზაციის ისეთი თვალსაჩინო შედეგებით, როგორებიცაა ურბანიზაცია, ბიუროკრატიზაცია, ინდუსტრიალიზაცია. მიუხედავად ამისა, ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ საბჭოთა კავშირში, მისი დაშლის შემდეგ, ბევრისათვის მოულოდნელად, ტრადიციული ღირებულებების მატარებლები აღმოჩნდნენ. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება დიდი დაბრუნება რელიგიასთან, რელიგიური აღორძინება, რელიგიური რენესანსი, როგორც ამას უწოდებენ ხოლმე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა და, მნიშვნელოვანწილად, პოსტსოციალისტურ

სივრცეში. მეორე მხრივ, ხშირად შეუნიშნავთ გარკვეული ტიპის უწყვეტობა, თითქოს საბჭოთა ღირებულებებიდან ტრადიციულზე ბევრი ისე გადავიდა, რომ დისკომფორტი არც კი უგრძნია.

შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ საერთოდ საბჭოთა ღირებულებებზე? თუ ღირებულებათა რაღაც ზოგად კლასიფიკაციას ვახდენთ (მაგ., ვყოფთ მათ ტრადიციულად და მოდერნულად), რამდენად გამართლებულია ცალკე საბჭოთა ქვეოჯახის გამოყოფა? ხომ არ იქნება უფრო სწორი, რომ ერთ-ერთისათვის მიგვეკუთვნებინა საბჭოთა ღირებულებები ან თავად კლასიფიკაციის პრინციპისთვის გადაგვეხედა?

უპირველესად, აქ ის უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სოციუმის, როგორც განსაკუთრებულისა და სპეციფიკურის შესწავლა მიღებული მიდგომაა სოციალურ მეცნიერებებში. „ჭომო სოვიეტიკუსი“, როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანის აღმნიშვნელი კატეგორია, პუბლიცისტიკის სფეროში გაჩენილი ცნება კი არა, ჩალრმავებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული კონცეპტია, იმ სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს რომ მოიცავს, რომლებიც საბჭოთა ღირებულებების ქვეშაც შეგვიძლია მოვიაზროთ. აქ საჭიროა სპეციფიკურად საბჭოთა ისტორიის გათვალისწინება, სახელმწიფო ძალადობისა თუ იძულების სხვადასხვა ეტაპებითა და რეჟიმებით, ისტორიისა, რომელმაც ადამიანის განსაკუთრებული ტიპი და განსაკუთრებულ ღირებულებათა სისტემის მატარებელი ფიგურა შექმნა, რისი შესაძლებლობაც წინამდებარე სტატიაში არ გვაქვს, მაგრამ რაც უკვე გაკეთებულა თუ არა კონკრეტულად საბჭოთა საქართველოს, ზოგადად საბჭოთა კავშირის მასალაზე მაინც.²

მეორე და ჩვენი მიზნებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ფაქ-

2. კლასიკურ გამოკვლევად ამ კუთხით დღემდე რჩება იური ლევადას წიგნი „უბრალო საბჭოთა ადამიანის“ შესახებ. იხ. Lewada, J. *Die Sowjetmenschen*. 1989-1991. *Soziogramm eines Zerfalls*. Berlin 1992.

ტორი გახლავთ ის, რომ საბჭოთა კავშირი არ ყოფილა ჩვეულებრივი მოდერნული საზოგადოება. როცა ჩვენ ვსაუბრობთ თანამედროვე, დასავლური ტიპის საზოგადოებაზე, მას იმით გამოვარჩევთ, რომ ასეთ საზოგადოებას არ აქვს ერთი ცენტრი. ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ დასავლეთში არსებობს ცენტრი, რომელიც ერთდროულად აკონტროლებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო, სახელოვნებო თუ სამართლებრივ პროცესებს; თითოეულ ამ სფეროს მოდერნულ საზოგადოებაში საკუთარი ცენტრი გააჩნია და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულე ამ ცენტრების ურთიერთმიმართებასა და ურთიერთზეგავლენაში უნდა ვეძიოთ. ეს არის დიფერენციაცია, როგორც მოდერნიზაციის არსობრივი ნიშანი – საზოგადოების სხვადასხვა სფერო ავტონომიურად ყალიბდება და საკუთარ, შინაგან კანონზომიერებას ემორჩილება.³ სწორედ ამ ავტონომიური სფეროების ჩამოყალიბება იწვევს თითოეულ მათგანში პროდუქტიულობის მანამდე არნახულ ზრდას, რაც გამოიხატება მეცნიერული, ტექნოლოგიური თუ ინდუსტრიული განვითარების ტემპის აჩქარებაში. ეს, თავის მხრივ, არის ისეთი თვალსაჩინო შედეგების საფუძველი, როგორებიცაა, მაგალითად, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და სხვ.

საბჭოთა კავშირს – ისევე როგორც ტრადიციულ საზოგადოებას – ასეთი ცენტრი ჰქონდა. არსებობდა ცენტრალური ინსტანცია, რომელიც აკონტროლებდა ცხოვრების ყველა სფეროს, ან, ყოველ შემთხვევაში, პრეტენზია ჰქონდა, რომ ყველა სფერო გაეკონტროლებინა. ერთპარტიული მმართველობა, რომლის ნიაღშიც თავს იყრიდა იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ყველა სხვა სახის ძალაუფლება, სწორედ ასეთ ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომაც, ამ კუთხით, საბჭოთა კავშირს ბევრად მეტი ჰქონდა საერთო ტრადიციულ საზოგადოებასთან, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით გვეფიქრა. საბჭოთა ღირებულებები ჰიბრიდული იყო, ისევე როგორც საბჭოთა

3. იხ. ზედანია, გ. (რედ.) მოდერნულობის თეორიები. 2010.

სისტემა – ერთსა და იმავე დროს მოდერნული და ტრადიციული მახასიათებლების მქონე. და ამ ჰიბრიდიდან ტრადიციულ ღირებულებებზე გადასვლა არცთუ რთული აღმოჩნდა.

ცხადია, იყო სხვაგვარი ფაქტორებიც; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ საქართველო გეოგრაფიულად საბჭოთა კავშირის სამხრეთში მდებარეობდა. ე. წ. „სამხრეთის პრობლემა“ ბევრ მოდერნულ საზოგადოებასაც აქვს, იქნება ეს იტალია თუ აშშ.⁴ ეს სერიოზული საკითხია იმიტომ, რომ თვითონ მოდერნიზებულ, თანამედროვე საზოგადოებებშიც არსებობს ანკლავები, რომლებიც უფრო ტრადიციული თუ კვაზიტრადიციულია, ვიდრე დანარჩენი ნაწილები. საქართველოსაც, გარკვეული აზრით, ეს სტატუსი ჰქონდა საბჭოთა კავშირის შიგნით, რაც განსაკუთრებით ნათლად ვლინდებოდა ისეთ ფენომენში, რომელსაც შეიძლება დავარქვათ პატივის მნიშვნელობა ღირებულებათა სისტემაში. პატივს (ინგლისურად: honor) როცა ვამბობ, არ ვგულისხმობ ღირსებას (ინგლისურად: dignity), იმიტომ რომ ღირსება არის თანამედროვე ადამიანის უფლებების სფეროდან მომდინარე ცნება, რომელიც თანაბრად მიენერება ყველა ადამიანს.⁵ ადამიანის ღირსება არ შეიძლება შეიღახოს – ეს არის პრინციპი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სახელმწიფოსი. აქ საუბარია ნებისმიერი ადამიანის ღირსებაზე, არ აქვს მნიშვნელობა, ასეთ ადამიანს დიდი დამსახურებები აქვს თუ პირიქით, საზოგადოების წინაშე დანაშაული აქვს ჩადენილი; არცერთი ადამიან-

4. ბიბლიოგრაფია მოდერნული საზოგადოებების შიგნით „სამხრეთის საკითხის“ შესახებ დიდია და იმდენად მრავალფეროვანი, რომ ხშირად მიდგომებს ერთმანეთთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ – გრამშიდან ბენფილდამდე და ლუმანიდან პატნემამდე.

5. ამ ორი ცნების განსხვავების შესახებ იხ. Berger, P., „On the Obscure of the Concept of Honor“, in: *European Journal of Sociology / Archives Européennes de Sociologie / Europäisches Archiv für Soziologie*

Vol. 11, No. 2, pp. 339-347; იხ. ასევე, ზედანია, გ. „ღირსება და ზნეობრივი რევოლუცია“, წინასიტყვაობა წიგნისა: აპია, კ. ე. ღირსების კოდექსი. როგორ ხდება ზნეობრივი რევოლუციები. თბილისი, 2014, 7-11;

ნის ღირსება არ შეიძლება შეილახოს. ამისგან განსხვავებით, პატივის ცნება სხვაგვარად არის მოწყობილი. პატივის ცნება არის რაღაც, რაც ადამიანს შეიძლება წაართვან; ადამიანს შეიძლება „პატივი ახადონ“. პატივი ადამიანს, როგორც ინდივიდს კი არ აქვს, არამედ მას ის მოჰყვება ოჯახიდან, წინაპრებისგან, სოციალური გარემოდან. ტრადიციული საზოგადოებებისათვის პატივის ცნება ცენტრალური ღირებულებაა და შეიძლება ვთქვათ, რომ ის საბჭოთა საქართველოშიც ს ერთ-ერთ ცენტრალურ ღირებულებად რჩებოდა – მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოში მას რელიგიური საფუძველი არ ჰქონია. იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველოში ოჯახის ინსტიტუტი ცენტრალურ ადგილს იკავებდა, პატივიც, როგორც ოჯახის ინსტიტუტისათვის განმსაზღვრელი ღირებულება, ღირებულებათა ცენტრში იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პატივის ეს ცნება გადმოჰყვა იმ ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ სოციალიზებული. ცნებამ დამატებით შეიძინა რელიგიური განზომილება და ჩვენ მივიღეთ ღირებულებათა ერთი დიდი სისტემა, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ტრადიციული, ან, როგორც ხანდახან ვუნოდებ ხოლმე, კვაზიტრადიციული ღირებულებების სისტემა.⁶ „კვაზიტრადიციული“ იმიტომ, რომ ტრადიცია ყოველთვის გულისხმობს უწყვეტობას, ხოლო პოსტსაბჭოთა საქართველოს შემთხვევაში სწორედ ეს უწყვეტობა იყო დარღვეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული ღირებულებები, ბევრი თვალსაზრისით, თავიდან იქნა „აღმოჩენილი“ თუ გამოგონებული.⁷ მოხდა ტრადიციის უწყვეტობის სიმულირება, რაც, შესაძლოა, არცთუ განსაკუთრებული მოვლენაა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ არაჩვეულებრივ სისწრაფეს, რომელთაც ეს პროცესი განვითარდა.

6. ზედანია, გ. (რედ.) ქართული საზოგადოების ღირებულებები. 2006.

7. ტრადიციის გამოგონების ცნების შესახებ იხ. Hobsbawm, R., Ranger, T. (Ed.) *The Invention of Tradition*. 1983.

არ უნდა დავუშვათ შეცდომა და არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოება ჰომოგენურია, ანუ მთელ საზოგადოებას ახასიათებს ღირებულებათა ერთი სისტემა. ჩვენ შეგვიძლია ამ ტრადიციული თუ კვაზიტრადიციული ღირებულებების გვერდით გამოვყოთ სხვა ჯგუფებიც, რომლებმაც სხვა ტიპის ღირებულებები შემოიტანეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გამოვყოფდი იმ ადამიანების მეორე ჯგუფს⁸, რომლებიც, მართალია, დაიბადნენ და გაიზარდნენ საბჭოთა კავშირში, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოვიდნენ. მათთვის პატივის ეს ცნება ამდენად მნიშვნელოვანი აღარ იყო. ის ჩანაცვლა ახალმა, უფრო განმსაზღვრელმა ცნებამ, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მიღწევა (ინგლისურად: achievement). რატომ მოხდა ასე? საქმე ის არის, რომ საბჭოთაიდან პოსტსაბჭოთა სისტემაზე გადასვლის დროს დიდი საზოგადოებრივი კატაკლიზმები მოხდა. ადამიანი ველარ დაეყრდნობოდა იმას, რაც ოჯახისაგან მემკვიდრეობად მიიღო. თითოეულ ადამიანს თავად უხდებოდა ახალ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მონახვა, ამიტომაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა შეიძინა ინდივიდუალური მიღწევის კატეგორიამ და ადამიანებმაც დაიწყეს ფიქრი არა იმდენად პატივის შენარჩუნება-გაძლიერებაზე, რამდენადაც ინდივიდუალური მიღწევების დაგროვებაზე. თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინდივიდუალური მიღწევა, ცხადია, მატერიალური კეთილდღეობაა, რომელიც ბევრისთვის იქცა სწრაფვის უმთავრეს საგნად,

8. თუ თაობების აშშ-სა და დასავლეთში მიღებულ კლასიფიკაციას მივუყვანებთ საქართველოს შემთხვევას, ეს იქნებოდა თაობა X, ხოლო თაობა, რომელიც მას წინ უსწრებდა, იქნებოდა „ბუმერების“ თაობა. რაც შეეხება მესამე, უკანასკნელ თაობას, რომელზედაც წინამდებარე სტატიაშია საუბარი, მისი წარმომადგენლები, ცხადია, „მიღწევაზედა“ შეგვიძლია მოვიხსენიოთ. აქ დასავლეთთან ანალოგია ადგილს უთმობს დასავლეთთან იდენტობას – მიღწევაზედა საქართველოში უკვე ერთიანი გლობალური ცივილიზაციის პირობებში გადიან სოციალიზაციას.

განსაკუთრებით იმ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა. ადამიანების ამ ახალი ჯგუფის ინტერესები ნაკლებად მიემართებოდა რელიგიას და ბევრად უფრო სეკულარული იყო, ვიდრე სხვა ჯგუფებისა; მათი ინტერესის ობიექტად იქცა სახელმწიფოც, რომელსაც ბევრი რამ უნდა უზრუნველეყო, მათ შორის ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ ინდივიდებს თავიანთი მიღწევების სტაბილურობისა და მდგრადობის გარანტია მიეღოთ. ღირებულებათა ამ ჯგუფს უწოდებენ ხოლმე მოდერნულ ღირებულებებს⁹ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე საქართველოში ასეთი მოდერნული ღირებულებების შემოტანა უკავშირდებოდა ერთ კონკრეტულ თაობას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ სფეროში ამ თაობის „აღზევებას“ თან მოჰყვა მემარჯვენე პოლიტიკური ფლანგის შექმნა და გაძლიერება. ეს არ არის გასაკვირი – ინდივიდუალურ მიღწევაზე მიმართული ღირებულებები, განსაკუთრებით უახლესი საბჭოთა ისტორიის გათვალისწინებით, რომელიც, სხვადასხვა ეტაპზე, სახელმწიფო ავტორიტარიზმითა თუ ტოტალიტარიზმით ხასიათდებოდა, სწორედ ინდივიდის ემანსიპაციისა და ინდივიდუალური უფლებების ვალორიზაციისაკენ უბიძგებდა ახალი თაობის ელიტურ ჯგუფებს.

ამ თაობასთან არის დაკავშირებული 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ (და რევოლუციამდე რამდენადმე ადრეც) პოლიტიკის სფეროში მიმდინარე ცვლილებები, მათ შორის – რადიკალურიც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოდერნული ღირებულებების წინ წამოწევა – როგორც ბევრგან მეოცე საუკუნის განმავლობაში – საქართველოშიც ვესტერ-

9. იხ. Inglehart, R. *Culture Shift in Advanced Industrial Society*. 1990; Inglehart, R. *Modernization and Postmodernization*. 1997.

ნიზაციის ეგიდით ხდებოდა. მოდერნიზაცია უდრიდა ვესტერნიზაციას, დასავლურ მოდელებზე ორიენტაციას. ოღონდ აქ პრობლემას ის ქმნიდა, რომ თავად დასავლეთში, მოყოლებული მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მოდერნულობის იდეალი აღარ წარმოადგენს „ბოლო სიტყვას“, არამედ თავად არის კრიტიკის ობიექტი და გადალახვის მცდელობის საგანი ე. წ. „პოსტმოდერნული“ წარმოდგენებისა და ფასეულობების მატარებელი ადამიანებისათვის. ამან კი პრობლემა გააჩინა საქართველოშიც – რა არის ის დასავლეთი, რომელიც ორიენტირად იქნა აღებული? საქართველოში მოქმედ თითოეულ აქტიურ ჯგუფს დასავლეთის ერთი კონკრეტული ასპექტი აქვს აღებული სახელმძღვანელოდ, თუმცა, ცხადია, ჭეშმარიტება ისაა, რომ დასავლეთი წარმოადგენს იმ სივრცეს, რომელშიც ღირებულებათა პლურალურობაა ინსტიტუციონალიზებული.

საზოგადოებრივი ღირებულებების ტრანსფორმაციის პროცესი არც საქართველოში გაჩერებულა – ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენ წინაშე ღირებულებათა კიდევ ერთი სისტემა გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე, რომელიც უკვე მომდევნო თაობას უკავშირდება. ეს ახალი თაობა არის თაობა ადამიანებისა, რომლებიც გაჩნდნენ და გაიზარდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში და ასპარეზზე გამოვიდნენ 2010-იან წლებში. თუ იმ სიმბოლური თარიღის დადგენა გვინდა, როდესაც ეს თაობა და მისი ახალი ღირებულებები გამოჩნდნენ, შეგვიძლია პირობითად 2015 წლის 13 ივნისი დავასახელოთ – თბილისის წყალდიდობის დღე, როდესაც ახალგაზრდები სპონტანურად – თუმცა სოციალური მედიის გამოყენების შედეგად – ქუჩებში გამოვიდნენ სტიქიური ნგრევის შედეგების აღმოსაფხვრელად, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც პოლიტიკური კლასისათვის, ისე საზოგადოებრივი აზრისათვის. ამ თარიღის შემდეგ ახალგაზრდა თაობის მსგავსი ჯგუფები კიდევ ბევრჯერ გამოჩნდნენ საჯაროდ – სამოქალაქო მოძრაობებისა თუ საპროტესტო აქციების ფორმებით. მათ ტრადიციული თუ

კვაზიტრადიციული ღირებულებებისგან დაცვილებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, რადგან საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოიტანეს ახალი ღირებულებებიც და კატეგორიებიც. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ამ მესამე ღირებულებათა სისტემას ვუნოდოთ პოსტმოდერნული ღირებულებები და ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მთავარი, რაც ამ თაობამ შემოიტანა, მრავალფეროვნების, შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ბევრად უფრო ბუნებრივი გაგება იყო, ვიდრე ეს წინა თაობებს ახასიათებდათ. ცხადია, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ცნებები არც წინა თაობების წარმომადგენლებისათვის იყო უცხო, მაგრამ მათ მრავალი შინაგანი და გარეგანი ბრძოლის გადატანა მოუწიათ იმისათვის, რომ ამ ცნებებამდე და ღირებულებებამდე მისულიყვნენ, იქნებოდა ეს რელიგიური, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობებისადმი ტოლერანტობა – უფროსი თაობის წარმომადგენლები გარკვეული ევოლუციის შედეგად მივიდნენ ამ წერტილამდე – ახალგაზრდებისათვის კი ეს მრავალფეროვნებისა და ურთიერთშეწყნარების განცდა ბევრად უფრო „ბუნებრივი“ ღირებულება იყო. გარდა ამისა, ახალი ღირებულებების თაობის გამოჩენა პოლიტიკურ იდეებზეც აისახა. ტრადიციული ღირებულებების მატარებლები ძირითადად უფრო კონსერვატიულ პოლიტიკას ემხრობოდნენ, მოდერნული ღირებულებების მატარებლები – უფრო მემარჯვენე-ინდივიდუალისტურს, ხოლო პოსტმოდერნული ღირებულებების მატარებელმა ახალგაზრდებმა შემოიტანეს მემარცხენე პოლიტიკის ელემენტები, რომლებიც ჯერჯერობით ინსტიტუციონალიზებული არ არის (მაგალითად, ძლიერი პოლიტიკური პარტიის ფორმით), მაგრამ სამოქალაქო სექტორშიც და პოლიტიკურ სისტემაშიც ნათლად იგრძნობა მათი გავლენა.

როდესაც გავაცნობიერებთ საზოგადოებაში არსებული ღირებულებათა სისტემების პლურალურობასა და მრავალფეროვნებას, უნდა დავსვათ შეკითხვა, არის თუ არა რამე, რაც გვაერთიანებს და შეიძლება თუ არა საერთოდ ამ გამაერთიან-

ნებელი ფაქტორის მოძებნა ღირებულებათა განზომილებაში.

მაგრამ მანამდე ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა – ცხადია, როცა ვლაპარაკობ თაობებისა და ღირებულებათა სისტემის ურთიერთკავშირზე, არ ვგულისხმობ იმას, რომ თითოეული თაობის ყველა წარმომადგენელი ტრადიციულ ღირებულებებს ატარებს; იგულისხმება ის, რომ ბოლო ათწლეულების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული ღირებულებათა სისტემის შემოტანა დაკავშირებული იყო ერთ კონკრეტულ თაობასთან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იმავე თაობაში ამ ღირებულებებს სულაც არ მოეპოვებინათ სრული დომინანტობა, ხოლო თავად ეს ჯგუფი სულაც არ ყოფილიყო იმ თაობაში ყველაზე მრავალრიცხოვანი.

ახლა კი ვიკითხოთ – რა აერთიანებთ ამ განსხვავებული ღირებულებების ადამიანებს? აქ ჩვენ საინტერესო შედეგებს მივიღებთ, თუ დავაკვირდებით, როგორ რეაგირებენ ეს ადამიანები ერთ კონკრეტულ ფენომენზე, კერძოდ კი – ინტერპერსონალურ ნდობაზე. საქმე ის არის, რომ არსებობს საქართველოში ჩატარებული კვლევები,¹⁰ რომლებიც ერთმნიშვნელოვნად გვეუბნება, რომ საქართველოში არსებული ნდობის ტიპი საერთოა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის მიუხედავად იმისა, ტრადიციულ ღირებულებებს წარმოადგენენ ისინი, მოდერნულს თუ პოსტმოდერნულს. ნდობის ეს ტიპი განსხვავდება იმისგან, რაც კონსოლიდირებული დემოკრატიის საზოგადოებებშია დომინანტური.

სოციალურ მეცნიერებებში ორი ტიპის ნდობას გამოყოფენ: ერთია შემადუღაბებელი (bonding) ნდობა, ხოლო მეორე – შემაკავშირებელი (bridging) ნდობა.¹¹ შემადუღაბებელი ნდობა არის ნდობა, რომელიც არსებობს ახლობლების წრეში, იმ

10. იხ. Zedania, G. (Ed.) *Modernization in Georgia: Theories, Discourses and Realities*. 2018.

11. Putnam, R. (Ed.) *Democracies in Flux: The Evolution of Social Capital in Contemporary Society*. 2002.

ჯგუფის წრეში, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანი. შემაკავშირებელი ნდობა კი ის ნდობაა, რომელიც გვინყობს ხელს, ხიდე-ბი გავდოთ ჩვენგან განსხვავებული ჯგუფების წარმომადგენლებთან. საქართველოში არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანას ახასიათებს ძალიან მძლავრი შემადუღაბებელი ნდობა და ძალიან სუსტი შემაკავშირებელი ნდობა. თუ საქართველოს მოქალაქეს ვკითხავთ, ენდობა თუ არა ის უცხო ადამიანს, ანდა უფრო დრამატულად ვუსვამთ კითხვას და შევეკითხებით, უცხო ადამიანი მას უფრო გამოიყენებდა თუ უფრო სამართლიანად მოექცეოდა, აღმოვაჩინოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ჰგონია, რომ უცხო ადამიანი მას გამოიყენებდა ანუ უსამართლოდ მოექცეოდა. ამიტომაც საქართველოს მოქალაქის ნდობა ძირითადად ვრცელდება მის ოჯახზე, მეგობრებზე, საახლობლო წრეზე, მაგრამ იშვიათად გადის ამ საახლობლო წრის მიღმა. შესაბამისად, უცხოების მიმართ უნდობლობა მთლიანობაში თითქმის 80%-ს აღწევს. ეს მაშინ, როდესაც, თუ, მაგალითისათვის, შევხედავთ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ცნობილია, როგორც შემაკავშირებელი ნდობის დომინანტობის მოდელის ყველაზე ნათელი წარმომადგენლები, აღმოვაჩინოთ, რომ უცხო ადამიანების მიმართ ნდობა 60-65%-ია. იქ საზოგადოების წევრი ამბობს, რომ ამავე საზოგადოების უცნობ წევრს ენდობა. ცხადია, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სოციალური კაპიტალი ყველა კონსოლიდირებული დემოკრატიისათვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ ინსტიტუციური და ინტერპერსონალური ნდობის ხარისხი მოდერნულ ქვეყნებში მაინც ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. ხოლო იმ რეგიონებში, სადაც ნდობის ტიპი და ხარისხი შეიძლება საქართველოსას შეადარო, აქ ისევ ზემოთ აღნიშნული „სამხრეთის“ საკითხი შეგვიძლია გავიხსენოთ – ისეთივე სიმწვავეთ დგას ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საკითხები, როგორც თანამედროვე საქართველოში.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ, რაც უფრო დიდია შემადუღაბებე-

ლი ტიპის ნდობა საზოგადოებაში, მით უფრო ნაკლებია შემაკავშირებელი ტიპის ნდობა და პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ძლიერ ვენდობი ჩემს ახლობელს, მით უფრო არ ვენდობი უცხოს და რაც უფრო ვენდობი უცნობ ადამიანებს, მით უფრო ნაკლებად მჭირდება ასე დაჟინებით და ინტენსიურად ჩემი ახლობლების ნდობა და მათში საყრდენის მოძებნა. რატომ არის ნდობის ტიპი მნიშვნელოვანი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის და, შესაბამისად, ამ ფუნქციონირების გასაგებად? იმიტომ რომ თანამედროვე საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება შემაკავშირებელი ტიპის ნდობა. თანამედროვე, მოდერნული საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც უცნობი ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ და აუცილებელია, რომ მათ ერთმანეთთან თანამშრომლობის უნარი ჰქონდეთ სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად. მიუხედავად იმისა, რომ მოდერნული ეპოქა პერსონისა და ინდივიდის წინა პლანზე წამოწევს ეპოქაა, მან ასევე თან მოიტანა დეპერსონალიზაციის სივრცეების გაჩენის აუცილებლობაც. შემაკავშირებელი ნდობა სწორედ ასეთი დეპერსონალიზებული სივრცეებისათვის არის აუცილებელი, კონტექსტებისათვის, სადაც პირად ნაცნობობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა შეუძლებელია ან არასასურველი. თუ არ გვაქვს შემაკავშირებელი ტიპის ნდობა, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება მრავალი პრობლემის დაძლევა, უპირველეს ყოვლისა კი, იმ პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია თანამშრომლობასთან, მობილიზაციასთან, სოლიდარობის გამოვლენასთან. მოდერნული საზოგადოება, თავისი კომპლექსურობის გამო, განსხვავებით ტრადიციული კონტექსტებისგან, ინდივიდებს შორის პროდუქტიული გადაკვეთებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას პირად ნაცნობობაზე ვერ დაამყარებს.

იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი შეკითხვას, თუ რატომ გვაქვს ქართულ საზოგადოებაში ასე ინტენსიური შემადუღლებელი ტიპის ნდობა, მხოლოდ ახლობლებზე რომ ვრცელდე-

ბა და მცირერადიუსიანია, და რატომ არ გვაქვს უცნობებთან თანამშრომლობისადმი მიდრეკილი, უფრო ფართო რადიუსის ინტერპერსონალური ნდობა, უნდა შევხედოთ უკანასკნელი ათწლეულების ისტორიას, უფრო სწორად, იმ ათწლეულებისა, რომლებიც წინ უძღოდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის სტატუსის დაბრუნებას – ანუ საბჭოთა ისტორიას.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა დიდწილად გაანადგურა ადამიანების ურთიერთთანამშრომლობისა და სპონტანური კოოპერაციის საფუძვლები. მაგალითად, მე-19 საუკუნის საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებში ბევრად მეტი ადამიანი იყო განწევრიანებული, ვიდრე 21-ე საუკუნეში.¹² რასაკვირველია, თანამედროვე საქართველოში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ, ამავდროულად, ის, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდში მოხდა, არასამთავრობო ორგანიზაციების პროფესიონალიზაციაა. ნევრებზე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს ძალიან ცოტაა, მაშინ როდესაც მე-19 საუკუნეში ეს ბევრად უფრო გავრცელებული რამ იყო (ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ცარისტული რუსეთის დროიდან – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“). თუნდაც ეს ფაქტი გვიბიძგებს იმისკენ, რომ ნდობისა და სამოქალაქო საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ შეკითხვაზე პასუხი სწორედ იმ პერიოდში ვეძებოთ, რომელიც ამ ორ ეპოქას შორის ხვდება, ანუ – საბჭოთა კავშირის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის სპეციფიკიდან გამომდინარე, „საზოგადოებრივი ორგანიზაციები“, იქნებოდა ეს მწერალთა კავშირი თუ პიონერთა გაერთიანება, სინამდვილეში საზოგადოებრივი

12. ამის თაობაზე უზარმაზარი ემპირიული მასალა თავმოყრილია მე-19 საუკუნის ყველაზე დიდი არასამთავრობო ასოციაციის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პროსოპოგრაფიულ ბაზაში. იხ. <http://society.iliauni.edu.ge>.

კი არა, სახელმწიფო გაერთიანებები იყო, ამიტომაც ადამიანები მათში ნებაყოფლობით არ ერთიანდებოდნენ, შესაბამისად, ისინი ვერ იქცნენ ადგილებად, სადაც სხვა ადამიანებთან თანამშრომლობას ისწავლიდნენ. არა, მათ უწევდათ ბრძანებების შესრულება, რომლებიც იერარქიულად უფრო მაღალი საფეხურიდან და გეოგრაფიული ცენტრიდან მოდიოდა.¹³ იგივე შეიძლება ითქვას ყველა დანარჩენ ფორმით საზოგადოებრივ, სინამდვილეში კი სახელმწიფო ორგანიზაციებზეც. თითქმის 70 წლის განმავლობაში ადამიანებს, მერაბ მამარდაშვილის მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ატროფირებული ჰქონდათ ის კუნთები, რომლებიც საშუალებას აძლევს საზოგადოების წევრებს, რომ ერთმანეთთან პოლიტიკური თუ სოციალური მიზნების მისაღწევად ითანამშრომლონ. აქ იგულისხმება როგორც პოლიტიკური პარტიების მსგავსი პოლიტიკური ორგანიზაციები თუ წევრობაზე დაფუძნებული სამოქალაქო მიზნების მქონე ორგანიზაციები, ისევე ინტერესებზე დაფუძნებული კლუბები თუ ასოციაციები (მაგალითად, ჭადრაკის მოყვარულთა ან ხალხური სიმღერების კლუბები). ეს ყოველივე, რაც მოდერნული საზოგადოებისათვის საზოგადოებრივი სფეროს ელემენტებს წარმოადგენს, საბჭოთა კავშირმა სახელმწიფო სფეროში გადაიტანა. ამიტომაც პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის საკუთარი თავის მართვა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე, თუნდაც, საქარ-

13. გავიხსენებ ამასთან დაკავშირებულ კომიკურ ამბავს: რამდენიმე წლის წინ ერთი ევროპელი ანთროპოლოგის მოხსენებას ვუსმენდით, რომელიც თავის მოხსენებაში ამბობდა – ისე დაიშალა პიონერთა გაერთიანება საბჭოთა კავშირში, რომ არავინ ჰკითხა თავად პიონერებს, უნდოდათ თუ არა, რომ ის დაშლილიყო; ცხადია, რომ ყველას, ვისაც გვექონია გამოცდილება პიონერთა ორგანიზაციის წევრობისა, ეს კრიტიკა რეალობას სრულად აცდენილი მოგვეჩვენა. პირადად მე გავიხსენე ამბავი, თუ როგორ ვხევდით სკოლის მოსწავლეები პიონერთა ყელსახვევებს 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ. სწორედ აქ იყო მთავარი პრობლემა ამ ტიპის გაერთიანებებისა საბჭოთა კავშირში – ისინი ტოვებდნენ აგრესიასა და უნდობლობას ნებისმიერი სხვა გაერთიანების მიმართ, რომელიც მომავალში შეიძლება დაფუძნებულიყო.

თველოს რესპუბლიკისათვის პირველი დამოუკიდებლობის დროს, მეოცე საუკუნის დასაწყისში. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა მემკვიდრეობის გადალახვა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე, თუნდაც, ცარისტული რუსეთის მემკვიდრეობისა, რაც გვიბიძგებს, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ საბჭოთა პერიოდში გაჩენილსა და ჩამოყალიბებულ ფაქტორებს, რომლებიც დღესაც თამაშობენ მნიშვნელოვან ნეგატიურ როლს პოლიტიკურ, ეკონომიკურსა თუ სამოქალაქო ცხოვრებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც საქართველოში ურთიერთთანამშრომლობაზე მიმართული ნდობის ტიპის ჩამოყალიბება გაართულა, ასევე საბჭოთა კავშირის სპეციფიკას უკავშირდებოდა; იმის გამო, რომ საბჭოთა სახელმწიფო ეკონომიკური სერვისების თვალსაზრისით მოუქნელი და არაეფექტიანი აღმოჩნდა, მისი მოქალაქეები ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ინტენსიურად იყენებდნენ არაფორმალურ ქსელებს; ისინი, იმის გამო, რომ ოფიციალური გზით ვერ მოიპოვებდნენ გარკვეულ პროდუქტსა თუ სერვისს, სისტემატურად მიმართავდნენ არაფორმალურ ნაცნობობას, მეგობრობას, გაცვლას. აქ შეგვიძლია ისევ მამარდაშვილი გავისხენოთ, რომლის (პარადოქსული) აზრითაც, საბჭოთა კავშირში ფული სინამდვილეში არ არსებობდა. რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამ გამოთქმაში, რომელიც, ცხადია, ემპირიულად არ დასტურდება? მამარდაშვილი ხსნიდა, რომ ფულის ცნება გულისხმობს, რომ ამ ფულით პროდუქტის ყიდვაა შესაძლებელი, ხოლო საბჭოთა კავშირში ფულის ქონა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი პირობა პროდუქტის საყიდლად. შეიძლება ფული გქონოდა, მაგრამ კიდევ რაღაცის დამატება იყო საჭირო – ნაცნობობის არაფორმალური ქსელის – იმისათვის, რომ ვიღაცას შენთვის საშუალება მოეცა, ფული გადაგეხადა და ხარისხიანი პროდუქტი აგელო.¹⁴ შესაბამისად,

14. იხ. Ledeneva, A. *Russia's Economy of Favours: Blat, Networking and Informal Exchange*. 1998.

ამბობდა მამარდაშვილი, ფული საბჭოთა კავშირში არ ფუნქციონირებდა ისე, როგორც ჩვეულებრივ მოდერნულ საზოგადოებაში. საინტერესო ისაა, რომ ეს პრინციპი ვრცელდებოდა არა მხოლოდ დეფიციტურ იმპორტულ პროდუქციაზე, არამედ ელემენტარულ სერვისებზე, როგორებიც იყო, მაგალითად, ექიმთან ვიზიტი. ექიმთან მოსახვედრად საუკეთესო გზა იყო, გამოგენახა ნაცნობი, რომელიც გაგაგზავნიდა თავის ნაცნობ ექიმთან, რომლის სერვისიც, როგორც ნაცნობის ნაცნობისა, უკეთესი იქნებოდა. ნაცნობების, მეგობრების ეს უზარმაზარი ქსელი მთელ საბჭოთა კავშირზე იყო გადაჭიმული. ოღონდ იყო განსხვავებებიც – რუსეთში ასეთ ქსელებში პირდაპირი გაცვლა ხდებოდა – პროდუქტი პროდუქტზე. გარდა ამისა, რუსეთში არსებობდნენ სპეციალური შუამავლები, რომლებიც ქსელის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებდნენ. საქართველოში ამგვარი გაცვლა უფრო გაშუალებული იყო ტემპორალურ ჭრილში (ანუ უფრო ექვემდებარებოდა ძღვენის ლოგიკას – მე შენ გაჩუქებ დღეს, რათა შენ მე მაჩუქო ხვალ). ამასთან, საქართველოში ყოველივე ეს უფრო არაფორმალური ნაცნობობის, მეგობრობისა და ახლობლობის ქსელებში იხარშებოდა, გამაშუალებელი ფიგურების გარეშე. ამიტომაც, როდესაც საბჭოთა სისტემა გაქრა, ხალხი მზად არ აღმოჩნდა, უარი ეთქვა ამ სანაცნობო არაფორმალურ ქსელებზე. ცხადია, საბაზრო ეკონომიკის შემოსვლამ კონკრეტული სამომხმარებლო პროდუქტების მოპოვებისას ასეთი ქსელების საჭიროება თითქმის გააქრო, მაგრამ სფერო იმ სერვისებისა, რომელთა მიღებაც ასეთი არაფორმალური ურთიერთობებით შეიძლება (სამსახურში მონყობა, სახელმწიფო სერვისის მიღება და ა. შ.), უმაღლესად გაიზარდა.

მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის გასაგებად, თუ რატომ არ გვაქვს უცნობ ადამიანებთან თანამშრომლობაზე მიმართული ნდობა, გახლდათ საბჭოთა კავშირის დაშლის კატასტროფული გამოცდილება. დანარჩენ 14 რესპუბლიკასთან შედარებითაც კი სსრკ-ის დაშლა საქართველოში უმძი-

მესი ფორმით მოხდა. აქ მას მოჰყვა სამოქალაქო ომი, ორი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი და ეკონომიკური კოლაფსი. შესაბამისად, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის მომდევნო პერიოდში არცერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტი აღარ მუშაობდა, მით უმეტეს, სრულფასოვნად, ხალხს ფიზიკური გადარჩენისათვის კიდევ უფრო მეტად დასჭირდა არაფორმალური სამეგობრო თუ სანაცნობო ქსელების გამოყენება. ჩამოშლილი ინსტიტუციების და გაჩერებულ-განადგურებული ინფრასტრუქტურის კონტექსტში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოედო არაფორმალური ქსელები, იქნებოდა ეს არალეგალური კრიმინალური დაჯგუფებები, პარამილიტარისტული დაჯგუფებები თუ, უბრალოდ, სამეზობლო თუ სანაცნობო ურთიერთობები ფიზიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პროდუქტების უზრუნველსაყოფად.

ეს სამი ფაქტორი: ერთი მხრივ, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ყველა საზოგადოებრივი გაერთიანების მიტაცება, მეორე მხრივ, არაფორმალური ქსელების დიდი პოპულარობა საბჭოთა კავშირში და, მესამე, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების სრული ჩავარდნა პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში, მთავარი მიზეზებია იმისა, რომ ჩვენთან, საქართველოში დღემდე დომინანტურია არაშემაკავშირებელი ნდობა, არამედ შემადუღაბებელი სოციალური კაპიტალი; ამის გამო ახლობლებს გაცილებით უფრო მეტად ვენდობით, ხოლო უცნობებს ბევრად იჭვნეულად ვუყურებთ, ვიდრე ეს დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებს შეეფერება. აქვს თუ არა ამას რაიმე გამოვლინება ამას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში? დიახ, აქვს და ძალიან მნიშვნელოვანიც. საქმე ის არის, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება გამსჭვალულია ორგანიზაციული პრინციპით. ორგანიზაციები მოწყობილია გარკვეული წესით, ისინი ემორჩილება უპიროვნო და საყოველთაო წესებს. როდესაც ადამიანი ორგანიზაციაში მუშაობს, მის

პიროვნებას ამ ორგანიზაციაში არ ითვალისწინებენ; რასაც ითვალისწინებენ, ეს არის მისი ფუნქცია. შენ შეიძლება არც ისე კარგი ან ძალიან კარგი ადამიანი იყო, მაგრამ უპირველესად, ორგანიზაცია იმას უყურებს, ასრულებ თუ არა შენზე დაკისრებულ მოვალეობებს, გაქვს თუ არა შესაბამისი კომპეტენციები და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ორგანიზაციაში შენი მუშაობა არ იყოს დამოკიდებული იმაზე, რომელი ოჯახიდან ხარ, როგორი წარმომავლობა გაქვს, რა გვარის ხარ და ა.შ. თანამედროვე ორგანიზაცია და თანამედროვე საზოგადოება ასე მუშაობს, მაგრამ იმ საზოგადოებებში, რომლებშიც შემადუღაბებელი ტიპის ნდობაა, ადამიანები ახლობლებს ენდობიან და არაა უცნობებს, ხდება ძალიან უცნაური რამ – ორგანიზაციებში შემოდის არაფორმალური ქსელები. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაფორმალური ქსელები გარკვეული აზრით გამსჭვალავს და ამ ორგანიზაციების პარაზიტირებას ახდენს. ორგანიზაციების ორი მთავარი პრინციპი – საყოველთაობა და უპიროვნობა – ირღვევა და ისინი პერსონალისტური და კერძო ანუ პარტიკულარისტული ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციებში ადამიანები შედიან არა იმის გათვალისწინებით, თუ რა კომპეტენციები და პროფესიული უნარები აქვთ, რა განათლება მიიღეს, არამედ იმის მიხედვით, ვისი ახლობლები არიან, ვინ ვის ენდობა, ვისი რეალური თუ სიმბოლური ვალი აქვს. შესაბამისად, იმის მაგივრად, რომ ორგანიზაციები მოდერნული წესების მიხედვით ფუნქციონირებდნენ, ისინი არაფორმალური ქსელების წესების მიხედვით მუშაობენ. ცხადია, ეს არის სერიოზული გამოწვევა არა მხოლოდ საქართველოში და არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასეთი შემთხვევები ხდება სხვა ნებისმიერ საზოგადოებაში, თუნდაც ის ჩვენი საზოგადოების განვითარების მოდელი იყოს. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს კორუფცია, რომლის სპეციფიკური ფორმაც არის ორგანიზაციების გამსჭვალვა არაფორმალური ქსელებით, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველო-

ში იგულისხმება ასეთი შემთხვევების ბევრად უფრო დიდი რაოდენობა და განსხვავებული მიმართება ამ ფენომენტთან.¹⁵ ცხადია, ასეთი სოციალური სტრუქტურა სერიოზულ სირთულეს უქმნის ქართული საზოგადოების გარდაქმნას ბოლომდე მოდერნულ საზოგადოებად, რომელიც ორგანიზაციების ლოგიკის მიხედვით იმართებოდა და ვითარდებოდა. შესაბამისად, როცა ვხედავთ უნდობლობის ასეთ გავრცელებას საზოგადოებაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს გარკვეულ კორელაციაშია ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და მათი ფუნქციონირების პრობლემებთან.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით მნიშვნელოვანი კითხვაა, რა უნდა შეიცვალოს უფრო ადრე: სტრუქტურები თუ ღირებულებები? აუცილებელია თუ არა, რომ ორგანიზაციები და ინსტიტუციები სწორად ფუნქციონირებდნენ, რათა ღირებულებები შეიცვალოს? თუ, სანამ ღირებულებები არ შეიცვლება, მანამდე ამ ინსტიტუციების ტრანსფორმაცია-საც არ უნდა ველოდეთ?

ეს არ არის ადვილი კითხვა; შესაძლოა, მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არც არსებობდეს. შეცდომა იქნებოდა, უნდობლობა, ნდობის არქონა მხოლოდ სუბიექტურ ემოციად თუ განწყობად ჩაგვეთვალა. უნდობლობა, ერთი მხრივ, რეაქციაა არსებულ სოციოკულტურულსა და ეკონომიკურ ვითარებაზე, მეორე მხრივ კი თავად ახდენს გავლენას და იწვევს ამ რეალობას. ნდობის და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია განვითარება, პოლიტიკური იქნება ის თუ ეკონომიკური. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობი-

15. ეს მიმართება პოლიტოლოგებისათვის კარგად ცნობილ ანეკდოტშიც გამოიხატა: თუ დასავლეთ ევროპაში ამბობენ – „აი, ჩვენ ვაკანსია გვაქვს და ვინმე ნაცნობი ხომ არ გყავთ, რომ ავიყვანოთ?“, აღმოსავლეთ ევროპაში ზუსტად საპირისპირო სიტუაცია, რადგან აქ ამბობენ: „ერთი ახლობელი გყავს დასასაქმებელი და ამ ორგანიზაციაში ადგოლს ვერ გაუჩენთ?“. ცხადია, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპებზე გაცილებით რეალობაში ბევრად უფრო რთული და ჩახლართულია, ვიდრე ანეკდოტში.

სას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რა არის ღირებულება. ჩვენ ხშირად, ყოველდღიურ საუბარში ღირებულებას ვუნოდებთ იმას, რაც სასურველია. მაგრამ ეს ცნების არაზუსტი გამოყენებაა; ღირებულება არ არის ის, რაც ჩვენ გვინდა. ის, პირიქით, გარკვეული აზრით, ამის საპირისპირო ფენომენია. ღირებულება არის ჩვენი წარმოდგენა იმის თაობაზე, რა უნდა გვინდოდეს, რა არის სასურველი.¹⁶ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩვენ რაღაც გვინდოდეს, ხოლო ჩვენი ღირებულებები ამ რაღაცის მიღწევასა თუ გაკეთებაში ხელს გვიშლის. მარტივი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, შეიძლება მინდოდეს, რომ სპორტული თამაშისას მოვიტყუო, რათა გავიმარჯვო, მაგრამ სამართლიანი თამაშის ღირებულება ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ არ ვიტყუები და პატიოსნად ვაღიარებ ჩემთვის წამგებიან შედეგს. არ ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში სამართლიანი თამაშის (fair game) ღირებულება ამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მოქალაქეებისათვის მნიშვნელოვანია თავისუფლებისა და საჯარო გადანყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის ღირებულებები.

არსებობს ქვეყნები, რომელთა შორის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიც მძლავრადაა წარმოდგენილი, სადაც გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ თითოეული ინდივიდი პატარა ადამიანია და ის უნდა დაემორჩილოს ძალაუფლების მქონეთ, რადგან ეს პატარა ადამიანი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს იმაზე, თუ როგორ არის მონყობილი სახელმწიფო და საზოგადოება. საქართველოში ამ ტიპის წარმოდგენები ნამდვილად არ არის დომინანტური. შეიძლება მოქალაქეები სისტემატურად და თანმიმდევრულად არ იცავენ თავიანთ უფლებებს, მაგრამ პოსტსაბჭოთა ოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ვხედავდით, რომ, გარკვეული რე-

16. ეს განსაზღვრება ეკუთვნის ამერიკელ ფილოსოფოსს ჯონ დიუისს და მისი გავლენით შევიდა სოციალურ მეცნიერებებში.

გულარული დროითი მონაკვეთების გასვლის შემდეგ, ადამიანები დარწმუნებითა და თავდაჯერებულობით სთხოვენ პასუხს მათ, ვისაც კონკრეტულ მომენტში ძალაუფლება ხელთ უპყრია. საქართველოს მოქალაქის ღირებულებებს შორის ნამდვილად ძლიერია თავისუფლებისკენ სწრაფვა, განცდა იმისა, რომ სხვამ კი არ უნდა მიუთითოს, თუ რა არის გასაკეთებელი, არამედ თავად გადაწყვეტს ამას; განცდა, რომ მოქალაქეებმა ზეგავლენა უნდა მოახდინონ იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი საზოგადოება.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბოლო 30 წლის გადამწყვეტ მომენტებში არაერთხელ შევსწრებივართ საქართველოს მოქალაქეების მიერ თავისუფლებისა და თვითგანსაზღვრის ღირებულებების გამოვლენას, რაც საგრძნობად ცვლიდა ქვეყნის განვითარების ვექტორსა და ისტორიის მდინარეების ტემპს. სწორედ ეს გვაძლევს ქართული საზოგადოების დემოკრატიული განვითარების თაობაზე ოპტიმისტური განწყობის საფუძველს.

პოლიტიკური კულტურა საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ

სტატია ეძღვნება პოლიტიკური კულტურის ფენომენს დამოუკიდებელ საქართველოში. პოლიტიკური კულტურა, ჩვენი წარმოდგენით, გახლავთ შეხედულებათა, მრწამსისა და განწყობების ერთიანობა, რომელიც აწესრიგებს და აზრს ანიჭებს პოლიტიკურ პროცესს და განსაზღვრავს ძირითად განზრახვებსა და ნესებს, რომლებიც მართავენ ქვეყას პოლიტიკურ სისტემაში. იგი თავის თავში მოიცავს როგორც პოლიტიკურ იდეალებს, ისე სახელმწიფოს სამუშაო ნორმებსაც. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური კულტურის დონე ქართულ საზოგადოებაში მკვიდრდება ნელა, მისი დონე ჯერაც არის დაბალი, მაგრამ შეიმჩნევა თანდათანობითი და განუხრელი ზრდის ტენდენცია. სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს საზოგადოება გარდამავალი, პოსტსაბჭოთა საზოგადოებაა, რომელიც მიისწრაფის, რომ გახდეს წინარე ევროპული. მთავარი პრობლემა, რომელიც ამჟამად შეიმჩნევა საზოგადოებაში, არის მისი დაბალი მონაწილეობა პოლიტიკაში. სტატიაში სპეციალური ადგილი ეთმობა ახალგაზრდობის მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესში. გარკვეული ყურადღება ეთმობა პოლიტიკოსებს და მათ კულტურას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ პლურალიზმს, პარტიებს შორის თანამშრომლობის მოცულობასა და ქართული საზოგადოების პოტენციალს ამ თვალსაზრისით.

1. რა არის პოლიტიკური კულტურა?

კიდევ ერთხელ: რა არის პოლიტიკური კულტურა საქართველოში და რას ნიშნავს, იყო პოლიტიკოსი ჩვენს ქვეყანაში? პოლიტიკური კულტურა, მოგეხსენებათ, ფილოსოფიური და პოლიტიკური, სოციალური ტერმინია და მას თავისი განსაზღვრება აქვს. ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა ეფუძნება პოლიტიკურ კულტურას.¹ მე მგონია, რომ ზოგადი განმარტება, რომელიც ზემოთ იყო მოცემული, საკმარისია და მისი დაკონკრეტება საჭირო აღარ არის. თუმცა ვერ გამოვრიცხავ, რომ აქ არის პრობლემა და ვილაცებს შეიძლება სხვაგვარად ესმოდეს ეგ ტერმინი. რა თქმა უნდა, ყველას დაახლოებით ერთნაირად გვესმის, რომ ეს არის იმ წესების, იმ რწმენის, იმ იმ ქცევის ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკაში ყოფნის არსს და საერთოდ, განსაზღვრავს იმ წესებს, იმ მოქმედებას, რომლითაც უნდა მოქმედებდეს ადამიანი პოლიტიკაში. ამ პოლიტიკური კულტურის მიღმა ყოველთვის იგულისხმება, სულ ცოტა, ორი აქტანტი, ორი მოქმედი პირი. ეს არის პოლიტიკოსი, რომელიც მოქმედებს რაღაც პოლიტიკურ სცენაზე; და ეს არის მონაწილე-მაყურებელი, ანუ მონაწილე-დამკვირვებელი, რაღაც ანტიკური ტრაგედიის გუნდის მაგვარი, ანუ მოსახლეობა, ანუ ელექტორატი, რომელიც ამ პოლიტიკური აქტორის მოღვაწეობის მიხედვით იღებს გარკვეულ გადანყვეტილებას საკუთარ მონაწილეობასა და არჩევანზე.

საერთოდ, პოლიტიკური კულტურა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორია ეს უკანასკნელი, ანუ პოლიტიკური მონაწილე. იგი არის მონაწილე-დამკვირვებელი, თუ მონაწილეობა არ ადარდებს მაინცდამაინც, სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრება პოლიტიკური კულტურის ოდენობაც; და როდესაც ამბობენ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია პოლიტიკური კულ-

1. Leonardo A. Morlino, Dirk Berg-Schlosser, Bertrand Badie, *Political science: a global perspective..*, London: SAGE, 2017, 83. 64-74.

ტურა, ეგ არ გახლავთ მხოლოდ უაღრესად ნეგატიური აზრი, ეგ, უბრალოდ, სწორი აზრი არ არის. არ შეიძლება არსებობდეს საზოგადოება, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური კულტურა. ხანდახან იმასაც ამბობენ, რომ ჩვენ საზოგადოება არ გვყავს, მაგრამ ეს ყველაფერი არის ჩვეულებრივი გადაჭარბება. რა თქმა უნდა, ჩვენ საზოგადოებაც გვყავს და პოლიტიკური კულტურაც გვაქვს. უბრალოდ, ეს პოლიტიკური კულტურა არსებობს დაბალი, ძალიან დაბალი, მაღალი, ძალიან მაღალი, უმაღლესი და სხვ. ჩვენ გვაქვს დაბალი პოლიტიკური კულტურა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ შეფასებაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს შეფასება შეიძლებოდა უფრო უარესიც ყოფილიყო. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე განისაზღვრა იმით და არის განპირობებული იმით, რომ მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების თვალსაზრისით ჩვენ ვართ ახალი საზოგადოება.

2. რას ნიშნავს ახალი საზოგადოება?

სამწუხაროდ, ახალი საზოგადოება ისეთი რომ იყოს, რომელიც ახალი დაბადებულია და იზრდება, ეგ იქნებოდა კარგი შემთხვევა. ჩვენ ვართ ძველი საზოგადოება, რომელიც გარდაიქმნა ახალ საზოგადოებად, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირად ჩვენ ჩვენი წარსული ხელს გვიშლის. ჩვენ არ ვართ ის საზოგადოება, რომელიც დღეს შედის მსოფლიოში და დღეს ეცნობა მას. ჩვენ ვართ ერთ-ერთი უძველესი ნაცია დედამიწის ზურგზე, შესაბამისად, ჩვენს წარსულში არის იქ ბევრი კარგიცა და ცუდიც და რაღაცები ხელს გვიშლის; განსაკუთრებით ხელს გვიშლის ის წარსული, რომლის დროს ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფოებრიობა და, შესაბამისად, არ გვქონდა ის პოლიტიკური კულტურა, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოსა

და მის საზოგადოებას ესაჭიროება. ჩვენ ვიყავით იმპერიაში, ჩვენ ვიყავით კოლონია, ჩვენ გვაქვს კოლონიალური აზროვნების რელიქტები და ჩვენ, ამავე დროს, უბრალო იმპერიაშიც არ ვიყავით, ჩვენ საბჭოთა კავშირში ვიყავით. ამიტომ, ჩვენ გვაქვს საბჭოთა საზოგადოების ნარჩენები ჩვენს ცნობიერებაში. ეს ეხება ყველას. ეს ეხება პოლიტიკოსებს, ეს ეხება საზოგადოებას, ეს, ბუნებრივია, ეხება ელექტორატს. თუ გადავხედავთ ჩვენი უკანასკნელი წლების ისტორიას, ჩვენი დამოუკიდებლობის ბოლო წლებს, დავინახავთ, რომ ჩვენ ერთდროულად ვართ ორი, ძველი და ახალი, საზოგადოება. პოსტსაბჭოთა საზოგადოება ჯერ კიდევ საბჭოთა საზოგადოებაა; ანუ იგი ჯერაც არ არის ევროპული საზოგადოება. ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, რა თქმა უნდა, ჩვენთვის არ არის მხოლოდ ეს ორი არჩევანი, უბრალოდ, მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, სხვა ისტორიული არჩევანი იმდენად არ მსიამოვნებს, რომ მისი განხილვაც არ მინდა. მე ვიტყვი, რომ ჩვენ გასავლელი გვაქვს ეტაპი, როდესაც პოსტსაბჭოთადან გამოვალთ და პრეევროპულში შევალთ. მანდ არ ვართ ჯერ, სამწუხაროდ. მინდა გითხრათ, რომ ერთხელ, როდესაც ქალბატონი მარგარეტ ტეტჩერი იყო საქართველოში ჩამოსული², მე სხვა ახალგაზრდებთან ერთად, მაშინ უნივერსიტეტში ვმუშაობდი, ვიდექი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებს შორის. მაინცდამაინც იქ გაჩერდა დიდი ბრიტანეთის პრემიერის მანქანა, პირველი საბჭოთა კავშირში გაერთიანებული სამეფოს მაშინდელი ელჩი გადმოვიდა, მანქანის კარი გაუღო და ტეტჩერიც გადმოვიდა. ბევრმა დაუსვა კითხვა და რამდენიმეს უპასუხა, მათ შორის ჩემს კითხვასაც, თუ საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია, რამდენი წელი დასჭირდება, რომ რამეს დაემსგავსოს? ტეტჩერის პასუხი იყო ლაკონიური: ორმოცი. ეს იყო სულ. მან არ დასვა ეჭვის ქვეშ, რომ საქართველო დამოუკიდებელი

2. ეს მოხდა 1987 წლის 1 აპრილს.

ქვეყანა იქნება. მაშინ ვიფიქრე, ეს რა ბოროტი ქალი ყოფილა-მეთქი, რადგან ძალიან დიდი რიცხვი დაასახელა – ორმოცი წელი! ახლა ვფიქრობ, რომ კეთილი ადამიანი ყოფილა³. რა თქმა უნდა, ორმოცი წელი ჩვენ არ გვეყოფა იმისთვის, რომ ისეთი საზოგადოება ჩამოყალიბდეს, როგორიც საჭიროა. განვლილმა წლებმა ეს გვაჩვენა კიდევც.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირიდან, საბჭოთა მენტალობიდან ჩვენ გვაქვს დარჩენილი ის, რაც ჩვეულებრივ პოლიტიკურ კულტურაში მეორე ეტაპად განიხილება ხოლმე. პირველი ეტაპია, როდესაც მოქალაქეებს აბსოლუტურად არ ადარდებთ ხელისუფლება. ეს არის ე.წ. ადგილობრივი აზროვნება. როცა შენი ქალაქის, შენი სოფლის, შენი ოჯახის პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო. სახელმწიფო არ გესმის. მე ამის მაგალითი შემიძლია მოვიყვანო. როდესაც აფხაზეთში ქართველების, აფხაზებისა და რუსეთის აქტივობით კონფლიქტი წარმოიშვა, კახელებმა სასწრაფოდ შექმნეს ჯგუფი და გააგზავნეს საომრად; ხოლო ამ კონფლიქტში ჩვენი მონაწილეობა უკვე ყველანაირ მნიშვნელობას რომ კარგავდა, მხოლოდ მაშინ შექმნეს ბათუმელებმა ბატალიონი, რომ გაეგზავნათ აფხაზეთში. სახელმწიფოებრივი აზროვნება კახეთში რომ უფრო კარგად იყო განვითარებული, ვიდრე ბათუმში, ეს კარგად გამოჩნდა მაგ დროს. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ჩართულობა და მონაწილეობა, რომელიც, სულაც არ არის პოლიტიკური კულტურის ოდენობის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასეთ საკითხშიც კი, როგორიც არის სწრაფი რეაგირება ამა თუ იმ კონფლიქტზე, საზოგადოება ერთიანი არ არის და საზოგადოებაში ერთიანი აზრი არ არის. არის საკითხები,

3. სხვათა შორის, როდესაც ბრიტანეთში ჟურნალისტებმა ტეტჩერს შეკითხვები დააყარეს, საქართველოში რა დაგკარგვიათ, იქ რამ ჩაგიყვანათო, ამბობენ, რომ პრემიერ-მინისტრმა თითქოს უპასუხა: „მე მინდოდა თვალებში ჩამეხედა იმ ხალხისთვის, რომელმაც ისტორიის განმავლობაში არასდროს იცოდა, თუ რა არის ზიზლი სხვებისადმი“.

რომლებშიც ჩვენი საზოგადოება აბსოლუტურად არ მონაწილეობს. საქართველოში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთათვის სულ ერთია, ვინ იქნება ხელისუფლებაში. აბსოლუტურად არ აინტერესებთ. მათი ფორმულა არის ასეთი: „გლეხი კაცისთვის არავინ არ არის, არც ერთი პარტია არ ვარგა, პოლიტიკოსები ბოროტი ხალხია, პოლიტიკა ბინძური საქმეა, მე მაგაში არ გავერევი“. დაახლოებით ნახევარი საქართველო არის ასე, ანუ ნახევარი საქართველო, ნახევარი ქართული საზოგადოება არის პოლიტიკური უდაბლესი კულტურის დონეზე. აქ შეიძლება გვითხრან დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებაზე, მაგრამ მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ აშშ მოსახლეობის ნახევრისა და საქართველოს მოსახლეობის ნახევრის მონაწილეობა არჩევნებში ერთმანეთთან შესადარებელი არ გახლავთ. ამერიკას იცავს შემონმებისა და ბალანსის ტრადიცია და თითქმის იდეალური კონსტიტუცია, ხოლო საქართველოს ბალანსის პოლიტიკა და განსაკუთრებით მისი უაღრესად ნაკლები და პროვინციულ მმართველებზე მორგებული კონსტიტუცია სწორედ რომ არ გვიტოვებს სურვილს, მოსახლეობის ნახევარი პოლიტიკაში არ ერთვებოდეს. შეიძლება ისინი სწორედ ყველაზე კულტურული და განათლებული ადამიანებიც კი იყვნენ, მაგრამ რეალურად ის, ვინც არ მონაწილეობს ქვეყნის არჩევნებში, სინამდვილეში არის ყველაზე დაბალ პოლიტიკურ დონეზე. როდესაც არისტოტელემ თქვა, ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველიო⁴, ის იმას გულისხმობდა, რომ ადამიანი პოლიტიკაში ჩართული ცხოველია, ის ქალაქელი ცხოველია⁵. „პოლიტიკოსი“ სწორედ „სამოქალაქოს“ ნიშნავს. მოგეხსენებათ „პოლისი“ არის ქალაქი, „პოლიტეს“ არის მოქალაქე, „პოლიტიკოს“ ეს არის სამოქალაქო და „პო-

-
4. Ἐκ τούτων οὖν φανερόν ὅτι τῶν φύσει ἢ πόλις ἐστὶ, καὶ ὅτι ὁ ἀνθρώπος φύσει πολιτικὸν ζῷον „ცხადია, რომ სახელმწიფო ბუნებრივია და რომ ადამიანი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია“. არისტოტელე, პოლიტიკა 1253a2f; შდრ. არისტოტელე, ნიკომაქეს ეთიკა, წიგნი I, 2 (1094a-b).
 5. Ross, W. D., *Aristotelis Politica*, Oxford: Oxford University Press, 1957.

ლიტიკა“ არის სამოქალაქო ამბები. სამოქალაქო ამბებში თუ არ არის ჩართული ადამიანი, მაშინ, არისტოტელეს მიხედვით, გამოვა, რომ ის, უბრალოდ, ცხოველია. ასე რომ, ყველა, ვინც ქადაგებს, რომ პოლიტიკაში მონაწილეობა არ ღირს, სინამდვილეში არის ძალიან დაბალ სოციალური ცნობიერების დონეზე. საზოგადოებრივი ცნობიერების ეს ფენა, ასე ვთქვათ, პირველ კლასშია. მართალია, მე გამიგონია მეცნიერთა მოსაზრებები, რომ ათენში მოსახლეობის ფართო ფენების პოლიტიკაში მონაწილეობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს უკვე პელოპონესის ომში წაგებასა და ათენური დემოკრატიის დაკნინების ხანას ეხება, როდესაც სახალხო კრებაში მონაწილეობისათვის მოქალაქეებს სახელმწიფო სპეციალურ თანხას უხდიდა. რაც შეეხება ბერძნულ-სპარსული ომების დროს და პერიკლეს ეპოქის ათენში მოქალაქეთა პოლიტიკაში მონაწილეობის უდიდეს მნიშვნელობას და დიდ ენთუზიაზმს, ამის ნათელი დადასტურება ისიცაა, რომ გენიალურმა ესქილემ თავის ავტოეპიტაფიაში საკუთარ დამსახურებად ტრაგიკოსთა კონკურსებში თორმეტი ტრიუმფალური გამარჯვება კი არა, სამოქალაქო საქმეებსა და ომში თავისი მონაწილეობა დაასახელა.

მეორე კლასი გახლავთ საბჭოთა კლასი. სწორედ ის ხალხი, ვინც ყველაფერზე თანახმაა. ვინც თანახმაა, რომ იყოს ეს ხელისუფლება, ე.ი. იქნება ეს ხელისუფლება; იყოს ის, ე.ი. იქნება ის ხელისუფლება. საერთო განწყობა კარგად გამოიხატება ქართული ანდაზით „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“. მისი მთავარი ნიშანი არის მორჩილება. პირველის ნიშანი არის ინდიფერენტიზმი, მეორის ნიშანი არის მორჩილება. არც ერთი და არც მეორე ჩვენ ხელს არ გვაძლევს. უბრალოდ, ეს მეორეები პირველებზე წინ იმით მაინც არიან, რომ ისინი ხელისუფლებას აღიარებენ, რომ არსებობს ასეთი ფენომენი – ხელისუფლება. ვილაც ამბობს, ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნებაო. ასეთი ხალხი ყველგანაა, ყველა ქვეყანაში. მე სამი წელი ვიცხოვრე ერთ ძალიან ინდუსტრიულ და განვითარებულ და დემოკრატიის

თვალსაზრისით მოწინავე ქვეყანაში, სადაც ჩემი მეზობლები ტრაბახობდნენ იმით, რომ ისინი არასოდეს არც ერთ არჩევნებზე არ იყვნენ ნამყოფი, მაგრამ ეს არ უშლიდათ ხელს, რომ ყოფილიყვნენ ძალიან წარმატებულები. აქაც ვიღაცები ოცნებობენ ამაზე, რომ რა კარგი იქნება, რომ არ გვეცოდინება, ვინაა პრეზიდენტი, ვინაა მინისტრი და ა.შ. საქართველოში, პატარა ქვეყანაში, როცა არ გვეცოდინება, ვინაა პრეზიდენტი, ვინაა მინისტრი, იქნება კატასტროფა. ამიტომ, მე არა მგონია, რომ ეს ძალიან საოცნებო იყოს. თუმცა კი, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ოცნებობს იმაზე, რომ სახელმწიფო საერთოდ არ იყოს. სახელმწიფო, განსაზღვრების მიხედვით, ბოროტებაა, ეს გასაგებია, მაგრამ, უბრალოდ, ეს აუცილებელი ბოროტებაა. მე რომ არ ჩავიდინო მკვლელობა, ჯობს გადავაბარო ძალადობის ფუნქცია სახელმწიფოს. ამას მივხვდით საკმაოდ ადრე. ამაზე მე-17 საუკუნეში ილაპარაკა ევროპულმა მოწინავე აზრმა⁶ და არ მგონია, რომ 21-ე საუკუნეში ამაზე დავა უნდა დავიწყოთ.

მესამე და ყველაზე უკეთესი კლასი (სულ სამკლასიანი არის განათლება პოლიტიკური ცნობიერებისა) გახლავთ მონაწილეობა. როდესაც მე ვარ მოქალაქე და მე ვმონაწილეობ სახელმწიფო ცხოვრებაში. იყო ასეთი რამ ოდესღაც ძველ დროში, ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში, ათენის დემოკრატიამ მიაღწია იმას, რომ ათენში ნებისმიერ მომენტში მოქალაქეების ერთი მესამედი მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში: ან კენჭისყრით იყო არჩეული, ან წილისყრით დანიშნული. ან არჩეული იყო, ბუღევტი, ანუ ზოგადად პარლამენტარი იყო; ან პრიტანი, ანუ მოქმედი პარლამენტარი იყო; ან არქონტი იყო; ან თუ არავინ არ იყო საერთოდ და არაფერში არ მონაწილეობდა, სახალხო კრება შეიკრიბებოდა და იქ აუცილებლად იქნებოდა; და სახალხო კრების გარდა, კიდევ თეატრში რომ სპექტაკლი იქნებოდა დიდ დიონისიებზე, იმავი

6. იგულისხმება თომას ჰობსის „ლევიათანი“ და ბუნებითი საზოგადოების თეორია.

იქნებოდა. 17 000 თავისუფალი მოქალაქე ჰყავდა ათენს, 17 000 ადგილი იყო დიონისეს თეატრში⁷. ყველას ადგილი იყო და თუკი ვინმე იტყოდა, რომ ფული არა მაქვს, თეატრის ბილეთს ვერ ვყიდულობ, მას სახელმწიფო თეორიკონს აძლევდა, ანუ ის თეატრიც იყო სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი; გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ესთეტიკური დაწესებულება. მას ჰქონდა რელიგიური და სახელმწიფოებრივი ფუნქცია. მონაწილეობა იყო განმსაზღვრელი ათენის დემოკრატიისში⁸. რა თქმა უნდა, ყველამ შეიძლება გაიხსენოს, რომ იქ ქალები არ მონაწილეობდნენ, იქ მეტეკები, ანუ ჩამოსულები, არ მონაწილეობდნენ. აი, მე ბათუმელი კაცი თბილისში ხელისუფლებაში ვერ მივიღებდი მონაწილეობას ძველი წესები რომ იყოს, ანტიკური. მონები, ბუნებრივია, არ მონაწილეობდნენ და სხვ. თავისი ნაკლი, რა თქმა უნდა, იმ სისტემას ჰქონდა, მაგრამ ფართო მონაწილეობის თვალსაზრისით, ეგ იყო ძალიან მნიშვნელოვანი. შეიძლება ამის ხელოვნურად გაკეთება? რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კანონი, რომელიც დავავალდებულებს ყველას, რომ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში. ეს შეიძლება გაკეთდეს ისე, როგორც ავსტრალიაშია ან გაკეთდეს, როგორც საბერძნეთშია. შეიძლება ამის გაკეთება, მაგრამ მე სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ „ამდენი ანტიკურობა“ ჩემს სტატიაში ჩემი პროფესიითაცაა განსაზღვრული და ვინმეს შეიძლება ზედმეტადაც მოეჩვენოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი სწორედ ბერძნებისაგან, თავისუფლებისა და დემოკრატიის მამებისგან გვაქვს სასწავლი, არადა, ამჟამად რომაელებისკენ, გერმანელებისკენ ანუ უფრო წესრიგისკენ, ვიდრე თავისუფლებისკენ მიგვიწევს გული.

7. Peter D. Arnott, *An Introduction to the Greek Theatre*, London: Palgrave Macmillian, 1959. იხილეთ ასევე: Peter D. Arnott, *Public and Performance in the Greek Theatre*. London: Routledge, 1989.

8. Yannis Theocharis, *Young people, political participation and online postmaterialism in Greece*. *New Media & Society*, 2011: 13, issue 2, pp. 203-223.

3. საზოგადოებრივი ცნობიერება

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ხელოვნური ზრდა შეუძლებელია და წარმოუდგენელი. რა თქმა უნდა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასი პროცენტი არ მონაწილეობს არჩევნებში. 50%, 42%, რასაც აჩვენებს საქართველო, ზოგიერთი განვითარებული ქვეყნისთვის ეს არის ნორმაც კი; მაგრამ საქართველო არ არის განვითარებული ქვეყანა და ის ადამიანები, რომლებიც არ მონაწილეობენ, შემდეგ მთელი ცხოვრება კენესიან იმაზე, როგორ არ ვარგა მთავრობა; და უკაცრავად, მაგრამ როდესაც შენ არ მონაწილეობ მთავრობის ჩამოყალიბებაში, შემდეგ რატომღა ლაპარაკობ იმაზე, ვარგა თუ არ ვარგა ეს მთავრობა?! შენ ლაპარაკობ იმაზე, შენმა მეზობელმა სწორი არჩევანი რომ არ გააკეთა და არ ჯობდა, მიგელო მონაწილეობა და თვითონ გაგეკეთებინა სწორი არჩევანი? როდესაც ამას ვამბობთ, გვიპასუხებენ, რომ პოლიტიკოსებს უნდათ, რაღაც დააბრალონ საზოგადოებას.

ჩვენ ვართ საზოგადოება, რომლის საკმაოდ სერიოზული ნაწილი საერთოდ არ მონაწილეობს მართვაში, მათ შორის, არც როგორც არჩეული, არც როგორც ამომრჩეველი. არის ხალხი, რომელიც ტრაბახობს ამით. მე მინდა მაგალითი მოვიყვანო, სულ ბოლო, უკანასკნელი მაგალითი. საქართველოში ვირჩევდით პრეზიდენტს და პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ ჩვენ არ გვაქვს არჩევანი; რომ ამიტომ არ უნდა ნავიდეთ არჩევნებზე და არავის არ უნდა მივცეთ ხმა; ან უნდა მივიდეთ და ვთქვათ, რომ არც ერთს არ ვაძლევთ ხმას, იმიტომ, რომ არც ერთი და არც მეორე კანდიდატი არ იმსახურებს ამას. ასეთი განცხადება ნიშნავს, რომ თვითონ არჩევნების პროცესის დისკრედიტაცია ხდება. ის, რომ ჩვენ არ გვყავს მაინცდამაინც კარგი კანდიდატი, მე მგონი, არ არის დიდი პრობლემა. ის დრო ახლა არ არის, რომ დე გოლი, ჩერჩილი და ადენაუერი ჰყავდეთ ქვეყნებს. ყველას ის ჰყავს, რაც ჰყავს, სამწუხაროდ, მაგრამ არჩევანის გარეშე

არავინ არ რჩება, ამიტომ საქართველოში პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, არც ერთი არ ვარგა და ამიტომ არჩევნებზე არ წახვიდეთო, ფაქტობრივად, მოსახლეობას ეუბნებოდნენ, რომ მე რომ მოვალ, მეც არ ამირჩიოთ, სახლში ისხედითო. ეგ აღარ არის პოლიტიკა. პოლიტიკა არის რეალური ამბავი. კაცი ბაზარში რომ მიდის და ცოლი რომ დააბარებს ყველის ყიდვას, მან ბაზრიდან ყველი უნდა მოიტანოს. არ უნდა დაბრუნდეს და არ უნდა თქვას, რომ თორმეტი ყველი გასინჯა და არც ერთმა არ ივარგა. ასე არ ხდება ხოლმე. საზოგადოება აწარმოებს ისეთ პოლიტიკოსებს, როგორი საზოგადოებაც არის და რაც არ არის, იმას ვერ აირჩევ, ეს გასაგებია. იდეალური სად უნდა გვეპოვა?! ან ერთისთვის უნდა მიგვეცა ხმა, ან მეორისთვის. ეს არის სრულიად აშკარა და ეს არის ყველაზე მთავარი პრობლემა, იმიტომ, რომ ჩვენ არ უნდა დაგუტოვოთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც სახლში სხედან და ამბობენ, რომ მე არ მივიღებ პოლიტიკაში მონაწილეობას, არანაირი შანსი, რომ მათ გაამართლონ თავიანთი პასიურობა. ჩვენ უნდა არჩევნებზე მოვზიდოთ ეს ხალხი.

4. ახალგაზრდობა და პოლიტიკა

მეორე პრობლემა გახლავთ ის, რომ საქართველოში ძალიან სერიოზულად გვიჭირდა, ახალგაზრდობა ჩაგვეერთო საერთოდ რამეში, ლაპარაკი მარტო პოლიტიკაზე არ არის. ახალგაზრდების ძალიან დიდი ნაწილი, რომელიც გაცილებით უფრო გამოფხიზლებული არის, ვიდრე ეს იყო ადრე, სწორედ იმის გამო, რომ გამოფხიზლდა, კრიტიკულად უყურებს ყველაფერს და ამბობს, ეს წიგნი რატომ უნდა წავიკითხო, ეს საგანი რატომ უნდა ვისწავლო, პოლიტიკაში რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა და ა.შ. ხოლო უფროსების დიდი ნაწილი ითხოვს, რომ ახალგაზრდა არ იყოს პოლიტიკაში ჩართული, ახალგაზრდობის გამოყენება პოლიტიკაში არ გაბედოს არავინ; მაგრამ

ახალგაზრდა რას ნიშნავს? რამე განსაკუთრებული სტატუსია? თუ ადამიანს კანონით ეკუთვნის და აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა, რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა?! ვილაც ბიძებმა რატომ უნდა გადაწყვიტონ ეგ ამბავი?! მასხოვს, რომ ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ცოტა არაკორექტული ეიჯიზმის ელემენტების შემცველი, მაგრამ ძალიან საინტერესო ხუმრობა წარმოადგინა, როდესაც უთხრა ახალგაზრდებს, რომ მიიღე არჩევნებში მონაწილეობა, თორემ თუ ბებიაშენის არჩევანს დაეყრდნობი, მიიღებ ბებიაშენისასო.

5. ისტორიული გამოცდილება – პირველი რესპუბლიკა

პირველი რესპუბლიკა იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როცა საქართველო ერთდროულად გახდა სახელმწიფოცა და მონაწილე დემოკრატიული გამოცდილების სახელმწიფოც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სერიოზული პრეტენზიები შეიძლება იყოს სოციალ-დემოკრატების მიმართ, ეს განსაკუთრებით ეხება ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას დამოკიდებულებას. სოციალ-დემოკრატები პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში აღმოჩნდნენ ქვეყნის სათავეში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაშინ ძალიან დიდი იყო ენთუზიაზმი. სწორედ მაშინდელი დიდი ენთუზიაზმის ჩაქრობამ და საბჭოთა 70-წლიანმა უბედურებამ გამოიწვია ის, რა გაუცხოებაც მოხდა პოლიტიკისგან. საქართველოში, მაგალითად, საბჭოთა დროში კარგ ტონად ითვლებოდა ქურდობა იმიტომ, რომ შენ ჰპარავ სახელმწიფოს და სახელმწიფო ჩვენი არ არის, ეს სხვისი სახელმწიფოა და ეს ინერციით იმდენად მოდის, რომ დღევანდელ პარლამენტში, ფული რომ მოგვრჩა და რომ ვთქვით, რა კარგია, ფული რომ დაგვრჩა, მოდი დავუბრუნოთ სახელმწიფოს, იქვე მოიძებნა კომიტეტის თავმჯდომარე, ძალიან საბჭოთა ადამიანი, რომელმაც თქვა, ავითვისოთ, სა-

ხელმწიფოს რატომ უნდა მივცეთ ფული, ეს ხომ ჩვენი, ანუ პარლამენტის, ფულია, დავირიგოთ, რაღაც ვქნათ და სხვ. ანუ მას არ სჯერა, რომ არსებობს საქართველოს სახელმწიფო, ანუ, ინერციით, ქურდობა კვლავ ითვლება კარგ ტონად.

როცა ახალგაზრდა კაცი ამბობს, მამაჩემმა მითხრა, ექიმი უნდა გამოხვიდეო და მე არ მინდა ექიმობა, მე მინდა ეს გამოვიდე; აქ რომ ვარ პრინციპული, ხვალ პრინციპული ვიქნები იმაში, რომ მამამ რომ თქვა X პარტიას მიეცი ხმა, არა, მე მინდა მივცე Y პარტიას ან ვილაცა სხვას. ეს ყველაფერი მოხდება თავისით, როდესაც დრო გავა, მაგრამ ისეთი ჩართულობა, როგორც იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში, სხვა დროს აღარ იქნება; იმიტომ, რომ ეგ ენთუზიაზმი ჩნდება მხოლოდ ერთხელ. დღეს რომ პირველი რესპუბლიკის ლიდერები შევადართო ჩვენს პოლიტიკურ კლასს, შეიძლება ვილაცებ რაღაცაში ჩამორჩებიან, შეიძლება იმას მეტი წიგნი აქვს წაკითხული და ა.შ. მაგრამ ჩვენ ეს ბედნიერება, როდესაც ილია ჭავჭავაძე მიდიოდა პოლიტიკაში, როდესაც მისი პარტია არსებობდა, მერე ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეების, როცა ეროვნულ-დემოკრატიები არსებობდნენ, როცა სოციალ-დემოკრატებში ძალიან ნორმალური და განვითარებული ხალხი იყო, როცა პირველივე პარლამენტში ქალები აღმოჩნდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როდესაც ჩვენ შავრაზმელებიც კი ავიტანეთ იმ პარლამენტში და სხვა; როდესაც კონსტიტუცია მივიღეთ, რომელშიც წერია, რომ რელიგიის დაფინანსების უფლება სახელმწიფოს არა აქვს, ანუ ჩვენზე ათასჯერ უფრო წინ იყვნენ ისინი, მაგ თვალსაზრისით. რა თქმა უნდა ეს ენთუზიაზმი, ეს აფეთქება, ეს სვლა იყო დიდი ამბავი. ჩვენ ეს რესპუბლიკა, მიუხედავად იმისა რომ დავკარგეთ, გამოგვადგა იმ თვალსაზრისით, რომ 1991 წელს, რომ არ ვიცოდით, რა კანონებით უნდა გვეცხოვრა, ჩვენ ცოტა ხნით მაინც დავაბრუნეთ და ამან იმუშავა, იმოქმედა და მოგვცა საშუალება, ახალი და უკეთესი, მაგრამ ზოგიერთ ნაწილში უკან დაბრუნებული კონსტიტუცია მიგველო. აქ ვგულისხმობ იმას, რომ ასე თუ ისე არსებობ-

და უზენაესი კანონი და ჩვენ მხოლოდ დეკრეტებისა და მომენტალური გადაწყვეტილებების იმედზე არ ვიყავით. იცით, ჩვენს კონსტიტუციაში რა არის განსხვავებული იმისგან? იქ რაც ეწერა, ეწერა. ჩვენთან წერია კარგი რამე და მერე წერია, „მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა“ და შემდეგ არის ამ კარგის გაფუჭების ყველანაირი მცდელობა. მაგალითად, ძველ კონსტიტუციაში ძალიან მკაცრად და მკაფიოდაა განსაზღვრული გაყოფა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ყოველგვარი დღევანდელი ნართაული მიკიბვ-მოკიბვისა და ეკლესიის წინაშე გაუგებარი პიეტეტის გარეშე. მიუხედავად ამისა, მინდა გითხრათ, რომ ის ბედნიერი დღეები, როცა ილია ჭავჭავაძე მიდიოდა პოლიტიკაში და კოტე აფხაზი, ექვთიმე თაყაიშვილი და ასეთი ხალხი, ეს დღეები აღარ დაბრუნდება. დღეს ჩვენ გვჭირდება პროფესიონალი პოლიტიკოსები.

6. ახალი რეალობა – პოლიტიკოსები

ერთხელ ნამდვილმა პოლიტიკოსმა ბიოგრაფიაში დაწერა, პოლიტიკოსი ვარო და ერთი ამბავი ატყდა, როგორ გაბედა ზურაბ ჟვანიამ ამის თქმა, მაშინ როცა იყო ბიოლოგი. ახლა ეს იცვლება. დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, პოლიტიკოსი ვარო და ჩვენ მაგაზე არ ვლელავთ, ჩვენ ვლელავთ იმაზე, კარგი პოლიტიკოსია თუ ცუდი, მაგრამ პოლიტიკოსი არის. შევთანხმდით იმაზე, რომ ეგეთი რამ არსებობს ბუნებაში, ეგეთი პროფესიული მიმართულება.

ჩვენ არ გვყავდნენ კარგი პოლიტიკოსები, არ ვამზადებდით, არავინ ამზადებდა. საიდან მოვამზადებდით?! ამიტომ, მოვსინჯეთ ყველაფერი – კინორეჟისორები, მწერლები, პოეტები, სპორტსმენები. ერთ-ერთი ყველაზე ცუდი ჩვენი პოლიტიკოსები იყვნენ ჭაბუა ამირეჯიბი და თენგიზ აბულაძე. ეს ხალხი ყველაზე მეტად იმით მახსოვს, რომ „ესენგეს“ შეთრევის სხდომაზე ყველანი მოიყვანეს, მკვდრები და ცოცხლე-

ბი და შევარდნაძემ რუსეთის სასარგებლოდ მიაცემინა ხმა. ამით დამამახსოვრდა მე ეს ხალხი და არა იმით, რომ ისინი რადგან შემოქმედებითად ასეთები იყვნენ, იქაც რაღაცას ქადაგებდნენ. სამწუხაროდ, არა. არც ერთი კინორეჟისორი არ გამოგვადგა, არც ერთი ფეხბურთელი არ გამოგვადგა, არც ერთი ოლიმპიური ჩემპიონი არ გამოგვადგა, ანუ სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ კარგია თუ ავია, პოლიტიკოსები გვჭირდება, მეტ-ნაკლებად ამ საქმეზე ორიენტირებული.

მე ვთვლი, რომ რისკი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი უნდა იყოს იმ საზოგადოებისა, რომელიც უნდა შეეგუოს რაღაცებს. იმის თქმა მინდა, რომ, თუ პოლიტიკური პარტია ფიქრობს, რომ მხარი უნდა დაუჭიროს რომელიმე უმცირესობას, მან ეს პირდაპირ უნდა გააკეთოს და ელექტორალური ზარალიც პირდაპირ უნდა მიიღოს. მე მინდა გითხრათ, რომ, რა თქმა უნდა, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური პარტია, რომელიც ასახელებს ისეთ ადამიანს, რომელმაც გამოაცხადა თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, გასაგებია, რომ იქ არ არის ნავარაუდევია, რომ ის გაიმარჯვებს. ეს ნარმოუდგენელია. გასათვალისწინებელია, რომ პარტია ამის გამო კარგავს რაღაცა ხმებს. ფაქტი საინტერესოა. ადამიანმა, ფაქტობრივად, გამოაცხადა, დავდექი აქ და მესროლეთო. ასეთი „საექვო“ ნაბიჯის დროს არ იგულისხმება მყისიერი წარმატება, მაგრამ იგულისხმება, რომ საზოგადოება უნდა შეეჩვიოს, რომ მას ჰყავს აი, ასეთი წევრები და მათაც უნდათ მონაწილეობა. არ უნდა ეშინოდეს პარტიებს ასეთი რამის.

აქ საუბარია კულტურაზე. კულტურა არის არა მარტო ატანა, არამედ, ამავე დროს, არის მიღება. რომ დიახ, არის ასეთი კანდიდატი და რომ ამ კანდიდატს აქვს თავისი პროგრამა და მას აქვს თავისი ხედვა; და დიახ, მე შეიძლება არ ვაძლევ მას ხმას, მაგრამ ვაღიარებ, რომ არის ასეთი კანდიდატი. იქნება სხვანაირი კანდიდატიც. სხვათა შორის, მარტო ერთი წესი უნდა მოქმედებდეს, რომელიც თქვა ჰაიეკმა: სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა

არის და იქნება ყველასთვის, გარდა იმათი, ვინც თვითონ ამ კულტურას არ აღიარებს. თუ აქ ვილაც მეტყვის, რომ თქვენ თუ ასეთი წამოაყენეთ, ჩვენ ავიღებთ და ფაშისტს წამოვაყენებთ; ფაშიზმი არ შეიძლება იმიტომ, რომ ფაშიზმი ეწინააღმდეგება თვითონ ამ პოლიტიკურ კულტურას და ეს ჩვენი (იგულისხმება კანდიდატი) ძირითადი კი არა, მისი შემადგენელი ნაწილი გახლავთ. პლურალიზმი სწორედ ისაა, რომ პლურალიზმის უარმყოფელები არ დაიშვებიან. ეს ჰაიეკის ცნობილი პარადოქსია, რომელიც განათლების ნაწილი გახლავთ. დადგება დრო, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როდესაც დღეს მიუღებელი რომელიმე კანდიდატი პარლამენტშიც იქნება და შეიძლება საქართველოს პირველი პირიც გახდეს. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი თანამდებობა შეიძლება დაიკავოს, მაგალითად, ჰომოსექსუალმა ადამიანმაც და ნებისმიერი სხვა უმცირესობის წარმომადგენელმაც. ასეთი დრო აუცილებლად დადგება და სხვათა შორის, ამისთვის საუკუნეების გავლა არ დაგვჭირდება; იმიტომ, რომ ისეთ ქვეყნებში მოხდა ასეთი პროცესები, რომლებიც აგერ ამ 20 წლის წინ, საქართველო რომ არის დღეს, იმაზე გაცილებით უკან იყვნენ და არანაირი პრობლემა უკვე აღარ არის. მართალი გითხრათ, მე რომ მომისმენია ჰომოფობიური განცხადებები უცხოეთში, ხანდახან გამკვირვებია, თავი სამშობლოში მეგონა; მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ეს მოვისმინე, ქალაქის მერი არც ე.წ. „სახელის მიმცემი“ ნაციის წარმომადგენელი იყო, არც სექსუალური ორიენტაციით გამოირჩა და არც კანის ფერით. ყველანაირად სხვანაირი იყო, მაგრამ მშვენივრად აირჩიეს, იმიტომ, რომ ქალაქზე იფიქრეს და არა იმაზე, ჩვენ გვგავს თუ არა გარეგნულადო; ან მისი ორიენტაცია შეგვიძლის თუ არა ხელსო. დიდი და სერიოზული ნაბიჯები გადადგა ევროპამ ბოლო ხანებში. ამ თვალსაზრისით მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

7. უკანასკნელი წლების მიღწევები

მე გითხარით იმ პრობლემებზე, რომლებიც საზოგადოებაშია. ახლა მინდა გითხრათ იმაზე, თუ რა შედეგებს მივალწიეთ ჩვენ პოლიტიკურად უკანასკნელ ხანებში და სად გამოჩნდა, რომ პოლიტიკური კულტურა გვაქვს და სად გამოჩნდა, რომ პოლიტიკური კულტურა გვაქვს ძალიან დაბალი დონის და სად ვაჯობეთ საკუთარ თავს. ამიტომ, მე მოვიყვან მაგალითად ბოლო რამდენიმე არჩევანს, როდესაც ეს კარგად გამოჩნდა. 2003 წელს საქართველომ, კაცმა რომ თქვას პირველად, გადადგა ნაბიჯი იმისკენ, რომ გამოსულიყო პოსტსაბჭოთა საზოგადოებიდან და შესულიყო რალაცა პრედსავლურ, პრევეროპულ საზოგადოებაში. ახლა რომ 2004 წელი იყოს, იმასაც კი გეტყოდით, რომ ჩვენ უკვე გადავდგით ეს ნაბიჯი. იმიტომ, რომ ყოველთვის გინდა, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ჩანს. დიახ, 2004-2005 წლებში ჯერ კიდევ ჩანდა, რომ ჩვენ ვყალიბდებით. იმიტომ, რომ მიმდინარეობდა სწრაფი სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კარგი პროცესები მიდიოდა. სხვათა შორის, ეს პროცესები მიდიოდა აგრეთვე 1995, 96, 97 წლებში, შევარდნაძეზე მეორე თავდასხმამდე. მერე დაეცა ტემპი. შემდეგ წავიდა 2003-04-05 წლებში, 2006-დან დაიწყო ისევ დაცემა და სხვ. რა ხდება?! ხდება ის, რომ ყველა არჩევანის დროს ხელისუფლების ცვლილებისას ჩვენ ვაკეთებთ ისეთ რამეს, რაც მანამდე არ გაგვიკეთებია და ჩვენმა საზოგადოებამ რამდენჯერმე ქნა ისეთი რამ, რაც მანამდე არ უქნია. 2003 წლის არჩევნები, რა თქმა უნდა, იყო ისტორიული მნიშვნელობის. იმიტომ რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვქონდა საპარლამენტო არჩევნები, ვითარებამ გამოიწვია საპრეზიდენტო ცვლილება და გამოიწვია სისტემური ცვლილება საქართველოში. და დაიწყო სხვა რამ, ანუ საზოგადოებამ იგრძნო ენთუზიაზმი, დაახლოებით ისეთი, ახლახან რომ ჰქონდათ ფრანგებს მაკრონთან დაკავშირებით ან ჩვენს მე-

ზობელ სომხებს ფაშინიანთან დაკავშირებით. ჩვენც გვექონდა ასეთი ენთუზიაზმი, რომ ყველაფერს ეშველება. მე ასაკოვანი კაცი ვარ, სამწუხაროდ და მახსოვს, ასეთი ენთუზიაზმი ადრეც ყოფილა; 1972 წელს, მე სტუდენტი ვიყავი მაშინ უნივერსიტეტში, პირველ კურსზე, ლექციაზე შემოვიდა ჩემი ლექტორი, კარგი კაცი, ხელი დაარტყა კათედრას და თქვა: „მორჩა, ყველაფერს ეშველება, შევარდნაძე მოვიდა, გადატრიალდა ყველაფერი!“

ღიას, მჭავანაძის შემდეგ შევარდნაძის მოსვლა აღქმული იყო, როგორც ძალიან დიდი ცვლილება; პირველი წლები ეგრეც იყო. არ დაგავინწყდეთ, 1974, 75, 76 წლებში გამოიცა სამი ყველაზე დიდი რომანი, რაც კი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაგვიწერია: „დათა თუთაშხია“, „სამოსელი პირველი“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ეს ხომ შემთხვევითი არ არის?! ანუ ენთუზიაზმმა, ის, რომ ხალხმა დაიჯერა, რაღაც მოხდებოდა, ამან მისცა ენერჯია. მერე ისევ იქ წავედით, სადაც წავედით და 2003 წლის აფეთქებაც, სამწუხაროდ, 2006-07 წლის ამბებში ჩაიძირა. მაგრამ ეს მაინც იყო წინ გადადგმული ნაბიჯი. ამის შემდეგ, 2012 წელს იყო ისტორიული ამბავი, როდესაც საქართველოში, პირველად ჩვენს ისტორიაში, მოხდა ცვლილებები არჩევნების გზით. ერთი ხელისუფლება ფუნდამენტურად და მთლიანად გამოიცვალა სხვა ხელისუფლებით ისე, რომ თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ პატარა ექსცესს, მაგრამ ერთი კაციც არ მომკვდარა, თქვენ წარმოიდგინეთ; მთლიანობაში მინიმალური ძალადობის ფონზე, არჩევნების გზით შეიცვალა ხელისუფლება. ჩვენ, რა თქმა უნდა, გაგვიხარდა და ვთქვით, რომ აი, დამთავრდა, საბჭოთა საზოგადოება მორჩა, ახლა უკვე შევდივართ ევროპულ საზოგადოებაში. მით უმეტეს, რომ ძალიან მალე ხელი მოვანერეთ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას; და იმის შემდეგ, ცოტა ხანში, მე ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ადამიანი, ვინაიდან ვიყავი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე და სწორედ ამ დროს ჩვენ მივალწიეთ ევროპასთან ინტეგრა-

ციის იმ დონეს, როგორც არის უვიზო მიმოსვლა. ეს, რა თქმა უნდა, იყო სერიოზული ნაბიჯები, მაგრამ კარგი იქნებოდა, ყველას ახსოვდეს ჰანტინგტონის ნათქვამი, – ხელისუფლება ზედიზედ ორჯერ უნდა შეიცვალოს არაძალადობრივი გზით, რომ დავიჯეროთ, რომ საზოგადოებას ამის უნარი აქვს. ასე რომ, ჩვენ ველოდებით მეორე ცვლილებას.

ამის მერე რა ხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში? 2012 წელი არის მაჩვენებელი წელი. ორი დიდი შედეგი, პირველი დიდი შედეგი – შეიცვალა ხელისუფლება, მეორე ძალიან დიდი შედეგი – პირველად გადარჩა ყოფილი ხელისუფლების პარტია. ანუ ადრე ასე იყო: შევარდნაძე არ არის? მისი პოლიტიკური პარტია არ არის. აბაშიძე არ არის? მისი პოლიტიკური პარტია არ არის. პოლიტიკური ლიდერი არ არის? მისი პარტია არ არის. და უეცრად მოხდა, რომ ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლიდერი დამარცხდა არჩევნებში, შენარჩუნდა, როგორც პარტია. მე ვთქვი, რომ ეს კარგია. რა თქმა უნდა, თეორეტიკოსებმაც თქვეს, რომ ეს კარგია. მე, რა თქმა უნდა, სასტიკად ვიქენი გაკრიტიკებული ყველას მიერ, ვისაც ეზიზღებოდა ეს პარტია.

აი, გამოჩნდა, პოლიტიკური კულტურა რაში მდგომარეობს. შენ შეიძლება მოგწონს და შეიძლება არ მოგწონს ესა თუ ის პარტია; მაგრამ ოპოზიცია უნდა აღიარო. რა პოლიტიკური კულტურა გვაქვს დღეს? დღეს გვაქვს ასეთი პოლიტიკური კულტურა: ქართული ოცნება ამბობს, „მე ოპოზიციას ვაღიარებ“. მაგრამ ქართული ოცნება, ამავდროულად, ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის ოპოზიციური პარტია, ნაციონალური მოძრაობა არის ბანდიტების ხროვა. და იწყება ისევ თავიდან. მოვა ნაციონალური მოძრაობა და იტყვის, მე ვაღიარებ ოპოზიციას, მაგრამ ბიძინა არ არის ოპოზიცია, ბიძინა არის ხროვა, რუსი ოლიგარქი და სხვ. პოლიტიკური კულტურა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაციონალური მოძრაობა დაინახო, როგორც პარტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა მოგეწონოს, მაგრამ ჩვენ

ახლა პოლიტიკური კულტურის ისეთ დონეზე ვართ, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარიდან დაწყებული, პარლამენტის წევრები და სხვები, ყველანი გვისხნიან, რომ მათ წინაშე პოლიტიკური ოპონენტები კი არა, პოლიტიკური მხეცები არიან. სად არის ეს ამბავი, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ პოლიტიკური თვალსაზრისით? ჩვენი ლიტერატურის პირველ ძეგლში, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა ამბობს, რომ უფრო ცუდი ცხვარი უნდა უყვარდეს ქრისტეს ყველაზე მეტად და ამიტომ უნდა მიატოვოს კარგი ცხვრები და იმ ცუდს გამოეკიდოს, რომ ის გადაარჩინოს; მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა გვიმტკიცებს, რომ უნდა ვილოცოთ ყველაზე უფრო დაცემული ადამიანებისთვის; პირველივე ჰაგიოგრაფიულ ძეგლში შუშანიკი ამბობს, რომ მე ვარ მორწმუნე და, შესაბამისად, ვარ ადამიანი, ხოლო ვარსქენი არის ურწმუნო და, შესაბამისად, ის ადამიანი არ არის, იმიტომ რომ, იქ წარმოუდგენელია, რელიგიურ ტოლერანტობაზე იყოს საუბარი, რომ მე ვარ ქრისტიანი და ისაა მაზდეანი და მოდი, გავუგოთ ერთმანეთს. არა, უბრალოდ, შუშანიკი არის კარგი, ვარსქენი არის მგელი. აი, ზუსტად მანდ ვართ ჩვენ პოლიტიკურად – მმართველი პარტია კარგია, ოპოზიცია ოპოზიცია არ არის, არის ხროვა, ბანდა და სხვა. და როდესაც ამ ხროვასთან, ბანდასთან და ა.შ., თვითონ ვითარებამ უკარნახა თანამშრომლობა, იმიტომ რომ პრეზიდენტი იყო ნაციონალური მოძრაობის ლიდერი 2012 და 2013 წელს, ხოლო მმართველობა და მთელი ხელისუფლება იყო „ქართული ოცნება“, მათ მოუწიათ თანამშრომლობა. ეს იყო მათთვის ყველაზე მძიმე წლები. ეს იყო საქართველოს ისტორიისთვის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წლები. იმიტომ, რომ გამარჯვება უნდა შეირგო და უნდა შეძლო თანამშრომლობა. ამას ჰქვია ნათელი სიტყვა, ჩემთვის მაგალითად, რადგან ლათინური სიტყვაა და მე ლათინურის სპეციალისტი ვარ, თუმცა მშვენივრად ვიცი, რომ ეს ლათინური სიტყვა სულ სხვა დრომ გამოიხმო და სულ სხვა საჭიროე-

ბით,მ – „კოჰაბიტაცია“⁹. ზოგიერთისთვის ესაა ტრაგედია. დღემდე იხსენებენ, კოჰაბიტაცია რომ იყო, აი, იქ დავიღუპეთ, ჩვენ უნდა დაგვეხოცა, ყველა უნდა ჩაგვესვა, ყველა უნდა დაგვეპატიმრებინა, პარლამენტში როგორ შემოვუშვით ესენი და ა.შ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმ პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც არის პოლიტიკურ კლასში.

8. დღევანდელი პოლიტიკური კლასი

რა პოლიტიკური კლასი გვაქვს ჩვენ? ჩვენ მივალწიეთ დიდ რალაცას, მაგრამ არ არის ხოლმე ასე იოლი, დიდ რალაცას რომ მიაღწევ, მერე შენარჩუნება უნდა. ჩვენ მივალწიეთ რას? ჩვენ მივალწიეთ, რომ კოალიციურად დავამარცხეთ ერთმა ძალამ მეორე ძალა და ეს კოალიცია შევინარჩუნეთ მთელი ორი წლის განმავლობაში. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არ იყო მმართველი პოლიტიკური პარტიის წევრი, არამედ იყო სხვა, კოალიციაში შემავალი მცირე პოლიტიკური პარტიის წევრი, რომელსაც ჰყავდა ათ-კაციანი ფრაქცია საქართველოს პარლამენტში. საქართველოში მინისტრები გვყავდა, რომლებიც არ იყვნენ ქართული ოცნების წევრები. მართალია, ყველა ამ მინისტრს თავისი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ეს იყო, ჩემი აზრით, პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წლები, როდესაც ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ასე შეიძლება. თუმცა, მმართველ პოლიტიკურ ძალას მალე მოსწყინდა შენიშვნები საკუთარი კოლეგებისგან. მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ თქვა, რომ მე ვერ დავკარგავ იმ კაცს, რომელმაც მიუხედავად იმი-

9. სხვათა შორის, ეს სიტყვა პოლიტიკაში ყოფილი კულტურიდან მოვიდა. „კოჰაბიტაცია“ თავდაპირველად ორი ადამიანის ერთად ცხოვრებას ნიშნავდა მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარი არ იყვნენ. მხოლოდ მეოცე საუკუნეში გახდა ეს ტერმინი პოლიტიკური თანაარსებობის აღმნიშვნელი.

სა, რომ ნატოში შევდივარ და ეს კაცი არის აგერ ფრაქციის თავმჯდომარე, რაღაცას წარმოადგენს და გამოდის და აცხადებს, რომ NATO არის საშინელება, რომ ყველას უნდა გვეკიდოს სტალინის პორტრეტი ოჯახში და ა.შ. ეს ხელს გვიშლიდა, სხვათა შორის, ევროპასთან ინტეგრაციაში. იმიტომ, რომ მე რომ გამოვდიოდი, მაგალითად, ევროპარლამენტში და ვამბობდი, მოგვეცით უფიზო მიმოსვლის საშუალება და უფლება, როგორც მიეცით მოლდოვას, აი, ჩვენ ყველაფერი შევასრულეთ უკვე; იმ წუთას მაჩვენებდნენ სურათებს, რომ საქართველოში სტალინის ძეგლებს დგამდნენ და ა.შ. სხვათა შორის, პოლიტიკური კულტურა ასევე იმასაც ნიშნავს, რომ თუ ოპოზიციაში ხარ, შენი ქვეყნის სასარგებლოდ უნდა იმუშაო და არა შენი პარტიის სასარგებლოდ. მაგალითად, ოპოზიციაში რომ ხარ, მმართველ პარტიას ხელს არ უნდა უშლიდე, ნატოსა და ევროკავშირს დაუახლოვდეს, რომ ეს სიკეთე „მის დროს არ მოხდეს“.

პოლიტიკური კულტურა კი ისაა, რომ არ შეიძლება რომ ქვეყანას ჰქონდეს ერთი კურსი და შენ კოალიციაში იყო იმ კაცთან, რომელიც ამ კურსის წინააღმდეგია. მაგრამ, ეს კაცი გვჭირდება იმისთვის, რომ იმათ წინააღმდეგ იბრძოლო, ვინც იქ კრიტიკულ სიტყვას ამბობს; ანუ კოალიციის დასანგრევად და ერთპარტიული სისტემის შესაქმნელად გამოყენებული იქნა კოალიციის გაფართოება. მაგალითად, საქართველო ევროპისკენ მიისწრაფვოდა და პარლამენტი ვინმე თოფაძეს უფრთხილდებოდა, რომელიც სტალინიზმში გვაბრუნებდა. ძალიან საინტერესო მეთოდია. საერთოდ ადამიანის დახრჩობის ბევრი გზა არსებობს, არის დახრჩობა ხელებით, არის დახრჩობა ჩახუტებით. ამ შემთხვევაში მოინდომეს დახრჩობა ხელებით. სხვა შემთხვევაში ვილაცები დაახრჩვეს ჩახუტებით, იმიტომ, რომ მეტისმეტი სიახლოვე აჩვენეს და სხვა. რისკენ მიდიოდა ყველაფერი? ისევ იმისკენ, რისკენაც წავიდა 2003 წლის შემდეგ; რისკენაც წავიდა 1992 წლის შემდეგ; რისკენაც წავიდა 2012 წლის შემდეგ. ყველაფერი მიდის ისევ იქით, საბ-

ჭოთა კავშირისკენ, ანუ ერთპარტიულობისკენ, ანუ, როგორც ჰაიეკი ამბობს, ბატონყმობისკენ¹⁰.

იყო პოლიტიკური ფიგურა საქართველოში, ნიშნავს იმას, რომ თუ გინდა კარგად იცხოვრო, უნდა აღმოჩნდე უმრავლესობაში. თავის დროზე ჰაიეკმა გვასწავლა, რას ნიშნავს უმრავლესობაში ყოფნა. მე შემიძლია ერთი მხატვრული სიტყვა გითხრათ, ჰაიეკამდე ბევრად ადრე ნათქვამი, ჯოგში შესვლაზე ადვილი არაფერი არ არის, მაგრამ ადრე, ძალიან ადრე, დიდმა დრამატურგმა გენიოსმა იბსენმა თქვა ასეთი სიბრძნე პიესაში, რომელსაც ჰქვია „ხალხის მტერი“, ჩვენთან დაიდგა, სხვათა შორის, „ექიმი სტოკმანის“ სახელით; იქ ნათქვამია ასეთი რამ: „უმრავლესობა არასდროს არ არის მართალი, უმცირესობა ყოველთვის მართალია“. ეს, რა თქმა უნდა, უმძიმესი სიტყვებია პოლიტიკური კლასისთვის, მაგრამ მას უნდა ესმოდეს, ყველანაირი მისწრაფება ერთპარტიულობისკენ დამლუპველია მისი ქვეყნისთვის და დამლუპველია მისთვის. მაგრამ ვინაიდან საქართველოში ერთპარტიულობა ადვილია, ვინაიდან საქართველოში მთავარია, ვინმემ ხელი არ შეეშალოს, ჩამოყალიბდა საშუალება, შეიქმნა საშუალება, რომ იყოს ასეთი პოლიტიკური კულტურა: მე ვარ ხელისუფლებაში რვა წელია, რვა წელში ვერაფერს ვერ ვაგვარებ. მეკითხები, რატომ ვერ ვაგვარებ? გეუბნები, სანამ მე მოვიდოდი, რვა წლის წინ, თქვენ ცხრა წელიწადი გყავდათ სხვა ხელისუფლება და ყველაფერი იმის ბრალია. მე შეიძლება გავხდე ოცი წლის ხელისუფლება და მე გეტყვით, ოცი წლის წინ, ცხრა წელი რომ იყო ხელისუფლება, იმის ბრალია, მე რომ ვერ ვაგვარებ პრობლემებს. ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური კულტურის ძალიან კარიკატურული სურათი. აი, მაგალითად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გამოდის და ამბობს, გაიზარდა დანაშაული, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დანაშაულის რიც-

10. Friedrich A. Hayek, *The Road to Serfdom*, Chicago: University of Chicago Press, 1944.

ხვი გაიზარდა, არა, ხალხო, დანაშაულის რიცხვი მცირდება, მაგრამ დანაშაული იმიტომ გაიზარდა, რომ ჩვენ აღრიცხვიანობა გავაკეთეთო კარგი, ანუ, ჩვენ იმდენად კარგები ვართ, რომ ჩვენს ხელში დანაშაული კი არ იზრდება, პირიქით, დანაშაული მცირდება, მაგრამ ჩვენ ისეთი ობიექტურები ვართ, რომ დანაშაულის აღრიცხვა გავზარდეთ. და რად მინდა მაგის მოყოლა?! დანაშაული იზრდება თუ არა, ქუჩაში გამოსულმა ადამიანმა ისე არ ვიცი, ისე ვერ ვხედავთ?! მე ვერ ვხედავ ჩემი სახლის კარებთან რამდენი შპრიცი ეყარა, რამდენი ყრია, რამდენი ეყრება და სხვა? მე რად მინდა სტატისტიკა, ვის ელაპარაკება ეს ხალხი?! ყველაზე საინტერესო არის, რომ ყველა პოლიტიკური კლასი, რომელიც ხელისუფლებაში იყო, ცდილობდა, მედიით აეხსნა ხალხისთვის, რომ მოსახლეობა კარგად ცხოვრობს, უბრალოდ, აზრზე არ არის, წარმოდგენა არა აქვს, რა კარგად ცხოვრობს, იმიტომ რომ აზროვნება არ უვარგა. და რა საინტერესოა, იყო იმ ხალხის პოლიტიკური ელიტა, რომელსაც აზროვნება არ უვარგა და ამბობდე, რომ შენ ვარგიხარ. ე.ი. ძალიან არასწორადაა აგებული სისტემა.

9. მთავარი პოლიტიკური პრობლემები

პირველი, რაც საქართველოში პოლიტიკური პრობლემაა, ეს არის მარადიული სწრაფვა ერთპარტიულობისკენ და, მათ შორის, მოსახლეობის მხარდაჭერა ამ იდეისა. ანუ საბჭოთა კავშირი.

მეორე პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის ის პრობლემა, რომელიც გვაქვს ჩვენ, პოლიტიკოსებს. რა პრობლემა აქვთ პოლიტიკოსებს? პოლიტიკოსების პრობლემა ასეთია: მოიგო არჩევნები, თქვა, რომ სწორი პროგრამა მქონდა, რა თქმა უნდა, მე კარგი ვარ; წააგო არჩევნები, თქვა – სწორი პროგრამა მქონდა, კარგი ვარ მე, მოსახლეობა არ ვარგა. ჩვენ ბევრჯერ მოგვისმენია ეს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ პოლიტიკა არის რეალური საქმის კეთება. პოლიტიკა ამოდის რეალობიდან. ამიტომ, ნებისმიერმა პარტიამ, თუ უნდა, რამეს მიაღწიოს, უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯები და სათანადო ნაბიჯები ნიშნავს, რომ უნდა განსაზღვრო შენ ვინ ხარ, სპრინტერი ხარ თუ სტაიერი ხარ. აი, ახლა გინდა მოგება, თუ საერთოდ გინდა მოგება? რომელიმე, რესპუბლიკური პარტია იქნება ეს, თუ თავისუფალი დემოკრატია, თუ ლეიბორისტი, თუ ქართული ოცნება, თუ ევროპული საქართველო, თუ ნაციონალური მოძრაობა, თუ დაგეგმავს ხანგრძლივ პროგრამას, ათ და ოც და ორმოცნობიან პროგრამას, რა თქმა უნდა, შედეგებს მოიმკის მაშინ, როცა საჭიროა. ჩვენ, მე მაგალითად, მომხრე ვარ, რომ ჩვენ ვიყოთ სტაიერული პოზიციის პარტია, ამიტომ მე არ ვლელავ იმაზე, რომ ვერ ვიღებთ არჩევნებში სათანადო ხმებს. მთავარი არის, რომ ჩვენ ჩვენი სათქმელი უნდა ვთქვათ და უნდა დავაფიქსიროთ. ეკლესიასთან ჩვენი დამოკიდებულებები არ შეიცვლება. მე, მაგალითად, ვთვლი, რომ არ უნდა დაფინანსდეს არც ერთი კონფესია, ამ აზრს არ შევიცვლი; იმას, რომ რუსული ინტერესები ჭარბობს ქართულ ეკლესიაში, თვალნათლივ ვხედავთ, ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ვილაცხას ეს არ მოსწონს; ვიტყვით იმიტომ, რომ როცა ათი და ოცი წლის შემდეგ, ეს ჩემი ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო, ვილაცხამ უნდა თქვას, რომ ამის ერთი აგური დადო პოლიტიკურმა პარტიამ, რომელმაც გარისკა, თქვა, ხმები დაკარგა ამით რაღაცა რაოდენობის ან შეიძინა და სხვა და სხვა. ანუ არ არის აუცილებელი, მყისიერი წარმატება იყოს მნიშვნელოვანი. ეს მინდა, პოლიტიკურმა კრიტიკოსებმაც იცოდნენ. ყველა არაა იმისთვის დაბადებული, რომ კონკრეტულად ამ პარლამენტში მოხვდეს. ზოგიერთი ოცი წლით იქით იხედება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ იყო პოლიტიკოსი საქართველოში, ნიშნავს, ფიქრობდე იმ ქვეყანაზე, რომელიც იქნება ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ. ხვალ არ შევალთ ჩვენ ევროკავშირში და ხვალ

ვერც ნატოში ვერ შევალთ; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ის თაობა, რომელსაც ახლა ველაპარაკები მე, იქნება ორივე ამ სტრუქტურის წევრი და კიდევ ბევრი რამის წევრი. აუცილებლად, იმიტომ რომ, საქართველოს, შეიძლება ვინმე ამბობს, არ გაგვივლია ის წერტილი, უკან მობრუნება რომ არ შეიძლება, დიახ, დემოკრატიაში ჩვენ ეს წერტილი არ გაგვივლია; მაგრამ ევროპისკენ ჩვენ ნაბიჯები გადავდგით იმდენი, საიდანაც უკან მობრუნების შანსი არ არსებობს. მე ვიცოდი და მე ბედნიერი ვარ, რომ ერთი რამ ვინინასწარმეტყველე, ყველამ იცის, რა რთულია წინასწარმეტყველება, ერთი რამ ვინინასწარმეტყველე, ვიზა ლიბერალიზაციის შემდეგ, ქართულ საზოგადოებაში ევროპული მისწრაფებები კი არ შემცირდება, როგორც ეს მოხდა ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ვიზა ლიბერალიზაციის შემდეგ რუსულმა ფრთამ გაძლიერება დაიწყო, არამედ საქართველოში ვიზა ლიბერალიზაციის შემდეგ ევროპული მისწრაფებები გაიზრდება. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ აი, ამ პატარა პროგნოზში მე ვიყავი მართალი და ჩემზე ბედნიერი კაცი არ არის. საერთოდ, ცხოვრებაში, ორი ოცნება მქონდა სულ. ერთი პირადი ხასიათის იყო და მეორე – ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ ოცნებების მიღწევის შემდეგ, მე დავრჩი კაცი ოცნებების გარეშე და მერე დავინყე იმის მიხედვრა, რომ ეს არ არის საკმარისი, დამოუკიდებლობა არ არის საკმარისი. ფერი რუკაზე არ არის საკმარისი. ეს დამოუკიდებლობა უნდა შემოვიდეს შიგნით. საზოგადოება უნდა გახდეს თავისუფალი, პოლიტიკური კლასი უნდა გახდეს თავისუფალი. პოლიტიკური პარტია არ უნდა ლელავდეს იმაზე, გვერდით არ მყავდეს ვინმეო, პირიქით, უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ უნდა ითანამშრომლოს ამ სხვასთან. ეს რთული საქმეა, მაგრამ საქართველოსნაირ ქვეყანას მისჯილი აქვს, იყოს არა მარტო თავისუფალი, არამედ იყოს კოალიციურად თავისუფალი.

10. ზომიერი ოპტიმიზმის საფუძველი

პლურალიზმი არის ამ ქვეყნისთვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენს კულტურას, ვინც იცის განსხვავება კახურ და გურულ სიმღერას შორის; ვინც იცის განსხვავება გურულ, მეგრულ, რაჭულ და ხევსურულ ხაჭაპურს შორის, ისიც უნდა იცოდეს, რომ საქართველო აიტანს პოლიტიკურ პლურალიზმს. პოლიტიკური პლურალიზმის პირველივე ნიშნები იქნება პოლიტიკური კულტურის პირველი „ფრიადი“ ნიშანი. რაც შეეხება საზოგადოების ჩართულობას, საზოგადოების ჩართულობა იზრდება მაშინ, როდესაც მისი ინტერესები არის წარმოდგენილი; რაც ნიშნავს იმას, რომ პლურალისტური მთავრობა ნიშნავს უფრო ჩართულ საზოგადოებას. ეს არის როგორც ორჯერ ორი ოთხი. ამიტომ, იყო კარგი პოლიტიკოსი საქართველოში, ნიშნავს გულშემატკივრობდე სხვების კარგ პოლიტიკოსობასაც. და ყველაზე უფრო კი, ნიშნავს იმას, რომ ხალხს ზემოდან კი არ დაადგე და დაუნყო ქკუის სწავლება, არამედ უყურო იმას, რა დაეხმარება ჩვენს საზოგადოებას, რომ უფრო ჩართული გახდეს. რაც შეიძლება მეტი სივრცე უნდა შეიქმნას მოქალაქეებისთვის, რომ ისინი ჩაერთონ პოლიტიკაში. ამიტომ, იმ ქვეყანას, სოფლის მაცხოვრებელს, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა და სოფელი საერთო ძალებით სახლს უშენებდა, ჩვენ ნუ ვეტყვიტ ახლა, რომ მას არანაირი პოლიტიკურ კულტურა არ აქვს და არ გააჩნია და წარსულიდან მოაქვს მარტო საბჭოთა კავშირი. არა. ჩვენ ნადიც ვიცოდით რა იყო, ჩვენ ხევისბერიც ვიცოდით რა იყო, ჩვენ დამოუკიდებლობა და თვითმმართველობაც ვიცოდით რა იყო, მაგალითად, მთაში ბრწყინვალედ გვექონდა ორგანიზებული თვითმმართველობა. ამიტომ, საქართველოს, რა თქმა უნ-

და, თუ პატნემს¹¹ დავუჯერებთ, აქვს შანსი პოლიტიკური პლურალიზმისა. პოლიტიკური პლურალიზმი, მოქალაქეთა ჩართულობა, გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და საერთოდ გაუმჯობესებული განათლების დონე და ცენზი, როგორც პოლიტიკოსების ისე საზოგადოებისა, იქნება გარანტია იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურა გაიზრდება.

11. Robert D. Putnam (Author), Robert Leonardi (Author), Raffaella Y. Nanetti (Author), Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy 1st Edition. ამ წიგნში პატნემი და მისი თანაავტორები ამტკიცებენ, იტალიის იმ ოლქებში, სადაც თვითმმართველობის ტრადიცია არსებობდა, უფრო იოლად მკვიდრდება დემოკრატიული ცვლილებებიო.

ქართული საზოგადოება და საბჭოთა მემკვიდრეობა

შესავალი

ნებისმიერი ერის ცხოვრებაში ყოველი ისტორიული მონაკვეთი კონკრეტულ დროს, კონტექსტის გათვალისწინებით, კულტურისა და მრავალი სხვა ფაქტორის გავლენით ჩამოყალიბებული აღქმის თავისებურების, აზროვნების მოდელის, ემოციური მდგომარეობის ანალიზის გარეშე თუ აღვიქვით, მშრალი ფაქტები საკმარისად ვერ გაგვიცოცხლებს სურათებს და ვერ გვაგრძნობინებს მარცხის თუ წარმატების, ჩვეულებრივი, ან უჩვეულო ქცევის მიზეზებს. ყველაზე მეტი კვლევა და განსაკუთრებული ავტორების ნაშრომები, მათ შორის ისეთი ფსიქოლოგების, როგორებიც არიან ფილიპ ზიმბარდო და სტენლი მილგრემი, ინსპირირებული იყო ფაშიზმის დროს ადამიანების ფსიქიკაში მომხდარი ცვლილებებით. არა ამ მნიშვნელობის ექსპერიმენტები, მაგრამ მრავალი სტატიაა გამოქვეყნებული საბჭოთა ფსიქოლოგიის, სტალინიზმის, შესწავლის მიზნით.

საბჭოთა კავშირის ნანგრევებში საქართველოს ტრავმირებული მოსახლეობის ფსიქიკური ქრილობების გადამუშავების აუცილებლობა იოლად აღსაქმელია, თუ თანამედროვე ქართულ ფილმებს ან ლიტერატურას გადავავლებთ თვალს, რომელთა დიდი ნაწილი 90-იანი წლების მოვლენებს ასახავს.

თუმცა ფსიქოლოგების მიერ აღწერილი, საქართველოს მოსახლეობის ზოგადი ემოციური დინამიკის შეფასების მცდელობის ან რომელიმე კონკრეტულ თემაზე ჩატარებული კვლევა ვერ მოვიძიე, ამდენად, დამოუკიდებელ ქვეყანაში გაღვიძებული საქართველოს მოქალაქეების ემოციური მდგომარეობის აღწერას ფსიქოთერაპევტის პოზიციიდან უცხოელი ავტორების შრომებზე დაყრდნობით ვეცდები. ტექსტი, რომელიც სხვა ქართველი კოლეგების ნაშრომებს არ ეყრდნობა და პირველ მცდელობას წარმოადგენს, ცხადია, ნაკლებად ამბიციური განაცხადია ყოველი დაკვირვების შემოთავაზებისას.

თავისუფლების მოპოვების შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. თითქმის 30 წელი შეიძლება არაფერი იყოს ზოგადად ისტორიისთვის, მით უმეტეს, როცა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავიდან იბადება ქვეყანა, მაგრამ 29 წელი ცალკეული პიროვნებისთვის დროის დიდი მონაკვეთია. ამ პერიოდში საქართველომ ოთხი ხელისუფლება გამოიცვალა: პირველი სისხლიანი, მეორე უსისხლო აჯანყებით და მომდევნო ერთი აჯანყების ტოლფასი, მაგრამ არჩევნებით შეცვალა. ამავე პერიოდში საქართველომ სამ ომს გაუძლო რუსეთთან, თუმცა, რა თქმა უნდა, დიდი დანაკარგებით.

რა შეიცვალა ადამიანების ცნობიერებაში ამ ხნის განმავლობაში? რა დამოკიდებულება გვაქვს მოვლენების მიმართ თუნდაც ახლა, როდესაც მთავრობებს ვირჩევთ? რას ვეძებთ, რას ვესწრაფვით? საქართველოს მოსახლეობა დღემდე დაეძებს მხსნელს. ლიდერს და მის თვისებებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ საქართველოში არ ენიჭება მნიშვნელობა. სახელმწიფოს მეთაურის არჩევისას, ცხადია, ყველა სხვა ქვეყანაშიც, საბოლოოდ, მთავარი ფიგურა უნდა გამოიკვეთოს, მაგრამ საქართველოში მხოლოდ პოლიტიკოსის განვლილ გზას, თვისებრივ მახასიათებლებს ამომრჩეველი არ სჯერდება და დამატებითი, თითქმის ზეზუნებრივი თვისების მიწერას ცდილობს მისთვის, ვისაც ქვეყნის ბედი უნდა ანდოს. მოგვიანებით, როცა ლიდერი „ჩვეულებრივი ადამიანი“ და მეტიც, „ვიგინდარა“ აღ-

მოჩნდება, ზრდასრული ადამიანები მრისხანებასთან ერთად ერთგვარ „ობლობასაც“ განიცდიან „უპატრონობის“ გამო. რას ნიშნავს მხსნელის ფენომენი? რამდენად მაღალი ღირებულებითი საზრისის მატარებელია ქართული საზოგადოების წარმოსახვაში მხსნელი და რამდენად მერკანტილური, ძალიან მარტივი წარმოსახვა შეიძლება გვექონდეს მათ მიმართ, ვისაც მხსნელად, „პატრონად“ მოვიაზრებთ? 90-იანი წლებიდან დღემდე, რა ემოციური პასუხი ჰქონდა საქართველოს მოსახლეობას უჩვეულო მდგომარეობებსა და ახალ გამოწვევებზე და როგორ ფსიქოლოგიურ ფონზე უწევდა განვითარება? რა ძირითადი ხასიათობრივი თვისებები არის აქცენტირებული ხალხში, ნავიდა თუ არა ახალშობილი ქვეყნის მოსახლეობა წინ ფსიქოლოგიური და მოქალაქეობრივი ზრდასრულობის მხრივ და შეეძლო თუ არა მეტი პროგრესის მიღწევა?

ამ და სხვა საკითხებს პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ განვიხილავთ, თუმცა ტექსტის მიზანი ნაკლებადაა პოლიტიკური ფაქტების ანალიზი, პოლიტიკურ დინამიკას მხოლოდ ზოგადი ფონის სახით გადავავლებთ თვალს, ნათელი რომ გახდეს სხვადასხვა სახის ფსიქიკური რეაქციის მიზეზები, თუმცა, თავის მხრივ, შესაძლოა, პირიქით, ერთ მოვლენაზე ფსიქიკური რეაქცია მივიჩნიოთ მისი მომდევნო პოლიტიკური ფაქტების ლოგიკურ განმაპირობებლად. ასევე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტში აღწერილი სურათი ისტორიის კონკრეტულ, მოკლე მონაკვეთში გამოკვეთილი ტენდენციების, ემოციური მდგომარეობების ცვალებადობის ასახვაა, რაც, თავისთავად ცხადია, არ ნიშნავს მუდმივ მდგომარეობას და არ ამტკიცებს, რომ ერის თვისებრივი მახასიათებლები უცვლელია.

ტექსტში გამოყენებული სამედიცინო ტერმინები კლინიკური მდგომარეობის, მოსახლეობის დიაგნოზის პირდაპირი გაგებით განსაზღვრას არ ემსახურება, მხოლოდ განზოგადებული პარალელია ამა თუ იმ მასობრივ ფსიქიკურ მდგომარეობასთან.

საბჭოთა ტაბუ

ჯერ კიდევ 29 წლის წინ ჩვენ ვცხოვრობდით იმპერიაში, რომელშიც არა მარტო ცოცხალი გვამების, არამედ მუმიის თაყვანისცემასაც გვაიძულებდნენ. ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს, მოსკოვში, მავზოლეუმის წინ, ახსოვთ უზარმაზარი რიგები, რომელსაც ლენინის საკულტო მუმიამდე უნდა მიეყვანე. და ხალხი ამ კარიკატურული ახალი რელიგიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი არ ყოფილა, რადგან სიმბოლიკა, დოგმატიკა და რიტუალი წააგავდა არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ პრერელიგიურ, იმ პირველყოფილ რიტუალებსაც, კაცობრიობის კოლექტიური არაცნობიერი მეხსიერება რომ ინახავს და, განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობებში ვლინდება.

სსრკ-ში ხმამაღალი იყო ყველაფერი, – მყვირალა მუსიკა რესტორნებში, ჟურნალისტების მაღალფარდოვანი ინტონაცია, კომკავშირის სხდომები, ადამიანებს შორის სალაპარაკო ენა, გარდა რეალობის ობიექტური აღწერისა და კრიტიკის გამოხატვისა. ამ უკანასკნელზე ადამიანები ჩურჩულს იყვნენ დაჩვეული და ისიც – განსაკუთრებით სანდო წრეში. „კედლებსაც კი ყურები აქვთ“, – ეს ფრაზა ბავშვებმაც დაბადებიდან იცოდნენ.

რეპრესიების შიშით, თვითგადარჩენის მიზნით და ადგილის დასამკვიდრებლად, ინტელექტუალური საზოგადოებაც კი იშვიათად უკადრისობდა ამგვარ გროტესკულ რეალობას და უმეტესწილად, იოლად თმობდა პოზიციებს. ბევრი მათგანი წრფელი რწმენითაც იზიარებდა იდეოლოგიას, „დაუღუჭავად ყლაპავდა“ პროპაგანდას, რაც, სავარაუდოდ, თავდაცვითი რეაქცია იყო საკუთარი თავის ზიზლისგან გადასარჩენად. საუკეთესო მოაზროვნეები და პოეტებიც კი აღავლენდნენ ხოტბას და ლექსებს უძღვნიდნენ ლენინს და კომპარტიას.

ხალხს ღრმად ჩაებეჭდა შიში სტალინის რეპრესიებისას მილიონობით ადამიანის დახვრეტის ან გადასახლების მომსწროების გამო. სსრკ-დან ემიგრაციაში ვერსად წახვიდოდი. ბედს შე-

გუებულ ადამიანებს მკაცრად ვერ განვსჯით – მათ ფანტაზიაში სსრკ-ის დანგრევის შესაძლებლობის მომნიშვნას, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, დრო სჭირდებოდა.

საქართველოში დღესაც ბევრს შეხვდებით, ვინც ჯერაც ვერ მიმხვდარა, რომ სსრკ ნამდვილად დაინგრა, ვერ მოერგო ახალ რეალობას და არც რუსეთს მიიჩნევს მტრად. მოსახლეობის ეს ნაწილი წარსულს როცა იხსენებს, სიმპათიით აღნიშნავს სიმშვიდეს, რომლითაც უყურებდნენ მომავალს, რადგან მეტნაკლებად ზუსტად იცოდნენ, რა ელოდათ ხვალ. რა თქმა უნდა, უამრავი ტრავმითა და გასაჭირით გადაღლილ ადამიანს შეიძლება მოენატროს განერილი ყოფა, ამაში არაფერი იქნებოდა უცნაური, რომ არა უახლესი წარსულის არასწორი ინტერპრეტაცია, როცა იგივე ადამიანები სსრკ-ს, თუნდაც, თანასწორობის მაგალითად იხსენებენ.

სინამდვილეში, სსრკ-ში, რა თქმა უნდა, არავითარი თანასწორობა არ არსებობდა და, პირიქით, უამრავი პრივილეგიით სარგებლობდა საზოგადოების ზოგიერთი ფენა, თუმცა უნდა აღინიშნოს, პრივილეგიები ხშირად ისევე კომიკურად გამოიყურებოდა, როგორც მთლიანად სსრკ, მაგალითად, „ჩვეულებრივი“ ადამიანი ვერ მოხვდებოდა სპექტაკლის ან კინოს პრემიერაზე, რომლებზეც მოსაწვევები მხოლოდ პრივილეგირებულებს ეკუთვნოდათ, ვერ დაისვენებდა პრესტიჟულ აგარაკებზე, არა იმის გამო, რომ ღარიბი იყო – სსრკ-ში ხომ თითქმის ყველა ღარიბი იყო, – არამედ იმიტომ, რომ სტატუსით „არ ეკუთვნოდა“. ერთი და იგივე ადამიანები, ერთი მხრივ, ამუნათებენ იმდროინდელ პრივილეგირებულებს, მეორე მხრივ, გიმტკიცებენ, რომ ყველაფერი თანასწორი, გამართული და კარგი იყო. რა თქმა უნდა, არც ფსიქოლოგიური და არც ფინანსური სასტარტო პირობები არცერთ ქვეყანაში ყველა ადამიანისთვის თანაბარი არ არის, მაგრამ შანსი, დაისახო და მიაღწიო მიზანს, თვით ისეთ კორუმპირებულ და ინსტიტუციურად გაუმართავ ქვეყანაშიც კი, როგორც საქართველოა, დღეს გაცილებით მეტია, ვიდრე სსრკ-ში იყო, თუმცა, ცხადია, ტემ-

პის შეგრძნება და აქტიური ბუნება მეტად არის საჭირო, ვიდრე მდორე სსრკ-ში.

სსრკ-ის არსებობის ბოლო ათწლეულებში ბელადის კულტის მიმართ უკვე არსებობდა ირონიული დამოკიდებულებაც, იქმნებოდა ფუნაგორიები, ადამიანები ჰყვებოდნენ ანეკდოტებს, – თავიდან ჩურჩულით და სანდო გარემოში, შემდეგ უფრო და უფრო დაუფარავად. იუმორი მხოლოდ ერთი შეხედვით იბადება სპონტანურად, სინამდვილეში, სანამ გარეთ გადმოდინდება, ფორმდება ქვეცნობიერში და ქვეცნობიერშივე კრებს მხარდამჭერებს, ვისთანაც შემდეგ გაზიარდება. სიცილი პირველი კარგი სიმპტომი იყო იმისა, რომ აზრის ლიდერები მოახერხებდნენ გროტესკული იმპერიის მიმართ მოკრძალებისა და შიშის შერყევას. ასეც მოხდა, დალპა და საბოლოოდ დაინგრა კიდევც სსრკ, მაგრამ განვლილი წლების დამლა ცნობიერებიდან იოლი მოსაშორებელი არ აღმოჩნდა – ფსიქიკა ვერ გათავისუფლდა რეგრესული მდგომარეობისგან, რაც, უპირველესად, დამოკიდებულ ფსიქოლოგიასა და კერპების მოთხოვნილებაში გამოიხატება, დღესაც, 21-ე საუკუნის საქართველოში.

დამოკიდებული პიროვნების აშლილობა: დიდი თუ მცირე ცხოვრებისეული გადანყვეტილებების მიღებისას სხვა ადამიანებზე პასიური დაყრდნობა, მარტოობის გამოხატული შიში, უძლურების განცდა და დამოუკიდებელი მოქმედების უუნარობა, სხვისი (კერძოდ უფროსების) სურვილებისადმი მორჩილება, ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნებზე სუსტი რეაგირება. ენერჯის უკმარისობა შეიძლება გამოვლინდეს ინტელექტუალურ და ემოციურ სფეროებში; ხშირად აღინიშნება პასუხისმგებლობის სხვაზე გადატანის ტენდენცია. მოიცავს ასთენიურ, პასიურ და „დამარცხებულ“ პიროვნებებს (პიროვნების აშლილობა), რომლებიც სხვა კლასიფიკაციებშიც ფიგურირებენ.¹

1. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფსიქიატრიის ლექსიკონები, თბ., გიორგი ნანეიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2005, გვ. 125.

ზიგმუნდ ფროიდის ნაწარმოებში, „ტოტემი და ტაბუ“, აღწერილია, როგორ მიაწერენ ადამიანები ბელადს ან ქურუმს ღვთაებრივ თვისებებს, გადაიტანენ მასზე ყველა პროექციას, მაგრამ შემდეგ, თუ ნახევარღმერთი რომელიმე კონკრეტულ იმედს გაუცრუებს, ხალხის რადიკალური სიძულვილი შეუბრუნდება. „ტოტემი და ტაბუ“ ეყრდნობა ავსტრალიელი აბორიგენების ბაზაზე კვლევებს და დაკვირვებებს და, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი ანალოგის პოვნა შეგვიძლია მათ ქცევებთან და დამოკიდებულებებთან, თუნდაც ცხოველურ შიშამდე მისული მოკრძალების სახით, თუ როგორი ტაბუდადებული და ხელშეუხებელი ხდება ბელადის ქონება, ნათესავი და ა.შ. და მათ აღარც კანონი ეხება და აღარც რაიმე დამამუხრუჭებელი მექანიზმი მუშაობს.

საბჭოთა ადამიანის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის იდეოლოგებმა ორმაგი ტაბუ გამოიყენეს – მბრძანებელთა ტაბუ (ცოცხალი ღმერთი სტალინი და შემდეგ – ყველა მომდევნო ცეკას მდივანი) და მკვდრების ტაბუ (ლენინის მუშია).

„მკვდრები წარმოადგენენ ძლიერ მბრძანებლებს. შეიძლება გაგვიკვირდეს იმის გაგება, რომ ისინი განიხილებიან, როგორც მტრები“².

პირველყოფილ ტომებში მიცვალებულთა მიმართ ტაბუს განაპირობებდა გარდაცვლილთა სულების შესახებ წარმოდგენები, მგლოვიარეთა ქცევა და, ამავე დროს, ობიექტური გამოცდილება, – ინფექციები, რომლებიც ცხედრისგან ვრცელდებოდა. მკვდრის შიში, მიცვალებულის მიმართ განსაკუთრებული მოკრძალება, რომელსაც დღესაც განიცდის ადამიანების დიდი ნაწილი, უხსოვარი დროიდან ამ რეალური საფრთხითაც არის განპირობებული და კოლექტიურ არაცნობიერში შიშად დაღეჭილი, რაც მიცვალებულს დაავადებების სახით მოჰქონდა ადამიანებისთვის. აქედან გამომდინარე, მკვდარი ლენინი და ცოცხალი სტალინი იდეალურად სრულყოფილი საშიშროე-

2. ზიგმუნდ ფროიდი, „ტოტემი და ტაბუ“, თბილისი: გეო 2015, გვ. 69.

ბა იყო სსრკ-ის მოსახლეობისთვის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ დონეზე.

„პრიმიტიული ხალხების ქცევა ბელადების, მეფეების, ქურუმების მიმართ იმართება ორი ძირითადი პრინციპით, რომლებიც უფრო ერთმანეთს ავსებენ, ვიდრე ეწინააღმდეგებიან. მათ უნდა მოვუფრთხილდეთ და მათგან თავი უნდა დავიცვათ. ერთიც და მეორეც ტაბუს მიწერილობების უსასრულო რიცხვის დახმარებით სრულდება“³.

ტაბუს ახასიათებს თვითრეგულაცია. შეიძლება რომელიმე ჯგუფს არავინ უკარნახოს, რომელი ადამიანი არ უნდა გაუშვან წინ, ვისი დაჩაგვრა შეიძლება და ვისი არა, მაგრამ საკმარისია იცოდნენ, რომ ის ბელადს არ მოსწონს, საზოგადოების დიდი ნაწილი კეთროვანივით ექცევა მას, თუნდაც, სანამ ბელადი აითვალწუნებდა, ეს ადამიანი მათი კარგი ნაცნობიც კი ყოფილიყო. და პირიქით, ყოველგვარი კარნახის გარეშე ენიჭება პრივილეგია ბელადთან ოდნავ დაახლოებულ პირს. ამას შინაგანად თვითონ ადამიანები წყვეტენ და ამგვარად აცოცხლებენ პირველყოფილ მოჯადოებულ წრეს, რომელიც პროგრესს აფერხებს.

ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ემატება სასულიერო პირების, როგორც ძველი ქურუმების მიმართ ტაბუ, რაც უსაზღვრო თავისუფლებას ანიჭებს ეკლესიის მსახურებს. მათ მიმართ ტაბუ კიდევ უფრო მდგრადი და ძლიერია, რადგან საკმარისია, კოსტიუმი გამოიცვალონ, შესაფერად შეიმოსონ, ხალხის წარმოდგენაში, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, „ზედალასთან აქვთ კონტაქტი“.

ტაბუს ახასიათებს ამბივალენტობაც: როგორც ფროიდი ამბობს, რაც აკრძალვას საჭიროებს, მის უკან სურვილი იგულისხმება. ამგვარად, ბელადის გაფეტიშებისა და განადგურების, ტაბუს დაცვის და ტაბუს დარღვევის სურვილი ადამიანებში ერთდროულად არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართვე-

3. იქვე, გვ. 55.

ლოში სიძულვილ-სიყვარულის ეს ტიპური ციკლი მეოთხედ მეორდება, ხელისუფლებები მაინც ვერ აღიქვამენ პოზიციის დათმობის გარდაუვალ დროულობას და აქამდე არ გვეყოლია მთავრობა, რომელსაც არ გასჩენოდა სამუდამოდ ტახტზე ყოფნის ცდუნება. მიუხედავად იმისა, რომ დამოკიდებულება მეორდება, მცირე პროგრესი გვაქვს, – მართალია იძულებით, მთელი ძალის მოკრებით, მაგრამ ერთხელ მოვახერხეთ მთავრობის არა დროზე ადრე გაგდებით, არამედ არჩევნებით ცვლილება.

„ხელმწიფის სიცოცხლეს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ არ შეასრულებს ვალდებულებას, რომლებიც მის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, მართავს რა მოვლენათა მსვლელობას ბუნებაში საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ. როგორც კი შეანელებს ან შეწყვეტს ამის კეთებას, მზრუნველობა, ერთგულება, რელიგიური თაყვანისცემა, რომელთა საგანი აქამდე ის იყო, სიძულვილად და ზიზლად გარდაიქმნება. მას სამარცხვინოდ აძევებენ და კმაყოფილი უნდა იყოს, თუ სიცოცხლეს შეინარჩუნებს. შეიძლება ისე მოხდეს, დღეს მას თაყვანს სცემენ, როგორც ღმერთს, მაგრამ ხვალ მოკლავენ, როგორც დამნაშავეს. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ მისი ხალხის ეს ცვალებადი ქცევა ჩავთვალოთ, როგორც ცვალებადობა ან წინააღმდეგობა, პირიქით, ხალხი სრულიად თანმიმდევრულია, თუ როგორც ისინი ფიქრობენ, მათი მეფე მათი ღმერთია, მან საკუთარი თავი მათ დამცველად უნდა გამოავლინოს, თუ მას მათი დაცვა არ სურს, მაშინ ადგილი სხვას უნდა დაუთმოს, რომელიც უფრო მზად არის მათი სამსახურისთვის“.⁴

სსრკ დაინგრა, როგორც იმპერია, მაგრამ მენტალურ სიღრმეებში გამძვადარი ტახტუს ზემოქმედება ჯერ კიდევ არ განელებულა. დამოუკიდებლობის მოპოვებებიდან დღემდე, საქართველოშიც ამგვარი თანმიმდევრულობით ვეძებთ და ვირჩევთ ახალ „ღმერთს“, „მხსნელს“.

4. იქვე, გვ. 59.

ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდია

თავისუფლების იდეა, ერთ-ერთი ყველაზე ირაციონალური ღირებულება, უფრო ოცნების მსგავსი, რომელსაც ვერ მისცემ ფორმას, რომელსაც უამრავი წესი უდგენს ჩარჩოს და ზღუდავს და რომელიც მხოლოდ გარკვეული დოზით და დროით შეიგრძნობა, ამიტომაცაა მიმზიდველი, რომ სრულყოფილი სახით არავის გააჩნია. ყველაზე ყბადაღებული, არა ქცევის, არამედ სიტყვის თავისუფლებაც კი არასდროსაა გაუკონტროლებელი. ყველა ეპოქა თავისებურ ცენზურას აწესებს და აკონტროლებს ხელოვნების ნაწარმოებებსაც კი.

ამდენად, ყველა ჩვენგანი ირჩევს, რის თავისუფლების უფლება მისცეს თავს, რის სამაგიეროდ. თავისუფლებასთან უპირველესად სიტყვა დამოუკიდებლობა ასოცირდება და ჩვენც მოგვინდა, გვექონოდა დამოუკიდებელი ქვეყანა, თავისუფალი სხვისი დიქტატისგან. დამოუკიდებლობას, ისე როგორც ყველაფერს, დიდი საფასური აქვს, თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, თავისუფლების ფასი ყოველთვის უფრო გამართლებულია, ვიდრე დამოკიდებულების. მაგრამ ეს ცალკე ვრცელი მსჯელობის თემაა.

და აი, დადგა პირველი „მხსნელის“ ჯერი: გაჩნდნენ ლიდერები, რომელთაც საკმარისად კარგი ფანტაზია აღმოაჩნდათ საიმისოდ, რომ სსრკ-ის დაშლა წარმოედგინათ და ეს იდეა ერისთვის სრულიად აღმაფრთოვანებელი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ „სამშობლო“ სსრკ-ის მოქალაქე ქართველისთვის პოეტიკის იქით, რაციონალურად ვეღარ განიცდებოდა (ალბათ საინტერესო იქნებოდა, გვეკვლია ფერეიდნელ ქართველებში სამშობლოს იდეის პოეტიკა და შეგვედარებინა სსრკ-გამოვლილი ქართველის მითოსისა და პოეტიკისთვის ძველი საქართველოს შესახებ, რომელიც საკუთარი იდენტობის ფესვად მიგვაჩნია და ჩვენს ეროვნულ და პირად სიმბოლიკაში ქვეცნობიერის სიღრმეშია დასაწყობებული).

სსრკ-ის დროს საქართველოს ისტორიაც დიდწილად პარტიის ინტერესებისა და იდეოლოგიის მიხედვით ისწავლებოდა და შესაბამისად აფორმებდა ქართველების ცნობიერებაში დაბალი თვითშეფასების ჩამომყალიბებელ კლიშეებს, მაგალითად, ამგვარს: რომ ქართველები მუდმივად ერთმანეთს ლალატობდნენ, სულ დაქუცმაცებული იყვნენ, ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ და მთელი ქართული ისტორია ლალატის ისტორიაა; დაბოლოს, როცა ქვეყანა სულ დაიცალა სისხლისგან, რა თქმა უნდა, მხსნელად გამოჩნდა რუსეთი. ლოგიკა, თუ ამდენი ცუდი თვისების მქონე, მოღალატე ხალხით დასახლებული პატარა ქვეყანა როგორ გადაურჩა მრავალრიცხოვან მტერს, კომპენსირებული იყო ერთეული გამორჩეული გმირობის მაგალითებით, რაც ასევე ახდენს რეალური ეროვნული თვითშეფასების დემორალიზაციას და ისევ და ისევ განამტკიცებს „მხსნელის“ და „მსხვერპლის“ აუცილებლობას გადარჩენასა თუ წარმატების მიღწევაში.

საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა ცნობიერების ამ მდგომარეობით, როცა არც საკუთარი სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ მეხსიერება აღარ გაგვაჩნდა და არც თანამედროვე მსოფლიოს კონტექსტში შეგვეძლო ჩვენი თავის რაციონალურად წარმოდგენა, რადგან რკინის ფარდის მიღმა, მსოფლიოს შესახებაც ფაქტობრივად ისეთივე ფანტაზიური, სიზმრის მსგავსი, მითური წარმოსახვა გვექონდა, როგორც საკუთარი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულის შესახებ.

ამასთანავე, არა რაიმე მეტათეორიული, არამედ სრულებით პრაგმატული საკითხების, ეკონომიკური გადარჩენის მხრივაც, ერთნლიანი გეგმაც კი არავის ჰქონდა, სსრკ-ის ნანგრევებში მოყოლილებს მეტ-ნაკლებად უკეთ რომ გაგვეტანა თავი, მაგრამ ამას დადებითად თუ შევაფასებთ, რადგან ვინ იცის, მომავალი დღის უკეთ გააზრების შემთხვევაში ამდენი მომხრე ვერც შეეძინა ეროვნულ მოძრაობას და დაკარგულიყო ის აღმაფრენა, უძლეველობის, ყველა დაბრკოლების გადალახვის რწმენა, რომელიც სახლიდან წასასვლელად ამბობებულ მო-

ზარდებს ახასიათებთ და რომელმა ალტყინებამაც მოიტანა თავისუფლება.

დამოუკიდებლობის მოპოვებას წინ უძღოდა 9 აპრილი, როცა რუსულმა ჯარმა დემონსტრანტები გადათელა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. დამოუკიდებლობის ზეიმის ეიფორიას აძლიერებდა ეს ტრაგედია, გლოვის მდგომარეობა. გრძნობების ამ სრულყოფილი პალიტრის ნაერთმა, ზეანეულმა განწყობამ რომ გადაიარა, ქვეყანა ყველა პრაქტიკულ პრობლემას ერთდროულად შეეჯახა. „ბალახს შევჭამთ, ოღონდ დამოუკიდებლები ვიყოთ“ – ეს პათოსი რეალობაში ასეთივე შემართებით არ განიცდებოდა, მოსახლეობის ალგზნებული ფსიქიკისთვის რთული ამოცანა აღმოჩნდა უამრავი სახის გასაჭირის თმენა. ამას დაერთო სოციალურ ჯგუფებს შორის უკმაყოფილების ზრდა, რადგან ზოგიერთი მათგანი თავს პროცესებისგან გარიყულად გრძნობდა, ზოგი შერისხულად, ზოგი დომინანტობის მოპოვებისთვის იბრძოდა. მთავრობის მხრიდან ხშირად გაისმოდა ეპითეტები – „ხალხის მტერი“, „სუკის აგენტი“. საპირისპიროდ იმართებოდა საკმაოდ აგრესიულად დამუხტული დემონსტრაციები. ჯგუფებს შორის დაპირისპირებას, ცხადია, აღრმავებდნენ რუსული სპეცსამსახურებიც და ძალიან მალე, დაახლოებით რვა თვეში, 87%-ით არჩეული პრეზიდენტი სწრაფადვე იქცა ტომის იმ ბელადად, „ამინდი რომ ვერ დაიმორჩილა, მოსავალი დაიხრუკა“ და მისი დასჯის დრო მოახლოვდა. საქმე შეიარაღებულ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდა.

ეს იყო უდიდესი ტრაგედია. საქართველოში, მცირერიცხოვან მოსახლეობაში, ვერ გაისვრი ტყვიას, რომ ის არ მოხვდეს ადამიანს, რომელიც რალაციით არ გიკავშირდება; ის ან ნათესავი აღმოჩნდება, ან მეზობელი, ან მეგობრის მეგობარი. გამოთქმას, „ძმათამკვლელი ომი“ საქართველოში არა, ფიგურალური, არამედ პირდაპირი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, ამან გამოიწვია საშინელი, შეუქცევადი მტრობა ადამიანებს შორის და ეს ქრილობა დღესაც ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ შეხორცდა.

ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო.

ამავე პერიოდში დაიწყო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სადაც უამრავი ადამიანი დაიღუპა, უამრავი კი დევნილად იქცა საკუთარ სამშობლოში, დავკარგეთ ტერიტორიებზე კონტროლი.

ამას მალევე მოჰყვა ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული სიკვდილიც, რომელიც ჯერაც არ არის გამოძიებული, მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა, როგორც პირველად გავრცელებული ინფორმაციით ირწმუნებოდნენ.

აქედან ამოდრომა ნებისმიერ ერს გაუჭირდებოდა, მით უმეტეს ერს, რომელსაც აღარ ახსოვს, როგორია, ჰქონდეს სამშობლო.

მანიური ფაზა

დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე დაკვირვებით, საქართველოს მოსახლეობას გუნება-განწყობისა და ენერჯის ბიპოლარული ბალანსი აქვს, ან უფრო სწორი იქნება ითქვას, დისბალანსი, რომელიც ხასიათდება მანიური და დეპრესიული ფაზების მონაცვლეობით. ნებისმიერ ერში, პიროვნულ დონეზე განსხვავებული ადამიანები არსებობენ, ზოგს შრომისა და აქტიურობის თანაბარი, რუტინული ენერჯია აქვს, ზოგს იოლად განლევადი, მაგრამ კრებითად ერში ენერჯის ტიპი ერთგვაროვნად იჩენს ხოლმე თავს.

დიმიტრი უზნაძე (ქართველი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი 1887-1950) წერდა:

„ქართველს აკლია დაუინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს; მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავინყებითი ჭაპანის ნევა... პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქ-

მეებისა... ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს. მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქს. გული აინთება – ნებაც მოქმედებს, მაგრამ გული მალე ცივდება და ნების მაჯისცემა უმაღლე წყდება. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერჯის გამძლეობის მხრივ საგრძობლად არ კოჭლობდეს. პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანთებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის; დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნის დონეს მიაღწევდეს, და გულთან ერთად ნებაც დუნდება და დაწყებული საქმე ანაზ-დად წყდება.“

ეროვნული მოძრაობა იყო საქართველოს მოსახლეობის ენერჯის ამოფრქვევის პირველი მანიური ფაზა ისტორიის ამ მონაკვეთში, რომელმაც შეგვაძლებინა ზელირებულებითი იდეის ირგვლივ გაერთიანება და ძალის მოკრება დიდი ბრძოლისთვის. მანიური ფაზა ხასიათდება აჟიტაციით, აღმაფრენით, როცა არაფერი გეჩვენება შეუძლებლად და საკუთარი თავის, როგორც ძლევამოსილის შეგრძნება გეუფლება, ამიტომ ქცევა ხდება რისკიანი, თავზეხელაღებული და ხშირად დესტრუქციულიც.

„მანიურ ფაზაში ადამიანები ექსტრაორდინარულად აქტიურები (ჰიპერაქტიურები) ხდებიან, ნაკლები სძინავთ, შეუძლიათ შეიმუშაონ გრანდიოზული გეგმები, სწამთ, რომ ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეუძლიათ, რასაც დაისახავენ.“ DSM-5 – ში ხაზგასმულია „მუდმივად მზარდი აქტივობა ან ენერჯია“⁵.

ენერჯის მსგავსი აკუმულაციის დროს, როგორც წესი, ქართველი ხალხი აღწევს ხოლმე შედეგს, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მანიური ეპიზოდი სწრაფად განილევს და შემდეგ დგება დეპრესიული ფაზა, რომელიც დიდხანს გვიგრძელდება. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირდაპირ დეპრესია არ დამდგარა, მას წინ ბევრად რთული ფსიქიკური მდგომარეობა უძლოდა.

5. David H. Barlow, Vincent Mark Durand, *Abnormal Psychology: An Integrative Approach*, Cengage Learning 2012, გვ. 210.

მასობრივი რეაქტიული ფსიქოზი

„რეაქტიული ფსიქოზი გარესამყაროს მოვლენით განპირობებული, განვითარებად ფსიქოზთა ჯგუფის განმსაზღვრელი ტერმინია, – მაგალითად, პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი დანაკლისი, შეურაცხყოფა, სტიქიური უბედურება. უმეტესად, ეს ფსიქოზები ხანმოკლეა და თითქმის ყოველთვის მაპროვოცირებელი ფაქტორის გაქრობის შემთხვევაში მთავრდება. მათი ფორმა და შინაარსი გამომწვევი მოვლენის ბუნებას ასახავს“.⁶

სსრკ-ში გარეგნულად მშვიდ ყოფას მიჩვეულმა დაგუბებულმა, ჩაჩუმებული შინაგანი აგრესიით სავსე ადამიანების შედარებით ახალგაზრდა თაობამ პირველად ნახა სისხლი – ჯერ 9 აპრილს, რასაც მალევე მოჰყვა ქვეყნის შიგნით ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა, პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევება და რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტი.

1993 წელს ქართველები აფხაზეთიდან გამოვიდნენ და უკიდურესად გაჭირვებული დევნილები შეეხიზნენ არანაკლებ გაჭირვებულ დანარჩენ საქართველოს, განსაკუთრებით, დედაქალაქს. ქვეყანა დარჩა ყველა სახის საფრთხის და გასაჭირის პირისპირ, მხოლოდ უცხოური ფონდების დახმარებაზე დამოკიდებული, ყოველგვარი პოლიტიკური გამოცდილების გარეშე. არ იყო ელექტროენერგია, გაზი, ფული, სამსახური, საკვები.

ყველაზე დრამატული მოსახლეობის ფსიქიკის ის უკიდურესად აღგზნებული მდგომარეობა აღმოჩნდა, რაც გამოიწვია წაგებულმა ომმა, მეომრებში ომის სინდრომმა, რადგან დამარცხებულ ჯარს ფიანდაზით არავინ ხვდება, უამრავი ტრაგიკული სიკვდილის ფაქტმა, მარცხში ერთმანეთის დადანაშაულებამ, მით უმეტეს, რომ ომი დაიწყო, როცა ქვეყნის შიდა დაპირისპირების შედეგად მიღებული ტრავმები ჯერ კიდევ არ მოშუშებულიყო. ადამიანებში მრავლობითი მარცხის განცდით გამოწვეულ აფექტურ მდგომარეობას მოჰ-

6. „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფსიქიატრიის ლექსიკონები“, გვ.135.

ყვა უმძიმესი წლები, რომელსაც რუსეთთან ომზე არანაკლები ადამიანი შეენირა.

შეცვლილი ფსიქიკური სტატუსის ფონზე, ხალხში ძალიან ბევრი იარაღი იყო და თითქმის ყოველდღე ხდებოდა სასტიკი მკვლევლობა, ძარცვა ან სრულიად უმიზეზო თავდასხმები ერთმანეთზე. იმ პერიოდში ქვეყნის თავდაცვის მიზნით მოხალისეებისგან შექმნილი გასამხედროებული გაერთიანებების იმ ნაწილის გარდა, რომლებიც ომის დროს მაროდორობაშიც იყვნენ დადანაშაულებული და ომის შემდეგაც სისასტიკით გამოირჩეოდნენ, ემატებოდა მოზარდების შეიარაღებული ბანდების აღმოცენება თბილისის ყველა უბანში, რომელთაც რამდენიმე წელიწადში თითქმის სრულად ამოხოცეს ერთმანეთი და შეინირეს ბევრი მშვიდობიანი მოქალაქეც. ჩაბნელებულ ქვეყანაში არც საკმარისი სავაჭრო ტერიტორია იყო, მით უმეტეს, არც თავშეყრის ადგილი და ის მცირე, რაც მაინც არსებობდა, გისოსებით იკეტებოდა. მოსახლეობა გისოსებს ამაგრებდა საცხოვრებელი სახლების ფანჯრებზეც, მიუხედავად იმისა, რომელ სართულზე ცხოვრობდნენ, რადგან მძარცველები აღწევდნენ ყველგან.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ცხადი გახდა – ადამიანები მოულოდნელი მომავლისთვის, მოულოდნელი მდგომარეობებისთვის მოუმზადებელი, აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდნენ, ხოლო აქამდე დაფარულმა და გაკონტროლებულმა აგრესიამ მთელი ძალით იჩინა თავი და, პრაქტიკულად, როგორც კი „ბავშვები სახლში მარტო დარჩნენ“, ვისაც ვისი შურდა, ვისაც ვინ არ მოსწონდა, ერთმანეთს დაერია. ადამიანებმა აბსოლუტურად დაკარგეს სახე. საშინელებათა ჟანრის ფანტაზია რა ფორმას აღარ იღებდა: ოჯახებში გასაძარცვად შეჭრილი კრიმინალები მძევლებს ცხელი უთოთი აწამებდნენ, ქუჩაში ტანსაცმლის წართმევის მიზნით კლავდნენ, მიცვალებულის კუბოს თავსახურსაც კი იპარავდნენ და გამოსასყიდს სთხოვდნენ ოჯახებს, რომელთაც იმ უკიდურეს გაჭირვებაში და, ფაქტობრივად, სრულად მოშლილ ქვეყანაში, ახლის სწრა-

ფადვე დამზადება არ შეეძლოთ და იძულებულნი იყვნენ, გამოსასყიდი გადაეხადათ.

გამოვლილი ფსიქოზური პერიოდის კვალი აღიბეჭდა ყველა ჩვენგანზე, ვინც უშუალოდ გამოსცადა და მათზეც, ვისაც ჩვენი ფსიქიკის ნანგრევებში მოუწია დაბადება და გაზრდა.

ელჟარდ შივარდნაძე

„მას კარგი კონტაქტები აქვს“, „მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსია“, „აქვს მართვის გამოცდილება, გადაგვარჩენს“ – ფრაზები, რომელიც გაისმოდა, თითქოს რაციონალურად უღერს, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ელჟარდ შივარდნაძის გამოცდილებაც საბჭოური გახლდათ და რაც მთავარია, ხალხში ისევ დამოკიდებული ფსიქოლოგიის კვალდაკვალ ახალი „მამის“ ძებნის სურვილი ჩანს.

რადგან ახალი – ძველი „მამა“ ასაკოვანი იყო, მას ქართველებმა „ბაბუ“ შეარქვეს, თუმცა არსი უცვლელია – „მშობელი“, „პატრონი“.

ბელადების კულტი ერთი ფაქტორის დაზუსტებას მოითხოვს – რას ნიშნავს მხსნელის გამოჩენა? რამდენად მაღალი ღირებულებითი საზრისის მატარებელია ქართული საზოგადოების წარმოსახვაში მხსნელი და რამდენად მერკანტილური, ძალიან მარტივი წარმოსახვა შეიძლება გვექონდეს მათ მიმართ? როგორც წესი, „პატრონის“ მიმართ მოლოდინები შერეული ხასიათისაა, ღირებულებითი მოლოდინიდან უკიდურესად მერკანტილურამდე. რადგან ზემოთ ნახსენები სიტყვა „კონტაქტები“ სსრკ-ში ბევრად მეტს გულისხმობდა, ვიდრე ინსტიტუციურად გამართულ ქვეყნებში შეიძლება ნიშნავდეს, რაციონალურ და მით უმეტეს, მაღალ ღირებულებით მოლოდინებზე ლაპარაკიც ზედმეტია. „თუ ნაცნობი არ გყავს, ვერაფერს გახდები“ – ეს ფრაზა ვრცელდებოდა და დღემდე ვრცელდება ცხოვრების ყველა კრიტიკული მოვლენის პასუხად პოსტსაბ-

ჭოთა ქართველის ფსიქოლოგიაში და „შევარდნაძის კონტაქტების“ მიმართაც ასეთივე ინფანტილური დამოკიდებულება ჰქონდა ხალხს – რომ ამიერიდან მისი დასავლელი მეგობრები ჩვენს მაგივრად ააშენებდნენ ქვეყანას. თუმცა ღირებულებითი მოლოდინი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება, ახალ ეტაპზე გადასვლა. ჯერ კიდევ იმ დროს ორი აზრი თითქმის არ არსებობდა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური გზით უნდა ევლო და გაქცეოდა რუსეთის გავლენასაც და აგრესიასაც.

ე. ნ. „შევარდნაძის დრო“ მძიმედ დაილექა მესხიერებაში – შეიარაღებული ბანდების თარეში, სიბნელე, გაჭირვება, კორუფცია, ქაოსი, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ხალხში, თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ მაინც მოხდა: ქვეყანამ მიიღო საერთაშორისო აღიარება, თანდათან აილაგმა უკანონო გასამხედროებული ორგანიზაციების თვითნებობა, რამაც შედარებით სტაბილურობის განცდა მოიტანა, ამას მოჰყვა ნავთობსადენის გაყვანა, მცირე კომპონენტი მომავალი უსაფრთხოებისთვის, და გაიბა დიპლომატიური კონტაქტები, დაიწყო საელჩოების გახსნა სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ჩვენს ქვეყანაშიც გაიხსნა უცხო ქვეყნების საელჩოები, რაც უდავოდ კარგი ეტაპი იყო საქართველოსთვის. თუმცა მორიგმა მესიამაც ამონურა თავი და მოგვაბეზრა კიდევ, რადგან ილუზია, რომ ძალიან სწრაფად გავხდებოდით აყვავებული ქვეყნის მოქალაქეები, რა თქმა უნდა, არ გამართლდა და იმავე მთავრობის მეთაურობით ველარც რაიმე ახლის განვითარების პოტენციალს გრძნობდა ხალხი.

ისევ იჩინა თავი მოსახლეობის ამბივალენტურობამ, რომელსაც ერთი მხრივ, უნდა, რომ „კარგი“ ხელისუფლება ჰყავდეს, მეორე მხრივ, საკუთარ თავში არაფრის შეცვლა არ სურს. უმრავლესობა, კარგად ნაჩვევი წვრილმან კორუფციას და ნებისმიერი უკანონო საქმის მარტივად, ქრთამით მოგვარებას, სხვანაირად ცხოვრების უნარებს მოკლებულია; მის გამოცდილებაში სხვა ვარიანტი არ არის. რადგან საბჭოთა მოქალაქეებს

წარმოდგენაც არ შეიძლებოდა ჰქონოდათ საკუთარი თავის, როგორც ერთი, ცალკეული ადამიანის ღირებულების შესახებ, რომ ნებისმიერი ადამიანი, თავისი მაგალითით, დიდი ძალაა, კვლავ ინფანტილურ თვისებას ავლენს და პატარა ბავშვივით წარმოდგენს, რომ ყოველგვარი გარემო „უფროსებმა“ უნდა უზრუნველყონ და თვითონ მხოლოდ მომხმარებლები იყვნენ.

„შევარდნაძის დრო“ კარგახანს გაგრძელდა, არასრული ორი ვადით „ვარდების რევოლუციამდე“, რადგან ხალხს ჯერ კიდევ არ დაჰგროვებოდა ცვლილებისთვის საკმარისი ენერჯია.

დეპრესია

დეპრესიული ფაზა ნიჰილისტური და სრულიად უიმედოა, ის გაჟღენთილია საკუთარი არარაობის განცდით და მუდმივი დანაშაულის გრძნობით. ხშირად მოისმენთ ქართველებისგან თვითგვემის შემცველ ფრაზებს: ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება, ჩვენ არაფრის ღირსი ვართ, ყველა ომი გაყიდული იყო, ყველგან ლალატია, ყველაფერი ცუდაა, ჩვენგან ვერასდროს დადგება სახელმწიფო, არასდროს მიგვიღებენ ნატოში, იმიტომ რომ არც ვიმსახურებთ, არავის ვჭირდებით... მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს სულაც არ გვაქვს ასეთი ფიქრის მყარი საფუძველი. ფაქტების ანალიზის მიხედვით, პესიმისტები არ უნდა ვიყოთ. ცხადია, ვიაზრებთ, რა ვერ შევძელით და ვერ გავაკეთეთ, თუმცა, ამავდროულად, უნდა აღვიქვამდეთ იმასაც, რაც შევძელით. მაგრამ სწორედ რომ დეპრესიული მდგომარეობა გვართმევს მოქმედების უნარს, გრძელვადიანი მომავლის წარმოსახვის შესაძლებლობას, გვარწმუნებს, რომ ყველა განუვლი შრომა ამაოა და პრაქტიკულად ყველა დონეზე იწვევს კოლაფსს, იმის ნაცვლად, რომ მიზანდასახულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემურად მივიწვედეთ მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებისკენ.

რადგან, მთლიანობაში, ერის განწყობას ვგულისხმობთ, უფ-

რო ზუსტი სიტყვა იქნება დისთიმია, გახანგრძლივებული, შედარებით მსუბუქი დეპრესია, რომელიც ნაკლებად ხასიათდება სუიციდისკენ სწრაფვით, მაგრამ სხვა სიმპტომები შენარჩუნებულია ხანგრძლივად.

„დისთიმური აშლილობა განისაზღვრება მუდმივად დათრგუნული განწყობით, რომელიც, მინიმუმ, ორ წელიწადს გრძელდება. დისთიმიის დროს პაციენტს ორ თვეზე მეტხანს არ უნარჩუნდება უსიმპტომო მდგომარეობა. დისთიმური დაავადება დეპრესიის ეპიზოდისაგან მხოლოდ სიმძიმით, ქრონიკულობით და სიმპტომების რაოდენობით განსხვავდება, რომლებიც უფრო მსუბუქი და ნაკლებია, მაგრამ უფრო ხანგრძლივი.“⁷

ნიჰილისტურ პერიოდებში მოსახლეობის მხრიდან მცირე გაბრძოლებები, ამოფრქვევები ხდება, მაგრამ ენერგია ცოტაა და იოლად ინურება, საპროტესტო ენერგია დიდხანს ვერ ნარჩუნდება და საქმე ეტაპობრივად ვერ სწორდება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ზოგად უიმედო, დეპრესიულ განწყობას.

დეპრესიულ პერიოდებში ძლიერდება ჩვენივე შეთხზული, თვითგვემითი კლიშეები, მაგალითად, რომ ქართველები ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები ვართ, რაც, რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყველა კლიშე, მხოლოდ სანახევროდაა ნამდვილი, რადგან ყველგან არსებობენ ზარმაცებიც, ვის მაგალითზეც შეიძლება დააფუძნო ეს აზრი, და არსებობენ ძალიან მშრომელებიც. ქვეყანა ყოველთვის დგას მათზე, ვისაც შრომა არ ეზარება. ფაქტია, რომ ქვეყანა, ასე თუ ისე, ფუნქციონირებს და, ესე იგი, ჩვენ შესაძლოა გვაკლდეს შრომის კულტურა, დროის მენეჯმენტი, მაგრამ უდავოდ გვაქვს შრომის უნარი და თუ უკეთესად იქნება დასახული სამოქმედო გეგმა, დამსაქმებლები მშრომელებს უკეთ უჩვენებენ შესაბამის გეზს და მიზანს, ჯანსაღი განწყობის შენარჩუნებისთვის ბევრად მეტი საფუძველი გვექნება.

7. Barlow and Durand, *Abnormal Psychology*, გვ. 212.

„ვარდების რევოლუცია“ მიხეილ სააკაშვილი

ხანგრძლივი დეპრესიის შემდეგ ხალხში ენერჯიამ თანდათან ისევ დაიწყო აკუმულირება, რასაც მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“, რომელმაც ახალგაზრდული ძალის მოქმედების ტალღა მოიტანა. თუმცა იმედი, რომ ამ თაობის პოლიტიკოსებს ბევრად თანამედროვე იდეები ექნებოდათ და ბევრად სწრაფად დავეწვოდით ცივილიზებულ სამყაროს, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. გაკეთდა ბევრი, თუმცა ცნობიერება ისევ საბჭოთა დარჩა – „ვინც ჩემთან არაა, მტერია“. გათამაშდა ერთგვარად სტალინის „მტკიცე ხელის“ კარიკატურული მოდელი. სწრაფი შედეგის მიღწევის სურვილით ანთებული მმართველი ძალა კანონის სრული უგულვებლყოფით ძალადობდა მოსახლეობაზე. არავინ ზრუნავდა, კანონით ემტკიცებინა ბიზნესმენისთვის, რატომ ართმევდნენ ბიზნესს, თუ სხვა ტიპის პატიმრისთვის წესის მიხედვით წაეყენებინათ ბრალი.

წარმატებული რეფორმების პარალელურად, ხელისუფლების ქმედებების უმეტესი ნაწილი მოპირკეთებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ფუნდამენტურ ცვლილებას, თუმცა მოპირკეთების სანინალმდეგოც არაფერი შეიძლება გვექონდეს, რადგან შინაარსის დაბადებას დრო უნდა და თუ ფორმა დაასწრებს და შემდეგ დაიმსგავსებს შინაარსს, ფორმასთან მოგვიანებით ადაპტირდებიან ადამიანები, რაც უმოქმედობას, ცხადია, სჯობს.

დიდი ენთუზიაზმით დაწყებული ბევრი რამ ნამდვილად სწრაფად შეეტყო ქვეყანას, თუმცა დღითი დღე უარესდებოდა მოსახლეობის განწყობა, რადგან ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ასაკის მთავრობა იყო, მაინც, ბუნებრივად, სსრკ-ში გამოზრდილი ადამიანებით დაკომპლექტდა. ეს იყო ყველაზე ნარცისული მთავრობა, რომელსაც განსაკუთრებით სჯეროდა საკუთარი მომხიბვლელობის. ნარცისიზმი, თავისთავად, ერთმნიშვნელოვნად ცუდი მოვლე-

ნა არ არის. ჯანსაღი ნარცისტული პოზიციის გარეშე ვერავინ მოიკრებს გამბედაობას, გამოთქვას თამამი იდეები და მათი განხორციელებისაც ირწმუნოს, მაგრამ არაჯანსაღი ნარცისიზმი, როდესაც ნებისმიერი საქმიანი კრიტიკა ან განსხვავებული მოსაზრება ხელისუფალს ეგოს უზიანებს, ცხადია, პრობლემებს წარმოშობს.

ყველაფერი რომ ხელისუფლებებს არ დაბრალდეს, აქვე უნდა აღვნიშნოთ ტრადიციული ტაბუ – რამდენად დიდი წვლილი შეაქვს ხალხს მონსტრების შექმნაში, როგორ ჯგუფდება ხელისუფლებასთან ხშირად საკმაოდ გულწრფელი მლიქვნელების არმია, – ისინი მართლაც აღტაცებულნი არიან თავიანთი ბელადებით, რომლებიც განადიდეს, – იღებენ „ტახტის დამცველის“ ფუნქციას, იწყებენ ირგვლივ კრიტიკული აზრის და „სხვა“ ადამიანების მოგერიებას და კრავენ მოჯადოებულ წრეს. მათი ალყა, ერთი შეხედვით, ბელადის მოწინააღმდეგეებს უპირისპირდება, სინამდვილეში კი თვითონ ბელადი მიჰყავს თანდათან სამსხვერპლოზე.

პირველი ვადის შემდეგ მთავრობამ ამოწურა ჯანსაღი, კონსტრუქციული ენერჯის მარაგი და, რადგან მოსახლეობაში თანდათან გაძლიერებულმა პროტესტის ტალღებმა ეგო დაუზიანა, დაიწყო დესტრუქცია, დაზიანებული ეგოს დასამალად ფსევდოეგოებით ფუნქციონირება. ფსევდოეგოები აგრესიულად, დაცვითი ხასიათის ქცევით ურთიერთობენ გარესამყაროსთან და ამ ჭიდილში უკვე ყოველგვარი ჯანსაღი კომუნიკაცია განყდა ქვეყნის შიგნით. ამას თან დაერთო 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ახალი შეტაკება, რამაც ისევ მსხვერპლი, ტერიტორიის დამატებითი დანაკარგი, დევნილების ახალი ტალღა და ახალი ტრავმა მოიტანა.

ქართული ოცნება ბიძინა ივანიშვილი

მმართველობის წლებში გაძლიერებულ ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციური პარტიები არყევდნენ, მაგრამ ოდნავ ცვლილებასაც კი ვერ ახერხებდნენ, რადგან მმართველი პარტია ვინმესთან ძალაუფლების გაყოფას არ აპირებდა. უფრო მეტიც, ბოლო წლებში კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომელსაც მიხეილ სააკაშვილისთვის პუტინის მსგავსად სკამიდან სკამზე გადანაცვლების საშუალება უნდა მიეცა. და მოვიდა კიდევ ახალი „მხსნელის“ ჯერი, რომლის სიმდიდრეც პოლიტიკური ცვლილების ცხადი გარანტია იყო.

ხალხი იმდენად დაღალა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდის მანიურმა დინამიკამ, ერთდროულად შენება-ნგრევის ტემპმა, ომის ელდამ, პოლიციური სახელმწიფოს მარწუხებმა და მუდმივმა უკანონო თვალთვალმა და დევნამ, რომ ამავე მანიურ ტალღაზე მოიკრიბა ენერგია ახალი მხსნელის ტახტზე ასაყვანად.

მხსნელი მთელი თავისი მითების ხურჯინით გვერგო. ივანიშვილი შევარდნაძის დროიდან დაფუძნდა საქართველოში და მას შემდეგ წლების განმავლობაში ყველგან გაიგებდით მისი ქველმოქმედების შესახებ საგანგებოდ დარხეულ ხმებს. ივანიშვილი კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა, რაც იდეალური საფუძველი იყო ისედაც ბელადს დაჩვეული ერისთვის, კოლექტიური არაცნობიერიდან უტყვ კერპებთან ურთიერთობის ყველა უნარი ამოენია და მხსნელი ისეთი წარმოედგინა, როგორსაც ფანტაზია ისურვებდა.

„მდიდარია და ისეთი კეთილი, მოვა და გავმდიდრდებით“ – ფიქრობდა მოსახლეობის განსაკუთრებით გულუბრყვილო ნაწილი. „ყველაფერი აქვს, რატომ არ უნდა უნდოდეს ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა“ – განსჯიდა ბევრი და მიუხედავად იმისა, რომ ახალი მხსნელის პირველივე ინტერვიუებმა მრავალთა შორის იმედგაცრუება გამოიწვია, პესიმიზმისთვის

ვერ იმეტიებდნენ თავიანთ, ცვლილებისკენ მომართულ განწყობას და გულწრფელად სჯეროდათ, რომ, მართალია, ივანიშვილი უცნაურ აზრებს გამოთქვამს, მაგრამ არა უშავს, რადგან თვითონ გამდიდრდა, სავარაუდოდ, ეკონომიკაში მაინც უნდა ერკვეოდეს, რაც ქვეყანას გამოადგება, დანარჩენს კი სხვები შეძლებენ.

დასაწყისი ყოველთვის მეტ-ნაკლებად კარგია ხოლმე. პირველ ეტაპზე მთავრობა რამდენიმე პოლიტიკური ძალის ნარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული; მივიღეთ ასოცირების ხელშეკრულება, ევროპულ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმი, შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა ციხეებში, სადაც მანამდე განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდნენ ადამიანებს, მაგრამ სასიკეთო დინამიკამ მალევე იკლო, ქვეყანა სწრაფად მივიდა სტაგნაციამდე, რაც უკუსვლის პირდაპირპროპორციულია. სახელმწიფოებრივმა იდეამ, რომელიც ჩანასახშიც ძლივს არსებობდა, საერთოდ შეწყვიტა განვითარება და დღეს კრებით ქართველს კიდევ უფრო მეტი გაურკვეველობა აქვს, ვინაა და საით მიისწრაფვის.

მეოთხე ბელადის, ბიძინა ივანიშვილის შემოტანილი სიახლე პოლიტიკაში განსაკუთრებით კომიკურია – ის მალევე გადადგა პრემიერმინისტრის პოსტიდან, ოფიციალურად ჩამოიცილა პასუხისმგებლობა და პერიოდულად, ხასიათის მიხედვით ცვლის ნაზირ-ვეზირებს ოფიციალურ თანამდებობებზე. ბელადის სუროგატებს უპრეტენზიოდ იღებს მოსახლეობა, რადგან სწორებას მათზე არ ახდენს – ყველამ იცის, ვინაა „მამა“ და მამის მომსახურე პერსონალს მშვიდად ხვდება და აცილებს.

ქვეყანაში ყოველწლიურად იმატა უსამართლობამ, სრულად მოიშალა ისედაც სუსტი ინსტიტუციები, ხალხი კი კიდევ უფრო ბუნდოვნად აყალიბებს მოთხოვნებს ხელსაყრელი გარემოს უზრუნველსაყოფად, ხშირად ვერც აცნობიერებს, რა იქნება მისთვისვე უკეთესი და ამასთანავე, დღითიდღე ემატება აპათია და უნდობლობა, რომ სადმე შეიძლება მისთვის უსაფრთხო და სასარგებლო რამ არსებობდეს. მოსახლეობის

დიდ ნაწილს, რომელიც ისევ ჩაითრია წვრილმანმა კორუფციამ, ოდნავადაც არ ეხამუშება მათი ცნობიერების მოსასყიდად მიგდებული წინასაარჩევნო საჩუქრები.

ამგვარად, დადგა ისევ დეპრესიული ფაზა.

პრობრესი და ბანკოთარების ტემპი

საბჭოთა კავშირის ჭაობში ადამიანების ცხოვრების კალაპოტის განვითარება მაქსიმალურად ნაცნობი, განსაზღვრული იყო, შემდეგი ნაბიჯი მექანიკურად უნდა გადაგედგა. არ არსებობდა საკუთარი მომავლის მიმართ შემოქმედებითი დამოკიდებულება და იმპროვიზაციის არანაირი აუცილებლობა. რა თქმა უნდა, სსრკ-სთან დაკავშირებული უამრავი მანკიერების ჩამოთვლაა შესაძლებელი, მაგრამ, რადგან ჩვენ ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას განვიხილავთ, მთავარი ცუდი, რაც საბჭოთა კავშირისგან გვერგო, სწორედ ისაა, რომ ამ იმპერიამ დააჩლუნგა ცხოვრების მიმართ ჯანსაღი შემოქმედებითობა (სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის მაგალითი – როგორ განსხვავდება ერთი და იმავე ერის პროგრესი ერთსა და იმავე დროით განზომილებაში – კარგი ილუსტრაციაა, რომ ვიგოძნოთ, როგორ მოქმედებს ადამიანებზე სხვადასხვა სახის პოლიტიკური ექსპერიმენტი). თუმცა შეუძლებელია, ადამიანში ეს თვისება ბოლომდე ჩაკლა და რადგან ვერც სსრკ-ის დამყაყებულმა ყოფამ მოახერხა ეს, შემოქმედებითი უნარები გაუკუღმართდა, მიემართა მაქინატორობისკენ, კორუფციის ათასნაირი სქემის შექმნისა და მოქნილი ტყუილებისკენ.

ამასთანავე, სადაც ინდივიდუალური გზით სიარული წახლისებული არაა, ინფანტილური ფსიქოლოგია ყალიბდება. როცა მაქსიმალურად ცოტაა ადამიანზე დამოკიდებული, დანარჩენი, თავისთავად ცხადია, უნდა მოაგვაროს სხვამ, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ, რომლის მიმართაც ხელოვნურად შე-

კონინებულ ერთა გაერთიანებას არავითარი ერთგულება არ გააჩნდა. ხალხი სახელმწიფოს და მისი ქონების მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი, ამგვარად, სახელმწიფო ქონების მოპარვა, უხარისხო პროდუქციის წარმოება, მავნებლობა, დანაშაულად კი არა, ერთგვარ ღირსეულ ქცევადაც ითვლებოდა, თითქოს ამით გამოიხატებოდა იმ ფარული შურისძიების დაკმაყოფილების სურვილი, რომელსაც ყველა ერი განიცდიდა ხელოვნური კავშირის მიმართ, რაც გარეგნულად ისეთ სიმბოლურ ქმედებებშიც გამოიხატებოდა, როგორებიცაა, მაგალითად, ტრანსპორტში სავარძლების დანით დაჭრა, ნაგვის ქუჩაში გადაყრა და ა.შ.

სახელმწიფო ბიუჯეტის, ინსტიტუციების, გარემოს მიმართ ფსიქიკაში გამჯდარი ამგვარი დამოკიდებულება მყისიერად არ შეცვლილა არც დამოუკიდებელ საქართველოში, მით უმეტეს, საბჭოთა შენელებული ტემპიდან სიჩქარის აკრეფა მოსახლეობას გაუძნელდა. ქვეყნის, როგორც საკუთარის სიყვარული, ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ველოსიპედის გამოგონება არ გვინევს, ცივილიზებული ქვეყნების მოდელების გაცნობისა და ადაპტირების, გადმოტანის საშუალება გვაქვს, მათ გადმოლებასაც, დახვეწას და შესაბამის განვითარებას მეტ დროს ვანდომებთ, ვიდრე სასურველია, თუმცა გარკვეული დინამიკა გვაქვს, რაც კარგია.

ესთეტიკური და ეკოლოგიური ხედვა ჩვენი ქვეყნის მიმართ ჯერ ვერ შევიქმენით. ისევ სწავლის პროცესში ვართ, რომ ყველაფერი, რაც გარშემო გვაკრავს: ბეტონის კედელი, მავთულხლართი, სიბინძურე თუ პირიქით, სუფთა და მშვენიერი გარემო, კარგი არქიტექტურა, ცნობიერებაში შემოდის და შემდეგ ეს სურათხატები აფორმებს ფსიქოლოგიურ პოზიციას, დამოკიდებულებას საერთოდ სიცოცხლის, ასევე მისი, როგორც ესთეტიკური თუ, ზოგადად, ეგზისტენციალური ღირებულების მიმართ და, ამდენად, ყოველ „სურათს“ გაფრთხილება სჭირდება, როგორც საკუთარ, მთლიან სხეულს – თუ მონამლავ ნიადაგს, მოგინევს მონამლული საკვების ჭამა, რასაც სუნთქავ, შენი

კუთვნილებაა და მისი სისუფთავე შენი მოსავლელია; ნაგავი, რომელიც წინ გხვდება, ასევე ვნებს შენს ჯანმრთელობას და ისევ და ისევ შენ უნდა იცხოვრო ამ ნაგავში – ამის გაცნობიერება გვიჭირს. რეგიონებში, სოფლებში ჯერ კიდევ ხევში იყრება ნაგავი, მაგრამ ამ თემაზე წუხილი და ლაპარაკი დაწყებულია და ესეც, ძალიან მცირედ, მაგრამ პროგრესად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ადამიანის უფლებები, უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა, ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ ინკლუზიური კულტურის დამკვიდრება, შშმ პირების პრობლემების აღქმა და, საერთოდ, ეთიკური და მორალური კრიტერიუმების გააზრება დამუშავების პროცესშია და მცირედი წინსვლა აქაც გვაქვს.

პროგრესია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება.

პროგრესია არასამთავრობო სექტორის განვითარება, თუმცა უკეთეს კომპეტენციას და მეტ აქტიურობას ვისურვებდით.

პოლიტიკური სიმნიფის თვალსაზრისითაც გვაქვს გარკვეული წინსვლა, მაგრამ ძალიან მცირე. ხალხმა არღვია საბჭოთა სიმბოლოები, მოხსნა ძეგლები, მაგრამ სიმბოლოების რღვევა ან სიმბოლოების გაქრობით მომავლის „ბედისწერის“ განსაზღვრა მათი შინაარსობრივი მხარის გაანალიზების გარეშე წარსულის ამოშლის ისეთივე გულუბრყვილო მცდელობაა, როგორც ქართული ცრურწმენა – მისი „გაუვნებელყოფის“ მიზნით ცუდი სიზმრის წყლისთვის მოყოლა. სიმბოლოები ხშირად სრულიად გაუცნობიერებლად არსებობს ჩვენში, როგორც შინაგანი სურათხატი და მათი მოსპობით მხოლოდ ძველი შინაარსის ჩანაცვლება ხდება ახალი სიმბოლოთი, ახალი სურათხატი, ამიტომ ჯერ კიდევ სხვა სიმბოლოებითა და სხვა დროშებით; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ში არჩევნები საერთოდ არ ტარდებოდა, ფორმალური აქტი იყო და აქედან ვერაფერს ისწავლიდნენ, პროპაგანდისა და პოლიტიკენოლოგიური კულტურის მხრივ საქართველოში პარტიები კგბ-ის მეთოდებს იყენებენ ხელისუფლებაში მოსახვედრად.

რაც შეეხება ამომრჩეველს და ბელადის კულტს, კერპის მოთხოვნილებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია, მიუხედავად იმისა, საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება თუ არა საქართველო, ათი მთავარი თანამდებობა იქნება თუ ერთი, „მამა“ აუცილებელი ფიგურაა.

საქართველოს მოსახლეობა რომ განსაკუთრებულ შემთხვევად არ ჩაითვალოს, ადამიანთა მოდგმის ზოგადი ტენდენციაც აღვიქვათ – იქაც კი, სადაც სახელმწიფოს გრძელვადიანი ტრადიცია არსებობს და მთავრობის ფეტიში არ ახასიათებთ, ადამიანებს სჭირდებათ თაყვანისცემის ობიექტები. კერპის განდიდება, აღტაცება ცივილიზებულ ქვეყნებში ჩაანაცვლეს სპორტსმენებმა, საკულტო არტისტებმა, როლურმა მოდელებმა, რომლებიც, ერთგვარად, პირველყოფილი ბელადების სუროგატებად გვევლინებიან. კულტურაც სიტყვა „კულტისგან“ წარმოდგება და ამ საკულტო არტისტების პირადი ნივთები რა ფასად გაყიდულა, ყველას გვინახავს. ასევე გვინახავს, კონცერტებსა თუ სპორტულ მატჩებზე გულშემმატიკივართა ვნებათაღელვები. რეკლამისთვის შერჩეული ავტორიტეტული სახეები უზრუნველყოფენ პროდუქციის რეალიზებას და ა.შ. ლიდერი, წინამძღოლი ყველა სფეროში და ასპარეზზე დგას „ხალხის სამსახურში“.

ჩვენს ქვეყანაშიც, როცა როდესმე არტისტები პოლიტიკოსებზე პოპულარულები გახდებიან, იმის ინდიკატორი იქნება, რომ „მხსნელის“ მოლოდინის ეტაპი გადავლახეთ.

პიროვნული პროგრესის მხრივაც არის გარკვეული დადებითი დინამიკა, განსაკუთრებით ახალ თაობაში, თუმცა, უკეთესი აქაც სასურველია – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი თაობა ტრავმირებული მშობლების მიერ ირიბად ტრავმირებულნი არიან და მაღალია ცხოვრებიდან „გაქცევის“ ტენდენცია, ნარკოტიკზე დამოკიდებულება და სხვა გართულებები. ასევე, დამოკიდებული ფსიქოლოგიის მსხვრევა მით უფრო რთულდება, რაც უფრო ნაკლებია ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობა. ერთი მხრივ, ვერ ხერხდება ადამიანების ფიზიკური განცალკე-

ვება – შესაძლოა ოჯახის რამდენიმე თაობა მცირეფართობიან სივრცეში ერთად ცხოვრობდეს, სადაც ზრდასრული ადამიანები ვერასდროს ხდებიან თავიანთი ცხოვრების სრული ბატონ-პატრონები. დედ-მამის სახლში ქონება, უპირველესად, მშობლებს ეკუთვნით და, შესაბამისად, უმეტესწილად გადანყვეტილების მიმღებნიც ისინი რჩებიან მატერიალურ თუ სხვა საკითხებზე. სოციალური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, მით უმეტეს, როცა საზღვრებიც გაიხსნა, ბევრი ნავიდა სამუშაოდ ან სასწავლებლად, მონყდა ფუძეს – გაჩნდა მშობლებთან ქიპლარის ფსიქოლოგიურად გადაჭრის შესაძლებლობა, ეს კი, რა თქმა უნდა, აჩქარებს პიროვნების ზრდასრულად ქცევას. იგი თავს მეტად აღიქვამს საკუთარი თავის პატრონად, შემდეგ ეტაპზე კი ამას ქვეყნის პატრონად სრულფასოვანი აღქმა დაემატება. მეორე მხრივ, ხალხი, რომელიც ზედიზედ ბევრ გაჭირვებას ისე გამოცდის, რომ პოსტტრავმული სიმპტომების მოშუშების დროც არ რჩება, დანაშაულის მუდმივ გრძნობას განიცდის და დაბალი თვითშეფასებით ავადდება. შესაბამისად, უფრო იოლად აღიარებს ნებისმიერ სხვას ავტორიტეტად, განსაკუთრებით „გამგებნი“ ხდება ავტორიტარული მმართველებისა, რადგან მრისხანე „ღმერთისგან“ სასჯელს შინაგანად სამართლიანად აღიქვამს, ან რელიგიას აფარებს თავს, რადგან საკუთარი თავის რწმენაგამოცლილი, ელემენტარული პრობლემების წინაშე მდგარიც ღმერთის გარდა ვერაფერზე აფუძნებს იმედს.

და მაინც, მთლიანობაში, რალაც მოვახერხეთ. დღევანდელ დღეს, მიუხედავად უდიდესი ადამიანური და ტერიტორიული დანაკარგისა, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ორი შეიარაღებული კონფლიქტი გადავიტანეთ რუსეთთან და კვლავ გრძელდება ჩვენი ქვეყნის მცოცავი ოკუპაცია, სტუმრად ჩამოსული ტურისტის სამართლიანად იტყვის – გავიარე მონქსრიგებულ ქუჩებში, მშვენიერ კაფეში დავლიე ყავა, ადამიანები კარგად მექცეოდნენ, დავისვენე კარგ სასტუმროში... და ვერც ნარმოიდგენს, რა ხდებოდა საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ქვეყანა ძალიან წინ არის წასული.

პრობრეისის უმაღლესი საეციფიკური ფაქტორები ნაპოტიზმი

ნეპოტიზმი, გარკვეულწილად, ყველა ქვეყნის მოსახლეობას ახასიათებს, კონტაქტები ყველგან ასრულებს როლს, მაგრამ კომპეტენციის სრული უგულებელყოფით საქმის საზიანო გადანყვებილებას მხოლოდ იმ ქვეყნებში იღებენ, რომლებშიც ინსტიტუციები საკმარისად არაა განვითარებული და უკანონობას არაფერი არეგულირებს.

საქართველოში ნეპოტიზმს ძალიან მაღალი, ქვეყნისთვის გამანადგურებელი მასშტაბი და უკიდურესად მავნე ხასიათი აქვს. ამის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს: ქართველები ძალიან ამაყობენ თვისებით – „ერთმანეთის გატანა ვიციტ“. უკიდურეს გაჭირვებაში, ამ კულტურის გამო, მართლაც ფიზიკურად გადარჩა ბევრი ოჯახი და დღესაც, როცა უმუშევრობა ასე მაღალია, ხშირ შემთხვევაში ერთი ადამიანი არჩენს რამდენიმე ოჯახს. ის, რაც დადებითი თვისებაა ჩვეულებრივ ყოფაში, სრულ მანკიერებად გადაიქცევა ხოლმე დანიშნულ პოზიციაზე ყოფნისას. რადგან ქართველები ცუდ ადამიანად მიიჩნევენ მას, ვისაც ახლობლებზე „გული არ შესტკივა“. თუ ვინმე მაღალ თანამდებობას იკავებს, მისი „გულისტკივილი“ გამოიხატება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე სრულიად არაკომპეტენტური ნათესავებისა და მეგობრების დანიშვნაში, ტენდერებში ახლობლების კომპანიების გამარჯვებასა და ქვეყნის მიმართ ყველა სხვა შესაძლო პარაზიტიზმში.

მეორე კატეგორიის ნეპოტიზმი პარტიული ერთგულებაა. ყოველი მთავრობა იოლად ელეოდა ნებისმიერ კომპეტენტურ კადრს, თუკი ეს უკანასკნელი სრული ლოიალურობით არ გამოირჩეოდა მის მიმართ.

მესამე ტიპის ნეპოტიზმი დომინანტური ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი ზოგადადამიანური თვისებაა – სიხარბე, რომელიც თვითრეგულირებით არ გამოირჩევა, მით უმეტეს, თუ მთლიან-

ნად ქვეყანა ასეთი ფორმით ფუნქციონირებს. მიწის ყოველი სანტიმეტრის დატაცებისა და ესთეტიკის ყოველგვარი პრინციპის უგულვებლყოფით აშენებული ახალი შენობები, მოშლილი ტროტუარები და განადგურებული გამწვანება ნეპოტიზმის, სიხარბის და კორუფციის თვალნათელი, ვიზუალური ილუსტრაციაა.

მეოთხე მიზეზი, რატომ ხვდებიან ადამიანები მათი კვალიფიკაციის შეუსაბამო პოზიციებზე, ნეპოტიზმის მონათესავე პრობლემაა: ახალშობილ ქვეყნებში ძალიან ხშირია, როცა მომძლავრებული ფენა, ვისაც ხელი მიუწვდება, უცებ გამდიდრდება, მთელ დოვლათს დაიტაცებს და ჩნდება უკიდურესობები ძალიან მდიდრებისა და ძალიან ღარიბების სახით, ამიტომ დანარჩენებს საწყისი კაპიტალი აღარ აქვთ, რომ მცირე ბიზნესი მაინც დაიწყონ. ასეთ დროს ხალხის დიდი მასა აწყდება სახელმწიფო სამსახურებს. შემცირებები ყველა მთავრობისთვის პრობლემაა – არა მხოლოდ ამომრჩევლის დაკარგვის შიშით, არამედ იმიტომაც, რომ, რადგან ალტერნატივას ვერ სთავაზობენ, ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა ხშირად მისი მკვლელობის ტოლფასიც კია. ამიტომ დღესაც დაახლოებით ისეთივე სიტუაციაში ვართ, როგორც სსრკ დროს, როცა ერთი კაცი კანალიზაციის მილს აკეთებდა და ხუთი უფროსი თავზე ედგა. გაბერილშტატებიანი მონსტრი სახელმწიფო ორგანიზაციები, რაც ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე არანორმალურ სახეს წარმოადგენს, პროგრესის მთავარი შემაფერხებელია.

ემიგრაცია

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რაც, ამავე დროულად, ხსნად გვექცა – შრომისუნარიანი, კვალიფიციური მოსახლეობის აქტიური გადინება ქვეყნიდან. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურად დამოკიდებულია ემიგრანტების გზავნილებზე, თუმცა ეს სარგებელი არაფერია იმ ზარალთან შედარებით, რა დანაკარგიც აქვს ქვეყანას ყველაზე „გამწევი ძალის“ მქონე ადამიანური რესურსის მხრივ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი ახალ თაობაზე ტრავმულად აისახება თავისიანების სარჩენად ემიგრაციაში ოჯახის რომელიმე წევრის წასვლით გახლეჩილი ოჯახები.

ბანათლება

ბანათლების სისტემა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. არცერთი საფეხური – სკოლამდელი, სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტს. მცირეწლოვანთა სწავლება საერთოდ არ შეესაბამება ბავშვის განვითარების ფაზებს და საჭიროებებს, მძიმე მდგომარეობაა საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებშიც ჭირს კომპეტენტური კადრები და პროგრამები. შესაბამისად, ყველა სხვა ინსტიტუციის მძიმე მდგომარეობის ცალ-ცალკე განხილვა აზრს კარგავს, რადგან, თავისთავად ცხადია, სადაც ბანათლების სისტემას უჭირს, პრობლემა იქნება ნებისმიერ სფეროში.

ეროვნული უმცირესობები

ზემოთ განვიხილეთ დარღვეული ეროვნული იდენტობა, სამშობლოს დავინყებულები განცდა, ჩანაცვლებული კლიშეებით, მითური მეხსიერებითა და წარმოსახვებით, რაც ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურად ქართულ ნაწილსაც კი ვერ განაცდევინებს თავის ქვეყანას კიდით კიდემდე და, მითუმეტეს, მძიმე მდგომარეობა გვაქვს არაქართულ მოსახლეობაში.

ერთ-ერთი კლიშე, რისაც ჯიუტად გვწამს, არის კლიშე ქართული ტოლერანტობის შესახებ, რომელიც ოდესღაც ნამდვილად არსებობდა და ამას კულტურის მატერიალური ძეგლებიც მოწმობს – გვერდიგვერდ სხვადასხვა რელიგიის სალოცავები, ინტერკულტურული აზროვნება ხელოვნებაში, ძველი თბილისის ჭრელი მოსახლეობის მეგობრული ცხოვრების ამსახვე-

ლი ფოტოარქივი და ფაქტი, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ანტისემიტიზმი. მაგრამ როგორია რეალობა დღეს? ეროვნული უმცირესობები, უმეტესად და განსაკუთრებით ზოგიერთ რეგიონში, თითქმის სრულად გაუცხოებულნი არიან ქვეყნის მიმართ. ხშირ შემთხვევაში ქართულად ვერ ლაპარაკობენ და ვერ იღებენ შესაბამის განათლებას, რომ თავიანთი მომავალი ქვეყნის შიგნით დასახონ. შეიძლება უმცირესობებსაც მოვთხოვოთ მეტი აქტიურობა, თუმცა ეს, უპირველესად, ქართული მოსახლეობის ბრალია; რომ არავინ, ან თითქმის არავინ ზრუნავს ამ მოქალაქეების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში საფუძვლიანად ინტეგრაციაზე. ამით ჩვენ ვკარგავთ აქტიურ მოქალაქეებს, საკმარისად ეფექტიანად ვერ ვიყენებთ მცირერიცხოვანი ერის ისედაც მწირ ადამიანურ რესურსს, მთავრობებს კი იდეალური პირობები ექმნებათ, მცირე საჩუქრების ფასად მოიპოვონ ხმები, რადგან უმცირესობები სამთავრობო ცვლილებებისგან არაფერს ელიან, ამდენად, მათთვის თითქმის სულ ერთია, ვის მისცემენ ხმას. ამ და კიდევ არაერთ საფრთხეს შეიცავს აღწერილი მდგომარეობა, რომლითაც სერიოზულად ჯერ კიდევ არავინ ინტერესდება.

წარსულის გადაუმუშავებლობა

პროგრესის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი არის ფანტაზიური წარმოსახვები წარსულზე, რომლის გადამუშავებაშიც საკმარის როლს არ ასრულებენ შესაბამისი სპეციალისტები, რათა მეტათეორიულ და პრაქტიკულ დონეზე დაჩქარდეს ეროვნული თვითგამორკვევა. აუცილებელია წარსულის სამ ეტაპად დაყოფა და ანალიზი: 1. ისტორიული წარსული; 2. საბჭოთა წარსული; 3. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია. ამ მხრივ მხოლოდ მცირე მცდელობებია ოკუპაციის მუზეუმისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სახით, რომლებიც გარკვეულ ფრაგმენტულ სამუ-

შაოს ასრულებენ. კითხვაზე, რატომ ვერ ახერხებს საქართველოს მოსახლეობის ნაწილი რუსეთის მტრად აღქმას, ბევრი გაპასუხებით – ეს სტოკჰოლმის სინდრომია, პარადოქსული მდგომარეობა, როცა მსხვერპლს მოძალადის მიმართ კეთილი გრძნობები უჩნდება და თანაუგრძნობს მას; მაგრამ, ჩემი აზრით, მიზეზი უფრო ხშირად, უბრალოდ, მერკანტილურია – რომელ სივრცეშიც ახერხებ მოგების მიღებას, იქით მიიწევი; დიდწილად კი მიზეზს წარმოადგენს იდენტობის გაუაზრებლობის საკითხი, რადგან ხალხის ნაწილი საბჭოთა მოქალაქედ ჩამოყალიბდა და პიროვნულ დონეზე არ იცის, როგორ უნდა იყოს დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე.

ქართული საზოგადოების აქცენტირებული ხასიათობრივი ხაზები

რომელი ძირითადი ფსიქოლოგიური ტენდენციის ხარჯზე ვალწვით პროგრესს და რომელი ტენდენცია გვიშლის ხელს

ნებისმიერ ადამიანს აქვს ყველა ის ხასიათობრივი ხაზი, რომელიც ფსიქოლოგიაში სახელდება, თუმცა ზოგჯერ რომელიმე მათგანი ან მუდმივად არის დაწინაურებული და პიროვნების მკაფიო ფსიქოტიპად აღწერის საშუალებას გვაძლევს, ხან სიტუაციურად – დროებით არის აქცენტირებული ცხოვრების რომელიმე მონაკვეთის ან მოვლენის საპასუხოდ. ასეთივე ქრილში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ერების ხასიათობრივ ხაზებზე, რომლებიც ან კონკრეტული დროის მონაკვეთში იქცევა მოსახლეობის დიდი ნაწილის საპასუხო რეაქციად იმ პერიოდსა და კონტექსტში, რაც ქვეყნის თავს ხდება, ან ზოგადად ამ ერის დამახასიათებელია, მიუხედავად იმისა, რომ ცხადია, ყველა ერში ცალკეული ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ისტერიული ხასიათობრივი ხაზი

„ისტერიული ადამიანები, ქამელეონის მსგავსად, მიესადაგებიან ნებისმიერ ახალ სიტუაციას, მაგრამ ვერ ახერხებენ იმ უწყვეტი „მეს“ განვითარებას, რომელსაც, ჩვეულებრივ, ხასიათს ვუწოდებთ, ამის გამო ძნელია მსგავსი ადამიანების ამოცნობა და გაგება. ისინი გამუდმებით რაღაც როლს თამაშობენ, რომელიც გარკვეულ სიტუაციებსა და საჭიროებებზეა გათვლილი; ასეთივე დამოკიდებულება აქვთ ისტერიულ ადამიანებს გარკვეულ პირებთან. ისე რომ ამ როლების თამაშის დროს თავადაც აღარ იციან, ვინ არიან სინამდვილეში. ასე გამოხატავენ ისინი თავიანთ ფსევდოპიროვნულობას, რომელსაც მკაფიო კონტურები და გამორჩეული თვისებები არ გააჩნია.“⁸

ერთი შეხედვით, ისტერიული ხასიათობრივი ხაზი შეიძლება მომხიბვლელად არ გვეჩვენოს, მაგრამ ასე არ არის; არაფერია ამ ქვეყნად ერთმნიშვნელოვანი: მკაფიო ისტერიული თვისებრივი პოზიცია, რომელსაც ავლენს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ქართველების სწრაფი განვითარების უნარის დამხმარე, ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. ისტერიული ფსიქოტიპი ბრწყინვალე არტისტული მონაცემებითაა დაჯილდოებული; ასეთ ხალხზე ხშირად ამბობენ, საზოგადოების სული და გულიაო, არასდროს რჩებიან შეუმჩნეველნი, მაშინაც, როცა განსაკუთრებით არ აქტიურობენ. არტისტული მონაცემები, უპირველესად, იდეალურად იმიტაციის, მიბაძვის, გადმოღების უნარს გულისხმობს. შეიძლება ისტერიულ პერსონას განლევადი ენერჯია ჰქონდეს, ღლიდეს რუტინა და არ შეეძლოს საკითხებზე გახანგრძლივებულად, ჩაღრმავებულად ფიქრი, მასში არ დაიბადოს ღრმა იდეა, მაგრამ იდეალური გამტარია სხვათა იდეებისა და, ამავედროულად, იმიტაციის უნარით, მიბაძვის ნიჭით დიდ წარმატებას აღწევს. ასევე ხშირად

8. ფრიც რომანი, „შიშის ძირითადი ფორმები“, თბილისი: ნიგნიერი, 2013, გვ. 254.

ჩნდება მასში იმპულსი, რომლის განხორციელება თვითონ შეიძლება ბოლომდე ვეღარც შეძლოს, მაგრამ ერთგვარი ნაპერწკალი შემოიტანოს სიახლის სახით. გარეგნულ სწრაფ განვითარებას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ იმ გისოსებიანი, ჩაბნელებული საქართველოდან დღევანდელ საქართველომდე, დიდწილად, სწორედ ამ ისტერიულ ხაზს მივანერ.

ისტერიულ ფსიქოტიკს, ქვეცნობიერად, მუდმივად სცენაზე ჰგონია თავი და ამიტომ განსაკუთრებით ზრუნავს გარეგნულ მხარეზე. ამით აიხსნება ქვეყნის ეკონომიკის შეუსაბამო პრესტიჟის საგნებით გატაცებაც, რაც ხშირად გამოიხატება ძვირადღირებული მანქანების შეძენასა და უკანასკნელი თეთრების რესტორანში დახარჯვაში, ხვალინდელი დღის გათვალისწინების გარეშე. სამაგიეროდ, რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის, რაც ნებისმიერ ერს გატეხავდა და დააუძლურებდა, მით უმეტეს იმ ერს, რომელსაც სახელმწიფოდ ყოფნის ტრადიცია მეხსიერებაში არა აქვს, საქართველოს მოსახლეობამ ან მისმა ნაწილმა მოახერხა აზრების სწრაფი ცვლილებაც, რაც ხშირად სიღრმისეულად არც ესმის, მაგრამ გრძნობს, რა დაამსგავსებს ცივილიზებულ მოქალაქეს. მოკლე ხანშივე შექმნა მიმზიდველი გასართობი თუ სამუშაო ადგილები. ისტერიულობას ახასიათებს სულსწრაფობა, სურვილების სწრაფად ასრულების ტენდენცია და მოდურობის, გემოვნების იდეალური შეგრძნება.

„ისტერიული ადამიანები იმ რწმენით ცხოვრობენ, რომ ისინი უნდა უყვარდეთ და ყველას ალაფროთოვანებდნენ, რომ მათ ამისთვის ხელის განძრევაც კი არ სჭირდებათ“⁹.

ისტერიული ფსიქოტიკის დადებითი მხარე თუ პროგრესისა და სიახლისკენ სწრაფვაა, უარყოფითად შეგვიძლია განვიხილოთ ინფანტილურობა. თუმცა აქაც ვამჩნევ ერთგვარად დადებით და გულსამაჩუყებელ მომხიბვლელობას, რაც ინფანტილიზმს ახასიათებს, და მაინც, რწმენა იმისა, რომ არავის ჩვენ გარდა საფიქრალი არ გააჩნია და მხოლოდ ჩვენზე

9. იქვე, გვ. 271.

უნდა იფიქრონ, მოგვიგვარონ პრობლემები, ცხადია, პროგრესს ვერ ემსახურება. ისტერიულობის ეს მხარე ზრდასრულ ადამიანებს გულუბრყვილოდ ეგოცენტრულებად აქცევს, რაც, ერთი მხრივ, ხანდახან წაგვადგება ხოლმე, რადგან, ეგოცენტრიზმის წყალობით, ზოგჯერ მაინც ვახერხებთ საერთაშორისო ყურადღების მოპყრობას და ამ მამოძრავებელი ძალით შესამჩნევი ვხდებით დანარჩენი მსოფლიოსთვის; ხოლო უარყოფითი მხარე ისაა, რომ ისტერიულ ეგოცენტრიზმს არა მხოლოდ უპასუხისმგებლობა და ზედაპირულობა ახასიათებს, ან გრძელვადიანი გეგმის დასახვას ვერ ახერხებს, არამედ იოლად იბუტება, უცრუვდება იმედი, ადვილად ეცვლება გუნება-განწყობა და მიაჩნია, რომ ვინც ყველა სურვილს უცებ არ უსრულებს, მისი კეთილგანწყობის ღირსი არაა. ასეთი პოზიციით, ცხადია, ვერაფერს ცვლის სხვა ქვეყნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, მაგრამ, სამაგიეროდ, იოლად აზიანებს თავისი ქვეყნისას, რადგან კარგავს თანმიმდევრულობას.

და მაინც, ისტერიული ხასიათობრივი ხაზი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი რესურსია.

ოზსესიური ხასიათობრივი ხაზი

ობსესიური თვისებები, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში ახასიათებთ ადამიანებს და ამ თვისების პოლიტიკური დახასიათებაა სიტყვა „კონსერვატიულობა“, კულტურული თვალსაზრისით – ტრადიციულობა და რელიგიურით – ფუნდამენტალიზმი.

ობსესიური ხაზის მქონე ადამიანების დამახასიათებელ ტიპურ შიშს, გერმანელი ფსიქოლოგი ფრიც რიმანი აღწერს, როგორც „ცვლილებების შიშს“ და აღნიშნავს, რომ ცვლილებებისა და წარმავალობის წინაშე შიშის დაძლევა ყოველთვის ტრადიციების დაცვით ხდება.

„როდესაც ადამიანი ასე ეჭიდება მისთვის ნაცნობ, ჩვეულ საგნებსა და მოვლენებს, რა თქმა უნდა, იგი ცრურწმენით უყუ-

რებს ნებისმიერ სიახლეს და ცდილობს, ყველაფერს მოულოდნელს, უცნობსა და უჩვეულოს თავი აარიდოს; მაშინ ადამიანს აღარ ემოქრება საფრთხე, რომ გულუბრყვილოდ ირწმუნებს პროგრესს და ყველა სიახლეს უპრობლემოდ მიიღებს. სამაგიეროდ, იგი იმ საფრთხის წინაშე დგება, რომ ამ სიახლის მიმართ განწყობა და ინტერესი არ ექნება, რაც განვითარებას, მათ შორის მის საკუთარსაც, დაამუხრუჭებს, ხელს შეუშლის, ზოგ შემთხვევაში კი, საერთოდაც, შეუძლებელს გახდის.¹⁰

ობსესიური პოზიცია ყველა ქვეყანას სჭირდება ბალანსისთვის, რათა ახალი იდეების მაკონტროლებლად მოგვევლინონ და კულტურულ თუ ეროვნულ იდენტობასთან პანანინა ფესვით, კაპილარით მაინც მიამაგრონ სიახლისკენ დაუოკებლად მსწრაფი კაცობრიობა. როგორც ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში, ჯანსაღ ობსესიას წესრიგი შემოაქვს და ქაოსს გვარიდება, ქმნის ერთგვარ მუდმივობის განცდას და სტაბილურ გარემოს, ასევე ქვეყნებსაც ხიბლს აძლევს უცვლელი ადგილები, ძველი შენობები თუ ტრადიციული ინსტიტუტები, ზოგიერთი მათგანი რამდენიმე საუკუნის წინანდელიც კი რომაა. ალბათ ადამიანების დიდ ნაწილს გამოუცდია, უცხო ქვეყანაში რამდენჯერმე მოგზაურობისას რამდენად სასიამოვნო განცდას უჩენს არათუ კულტურული ძეგლის ცნობა და თავიდან ნახვა, არამედ მისთვის ნაცნობ კაფეში დაბრუნებაც კი და აღმოჩენა იმისა, რომ იქ ისევ იგივე გემო დაახვედრეს და, ვინ იცის, იქნებ ისევ იგივე მიმტანი მოემსახურა. ასეთი მომენტები ხელს უწყობს ხალხთა შორის მჭიდრო სულიერი კავშირების გაბმას, სხვა ქვეყნების შეყვარებას და „თავისად“ მიჩნევას. მაშასადამე, ობსესიური ფსიქოტიპების კონტრიბუცია პლანეტის საგანძურის გაფრთხილებაში უზარმაზარი და დასაფასებელია, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, კონსერვატიულობამ ნგრევისაგან ვერ დაიცვა ვერც უძველესი კულტურის ძეგლები, ვერც ტრადიციული ინსტიტუტები, ვერც ნამდვილად

10. იქვე, გვ. 168.

ღირებული ფასეულობები, სამაგიეროდ, ჭარბად თავდაცვითი ხასიათი შეიძინა ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგ. ჯანსაღი ობსესიის ნაცვლად ობსესიურ-კომპულსიური, იმავე აკვიატებული მდგომარეობის ნევროზის გამოვლინებას დაემსგავსა, რომელიც ხასიათდება რიტუალების შექმნით, რამდენიმე შემამოფოთებელი შინაარსის აზრის აკვიატებითა და მის მოგერიებაში დროის დაკარგვით. ობსესიურობას ახასიათებს ასევე გადაჭარბებული სექსუალური ხასიათის შიშები.

„ობსესიური პიროვნებების აგრესია იმით არის სახიფათო, რომ ეს ადამიანები ხშირად ლაპარაკობენ ღირებულებებზე, ამის გამო კი ძნელია იმის დადგენა, როდის აქვს მათ საქმიანობას რაიმე ღირებულება და როდის არის იგი მათი ძალაუფლების გამოსატყვის საშუალება. რა თქმა უნდა, ისინი მართლები არიან, როცა ამბობენ, „ნესრიგია საჭირო“, მაგრამ ეს არ არის სიცოცხლით სავსე, არაპედანტური ნესრიგი. ზნეობა ნამდვილად ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ იგი ამ დროს კაცთმოძულეობას არ უნდა ქადაგებდეს.“¹¹

ჯანსაღი კონსერვატიულობა დაგვეხმარებოდა იმ ფასეულობებისა და მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებაში, რომლებთანაც ვაკავშირებთ ჩვენს ფესვებსა და ისტორიას, მაგრამ თავს უნდა ვხედავდეთ მომავალშიც და შეგვეძლოს დაშვება, რომ ხვალინდელი დღე ცვლილებას მოიტანს და ცვლილება, დინამიკა კარგია. მაგრამ ობსესიურ ადამიანებს ყოველი სიახლე საფრთხის მომტანად მიაჩნიათ. მით უფრო რთულია მათი გადარწმუნება, როცა საკუთარი გამოცდილება უდასტურებთ, რომ ყოველ სიახლეს მოჰყვა სისხლი, ქაოსი და საფასურად კარგი რა მოიტანა, რამდენად პროპორციული იყო მსხვერპლი მიღწეული შედეგისა, ამაში ვერ დარწმუნდნენ. იმდენად მაღალია ყოველგვარი ახალი ფორმისა და, მით უმეტეს შინაარსის მიმართ შიში, რომ უამრავი სწრაფად მისაღწევი პროგრესის ტემპი იკლებს ან საერთოდაც ფერხდება.

11. იქვე, გვ. 197.

ნებისმიერ ქვეყანაში ცივილიზაციის ხასიათობრივი საფუძველი, უმთავრესი ტრადიცია რელიგიაა, რადგანაც ის განაპირობებს ერის ცნობიერებას, მაშინაც, როცა ცალკეული ადამიანი შესაძლოა სულაც არ იყოს რელიგიური. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მოქალაქეები ცხოვრობენ, ქვეყანა, მთლიანობაში, თავისი ხასიათით, ქრისტიანული ცივილიზაციის ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. საერთო რელიგიის ადამიანები, არქეტიპული ხატებით, ფასეულობითი აზროვნების ტიპით დიდწილად ერთმანეთს ვგავართ, თუმცა საქართველომ საბჭოთა პერიოდი გამოიარა, რამაც მრწამსის ცოცხალი შეგრძნება გააბუნდოვანა. სსრკ-ში დაკანონებულმა ათეიზმმა, რელიგიის აკრძალვამ და კომუნიზმით მისმა ჩანაცვლებამ უკვალოდ არ ჩაიარა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ რელიგიის უცებ და თავიდან, გაშინაგანების გარეშე „დაბრუნებამ“, ზეპირად დასწავლამ საზოგადოებაში ცნობიერების გარკვეული ტიპი ჩამოაყალიბა. უპირველესად, ადამიანების უმეტესობამ სასულიერო პირებზე გადაიტანა იმავე ხასიათის შიშნარევი თაყვანისცემა, რასაც სსრკ იდეოლოგია ლენინის მუმის მიმართ მოითხოვდა, ანუ გადაიტანა ქცევის პატერნი და მხოლოდ შემდეგ დაიწყო პროცესი რელიგიის გაგებისა. გამომდინარე მრავალი, მასობრივად თავს დამტყდარი ტრაგედიიდან, ქვეყანაში, სადაც ადამიანებს არავის იმედი არ გააჩნდათ, არც მთავრობის, არც ინსტიტუციების, თავშესაფრად იქცა რწმენა, რამაც ეკლესიას უპირობო ძალაუფლება მიანიჭა, რადგან ეკლესიის მსახურთა მიმართ ოდნავ კრიტიკასაც კი მორწმუნეები რელიგიაზე თავდასხმად იღებენ, უფრო სუბიექტურად კი, თავიანთი ერთადერთი თავშესაფრის მოშლის საფრთხეს განიცდიან.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის ობსესიური ხასიათობრივი ხაზი სრული სიჯანსაღით ვერ ფუნქციონირებს, ის მაინც დიდ რესურსად მიმაჩნია ძველი კულტურის ერისთვის, რადგან თანდათან, უკეთესი განათლება, მეტი ინფორმირებულობა სწორად წარმართავს ამ თვისებას.

ასევე, ამ პრობლემას, ვფიქრობ, სხვადასხვა ჯგუფს შორის უკეთესი კომუნიკაცია მოაგვარებდა, რაც ადამიანებს მეტ სიმშვიდეს მოუტანდა და ამხელა ენერჯიას მართლაც ღირებულებილი ძველის, უპირველესად, ქართული ენის დასაცავად მივმართავდით, რომელიც ეროვნული იდენტობის მთავარი განმსაზღვრელია, და ჯანსაღად გავიაზრებდით სარწმუნოებას, რამაც ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერის მსოფლხედვა, არამედ განაპირობა ხასიათიც – წინააღმდეგობის უნარი, რომელსაც ეფუძნება ეროვნული თვითშეფასების ერთადერთი დადებითი რწმენა – ჩვენ ვართ ერი, რომელიც ყველაფერს გაუძლებს და გადაარჩება.

პარანოიდული ხასიათობრივი ხაზი

„პარანოიდული პიროვნების აშლილობისთვის დამახასიათებელია დაბრკოლებებისადმი გამძაფრებული მგრძობელობა, ეჭვიანობა, ნეიტრალური ან მეგობრული რჩევების მტრულად მიღების ტენდენცია, აგრეთვე, საკუთარი უფლებების აგრესიული და მტკიცე დაცვა. შესაძლოა აღინიშნოს პათოლოგიური ეჭვიანობა ან საკუთარი მნიშვნელობის გადაჭარბება.“¹²

პარანოიდულობა, კონსპირაციულობა ქართული საზოგადოების სხვა ერებისგან განსაკუთრებით განმასხვავებელი თვისება არაა. მთელი მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ტიპურია ვაქცინის, მთავრობის, მეცნიერების თუ სხვა ავტორიტეტების მიმართ უნდობლობა. მომხმარებლურ სამყაროში ადამიანებს მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში მიაჩნიათ თავი მუდმივად გამოყენებულად და არ შორდებათ საფრთხის განცდა. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. შესაძლოა მრავალი ტრავმის გამო, რაც უახლოეს წარსულში და კიდევ

12. „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფსიქიატრიის ლექსიკონები“, გვ.127.

უფრო ადრე, სრულიად არასანდო სსრკ-ში განმტკიცდა – რომ არაფერია ირგვლივ საიმედო და გულწრფელი, რაც საფრთხეს არ შეიცავს, – საქართველოს მოსახლეობას სხვა ქვეყნების ნარ-მომადგენლებზე მეტად მიაჩნია ყველა და ყველაფერი მტრად, აეჭვებს საკვების ხარისხიდან დაწყებული, ყველა ჰუმანიტარუ-ლი დახმარების სიკეთეც კი და საზოგადოების დიდი ნაწილი, რადგან თავს მუდმივად ექსპერიმენტის ცდისპირად მიიჩნევს, ხშირად მისთვის ყველაზე სასარგებლო შეთავაზებასაც ბრძო-ლას უცხადებს. ეს კი ნოციერი ნიადაგია რუსული პროპაგანდი-სა და პროვოკაციებისთვის, რასაც ისედაც საკმაო დასაყრდენი აქვს ქვეყანაში და, მათდა საბედნიეროდ, ქართულ მოსახლეო-ბაში ყველაზე აბსურდული შიშების დასაწერგადაც კი არცთუ მაღალი კვალიფიკაცია სჭირდებათ.

საქართველო დღეს

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვამწიფებთ ღრმა სულიერ იდეებს სა-კუთარი თავის შესახებ, ვერ ვაერთებთ წარსულის მითებს თა-ნამედროვეობასთან და ჰოლისტიკურად ვერ წარმოვისახავთ მომავალს. ისევ სხვა ქვეყნების გამოცდილებების მიბაძვის ფაზაში ვართ, ისიც ფრაგმენტულად, რაც გვეხმარება ზოგიერ-თი დარგის თუ კონკრეტული მიმართულების მეტ-ნაკლებად განვითარებაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, საფუძვლიან ცვლილე-ბას მეტი დრო სჭირდება.

ჯერჯერობით ისევ აკვიატებული მდგომარეობა შეიმჩნევა ხელოვნების ტერიტორიაზეც, რომელიც უმეტესწილად ფიქ-სირებულია 90-იან წლებზე და იმ წლების განცდების გადამუ-შავების გზას გადის. ხელოვნებაში, როგორც უფრო მაღალ რეალობაში, ვიდრე რეალობაა, ჯერ საკმარისად არ გამოჩენი-ლა მომავლის იმპულსები, რაც წინ უსწრებს ხოლმე მეცნიე-რებას და სამოქალაქო საზოგადოების პროგრესს. ახალი თე-მების ასახვა ნაკლებია, თუმცა კარგია, რომ სრული უძრაობა

არ არის და თანდათან მეტად გამოიკვეთება, როგორ იცვლება ერის კოლექტიური ცნობიერება.

ამ წლების მანძილზე საქართველოს მოსახლეობამ ჭრილობების სახით საკმარისზე მეტი გამოცდილება მიიღო. იმდენი სისხლი ვღვარეთ, რომ უკვე დროა, ჩვენს შიგნით, ამ ჭრილობებიდან შემოვიდეს სხივი, რომელიც შობს ნამდვილ იდეას ჩვენ შესახებ – რას ნიშნავს თანამედროვე, თავისუფალი ქართველი და რა წვლილი შეაქვს მას დღევანდელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია, მაინც არ გვაქვს პესიმიზმის საფუძველი და არც ის ვიცი, ისტორიის რომელ მოსახვევში დაგვიდგება ხელსაყრელი მომენტი, რომლისთვისაც ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. მთავარია, ვირწმუნოთ, რომ მიზანმიმართულ შრომას და გრძელვადიანი მიზნების დასახვას ყოველთვის მოსდევს შედეგი. ჩვენ აუცილებლად გვექნება მომავალი და ის მით უფრო სწრაფად და მით უფრო უკეთესი დადგება, რაც მალე მოვიშორებთ განცდას, რომ „ყველაფერი სადღაც უჩვენოდ წყდება“; დავიჯერებთ, რომ ჩვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

დღეს ჩვენ ზედმეტი შიშით ვართ მოცულები, რაც სიმპტომურად აღიბეჭდება ყველაფერში – ხან სიახლის მიუღებლობაში, ხან პირიქით, სულსწრაფობაში: „მოვასწრო დღეს, რადგან არ ვიცი, დადგება თუ არა ხვალინდელი დღე“ – მიდგომაში. ხვალინდელი დღე მაინც დგება და ჩვენ ყოველ ხვალინდელ დღეს მოუმზადებლები ან თითქმის მოუმზადებლები ვხვდებით.

აუცილებელია გავიაზროთ – ვიქნებით მშვიდები და უარს ვიტყვით უკეთეს მომავალზე, თუ ვიქნებით გმირები და შეუპოვრად ვივლით წინ, მომავლისკენ – ტრავმა ნებისმიერ შემთხვევაში გვექნება. მომავლის მოგების შანსი კი მხოლოდ მას აქვს, ვინც მოქმედებს. ჩვენი მთავარი მიზანი გამბედაობის შექმნა და თავისუფალი ნების მქონე, ცნობისმოყვარე თაობის გაზრდაა, რომელსაც არ ექნება უცნობი მომავლის შიში.

საბჭოთა წარსულის გაანალიზების აუცილებლობა

პატარა ვიყავი, როცა სახარება წავიკითხე. ბევრი კითხვა გამიჩინა, მაგრამ მათ შორის იყო ერთი, რომელიც მანუხებდა, რადგან ვიცოდი, რომ თვითონ კითხვაშივე იყო რაღაც არასწორი. მაინტერესებდა, რაში სჭირდებოდათ იუდეველთა მღვდელთმთავრებს იესოს დასაჭერად ვილაცის მოქრთამვა, მერე ლოდინი და ამდენი წვალეობა, როცა ეჭვმიტანილთა ჯგუფი სულ 13 კაცისგან შედგებოდა და მათი ყველას დაჭერა და მერე აღიარებითი ჩვენებების გამოძალვა ბევრად უფრო ადვილი გამოსავალი უნდა ყოფილიყო. არც სტალინის ეპოქაში გავზრდილვარ, არც გარემო იყო თითქოს კომუნისტური აზროვნებით გაჯერებული, მაგრამ საბჭოთა კავშირში, სადაც არსებობდნენ არა მარტო ხალხის მტრები, არამედ ხალხის მტრის ცოლები და შვილები, მთელი ერები შეიძლებოდა კოლექტიურ დამნაშავედ გამოეცხადებინათ და ჯოჯოხეთში გადაესახლებინათ – 13 კაცის, და თუ საჭირო გახდებოდა, კიდევ სამიოდე ქალის დაჭერა, საბჭოთა ნიადაგზე გაზრდილი ადამიანისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა – არც მორალურად და არც სამართლებრივად. საბჭოთა სისტემამ მოკლა სამართლის გაგება და ჩვენ დღესაც საბჭოური სამართლის გავლენის ქვეშ ვართ.

როდესაც დღეს ამბობ, რომ ადამიანი შეიძლება ციხეში ჩასვა შეთითხნილი ბრალდებით და ამართლებ ამას იმით, რომ ამ

ადამიანს ოდესღაც რაღაც დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელიც სასამართლოს არ დაუდგენია, ან როდესაც ამტკიცებ, რომ ადამიანები შეიძლება ციხეში იხდნენ იმის გამო, რადგან თქვეს, რომ რუკას ხარვეზები აქვს და ეს არაპატრიოტული საქციელია – ნიშნავს, რომ არ გესმის, რაა სამართალი და სამართლიანობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ვერა და ვერ მოხერხდა დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა – არც ერთ მთავრობას ამის არც ნება და არც სურვილი არ გააჩნდა.

პირველი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როცა საბჭოეთის მემკვიდრეობაზე, მის გავლენაზე დღევანდელ დღეს ვსაუბრობთ, ისაა, რომ მისი სიღრმისეული ანალიზის გარეშე ვერც კი ვხედავთ, რამდენად ახდენს ის გავლენას ჩვენს დღევანდელობაზე, ჩვენს აზროვნებაზე და არა მარტო იმ თაობაზე, რომელიც საბჭოეთს მოესწრო, არამედ იმათზეც, ვინც საბჭოეთის დანგრევის შემდეგ დაიბადა და შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდეს მასზე. გულზე ხელის დაკრეფა და იმის ლოდინი, როდის წავა ბუნებრივად საბჭოთა დროს დაბადებული თაობა, კარგ შედეგს ვერ მოიტანს.

ბანსხვავება გერმანიასა და ჰოსტსაბჭოთა ძველებს შორის ისტორიის ბაზრების საქმეში

განსხვავებით გერმანიისგან, სადაც მოახერხეს ისტორიის გადაფასება, გადააზრება, წარსულის დაძლევა (Vergangenheitsbewältigung), ნაციონალ-სოციალისტური წარსულის გამამუშავება (Aufarbeitung der NS-Vergangenheit), რაც, რასაკვირველია, გერმანელი ხალხისთვის მტკივნეული პროცესი იყო, ჩვენთან და მთელ საბჭოურ სივრცეში მსგავსი არაფერი მომხდარა. ამას აქვს თავისი მიზეზები. როდესაც საბჭოეთის ტოტალიტარული ფაზა, „სტალინის ეპოქა“ დამთავრდა, ხრუშჩოვისდროინდელი მცდელობა, კრიტიკული თვალთ დაენახათ უახლოესი წარსული, ვერ იქნებოდა წარმატებული, იგივე კო-

მუნისტური რეჟიმის პირობებში, როდესაც ამ რეჟიმის დამნაშავეები ისევ ხელისუფლებაში ისხდნენ. სტალინის და კიდევ უფრო მეტად, ბერიას კრიტიკა არ იყო სისტემის კრიტიკა, ან კი როგორ უნდა ყოფილიყო, როცა ხრუშჩოვი და ტერორს გადარჩენილი პარტიის ბელადები ამ სისტემის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. დამნაშავეები დამნაშავე სისტემას ვერ ამხელდნენ. ხრუშჩოვის მიერ პიროვნების კულტის კრიტიკა, პიროვნებებამდე დაყვანილი კრიტიკა, სწორედ სისტემის გადარჩენას და არა მის დეკონსტრუქციას ემსახურებოდა. თითქოსდა ყველაფერი, რაც მოხდა, არა სისტემის ბრალი იყო, არამედ ცალკეული პირების, და თვით სისტემა გარდაქმნას ექვემდებარებოდა, თუკი მას ცალკეულ „ცუდ“ პიროვნებებს მოაშორებდნენ. ხრუშჩოვის შემდეგ სტალინის ნაწილობრივი რეაბილიტაცია-რესტავრაცია კი მოხდა და მერე გორბაჩოვის დროს ხელახლა შეეცადნენ უკვე სრულიად დამპალი სისტემის გარდაქმნას – პერესტროიკას.

ადამიანებს, რომლებიც ლენინ-სტალინური ტერორის ქვეშ მოყვნენ, ოჯახებს, რომელთაც ტერორი შეეხოთ, არასდროს მისცემიათ საშუალება, გამხდარიყვნენ მოწმეები, ეთქვათ, თუ რა გადახდათ მათ თავს, რა ხდებოდა იმ პერიოდში. მეტიც, ხშირად ამ ადამიანების შთამომავლები ცდილობდნენ, უკეთესი საბჭოთა მოქალაქეები ყოფილიყვნენ და „გამოესყიდათ“ დანაშაული. რასაკვირველია, არსებობდა „ტამიზდატი“ და „სამიზდატი“, მაგრამ ეს ლიტერატურა ვერ გახდა ჩაკეტილი საზოგადოების განსჯის საკითხი და ვერც მცირე სიო, რომელმაც ჯერ არილოების (Хрущёвская оттепель) და მერე საჯაროობა/გლასნოსტის ჟამს დაბერა, საზოგადოებრივი დისკუსიისთვის საკმარისი არ იყო. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, სხვა საკითხები უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა, ვიდრე წარსულის კვლევა და გააზრება. იმ თითო-ოროლა ადამიანის მონათხრობი, ვისაც უნდოდა და ჯერ კიდევ შეეძლო მოწმეობა წარსულის ბოროტმოქმედებების შესახებ, თითქოს აღარავისთვის იყო საინტერესო. ადამიანი და საზოგადოება,

რომელიც ვერ ახერხებს საუბარს მასზე განხორციელებული ძალადობის შესახებ, ღრმად ტრავმირებულია. ჩვენი საზოგადოება ტრავმირებული საზოგადოებაა.¹

ჩვენი საერთო წარსული არასდროს ქცეულა საერთო ეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი დისკუსიის საგნად, სახელმწიფოს ინტერესის საგნად, როგორც ეს გერმანიაში მოხდა (ამასობაში მეტად და მეტად ცხადი ხდება პრობლემატურობა გერმანული დამოკიდებულებისა ისტორიისადმი, რომელშიც აბსოლუტურად დომინანტურია ნაციონალ-სოციალიზმის ისტორიულად მოკლე პერიოდი, თითქოს მანამდე სხვა პერიოდები არ არსებობდა (სხვა მონაკვეთებიც ისტორიისა ხშირად ნაციზმის, ანტისემიტიზმის, რასიზმის ფესვების ძიების ჭრილში უფრო განიხილება). ამ მოკლე, მხოლოდ ნეგატიურთან ასოცირებული პერიოდის ისტორიის დაძლევაზე აშენებული სახელმწიფოს ლეგიტიმაცია დროთა განმავლობაში კარგავს მყარ საფუძველს და უკვე სერიოზულ პრობლემად იქცა მოქალაქეთა იდენტიფიკაციისთვის ქვეყნის მიმართ. მიუხედავად ამისა, მძიმე წარსულის დაძლევის თვალსაზრისით გერმანია მაინც სანიმუშო ქვეყანაა და არცერთ ქვეყანას არ ჩაუტარებია ასეთი მასშტაბის სამუშაო).

გერმანიაში ომი, ჰიტლერი და ნაცისტური პერიოდი ერთდროულად დამთავრდა. ნაციზმის დაძლევა დაიწყო მაშინვე, უპირველესად ომში გამარჯვებული მხარეების ზენოლით, მაგრამ, ამასთან, ემიგრაციაში წასული და „შინაგან ემიგრაციაში“ მყოფი გერმანელების დიდი ძალისხმევითაც. რასაკვირველია, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში იყო არასასურველი წარსულის მივიწყების მცდელობა, მაგრამ ახალმა თაობამ, რომელიც ნაციზმს არ მოსწრებია, დასვა კითხვა, რომელიც ჩვენთან არასდროს დასმულა – რას აკეთებდი შენ, მამა (დედა, ბებია,

1. დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი, „ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქო-სოციალური ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე“. სადოქტორო დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017.

ბაბუა) მაშინ, ნაცისტების დროს? სანამ მსგავსი კითხვები არ დაისმება ჩვენს საზოგადოებაშიც, ჩვენი უახლოესი წარსული დარჩება პასუხგაუცემელი, დაუძლეველი.

საბჭოთა კავშირში სტალინის სიკვდილი და საბჭოთა კავშირის ნელი კვდომა ერთდროული არ ყოფილა (სტალინის სიკვდილის შემდეგ აღარც იყო აუცილებელი ტერორის გაგრძელება. ჩამოყალიბდა უინიციატივო, ყველაფერზე დამყოლი, გატეხილი, მხოლოდ სხვისი სიტყვებით მოსაუბრე, სინამდვილეში პირ-უტყვი მოქალაქე (Unmündige Bürger) რომლის მართვასაც დიდი ძალდატანება არ სჭირდებოდა და თუ ვინმე მაინც ხმას ამოიღებდა, მას ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტვა ელოდა).

ბოლოს ეს დასუსტებული, სასაცილოდ ქცეული, კბილებჩაღენილი ავტორიტარული სისტემა, რომელიც თავის თავსაღატყუებდა, დიდი ძალისხმევით გარეშე მიიცვალა. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რატომ არაა რეალურად ორივე ტოტალიტარული სისტემის მიმართ ერთნაირი მიდგომა და თანასწორი გაკიცხვა. იმავე გერმანიაში დღეს შესაძლებელია, დაიდგას ლენინის ძეგლი (როგორც 2020-ში, გელზენკირხენში) და წარმოუდგენელია ასეთივე ტოლერანტული დამოკიდებულება ჰიტლერის ძეგლისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ოციან წლებში იტალიელი მოაზროვნეები ფაშიზმსა და ბოლშევიზმს ერთნაირ ბოროტებად განიხილავდნენ, ლიბერალი ჯოვანი ამენდოლა, ტერმინ „ტოტალიტარიზმის“ შემომტანი, ფაშიზმსა და ბოლშევიზმში ლიბერალიზმსა და დემოკრატიაზე ტოტალიტარულ რეაქციას ხედავდა, ან კათოლიკე მღვდელი და პოლიტიკოსი ლუიჯი სტურცო კომუნისტურ რეჟიმს მემარცხენე ფაშიზმს, ფაშიზმს კი მემარჯვენე ბოლშევიზმს უწოდებდა, და მიუხედავად იმისა, რომ ამასობაში უამრავი წიგნი² დაინ-

2. მართლაც, უამრავ კარგ წიგნს შორის, ჩემთვის საკვანძო წიგნად დღემდე რჩება ჰანნა არენდტის *The Origins of Totalitarianism / Elemente und Ursprünge totaler Herrschaft*. aseve mniSnelovania erik hobsmaumis Age of Extremes. *The short twentieth century 1914–1991*, კარლ ი. ფრიდრიხ და ზბიგნე ბჟეჟინსკი, იან კერპოუ და მოშე ლევინი, ტონი ჯად და შედარებით ახალ ავტორთა შორის ტიმოთი სნაიდერი.

რა, მოხდა გერმანული და საბჭოთა ტოტალიტარიზმების შედარება (დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც დღემდე დიდად არ დასუსტებულა, ხშირად ჰოლოკოსტის ერთჯერადობის მომიზეზებით), ლმობიერი დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი გრძელდება – ის დღესაც, როგორც სტალინის სიცოცხლეშივე, აღიქმება გარკვეულ ალტერნატივად ნაცისტური ტოტალიტარიზმისა და, რასაკვირველია, კაპიტალისტური სისტემის მიმართ. ჯერ კიდევ ფესვგამდგარია შეხედულება, რომ, თუ გერმანიაში ტერორი ძირითადად რასობრივი იყო, საბჭოეთში – კლასობრივიო, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დღეს კარგად ვიცით, ტერორი საბჭოეთში ეთნიკური ჯგუფების, როგორც კოლექტიური დამნაშავეების, წინააღმდეგაც იყო მიმართული. მის მსხვერპლად იქცნენ პოლონელები, პონტოელი ბერძნები, კორეელები, გერმანელები, ომის დროს კოლაბორაციონიზმში დადანაშაულებული მთელი ეთნოსები: ყირიმელი თათრები, ყალმუხები, ჩეჩენ-ინგუშები, ყაბარდოელები და სხვ., ან პრევენციულად საეჭვონი, როგორც მესხი მუსლიმები, ომის შემდგომ პერიოდში – ებრაელები. საბჭოთა ტერორი არ ყოფილა მხოლოდ სოციალური ტერორი. ბევრს დღესაც სჯერა, რომ ქვეყანა, რომელიც იბრალებდა, თითქოს მუშათა და გლეხთა სამოთხე იყო, მუშებსა და გლეხებს მაინც ექცეოდა ლმობიერად. არადა, გლეხები, შემდგომში კოლმეურნეები – ფაქტობრივად, ბატონყმობის მსგავს ეპოქაში დააბრუნეს. 1967 წელს 58 მილიონ კოლმეურნეს პასპორტიც კი არ ჰქონდა. მათი პასპორტიზაცია მხოლოდ 1981(!) წელს დასრულდა. უკრაინული ჰოლოდომორი ან ყაზახეთის შიმშილობა, რომელსაც ყაზახთა ერთი მესამედი ემსხვერპლა, სწორედ გლეხობის (და მესაქონლეების), როგორც კლასის, ხერხემალში გადატეხას ისახავდა მიზნად. მუშათა კლასს, თუნდაც საქართველოში, რომელზეც სოციალ-დემოკრატიის გავლენა დიდი იყო, „გასაბჭოების“ დღიდან ატერორებდა საბჭოთა ხელისუფლება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რამდენი გულანთებული, პარტიისა და ბელადის ძალლივით ერთგული კომუნისტი გაანადგურეს თვი-

თონ კომუნისტებმა.

ძირეული ბანსხვაეება ბერმანულ და საბჭოთა ტოტალიტარიზმებს შორის:

1. ტოტალური შიში

ერთგულების განადგურება, სრული განუკითხაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ნაცისტურ და კომუნისტურ ტოტალიტარიზმებს შორის. სტალინის მიზანი იყო, სწორედ რომ, მიზანმიმართულად, ტოტალური შიშის დათესვა – როცა არავინ იცის, რატომ იჭერენ, ასახლებენ, ხვრეტენ, როცა არ ჩანს ლოგიკა, შიში მოიცავს მთელ საზოგადოებას უბრალო დამლაგებლიდან უმაღლეს ჩინოვნიკამდე ყველა შეიძლება გახდეს ტერორის მსხვერპლი. ჩემი აზრით, ტოტალური შიში არის კომუნისტური ტოტალიტარიზმის მთავარი მახასიათებელი.

საშუალო გერმანელს (ხაზგასმით უნდა ითქვას – გერმანელს, რომელსაც ანტიადამიანური რასობრივი კანონები არ ეხებოდა), რომელსაც თუნდაც გულზე არ ეხატებოდა ჰიტლერი, თუ უბრალოდ ჩუმად იქნებოდა, არ უნდა ჰქონოდა შიში, რომ მას ტერორი შეეხებოდა. ის ფაქტიც, რომ გერმანიაში ძველი ეკონომიკური სისტემა დარჩა, თავის შესაფარებელ ნიშებს ტოვებდა. საბჭოურ სისტემაში კი სისტემისგან გაქცევის შანსი არ არსებობდა – ადამიანი სრულად იყო დამოკიდებული ხელისუფლების მიერ ტოტალურად კონტროლირებად ეკონომიკაზე. მაგ., ვერ გაიქცეოდი სოფლად და თავს, მით უმეტეს, ოჯახს, შენი დამოუკიდებელი შრომით ვერ გამოკვებავდი. სოფელში დაგხვდებოდა კოლმეურნეობა, რომელში ჩაუბმელადაც სოფლად ცხოვრება შეუძლებელი იყო, რომ არაფერი ვთქვათ სანარმოებსა და სრულიად სახელმწიფოს ხელში არსებულ სხვა სამსახურებზე. ისეთი ტოტალური მატერიალური დამოკიდებულება, როგორც კომუნისტურ ტოტალიტარულ

სისტემაში იყო – კაპიტალისტურ, თუნდაც კონტროლის ქვეშ მოქცეულ სისტემაში ვერ იარსებებდა. სახელმწიფოზე ასეთი დამოკიდებულება სრულ მორჩილებასა და ყოველდღიურ ეგზისტენციალურ შიშში ამყოფებდა ადამიანს.

სახელმწიფო, რომელიც ყველაფერზეა პასუხისმგებელი, და დათრგუნული მოქალაქე, რომელსაც მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ არანაირი დამოუკიდებელი ინიციატივა, ინტერესი საზოგადოებრივი, საერთო საქმისადმი არ გამოავლინოს – დღესაც ღრმად არის ფესვგადგმული პოსტსაბჭოთა სივრცეში. ვინც ასეთ ინტერესს იჩენს, ხშირად „მეტიჩრად“ მიიჩნევენ, ანდაც არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივი საქმისთვის იბრძვის, სხვა მიზნით „ანგაჟირებულად“ (ამ სიტყვასაც ხომ ბევრი მხოლოდ უარყოფით კონტექსტში განიხილავს) აღიქმება. მეტიც, რადგან დღევანდელი სახელმწიფო აღარ ან ვეღარ ასრულებს ამ „პატრონის“ ფუნქციას, ბევრი ადამიანი ნოსტალგიით იხსენებს წარსულ „ბედნიერ“ ცხოვრებას. მეორე მხრივ, თავისუფლების შემზღუდავი სახელმწიფო აღიქმება როგორც მტერი, რომლისადმი აგრესიაღა რჩება.

ბანსაზოგადოება vs. კერძო საკუთრება

ყველაფრის „ნაციონალიზაციამ“, თითქოს გასაჯაროებამ, ყალბმა განსაზოგადოებამ, ვითომდა საზოგადოებრივ საკუთრებად ქცევამ, როცა საზოგადო სივრცე არავის ეკუთვნოდა, გარდა სახელმწიფოსი, და მისი ზედამხედველობის გარეშე საზოგადოებრივ სივრცეში არანაირი ქმედება არ შეიძლებოდა – გამოიწვია საბჭოთა ადამიანის სრული უკანდახევა პარტიის მიერ ჯერ კიდევ დატოვებული უვინროეს კერძო სივრცეში და ე. წ. საზოგადოებრივი სივრცისადმი მტრული, აგრესიული დამოკიდებულებაც კი. ამას დღეს ყველა ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. განკრიალებული ბინა – ჩამყაყებული კიბის უჯრედი მრავალოჯახიან სახლებში – ამის ცხადი მაგალითია.

საერთოდ, სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულება ექსტრემისტული იდეოლოგიების მახასიათებელია. ერთი მხრივ, ტოტალური სახელმწიფოს იდეალიზაცია, მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფოს და არა მხოლოდ დემოკრატიული სანყისებისა და პარლამენტარიზმის უარყოფა. კომუნიზმის იდეალი ხომ სახელმწიფოს კვდომაა.

პიროვნების კულტი

ტოტალიტარიზმების მსგავსებაზეც ბევრია ნათქვამი და ზედაპირულ განსხვავებებზეც. ავილოთ, მაგ., პიროვნების კულტი. როდესაც გორში მდგარი სტალინის ძეგლის შესახებ იყო საუბარი, ხშირად ისმოდა არგუმენტი, რომ გერმანიაში არსად დგას ჰიტლერის ძეგლი. მაგრამ ის არც არსად მდგარა საზოგადოებრივ ადგილას. საბჭოთა ადამიანისთვის ეს გასაკვირი და უცნაურია. საბჭოეთში ყველგან იდგა ლენინი, ძალიან ბევრგან – სტალინი და სხვადასხვა წვრილფეხა ბელადი³. გერმანიაში სახელმწიფო დაწესებულებებში კი იდგა ჰიტლერის ბიუსტები, სახელმწიფო და პარტიული მოხელეების მაგიდებზეც, ყველგან სურათებიც ეკიდა, მაგრამ საჯარო ადგილებში ჰიტლერის ძეგლი არ მდგარა. მოედნებსა და ქუჩებს გერმანიაში ჰიტლერის და, შეიძლება, სხვა ბელადის სახელებიც ერქვა, მაგრამ არა – მთელ ქალაქებს, როგორც ეს საბჭოეთში იყო მიღებული. ისე, როგორც, საბჭოეთისგან განსხვავებით, სადაც ლენინს, სტალინსა და სხვა ბელადებს ან ბელადადყოფილთ მსახიობები განასახიერებდნენ მხატვრულ კინოში – გერმანიაში მხატვრულ ფილმებში ნათამაშები ფიურერის ადგილი არ იყო. ნაცისტები

3. სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1918 წელს მიიღო დეკრეტი ძეგლების შესახებ, ლენინური მონუმენტური პროპაგანდის გეგმის შესაბამისად. იხ. ვიკიპედიის სტატია Ленинский план монументальной пропаганды. თვით ლენინის ძეგლების დადგმა მის სიცოცხლეშივე დაიწყო და მისი სიკვდილის შემდეგ კი სტანდარტიზაცია მოხდა – <http://lenin.tilda.ws/pervye-pamyatniki-leninu>.

ბევრად უფრო მოკლე დროის განმავლობაში იყვნენ ქვეყნის სათავეში და შეიძლება ვერ მოასწრეს საბჭოური გამოცდილების ბოლომდე გაზიარება. ეს დიდი და სერიოზული განსხვავება არაა: ტოტალიტარიზმი პიროვნების კულტის გარეშე არ არსებობს, მისი გამოვლინებების დეტალურია განსხვავებული.

ბანსკვაპება 2

მაგრამ რა არის კიდევ ძირეული განმასხვავებელი ტოტალიტარიზმებს შორის?

პირველი უკვე ითქვა: სახელმწიფოს მსახვრალი ხელი ყველას სწვდებოდა. ტოტალური კონტროლი იყო ტოტალურ შიშზე დამყარებული. ხელისუფლებისადმი პატივისცემის და, ალბათ, სიყვარულის წყაროც მხოლოდ შიში იყო. ნიკოლო მაკიაველი თავის კითხვას – „რა ჯობია, უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი?“ პასუხობს, რომ სასურველია ერთიცა და მეორეც. მაგრამ რაკი ორივეს შეთავსება ძნელია, ამიტომ, თუკი იძულებული იქნები, ერთ-ერთზე უარი უნდა თქვა, გაცილებით გიჯობს, შიშს უნერგავდე ხალხს და არა სიყვარულს – ქართველმა იოსებ ჯულაშვილმა რუსთაველის „შიში შეიქმს სიყვარულსა“ დაუპირისპირა, რომელიც მან სიტყვასიტყვით გაიგო და ეს სტალინური ინტერპრეტაცია საბჭოთა ხელისუფლებამ სიცოცხლეში გაატარა.

მეორე, ჩემი აზრით, ძირეული განსხვავება არის – რუსული ტერმინი რომ ვიხმაროთ -Крыговая порука – კოლექტიური დანაშაული, თანამონანილეობა ბოროტმოქმედებაში. როცა მწერალთა კავშირში მწერლები კოლეგას ბრალს სდებდნენ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში, უცხოეთის აგენტობაში, „ნიღბებს აგლეჯდნენ“ ერთმანეთს; როცა საწარმოებში შეკრებილი მუშები უზარმაზარ მიტინგებზე სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას მოითხოვდნენ, „ცოფიანი ძაღლების“ განადგურებას ითხოვდნენ; როცა შენი მეზობელი და ნათესავი უნდა გემხილებინა – რასაკვირველია, ადამიანს უნდა გასჩენოდა შეგრძნება, რამდენა-

დაც უნდა ეცადა ამ აზრის იგნორირება, რომ ისიც თანამონაწილე იყო ბოროტმოქმედების და სადამსჯელო სისტემისა. ყველა უნდა ყოფილიყო ბოროტმოქმედი სისტემის ნაწილი, ყველა უნდა ყოფილიყო გასვრილი. ამიტომ საბჭოთა ადამიანი ვერ იტანდა გამონაკლისებს, როცა ვიღაც ერთი სისტემის წინააღმდეგობას შეძლებდა ან, უბრალოდ, ბოროტებაში არ მონაწილეობდა – ის საბჭოთა ადამიანში ზიზღს იწვევდა, რადგან კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს საკუთარ უხერხემლობას, შიშს, იმის დასაშვებობას, რომ არ ყოფილიყავი სისტემის ჭანჭიკი. ახლაც კი, არასაბჭოთა დროს, ასეთი ადამიანების არსებობა ეჭვს იწვევს. დღესაც დიდია განსხვავებულის არმილების, არასტანდარტულიადმი შიშის, ყველას ერთ ქვაბში ჩაყრის, გაერთფეროვნების, გათანაბრების (уравниловка) ტენდენცია.

ნაციისტურ გერმანიაშიც მასობრივი თავყრილობები და „ჰაილ ჰიტლერის“ ყვირილი ყოველდღიურობად აქციეს, დასმენები დიდად ნახალისებული იყო, „ანონიმებს“ დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ თითოეული მოქალაქის ხელისუფლების სასურველ ქმედებაში ასეთი გოტალური ჩაბმა ვეღარ მოასწრეს.

საქართველო და სტალინი

ცალკე თემაა მოსკოვ-საქართველოს ურთიერთობა, სტალინი და საქართველო.⁴

1921 წელს ანექსიაც იყო და ოკუპაციაც, მაგრამ ბალტიის

4. სტალინისადმი ქართველთა დამოკიდებულების შესახებ ჩემი მოსაზრებანი შეიძლება იხილოთ - მარია ლიპმანი, ლევ გუდკოვი, ლაშა ბაქრაძე, რედაქტორი თომას დე ვაალი. „სტალინის თავსატეხი. პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი“. Carnegie Endowment for International Peace, Heinrich Boell Foundation South Caucasus Regional Office, თბილისი 2013. ჩემი სტატია: „საქართველო და სტალინი: ქართველი ხალხის საამაყო შვილი ჯერ კიდევ ჩვენთანა“, გვ. 69-77, Lasha Bakradze: Georgia and Stalin. Still living with the great son of the nation. In: Thomas de Waal (ed.): The Stalin puzzle: Deciphering post-Soviet public opinion. Washington 2013, pp. 47–54.

ქვეყნების წამხედურობით, რომლებიც ისტორიის შავ-თეთრი ხედვის მაგალითად თუ გამოდგება, მთელი 70-წლიანი პერიოდის მხოლოდ ოკუპაციის ქრილში განხილვა არაფერს იძლევა. რეალისტური სურათის დასანახად აუცილებელია გავითვალისწინოთ კოლაბორაციის და ცენტრსა პერიფერიას შორის ურთიერთობის სპეციფიკა სტალინის პერიოდში. სტალინისგან თავის შორს დაჭერის მცდელობა და ამისთვის მისი არა(სრულ) ქართველობის მინიშნება, როგორც ჩანს, ქართულ ანტისტალინისტურ წრეებშია წარმოშობილი. ნაციზმის დროს ქართველი ემიგრანტები გერმანულად რასისტულ ტერმინებსაც – Mischling და Bastard / „შერეულსისხლიანი“ და „ნაბიჭვარი“ – სიამოვნებით იყენებდნენ სტალინის წარმოშობის აღსაწერად. თვითონ სტალინიც, მრავალეთნიკური იმპერიის ბელადი, თავის ეთნიკურ წარმოშობაზე, ცხადია, ყურადღებას არ ამახვილებდა. როგორც სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა იგონებს, მის ძმას, ვასილის, გაოცებულს უთქვამს: „იცი, მამა, წინათ თურმე ქართველი ყოფილა“. მაგრამ სტალინი, რომელმაც ქართული ენა, ისტორია და კულტურა კარგად იცოდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს თავის პატარა სამშობლოს – მსგავსი მუდმივი ინტერესი და პირადი ჩართულობა მხოლოდ რუსული კულტურის მიმართ ჩანს, რაც თავისთავად ცხადია.

სტალინური ხედვა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ენათმეცნიერებისა, დღემდე განსაზღვრას ჩვენს ხედვას.

საბჭოთა ენათმეცნიერების ოფიციალურ კანონიკურ დოქტრინად სტალინმა ქართველი ენათმეცნიერის, ნიკო მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ გახადა (სხვათა შორის, მარი დიდოსტატი იყო მარქსისა და ენგელსის ციტატების მექანიკური და უადგილო მოხმობისა – მისი თეორიის „გამარქსისტულების“ მიზნით). სტალინის ბოლო დიდი თეორიული ნაშრომი იგივე მარიზმის დასასამარებლად დაწერილი 1950 წელს – „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ქართველი არნოლდ ჩიქობავას გავლენითაა დაწერილი. არნოლდ

ჩიქობავასთან, რომლის სახელსაც დღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ატარებს (და საქართველოს კომპარტიის პირველ მდივან კანდიდ ჩარკვიანთან) შეხვედრის შემდეგ სტალინმა სწორედ ქართველ ენათმეცნიერს დაავალა ენათმეცნიერების საკითხებზე ახალი დიდი დისკუსიის წამოწყება პირდაპირ ქვეყნის მთავარი გაზეთის, „პრავდას“ ფურცლებზე, რომელშიც ბოლოს თვით დიდი ბელადი ჩაერთო. არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერული თეორიები თუნდაც იბერო-კავკასიური ენათა ოჯახის შესახებ მიუხედავად თანამედროვე ენათმეცნიერთა განსხვავებული შეხედულებისა, ჩვენში დღესაც ფესვგადგმულია.

1945 წელს, ომის შემდეგ, როცა საბჭოეთის დიდი ნაწილი ჯერაც ნანგრევებად იყო ქცეული, სტალინმა დრო გამოიხატა და შეხვდა ქართველ ისტორიკოსებს – ნიკო ბერძენიშვილსა და სიმონ ჯანაშიას, მათ დარიგებები მისცა, თუ როგორ უნდა დაენერათ საქართველოს ისტორია. სტალინის შენიშვნები ეხებოდა არა საბჭოთა ეპოქას, არამედ ადრეულ საქართველოს ისტორიას, ქართველთა ეთნოგენეზს, რუსეთის როლს საქართველოს ისტორიაში და ა.შ.⁵ საქართველოს ისტორია თავიდან ბოლომდე გადასახედი და გასათავისუფლებელია საერთოდ მარქსისტული და, კერძოდ, სტალინისტური თხრობისგან (ჩვენში დღეს ნარატივს რომ უწოდებენ).

1934 წელს საბჭოთა მწერალთა პირველ ყრილობაზე პარტიის მიერ ქართველ მწერალთათვის დანიშნულ ხელმძღვანელს მალაქია ტოროშელიძეს დაევა ქართულ ლიტერატურაზე მოხსენების გაკეთება. როგორც ამბობენ, სტალინი ტექსტს გამოსვლამდე გაეცნო და დაინუნა. ტოროშელიძე ქართულ ლი-

5. ნიკო ბერძენიშვილის მოგონებები – „სტუმრად ამხანაგ სტალინთან სოჩაში“. 1945. 10. 20-23 (გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ედიშერ ხომტარია-ბროსემ). ჟურნალი „ცისკარი“ 1998, N 1, გვ. 96-110.
რუსული თარგმანი, რომელსაც თან ერთვის კანდიდ ჩარკვიანის მოგონებაც: Новые речи Сталина о Грузии, истории и национальностях (1945): Нико Бердзенишвили. Встреча со Сталиным об: Исследования по истории русской мысли [15]. Ежегодник за 2019 год / с. 491-525. Под ред. М.А. Колерова.

ტერატურას ფაქტობრივად დანიელ ჭონქაძითა და ეგნატე ნინოშვილით იწყებდა. სტალინმა ტოროშვილიძეს ახალი ტექსტის მომზადება დაავალა – ქართული ლიტერატურის ადრეული ეტაპების გათვალისწინებით, რუსთაველზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით და, რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძისა და მეცხრამეტე საუკუნის მნიშვნელოვან ავტორთა წინ წამოწევიტ.⁶ როგორც ჩანს, სტალინი ტოროშვილიძის შესაძლებლობებს არ ენდო და მას პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, გერონტი ქიქოძე და სხვები მიუჩინა. ამ საბედისწერო ყრილობაზე, რომელმაც მთელი საბჭოთა კულტურის ბედი განსაზღვრა საბჭოეთის ბოლო წლებამდე და რომელზეც არა მხოლოდ ლიტერატურის დარგის, არამედ მთელი საბჭოთა ხელოვნებისთვის ერთადერთ მისაღებ მეთოდად სოციალისტური რეალიზმის დოქტრინა გამოცხადდა, მთავარი სიტყვით მაქსიმ გორკი გამოვიდა. გორკის სიტყვა 45 წუთს გრძელდებოდა, მაღაქია ტოროშვილიძემ კი სამი საათი ილაპარაკა ქართულ ლიტერატურაზე. ტექსტი ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდა დიდი ტირაჟით და საკმაო მოწონებაც ხვდა წილად.⁷

30-იან წლებში საბჭოეთის სხვა ხალხთა ლიტერატურების წარმომადგენლები ქართველი პოეტების სახოტბო პოეზიის რუსული თარგმანით გაიგეს, როგორ უნდა ეწერათ ლექსები სტალინზე. ქართველმა პოეტებმა, ნიკოლო მინიშვილმა და პაოლო იაშვილმა ბიძგი მისცეს სრულიად საკავშირო „სტალინიადას“⁸.

-
6. Жгенти Б. Съезд великого единения. Литературная Грузия, №9, 1974, с. 47-55
 7. ამ საკითხებს ეხება უაღრესად საინტერესო კვლევა – Giorgi Maisuradze, Franziska Thun-Hohenstein, Sonniges Georgien. Figuren des Nationalen im Sowjetimperium, Kulturverlag Kadmos, Berlin, 2015
 8. ბორის პასტერნაკის თარგმნილი ნიკოლო მინიშვილის და პაოლო იაშვილის ლექსები 1934 წელს დაიბეჭდა მოსკოვის ჟურნალებში – МИЦИШВИЛИ, Н. Сталии. – Новый мир. Журнал. Москва, 1934, № 3 და ЯШВИЛИ, П. Сталин. – Красная новь. Журнал. Москва. 1934, № 6, 1935ში ცალკე წიგნად გამოიცა Поэты Грузии в переводах Б. Л. Пастернака и Н. С. Тихонова. Тифлис, Загиз, 1935 და იმავე წელს პირველი კრებული სტალინისადმი მიძღვნილი სახოტბო პოეზიისა (ძირითადად „ხალხური“) Стихи и песни народов Востока о Сталине. Москва, Журнально-газетное

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თვალი გავუსწოროთ ჩვენს ისტორიას და დავკლიოთ მისი გავლენა დღევანდელოგაზე?

სტალინის მუზეუმის გარდაქმნა ნამდვილ საგანმანათლებლო ცენტრად იქნებოდა სიმბოლო ჩვენს ქვეყანაში წარსულისა და მომავლის გამიჯვნისა.

განსხვავებით სხვათა მოსაზრებისგან – სტალინის მუზეუმი ჩანაცვლდეს კომუნიზმის მსხვერპლთა მუზეუმით ან ოკუპაციის მუზეუმით (ასეთი მუზეუმების გაკეთება ყველგან შეიძლება), – მომხრე ვარ, რომ გორში შევინარჩუნოთ სტალინის მუზეუმი, ოღონდ ძირეული ცვლილებით. ეს უნიკალური მუზეუმი თავის გამოფენიანად შთამომავლობას უნდა შევუნახოთ, როგორც თვალნათელი მაგალითი (იაფფასიანი) საბჭოური პროპაგანდის, ისტორიის გაყალბებისა და ფასეულობათა შეცვლისა.

მუზეუმის შენობა ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში დაპროექტდა. უფრო ადრე, ტერორის პიკის დროს, 1937 წელს, აიგო სტალინის ქოხის დამცავი პავილიონი და იგი ურიცხვ მომლოცველთა სანუკვარ წმინდა ადგილად იქცა.

„აქ საიდუმლო პატარა ქოხის – საიდუმლოა კაცობრიობის“ – როგორც გალაკტიონი იტყოდა.

რელიგიური ელემენტი კომუნისტურ რეალობაში თავისთავად უაღრესად საინტერესო თემაა, თავისი ნამებული წმინდანებით (26 ბაქოელი კომისარი), პირამიდებით, უხრწნელი გვამით (ლენინი და მავზოლეუმი), ხატებით (ბელადების სურათები).

გორში ამ წმინდა ქოხში (თითქმის ბეთლემის ბოსელი) მო-

объединение, 1935. იხ. ასევე აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები: „სტალინიადა“. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტომი 3, გვ. 346-368

დიან, როგორც იესოსთან მოგვები, და ახლად შობილი კაცობრიობის მხსნელისთვის მოაქვთ საჩუქრები მეზობლებს, ასრულებენ რიტუალებს, როგორც გიორგი ლეონიძეს აქვს მითოლოგიზებული, ხალხური ტრადიციის პრეტენზიით, თავის პოემაში „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“:

მამალი გადაახტუნეს,
– ბავშვი ფხიზელი გამოვა!
მერცხალი პირს გამოავლეს,
– ენაჭიკჭიკა გამოვა!

აკვნის თავს დადგეს მარილი,
– მარილიანი გამოვა!
გულზე შაქარი დაადეს,
– მოსიყვარულე გამოვა!

სავსე მთვარეზე აწვენენ,
– ვაჟი ჯანმრთელი გამოვა!
აკვანში რკინა ჩაუდეს,
– შეუდრეკელი გამოვა!

მუზეუმის შენობის გახსნა სტალინის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ის 1957 წელს გაიხსნა, რასაკვირველია, მოსკოვის დასტურით, ხრუმჩოვის ცნობილი სიტყვის შემდეგ პარტიის მეოცე ყრილობაზე (1956) პიროვნების კულტის შესახებ. ეს ფაქტიც ბევრის მეტყველია – სტალინის კულტი თითქოს გააკრიტიკეს, 1956-ში თბილისის პროსტალინისტური დემონსტრაცია დახვრიტეს, სტალინის ძეგლი თბილისში ჩამოაგდეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მის მშობლიურ გორში მისი მუზეუმი გახსნეს.

ცუდად სტრუქტურირებული, 1979 წელს განახლებული ექსპოზიცია კარგად გვაჩვენებს, როგორი იყო ქართული დამოკიდებულება სტალინის მიმართ. მუზეუმში გამოფენილია ქარ-

თველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები, რომლებსაც ერთი შეხედვით არავითარი კავშირი არ აქვთ სტალინთან, ან სოსო რუსთაველის წიგნით ხელში კავკასიის მთების ფონზე – ანუ ის არა მარტო ერთი ჩვენგანია, არამედ ამ ქართული კულტურის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

მეორე მხრივ, გამოფენა პროვინციულ სიამაყეს აჩვენებს კოლონიზებული ერისა, რომლის შვილმაც მოახერხა, იმპერიის სადავეებთან მოქცეულიყო – კოლონიის თვითკმაყოფილება.

ეს ექსპოზიცია ასევე შესანახია, ოღონდ მას უნდა გაუკეთდეს პარალელური გამოფენა, რომელიც აჩვენებს საბჭოთა პროპაგანდას, ხსნის, ასწორებს და, ამავე დროს, მოგვიყვება სტალინისა და სტალინიზმის ნამდვილ ისტორიას.⁹

მაგრამ, ჯერ არც ერთ მთავრობას საქართველოში არ აღმოაჩნდა საკმარისი ნება და ხედვა – გარდაქმნას სტალინის მუზეუმი.

ხშირად გაიგონებთ კონტრარგუმენტს, რომ დასავლურ, დემოკრატიულ სამყაროში დიქტატორებისა და მასობრივი მკვლელების მუზეუმები არა აქვთ – მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენ შეგვიძლია, გავაკეთოთ ის, რაც სხვაგან არაა, ახლებური ხედვით მივუდგეთ ამ საქმეს – დაე, არსებობდეს ერთადერთი მუზეუმი, რომელიც კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს დამნაშავეს ეძღვნება.

ვერცერთმა მთავრობამ დღემდე ვერ შეძლო, გამოეჩინა ნება და დაენყო ლუსტრაციის პროცესი. საბჭოთა სისტემის დანგრევიდან ოცდაათი წლის შემდეგაც აუცილებელი ლუსტრაცია არავითარ შემთხვევაში აღარ იქნება ანგარიშსწორების ან საზოგადოებრივი დაძაბულობის შემქმნელი – პირიქით,

9. ჩემი ხედვა სტალინის მუზეუმის გარდაქმნაზე დანვრილებით _ Lasha Bakradze: Past and future of the Stalin museum in Gori. in: Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present. Series: Schriften des Historischen Kollegs, 103. Edited by: Hubertus Jahn. De Gruyter, Oldenbourg 2021, pp. 9-15 და Lasha Bakradze, TEDxTbilisi: Should Stalin keep his own museum, <https://www.youtube.com/watch?v=2bzY00sHhMs>

ის გაათავისუფლებდა საზოგადოებას წარსულის მძიმე ტვირთისგან, გაათავისუფლებდა ცალკეულ პიროვნებებსაც პირადი გადაცდომების გამო მუდმივი შანტაჟის შიშისგან. ამისთვის საჭიროა არქივების საბოლოო გახსნა და საარქივო მასალების ნამდვილი ხელმისაწვდომობა (მათ შორის ფინანსურიც) მკვლევართა და დაინტერესებულ პირთათვის.

აუცილებელია, სახელმწიფომ გაიგოს, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის კვლევას ხელშეწყობა სჭირდება – ინსტიტუციურად და ფინანსურად. უმაღლეს სასწავლებლებში უნდა შეიქმნას კვლევითი მიმართულებები საბჭოთა წარსულის შესასწავლად, დაინიშნოს სტიპენდიები. მხოლოდ ილიას უნივერსიტეტის საბჭოთა კვლევები ან საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (სოვლაბი) ძალისხმევა არ კმარა.

თანამედროვე კვლევების შედეგები უნდა აისახოს სასკოლო წიგნებში. ახალგაზრდა თაობამ მკაფიოდ უნდა დაინახოს, რა გამოიარეს წინა თაობებმა, რა განსხვავებაა ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის. სხვა შემთხვევაში, ძალიან გაგვიჭირდება ახალი, თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის აშენება ამ ახალ სამყაროში, რომელიც ჩვენ თვალწინ ასეთი სიჩქარით იცვლება.

ოცდაათი წლის წინ საქართველო კვლავ დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო გრძელ გზაზე, რომელსაც, როგორც ვვარაუდობდით, ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე, ლიბერალური მსოფლმხედველობის დამკვიდრებამდე უნდა მივეყვანეთ. ეს პროცესები გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან წარმოგვედგინა.

ამ წიგნში თერთმეტი ქართველი ავტორი ცდილობს, სხვადასხვა თვალსაზრისით შეაჯამოს საქართველოს მიერ განვლილი გზა: ისინი საუბრობენ სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაზე, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, საბჭოთა მემკვიდრეობის გადააზრებასა და დაძლევაზე, ღირებულებებისა და პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციაზე და ა.შ. მათი სტატიები ემყარება ლექციებს, რომლებიც მათ კონრად ადენაუერის ფონდის პროგრამის ფარგლებში წაიკითხეს.